ბ. სარიშვილი

სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი 1956 სვალინირი

წინასიტყვაობა

ოსეთის სახალხო განათლებისა და სკოლის ისტორია ჯერ არ დაწერილა. ცალკეული ოსი, რუსი თუ ქართველი მკვლევარების ნარკვევები უმთავრესად აღნიშნული პრობლემის ამა თუ იმ მხარეს შეეხებიან, მაგრამ სრულიად ბუნებრივია, რომ ოსეთის სკოლისა და სახალხო განათლების განვითარების გზებზე ისინი მთლიან წარმოდგენას მაინც ვერ იძლევიან.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, მით უმეტეს საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ, რა გზების გავლით ხდებოდა ჩვენს ხალხთან მრავალსაუკუნოვან ისტორიულ მეგობრობაში მყოფი მეზობელი ოსი ხალხის კულტურული ზრდა-განვითარება. ჩვენს ინტერესს შეადგენდა განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდელი პერიოდი, რის შემდეგ სსრ კავშირის სხვა ერებთან ერთად ოსმა ხალხმა წარმატებით უზრუნველჰყო ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ნამდვილი აყვავება.

ოსეთის სწავლა-განათლების ისტორიისათვის მასალების პირველი წიგნის გამოქვეყნება ჩვენ შევძელით 1952 წელს, რამაც ქართულ პრესაში (გაზ. „საბჭოთა ოსეთი", 1952 წ. 22 ნოემბერი, გაზ. „კომუნისტი", 1953 წ. 5 ივნისი, ჟურნ. „მნათობი", 1953 წ., № 4, გვ. 153—155) სათანადო გამოხმაურება ჰპოვა.

ოსთა სწავლა-განათლების ისტორიის საკითხებს ჩვენ შესაფერი გაშუქება მივეცით 1955 წელს სამხრეთ ოსეთის სახელგამის მიერ გამოცემულ პატარა მონოგრაფიულ ნაშრომში: „კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი", რომელსაც ქართული პედაგოგიური პრესა (იხ. გაზ. „სახალხო განათლება", 1955 წ. 28 დეკემბერი, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1955 წლის № 4, გვ. 84—89, ჟურნ. „მნათობი" 1956 წ. № 4) კმაყოფილებით შეხვდა. გარდა ამისა, სკოლის ისტორიის საკითხებს სამხრ. ოსეთში ცალკე თავი მიუძღვენით საქართველოს განათლე-

ბის სამინისტროს სამეცნიერო მეთოდ-კაბინეტის გამომცემლობის მიერ 1956 წ. გამოქვეყნებულ ნარკვევში „სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში (1901 — 1921 წწ.)“.

წინამდებარე ნაშრომში: „სკოლა და სახალხო განათლება ოქტომბრის რევოლუციამდელ ოსეთში“, ვცდილობდით გაგვერკვია ისეთი საკვანძო პრობლემები, როგორიცაა:

1) ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ადრინდელი ფეოდალური წყობისა და მსხვილ სამთავროთა გაერთიანების პერიოდში (III—X სს.);

2) ქართული კულტურის გავლენა კავკასიის მთის ხალხებზე საქართველოს სამეფოს გაძლიერების ხანაში (XI—XIV სს.);

3) კულტურული ვითარება ოსეთში XV საუკუნიდან ოსეთის რუსეთთან შეერთებამდე;

4) ორივე მხარის ოსთა სწავლა-განათლების მდგომარეობა საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ცარიზმის დამხობამდე;

5) მასწავლებელთა შემადგენლობა ოსეთის სკოლებში;

6) გამოჩენილი ოსი მოღვაწეები სკოლისა და ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების შესახებ;

7) მშრომელთა მოთხოვნილებანი და ახალი სკოლისათვის ბრძოლა ოქტომბრის რევოლუციამდელ ოსეთში.

ამ წიგნზე მუშაობის პროცესში, ჩვენ, ბევრი საარქივო დოკუმენტი, სკოლის ხელმძღვანელ უწყებათა ანგარიშ-მოხსენებები, ქართულ-რუსული პრესის მდიდარი მასალები, მრავალრიცხოვანი ისტორიულ-ლიტერატურული და კრიტიკული ნარკვევები და სხვა წყაროები გამოვიყენეთ. ამასთან ერთად, ვცდილობდით ფაქტებს კრიტიკულად მივდგომოდით და მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, მისთვის შესაფერისი გაშუქება მიგვეცა.

თითოეული ისტორიული ფაქტი, რომელიც ოსი ხალხის კულტურული მდგომარეობის ამა თუ იმ ეტაპს ეხება, მოვლენათა რეალური განვითარების ფონზე, ხალხთა ძმური ურთიერთობის ასპექტშია განხილული. ამით ჩვენ გვსურდა გარკვეული წვლილი შეგვეტანა კავკასიელ და რუს ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომი

განმტკიცების დიად საქმეში. რამდენად შევძელით დასახული მიზნის მიღწევა, განსჯა პირუთვნელი მკითხველისათვის მიგვინდვია. ჩვენი მუშაობა ამ მიმართულებით მომავალშიაც გაგრძელდება. ამიტომ, მკითხველის სამართლიან შენიშვნებს ავტორი ყოველთვის უდიდესი მადლიერების გრძნობით მიიღებს.

ავტორი

თ ა ვ ი I

ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ადრინდელი ფეოდალური წყობისა და მსხვილ სამთავროთა გაერთიანების პერიოდში (III—X საუკ.)

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართველებსა და ოსებს ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდანვე გარკვეული ეკონომიური, სამეურნეო და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ.

ბუნებით ლამაზი, მდიდარი და კულტურულად ძლიერი საქართველო შორეული წარსულიდანვე იქცევდა როგორც გარეშე ქვეყნების, ისე კავკასიის მთის ხალხთა ყურადღებასაც.

მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი ქართული მწერლობა, მისი ისტორია, ხელოვნება, ფილოსოფია და მატერიალური კულტურა, იმ ერის მონაპოვარი, რომელიც არა მარტო ითვისებდა და სწავლობდა ყოველივე საუკეთესოს, რაც მოწინავე ქვეყნებს კულტურის სარბიელზე შეუქმნია, არამედ თითონაც დაუზარებლად უზიარებდა სხვებს საკუთარი ძალებით მოპოვებულ თავის კულტურულ მემკვიდრეობას. საქართველოს მეზობლად, კავკასიის მთის კალთებზე დასახლებული, ქართულ ყოფაცხოვრებასთან, ზნე-ჩვეულებასა და კულტურასთან დაახლოებული ოსები ქართველების მხრივ ღრმა სიმპათიას და გულწრფელ თანაგრძნობას ხვდებოდნენ.

დ. ლავროვის გადმოცემით, გარდა სომხებისა, ოსებს ძველთაგანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართველებთან. ჰუნებისა და სხვა დამრბევთა შესევის პერიოდში ოსები ნელ-ნელა მიიწევდნენ კავკასიის სამხრეთის მთებისაკენ[1], რაც საქართველოსთან არა მარტო

---

[1] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Изд. упр. Кавк. уч. округа, 1883 г. вып. III, стр. 200. იხ. დ. ლავროვის ნარკვევი: „Заметки об Осетии и осетинах".

ტერიტორიული, არამედ სულიერი დაახლოების საფუძველსაც წარმოადგენდა[2].

ძველი წყაროების მიხედვით, ქართველებისა და ოსების დაახლოებისა და ერთი სარწმუნოების ქვეშ მათი გაერთიანების საქმეში დიდი როლი შეუსრულებია ცნობილი ქართველი ქალის წმინდა ნინოს (314—325) ოსეთში მოღვაწეობას, რომელიც დარწმუნების ყველა საშუალებას მიმართავდა მთის ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისათვის[3].

ს. ვ. ფარფოროვსკის მოსაზრებით: „IV საუკუნის დასაწყისში ოსეთში წმინდა ნინო ავრცელებს ქრისტიანულ განათლებას, რომელიც აქ საქართველოდან მოვიდა"[4].

მთის ხალხები, რომელთაც ფეოდალურ წყობილებამდე ჯერ კიდევ საკმაო მანძილი დარჩენოდათ, პირველ ხანებში ქრისტიანობას არ ელტვოდნენ. ძველი მემატიანის ცნობით, როდესაც ნინომ ქსნისა და არაგვის ხეობის მთიულებს ქრისტიანობა უქადაგა, მათ კბილთა ღრჭენა დაიწყეს და ზურგი შეაქციეს[5], მაგრამ ერისთავებისა და მეფის ჩარევით მთიულებში „შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად" და ქრისტიანულ „განათლებასაც" მეტი გასაქანი მიეცა.

ქრისტიანობის გავრცელება როგორც საქართველოში, ისე კავკასიის მთიანეთში მონათმფლობელობის შერყევას და ფეოდალიზმის განვითარებას ემსახურებოდა. წარმართობასთან შედარებით იგი პროგრესულ იდეოლოგიას წარმოადგენდა. რომელიც ხელს უწყობდა კავკასიის ხალხებს შორის „კულტურული კავშირის" განმტკიცებას.

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასიის მინდვრებსა და მეზობელ მხარეებში ძველთაგანვე ცხოვრობდნენ სარმატები, ალანები (ოსები), ჰუნები და მეჯოგეთა სხვა ტომები, რომლებიც საძოვრებისათვის ერთი ადგილიდან სხვა ადგილებისაკენ მოძრაობდნენ, ხოლო ზოგჯერ საშოვრისათვის სამხრეთის კულტურულ ქვეყ-

---

[2] ისტორიული წყაროებით, კავკასიის სამხრეთ კალთებზე ოსების დასახლება არა ჩ. ე. III საუკუნეს, არამედ ჩვ. წ. ა. უფრო გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება.

[3] Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, 1883 г., вып. III, стр. 200.

[4] „Журнал Министерства народного просвещения", Январь, 1917 г., стр. 88., იხ. ს. ბ. ფარფოროვსკის სტატია: „Народное образование у осетин".

[5] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1946 წ., გვ. 91.

ნებშიაც გაიელვებდნენ[6]. ამ ტომების გულად და მამაც ნაწილს დაქირავებული ჯარის სახით ამა თუ იმ მდიდარი კუთხის მმართველები შემოსეული მტრების წინააღმდეგ იყენებდა.

IV—V საუკუნეებში საქართველოსა და საერთოდ, კავკასიის შეზობელ ქვეყნებში დიდი ცვლილებები მოხდა. IV საუკუნის დამლევს რომი ორ ნაწილად გაიყო. აღმოსავლეთ ნაწილის დედაქალაქად იქცა ძველი ბიზანტიონი — კონსტანტინეპოლი. დასავლეთ რომის იმპერიის მოსპობის (მეხუთე საუკ. დამლევს) შემდეგ არსებობას განაგრძობდა აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელიც VII საუკუნიდან ფეოდალური ბიზანტიის სახელწოდებით გახდა ცნობილი. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას, აქ IV—VI საუკუნეებში ჰუნები მძლავრობდნენ. VI საუკუნის დამლევიდან ჰუნები ხაზარებმა შესცვალეს. VII საუკუნის დამდეგს ბიზანტიამ ქართველების, ეგრისელებისა და აბაზგების გამოყენებით და, ბოლოს, ხაზარებთან მოკავშირეობით შესძლეს სპარსეთის ძველი სახელმწიფოს განადგურებამდე მიყვანა და ამიერკავკასიაში ბიზანტიის გავლენის განმტკიცება. საქართველოსთან ერთად ოსეთიც ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა[7]. ს. ვ. ფარფაროვსკის აზრით: „ამ დროიდან იწყება ფეოდალიზმის განვითარებაც. ისტორიული ცნობები ადასტურებენ, რომ ოსეთი VI საუკუნეში ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც მისიონერების გზით ხალხში ქრისტიანულ განათლებას ავრცელებდა“[8].

ამგვარი მდგომარეობის მიუხედავად, კავკასიის მიწა-წყალზე მცხოვრებ ხალხთა კავშირურთიერთობა მაინც არ შეწყვეტილა. სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ხასიათის საერთო საფუძვლები ხალხში ქმნიდა ეროვნული კავშირისა და ერთობის შეგნებას.

„ეროვნული ერთობის ეს შეგნება შენარჩუნებულ იქნა საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგაც, იმ ხანაშიც კი, როცა ქვეყანა ყველაზე დიდ სამეურნეო და პოლიტიკურ დაქვეითებას განიცდიდა“[9].

---

[6] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1946 წ.

[7] იქვე, გვ. 136—137.

[8] „Журнал Министерства народного просвещения“, Январь, 1917 г., стр. 88. იხ. ს. ვ. ფარფოროვსკის: „Народное образование у осетин“.

[9] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 11.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე და მის გარეშეც, ქართული კულტურა დიდი ცხოველმყოფელობით ვრცელდებოდა. ეკლესია-მონასტრებზე, ფეოდალურ ციხე-სიმაგრეებსა და სხვა ნაგებობებზე დაცული ძველი ქართული წარწერები, სიგელ-გუჯრები, მხატვრულ-კერამიკული ნაკეთობანი და სხვა ძეგლები აშკარად მოწმობენ ქართული კულტურის უდიდეს გავლენას, მის როლს სხვადასხვა ეროვნებათა და ხალხთა კულტურულ განვითარებაში. როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე „ოსეთში, სხვადასხვა ძველნი ნაშთებიც ძრავლად არის ნაშენნი. უმეტესად ქართველ მეფეთაგან გაკეთებული კოშკნი, ეკლესია და მონასტრები. ბევრს ქართული მინაწერიც აქვს, ბევრი შემუსვრილ არს მტერთაგან“[10].

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, ოსებს, ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით შეუსწავლიათ „..საყდრების შენებაც... მისი ოსტატობა, ხელოსნობა, ხელოვნებანი და სხვანი. ამის გარდა წერა-კითხვაც კარგად იცოდნენ“...[11]

დოქტორი პფაფის შეხედულებით (რომელსაც ის თავის ნაშრომში „ოსეთის ძველი ისტორიის მასალებში“ ანვითარებდა). ძველად კავკასიის მთიანეთში, განსაკუთრებით ოსეთში „აქა-იქ ვრცელდებოდა წერა-კითხვის ცოდნა, რასაც მოწმობენ ოსეთის ეკლესიების ნანგრევებში ნაპოვნი წარწერები“, ხოლო ლავროვის აზრით „..იმის გამო, რომ ეს წარწერები თითქმის მთლიანად ქართულ ენაზე კეთდებოდა, წყაროთ ასეთი დამწერლობითი განათლებისა უნდა მივიჩნიოთ საქართველო“[12].

ამრიგად, ფაქტია, რომ ქართველებსა და ოსებს საერთო სარწმუნოება, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის იდეა და კულტურული ერთობის მნიშვნელობის შეგნებისაკენ მისწრაფება აკავშირებდათ.

ისტორიული სინამდვილე აუცილებელს ხდიდა მეზობელ ერებთან და ხალხებთან ჩვენი ერისა და ხალხის სამხედრო-პოლიტიკურისა და სამეურნეო-კულტურული კავშირის განმტკიცებას.

---

[10] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ოსეთის ისტორია, ქართულის ისტორიულის წყაროებით, სურათებით, თბ., 1913, გვ. 8.

[11] ი ქ ვ ე, გვ. 70.

[12] Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. III, 1888 г., стр. 207. ციტირებულია დ. ლავროვის ნაშრომიდან: „Заметки об Осетии и осетинах“.

თავდამსხმელი მტრის წინააღმდეგ ქართველები და ოსები, პირველი წინამძღოლობით საერთო ძალით იბრძოდნენ და ურთიერთთან მჭიდრო თანამშრომლობით მოქმედებდნენ. ქართველები მუდამ ცდილობდნენ, რომ მეზობლებთან ძმური ურთიერთობა ჰქონოდათ. ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის დროს (მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში) ქართველთა ინიციატივით, სომეხთა, ოსთა და ქართველთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა: „და **მიერთაგან იქმნეს მოყუარენი სომეხნი და ქართველნი და ოვსნი და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა**“[13].

ქართველები და ოსები ერთმანეთს ძმურ დახმარებას უწევდნენ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჯუანშერის გადმოცემით „ვახტანგ გორგასალის ლაშქარნი ოვსეთის შემდგომ განვიდეს პაჭანიგეთსა, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიგეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა მდინარესა მუნ ოვსეთისასა წიაღ და ჯიქეთი მუნვე იყო“[14].

ქართველთა და ოსთა მეგობრობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ როდესაც „დაესრულა მეფობაი ქართლისაი და... ქართლსა შინა სპარსნი გაძლიერდეს და [3]. ერეთი და სომხეთი დაიპყრეს, ხოლო უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიღეს და ერთი დიდი კარი ოვსთივე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დორძოკეთისა და იგი მთიოლნი გომარდად დაადგინეს“[15],—ქართველები, მაშინაც არ შემდრკალან და ოსთა მონაწილეობით მთელს თავიანთ ძალებს რაზმავდნენ საერთო მტრის განდევნა-განადგურებისა და მოძალადეთაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ქართველებსა და ოსებს გარკვეული კავშირი ჰქონდათ აგრეთვე კავკასიის მთიელთა და მთეულთა მოსახლეობასთან, რომლებსაც ისინი ხშირად თავიანთ სამხედრო-პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული ამოცანების განხორციელებისათვის იყენებდნენ[16]. მთეულებად იწოდებოდნენ არაგვისა და თერგის ხეობასა და კახეთის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ყვე-

---

[13] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950 წ., გვ. 21—22.

[14] იქვე, გვ. 272.

[15] იქვე, გვ. 276. შდრ. „ძველი საქართველო“, ტომი I, 1909 წ., გვ. 11—12.

[16] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948 წ., გვ. 38—39.

ლა ტომი, ხოლო მთიელები გუდამაყრის ხეობის ჩრდილო-დასავლეთით არაგვსა და ქსანს შორის სახლობდნენ. ამგვარ ტომთა შორის ცნობილია „წანართა“ ტომი „რომელთა ქვეყანაში არის კარი ალანთა (დარიალანი) და წილკანის კარი (წელქანდურ) წილქანდურ)“[17]. ალანთა (ე. ი. ოსთა) გვერდით მცხოვრები მოსახლეობა საქართველოს ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპებზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველებთან და აშკარაა, განიცდიდა ქართული კულტურისა და მეცნიერების გავლენას, რომელიც ძველთაგანვე გზას იკაფავდა და როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ ვრცელდებოდა.

ამრიგად, ბუნებრივია, რომ კავკასიის მთის სხვა ხალხებთან ერთად ოსეთის მოსახლეობა თავიდანვე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო არა მარტო მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის შესწავლით, არამედ მასთან შეგობრული კავშირის განმტკიცებითაც.

ქრისტიანობის გავრცელებამ ქართლში ხელი შეუწყო საეკლესიო ქრისტიანული კულტურისა და სწავლა-განათლების ახალ სარწმუნოებრივ საფუძველზე გაშლას.

ქართული კულტურის ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, „ესტატე მცხეთელის წამება“, კოლხეთის ფილოსოფიური სკოლა (სადაც, სწავლის მისაღებად ახალგაზრდებს აღმოსავლეთი რომის იმპერიიდანაც კი გზავნიდნენ), შემდეგ საუკუნეებში გელათის, გრემის და იყალთოს აკადემიები, ხელს უწყობდნენ ქართული ფილოსოფიური აზროვნების, მწერლობისა და კულტურის ფართოდ გავრცელებას და ყოველივე ამის შესწავლით ოსი ხალხის დაინტერესებას.

პროფ. კ. კეკელიძის გადმოცემით „მეექვსე საუკუნის გასულს, როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდანა“ ჩანს, **ქართლში გაჩაღებული ყოფილა წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე. ქართლის კათალიკოსს კირიონს მიმოწერა ჰქონია არა მარტო სომხის, არამედ იერუსალიმის და რომის პატრიარქებთან**“[18].

VII — VIII საუკუნეებში საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხებს ორმხრივი ბრძოლა უხდებოდა: ერთი არაბთა ბატონობის, ხოლო მეორე ბიზანტიელ მოთარეშეთა წინააღმდეგ. „გაგულისე-

---

[17] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948 წ., გვ. 39.
[18] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 82.

ბული კეისარი ცდილობდა მოექრთამა ალანები, რათა ისინი შესეოდნენ აფხაზეთს, ეგრისსა და ქართლს და ბიზანტიის მიმართ ურჩობის გამო ეს ქვეყნები აეოხრებინათ"[19]. მაგრამ ქართველებთან ერთად ბიზანტიელთა და არაბთა პარპაში კავკასიაში არც ალანებს ჰოსწონდათ, რის გამოც ისინი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლებში მეტწილად საქართველოს ორიენტაციას იცავდნენ. ყოველივე ამის მიუხედავად დოქტორ პფაფის გამოთქმით, ოსეთი VIII—X საუკუნეებში ბიზანტიელთა და არაბთა სხვადასხვა სარწმუნოებისა და „კულტურის" გავლენას განიცდიდა.

X საუკუნის ნახევრამდე ოსეთი რელიგიური მხრივ კონსტანტინეპოლის საპატრიარხოს ეექვემდებარებოდა. „სახალხო განათლების ისტორიისათვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ 931 წ. ფეოდალური არეულობის დროს ყველა მღვდელი გაძევებულ იქნენ ოსეთიდან და ქრისტიანულმა განათლებამ იწყო დაცემა"[20].

გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლების მიუხედავად, კავკასიის მოსახლეობის გამრავლებისა და მეურნეობის გაფართოების გამო საჭირო ხდებოდა სხვადასხვა კუთხეების მოსახლეობის დაახლოება და მათ მიერ დამზადებული სხვადასხვანაირი საქონლის ურთიერთ მიწოდება.

„მთიელები ბარში ჩადიოდნენ პურისა და ღვინისათვის და თან მათ თავისი მეურნეობის ნაყოფი ჩაჰქონდათ. მესაქონლეობაც ხელს უწყობდა მოძრაობას; ჯოგებს საზაფხულო საძოვრები ერთ ადგილას ჰქონდათ, საზამთრო კი — მეორეგან... ყოველივე ეს იწვევდა... სხვადასხვა თემების ურთიერთობას, შინაგან გაცვლა-გამოცვლასა და აღებ-მიცემას"[21].

ამასთან ერთად, მაშინდელ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბევრს მახლობელ და შორეულ ქვეყნებთან, ხოლო კავკასიის მთიანეთის ოსეთი ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის მხრივ საქართველოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

VIII—X საუკუნეებში ქართული ლიტერატურა მრავალფეროვანი გახდა, ქართული კულტურა საქართველოს ფარგლებს გასცდა.

---

[19] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I. გვ. 140.

[20] „Журнал Министерства народного просвещения", Январь—1917 года, стр. 88.

[21] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I. გვ. 151—152.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ IX საუკუნეში, როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. მაგრამ, ამასთან ერთად, **„ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც. პირველ რიგში ჩერქეზებსა და ალანებში[22]“.**

ქართული კულტურის შესწავლას დაეწაფა არა მარტო ქართველი მოსახლეობა, არამედ ჩერქეზები, **ოსები და მთის სხვა ხალხები.**

VIII—X სს. კიდევ უფრო გავრცელდა ქართული საეკლესიო-სამონასტრო მსახურების წესები. ასე, რომ IX—X საუკუნის მოღვაწენი პირდაპირ ამბობდნენ: „ქართულად ფრიადნი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამნი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“[23].

ზემოაღნიშნულსა და მის შემდგომ საუკუნეებშიაც ქართლად იგულისხმებოდა ფართო მიწა-წყალი „ყოვლისა ქართველთა ნათესავისაი“[24], სადაც საკმაოდ იკიდებდა ფეხს ქართული სალაპარაკო ენა, იზრდებოდა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გაცნობა-შესწავლისადმი ლტოლვა და ინტერესი.

---

[22] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 158—159. ხაზგასმა ჩვენია.

[23] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 43.

[24] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 26.

თ ა ვ ი II

ქართული კულტურის გავლენა კავკასიის მთის ხალხებზე საქართველოს სამეფოს გაძლიერების ხანაში (XI—XIV სს.)

X საუკუნიდან საქართველო, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დაწინაურების გზას დაადგა.

XI—XII საუკუნეებში ქართული კულტურის სხივები საქართველოს ფარგლებს იქითაც სწვდებოდა. ისმოდა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"[25]. ქართულად დაიწერა შესანიშნავი თხზულებები: ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება" და სხვა, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს ფილოსოფიური აზროვნებისა და პოეზიის ისეთ შესანიშნავ შედევრებზე, როგორიცაა, „სიბრძნე ბალავარისა" და „ვეფხისტყაოსანი", რომლებმაც საუკუნოებრივი ბრძოლების ცეცხლს გაუძლეს და დღემდე „ხელი-ხელ საგოგმანებ" მარგალიტებად ითვლებიან მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ქართველ ხალხში მწიგნობრობის სიყვარული, ცოდნისა და კულტურისაკენ მისწრაფება სისტემატურად იზრდებოდა.

მცხეთის გარშემო მცხოვრებთ შორის ამაღლდა წიგნის ცოდნის სიყვარული. იგი, იმდენად გავრცელდა, რომ მან ერთობ დიდი გავლენა იქონია თვით მთის ხალხზე და მეტად ოსებზე. „მცხეთა და მის მცხოვრებთ წიგნის გავრცელების საქმე გახდა ოვსთა მაგალითადაც და მოკლე დროის განმავლობაში ოვსთაც ისევე შეისწავლეს წერაკითხვა, როგორც მცხეთას და მის ახლო-მახლო ქართველთ. ქართლის საქმემ იქამდე მიაღწია, რომ... მთის ქართველნი და ოსეთის ოვსნი ქებულ იქნენ, როგორადაც ადვილად შემთვისე-

---

[25] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 159. მწერალ იოანე ხოსიმეს სპეციალური შესხმა—ოდიდან.—ტ. ს.

ბელნი და ადვილად დამსწავლელნი ანბანისა. ქართლს, მთიულეთს და ოვსეთს ანბანი ისე განეფინა და მოირთო... რომ ძველად მოხუცნი ქებითა და დიდებითა და საკვირველებით მოუთხრობდხენ ცნობებს, თუ **ძველის-ძველად, როგორ მრავლად იყო მოფენილი წიგნის მცოდნეთა რიცხვი მთის ერსა და ოსეთში ოსებს შორის**"[26].

როგორ გადაჭარბებადაც არ უნდა გვეჩვენოს ზ. ჭიჭინაძის ცნობა მაშინდელ ოსებში სწავლა-განათლების გავრცელების შესახებ, ერთი მაინც ცხადია, რომ ოსებსა და, საერთოდ, კავკასიის მთის ხალხებში ფეხს იკიდებდა ქართული სასაუბრო ენა, ეკლესიებსა და ოჯახებში ქართულ საეკლესიო ენაზე იკითხებოდა სახარება, ბევრ შემთხვევაში ქართულად ხდებოდა საეკლესიო ლოცვებისა და საგალობლების შესრულება.

საეკლესიო ცოდნის, წერა-კითხვის გავრცელებისა და „სასულიერო მსახურთა" მომზადება-აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „ოვსთა და ქართველთა ერთობის ნიშნად" დაარსებული ნიქოზისა (ცხინვალის ახლოს) და ურბნისის სამონასტრო საეპისკოპოსო კათედრები და ამ მონასტრებთან არსებული სკოლები. „...ამ საეპისკოპოსოების სასულიერო სკოლებში იზრდებოდნენ ოვსთა სამღვდელო შვილები. ოვსნი მძლავრი ყოფილან, როგორც რიცხვით, ისევე სწავლის მიღებითაც. დავით აღმაშენებლისაგან ბიზანტიაში გაგზავნილ 40 მოსწავლე ქართველებში ოსებიც ერიენენ. XII საუკუნის დამდეგს საქართველოში ოვსთა ნასწავლ კაცების მთელი გუნდი გახლდათ"[27].

სრულიად შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ საქართველოს მაშინდელი მმართველები ხელს შეუწყობდნენ არა მარტო ქრისტიანობის გავრცელებას ოსეთში, არამედ ოსთა ეკლესიებისა და საოჯახო სკოლებისათვის საჭირო კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმესაც.

ისტორიული გადმოცემით, ნიქოზის მონასტერთან არსებულ ტაძარს ჰქონდა თავის სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ ოსთა შვილებს ქართულ წერა-კითხვას, ოსურს, ბერძნულს, ასურულს და რომაულს, ამზადებდნენ დროის შესაფერის სწავლით და ვისაც სურდა ეკლესიის მსახურება, იმათ მღვდელ-მოქმედებასა და საეკლესიო საქმეებში ოსურის ენითაც სწვრთნიდნენ. შემდგომ სწავ-

---

[26] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ოსეთის ისტორია, თბ., 1913 წ., გვ. 78—79.
[27] ი ქ ვ ე, გვ. 19.

ლისა და გამოცდისა ნიქოზელი აკურთხებდა და ნიშნავდა ამიერ და იმიერ ოსეთში სამსახურად, მღვდლებს, მთავრებს და დიაკვნებსაც[25]. აქვე, ახალგაზრდობას ასწავლიდნენ ანგარიშს, ლოცვების ქადაგებას ოსურს ენაზე ქართულ და ბერძნულ ენებიდან თარგმნით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ XI—XII საუკუნის ქართული პოეზია, კულტურა და ხელოვნება თავისი საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გასცდა, უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ საოჯახო სწავლება უმთავრესად ქართულად წარმოებდა, მაგრამ ოს ახალგაზრდობას წირვა-ლოცვასა და ქადაგებაში აგრეთვე ოსურს ენაზედაც წვრთნიდნენ[29]. ძველად „...ოვსთა დიდებულნი, მეფენი, მთავარნი და მცირებულნი ქართულის ანბანით სწავლობდნენ... სწერდნენ და კითხულობდნენ". IX—X საუკუნეებში ოსეთის ცალკეული სამფლობელოების შეერთება-შეკავშირების ნიადაგზე შეიქმნა ერთიანი ფეოდალური სამეფო ორდურეს (1019 წ.) მეთაურობით, რომელსაც ამშვენებდა თავისი სატახტო ქალაქი, მმართველობის ცენტრი, ჰყავდა თავისი სასამართლო, ჯარი და ჰქონდა სხვა სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი. ამ პერიოდის ძლიერ ფეოდალურ ოსეთს ახლო კავშირი ჰქონდა ფეოდალურ საქართველოსთან. „ოსეთის სამეფო საგვარეულო, — დ-რ პფაფის სიტყვით,—იმდენად ამაღლდა, რომ ქართლისა და აფხაზეთის მეფეები ოსეთის მეფეთა ქალიშვილთ ირთავდნენ"[30].

ოსეთის სამეფო ტახტის არენაზე XI—XIII საუკუნეებში გამოჩნდნენ ისეთი ძლიერი სახელმწიფო მეთაურები, როგორიც იყვნენ დორღულელი (ბაგრატ IV-ს მოკავშირე და ცოლის ძმა), ხუდანი (მეფე გიორგი III-ს სიმამრი), დავით სოსლანი (თამარ მეფის მეუღლე), ოსი ბაყათარი და სხვები[31], რომელთაც მოყვრობა-მეგობრობა, საქმიანი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ თავისი დროის ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებთან. ასევე ქართულად სწავლობდნენ „...ქრისტიანობის მიღების შემდეგ ოვსთა მღვდელნი, დიაკონნი, მთავრები, ბერები და ყველა სასულიერნო პირნი. სასულიერო პირთ გარდა

---

[28] ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, იხ., 1913 წ., გვ. 101—102.

[29] იქვე.

[30] „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, 1883 г., вып. III, стр. 206.

[31] „Древние осетины и Осетия", сочинение Александра Колзаева, Владикавказ, 1903 г., стр. 78.

ოვსთა მეფენიც ამ ასოებით სწერდნენ ურთიერთშორის მოკითხვის წერილებს, განაჩენთ, სიგელთა და გუჯრებსაც; ქართველ მეფეთა მსგავსად ამავე ასოებით ადგენდნენ ზღაპრებს, ლექსებს, შაირებს და სხვებსაც... ეს გარემოება ოვსთა და ქართველთ დიდად აკავშირებდა და აახლოებდა. ოსეთის დიდებულნი მეფენი და სხვადასხვა პირნი სულ ამ ანბანის ცოდნით იყვნენ განსწავლილნი"[32].

უნდა ვიფიქროთ, რომ საეკლესიო და საოჯახო სწავლება საშუალო საუკუნეების ოსეთში ქართულად ან ქართულის დახმარებით ოსურად თარგმნით იყო მოწყობილი.

პროფ. ს. მ. ტოტოევის მტკიცებით, X—XIII საუკუნეებში ოსები იცნობდნენ ქართულ და ბერძნულ დამწერლობას, რაც შემდეგში თათარ-მონგოლთა შემოსევებმა მოსპობის პირამდე მიიყვანა[33].

ყოველივე ამის მიუხედავად, XII საუკ. დასასრულს და XIII საუკ. დასაწყისში ოსეთი და საქართველო მაინც მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებოდა და პირველი, ქრისტიანული საქართველოს ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა. „ქრისტიანული სარწმუნოება ოსებისა, თუმც კვლავ შეიცავდა მაჰმადიანური სარწმუნოების სიმახინჯეებსა და კერპთაყვანისმცემელთა სარწმუნოების ნაშთებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მზა საფუძველს წარმოადგენდა თამარ მეფის საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის"[34]. ამით უნდა აიხსნას ქრისტიანული „კულტურისა" და „განათლების" სწრაფი გავრცელება, როგორც ჩრდილო კავკასიის, ისე ამიერკავკასიის ოსებში.

ს. ვ. ფარფაროვსკის მიხედვით, ოსეთში ქრისტიანული განათლების განვითარებაზე საკმაო გავლენას ახდენდა ქართული ფეოდალური კულტურა, რომელმაც დავით სოსლანთან თამარ მეფის დაქორწინების პერიოდში თავისი დროის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. სახალხო განათლების ინიციატივა ამ ეტაპზე ისევ ქართველ მისიონერთა ხელში გადავიდა[35].

---

[32] ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, თბ., 1913 წ., გვ. 101 –102.

[33] С. М. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв., Госизд. С. Ос. АССР, 1950 г., стр. 6.

[34] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. III, 1883 г., стр. 207, იხ. დ. ლავროვის სტატია: „Заметки об Осетии и осетинах".

[35] „Журнал Министерства народного просвещения", 1917 г. Январь. стр. 88—89. იხ. ს. ვ. ფარფაროვსკი: „Народное образование у осетин"

ქრისტიანობის მიღების შემდეგ დვალები (თამარის მეფობის ჟამს) მთლიანად შეუერთდნენ ქართველ ხალხს, თუმცა მათ თავის მაღალ მთიან ადგილთაგან ბევრი ადგილი დაკარგეს ოსების სამხრეთით მოძრაობისას[36]. ეს ამონაწერიც იმას ასაბუთებს, რომ დვალები, ოსები და მთის სხვა ხალხები (განსაკუთრებით თამარის მეფობის ხანაში) კულტურულად ძლიერ ქართველ ხალხთან შედარებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი.

ქართველთა ზრუნვა და მეგობრული დახმარება ოსებისადმი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული მიზეზებით იყო განსაზღვრული. ქართველები და ოსები მტრის წინააღმდეგ ხშირად საერთო ძალებით იბრძოდნენ. 1163 წელს გიორგი III-ჭ მაპმადიანთა წინააღმდეგ **„გამოახსნა ოვსნი და ქუეყანანი დიდ-ძალნი და მომართა სულტანსა“**[37].

ქართველები ოსებს, დვალებს და საერთოდ, კავკასიის მთის ხალხებს თავის თანამეგობრებად თვლიდნენ. ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით, ბაგრატ მეფე თემურ ლენგს თხოვდა: **„აწ მომეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი და წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა და მოვხადო კაცთა მყოფთა მთის ადგილისათა: მთიულთა, ოსთა, დვალთა, სვანთა, აფხაზთა და ყოველივე მუნ მყოფთა“**[38].

ქართველთა და ოსთა ურთიერთდახმარებას ხელს უწყობდა ამ ორი ერის სახელმწიფოებრივ მმართველებს შორის მოყვრობა-ნათესაობის არსებობა.

ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთში მყოფმა ქართველმა მეფემ — ბაგრატ IV, როდესაც ქართლზე მტრის გამოლაშქრება გაიგო, დახმარებისათვის თავის ცოლის ძმას, ოსთა მეფე დორღოლელს მიმართა. ეს უკანასკნელი ორმოციათასი მხედრით გადმოვიდა საქართველოში. მეფემ უფლისწულ გიორგი კურაპალატის წინამძღოლობით მტრის წინააღმდეგ გაგზავნა ქართველთა და ოსთა შეერთებული ლაშქარი.

გამარჯვებულ ოსთა მეფეს საქართველოში დიდი ზეიმით შეხვდნენ. ქართველთა მემატიანის გადმოცემით: „ოსთა მეფემ

---

[36] მიმომხილველი, ტ. 1, საქართველოს მეცნ. აკადემიის გამოცემა, 1949 წ., გვ. 112—113. პროფ. დ. გერიტიშვილის ნარკვევიდან.

[37] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 376.

[38] ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, 1940 წ, გვ. 12—13.

ნახა თავისი და — დედოფალი, და სიძე — ბაგრატ მეფე, რომელიც იმ დროს „ტინისხიდს, ჭალასა ნადარბაზევისასა“ მდგომი დიდის ამბით მიეგება თავის მეშველსა და ცოლის ძმას. რადგან „მიზეზთა ზამთრისასა“ ოსთა მეფეს და დიდებულებს ეშურებოდათ, ბაგრატმა 12 დღეს გამასპინძლების შემდგომ თავისი სტუმრები უხვად დაასაჩუქრა და სამშობლოში გაისტუმრა“.[39]

ცხადია, ამგვარი ურთიერთდახმარება შემთხვევითი არ იყო და, უეჭველია, იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორსაც წარმოადგენდა ამ ორ ერს შორის არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის განმტკიცებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მემატიანის სიტყვით, ბაგრატ მეფე ქველმოქმედი, მწიგნობრობის მოყვარული, მეცნიერი და „სრული სიბრძნითა ფილოსოფოსისათა“ აღჭურვილი ყოფილა, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველთა ასეთი მეთაურის დაახლოებას ოსებთან არ შეიძლებოდა გარკვეული როლი არ შეესრულებინა ოსთა და ქართველთა კულტურული დაახლოების საქმეში. ეს გარემოება მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ოსი ხალხის ქართველ ხალხთან დამეგობრებას, ოსეთის კულტურული განვითარების შერწყმას ქართველი ხალხის კულტურულ განვითარებასთან.

ქართველი მასწავლებლები და „წერა-კითხვის ოსტატები“ საქართველოს შორეულ კუთხეებშიაც ასწავლიდნენ ხალხს, მაგრამ მას შემდეგ, რაც (XI საუკ. დასაწყისიდან) საქართველოს მიწაწყალზე გარეშე მტრების შემოსევა გახშირდა „...**საქართველოს გარეშე გასულნი ქართველნიც უცხო ქვეყნებიდან სულ შინ იკრეფდნენ თავს და მტერს უძღვებოდენ. ასევე ოსეთიდან დაბრუნდნენ ყველა ის მასწავლებელ — ქართველნი, რომელნიც კი ოსებს ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, სხვადასხვა ხელოსნობას და ბევრსაც კიდევ სხვა ასეთებს**“.[40]

თათარ-მონგოლთა, მპთი მემკვიდრეების — ყაბარდოს ფეოდალებისა და თურქეთის აგენტების ბატონობა მთის ხეობის ოსეთში თითქმის ოთხი-ოთხნახევარი საუკუნე (XIV საუკუნი-

---

[39] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ნაწილი, II, 1948 წ., გვ. 276.

[40] ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1916 წ., გვ. 1.

დან—XVIII საუკ. I ნახევრამდე) გაგრძელდა,[41] მაგრამ დიდი ზიანის მიუხედავად, ქართველთა და ოსთა მეგობრობის მოსპობა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ XI საუკ. სხვადასხვა პერიოდში საქართველო არაბებისა და თურქების შემოსევას განიცდიდა, ბაგრატ IV-მ მაინც შეძლო ოსეთისადმი ყურადღების მიპყრობა. მან „...ოსეთში ოსებს არაბული სწავლა არ აკმარა, მრავლად გაუხსნა სხვადასხვა სახის სკოლები, მასწავლებლად დაუნიშნა ქართველნი და ბერძნებიც. ბაგრატ მეოთხემ მალე ოსეთი კარგად გააქვეყნა ბიზანტიის წინაშე. ამავ ბაგრატის მიხვედრით, ოსთა შვილების რიცხვმა გამრავლება იწყო შიო მღვიმის სასწავლებელში. აქ ბაგრატი მოესწრო იმასაც, რომ მღვიმიდან გამოსულ ოსის ნასწავლ ბერებს ნიშნავდენ ოსეთის სკოლებში და ეკლესიებში მასწავლებლად. მაშინ, შიო მღვიმე ოსთათვის იყო ის, რაც ათონი და ათინა ქართველთათვის.

აქ ოსნი განუწყვეტლივ გადმოდიოდნენ და სამღვთო სწავლას იღებდნენ, მერე ოსებში ბრუნდებოდნენ. სამღვდელო პირს ნიქოზელი (ქართველი ეპისკოპოსი ნიქოზის მონასტერთან.— ტ. ს.) აკურთხებდა ხოლმე“.[42]

იმისდა მიუხედავად, თუ ვის მიერ, როდის და ვისთვის იყო დაარსებული შიო მღვიმის მონასტერთან არსებული სასწავლებელი, ისტორიული ფაქტების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ამზადებდა სასულიერო ცოდნით აღჭურვილ პირებს ოსთა ეკლესია-მონასტრებსა და სკოლებში საგანმანათლებლო მისიონერული მოღვაწეობისათვის.

ოსთა ახალი თაობის აღზრდისა და უმთავრესად ოსი მოსახლეობის გარკვეულ ფენებში განათლების გავრცელების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბაგრატ IV-ს თანამედროვე ქართველ მოღვაწეს, ათონის ქართველთა სავანეში აღზრდილს, სალიტერატურო[1] და სამონასტრო სარბიელზე ექვთიმე მთაწმინდელის საქმიანობის გამგრძელებელს — გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც „...ოსები მთელ ბიზანტიას გააცნო. ამ დღიდან ოსთა შვი-

---

[41] С. М. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX века и в начале XX века. Госиздат С. Осетии, 1950 г., стр. 6.

[2] ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 137—138.

ლებმაც იწყეს ათინაზედ (უნდა იყოს ათინაში. — ტ. ს.) სწავლის მისაღებად წასვლა".[43]

ზ. ჭიჭინაძის ცნობა რომ არ არის სინამდვილეს სავსებით მოკლებული, ეს სხვა ისტორიული წყაროებიდანაც დასტურდება. აკად. ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, ბაგრატ IV-მ საქართველოში სამოღვაწეოდ მოიწვია შესანიშნავი მწიგნობარი, ისტორიკოსი და მთარგმნელი, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი, თავის სამეფოში მასთან ერთად იმოგზაურა და ხალხის ყოფაცხოვრებას გაეცნო. ამ დროს (XI საუკ. შუა წლებში) ქართლსა და მის ახლო-მახლო ადგილებში შიმშილობა მძვინვარებდა. გიორგი მთაწმინდელი ხალხს ამხნევებდა, „...უძწეოდ დარჩენილს ბავშვებს ჰკრებდა, ჰკვებავდა და ასწავლიდა". ამრიგად, ქართველთა მემატიანის ცნობით, ხალხი, როგორც იყო „საზარელსა ბოროტებასა მძლე ექმნეს" და „სიყმილისა სიკუვდილსა გადაურჩეს". იმავე ცნობებით დასტურდება, რომ გიორგი მთაწმინდელი ხუთი წლის განუწყვეტელი სამეცნიერო, სამწერლო და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის შემდეგ გამოეთხოვა თავის ქვეყანას და „...შიმშილობის დროს შეგროვილი 80 მოწაფითურთ ათინისაკენ გაემგზავრა".[44] რამდენადაც ამ პერიოდში ქართველებსა და ოსებს შორის მჭიდრო კავშირურთიერთობა არსებობდა, ხოლო „სიყმილის" სიმძვინვარეს ოსეთიც განიცდიდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ათინაში სწავლის მისაღებად გიორგი მთაწმინდელის[45] მიერ წაყვანილ 80 ყმაწვილში ოსი ახალგაზრდებიც ერივნენ.

ამრიგად, ქართველი ფილოსოფოსები, მწერლები და სხვა სახელგანთქმული სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწენი ცდილობდნენ ოსებში სწავლა-განათლების შუქის შეტანას, ოსი ხალხისადმი მატერიალურ-კულტურული დახმარების გაწევას, ოსი მოსახლეობის საუკეთესო შვილთა „დროის შესაფერისად" აღზრდას. ამგვარი მიზნებიდან გამომდინარეობდა დავით აღმაშე-

---

[43] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ოსეთის ისტორია, გვ. 138.

[44] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II. გვ. 187—191.

[45] ცნობილია, რომ გიორგი მთაწმინდელს ათინამდე არ მიუღწევია, რადგანაც იგი 1065 წელს მოულოდნელად კოსტანტინეპოლს გარდაიცვალა.—ტ. ს.

ნებელი, რომელმაც; ათინაში, ქართველებთან ერთად, სწავლის მისაღებად კავკასიის მთის ხალხთა შვილებიც გაგზავნა.[46]

დაახლოებით ამავე აზრს ადასტურებს პროფ. კ. კეკელიძის ცნობა, რომლის თანახმად გიორგი მთაწმინდელმა საქართველოდან ბიზანტიაში ცოდნის შესაძენად 80 ყმაწვილი წაიყვანა, ხოლო დავით აღმაშენებელმა „...საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად".[47]

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, დავით აღმაშენებელმა დიდ ქართველ ფილოსოფოსს, გამოჩენილ მწიგნობარსა და მეცნიერული ცოდნით მეტად განსწავლულ გიორგი ჭყონდიდელთან ერთად, ოსეთში „...**ოვსთა შვილებისათვის დააარსა სასწავლებლები, დაუწყო მათ აღზრდა, გამოწურთვნა... რასაკვირველია, ქართულის მხედრულის და ხუცურის ასოებით იწერებოდა ყოველივე მაშინ**".[48]

ნიჭიერი მხედართმთავრის, შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწისა და ერის კულტურული წინსვლისათვის თავისი დროის შესანიშნავი მებრძოლის — დავით აღმაშენებლის დიდ შემოქმედებითს მოღვაწეობას ადასტურებს ისტორიული წყაროები, რომლის მიხედვითაც „...მეფის მზრუნველობა ფართოდ სწვდებოდა ქართულ ეროვნულ-კულტურულ კერებს საქართველოშიაც და მის ფარგლებს გარეშეც.

დიდძალი სახსარი დაიხარჯა ცოდნისა და განათლების ახალი კერების მოსაწყობადაც. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავთ გელათის (ქუთაისის ახლოს) და შიო მღვიმის (მცხეთის ახლოს) მონასტრებს, სადაც დღემდეა შემონახული დავითის მიერ აგებული ტაძრები.

დავითს განსაკუთრებით ჰყვარებია გელათი, რომელიც მან მისი ბიოგრაფის სიტყვით „სხვად ათენად" აქცია. აქ მან დააარსა აკადემია, რომლის გარშემო შემოიკრიბნენ ქართული კულტურის საუკეთესო მოღვაწენი, შუა საუკუნეთა საქართველოს უდიდესი მოაზროვნის, ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მეთაურობით. გელათის აკადემიამ თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართული კულ-

---

[46] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946 წ., გვ. 189.

[47] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 75.

[48] ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 152.

ტურის განვითარებაში. შიო მღვიმის მონასტერში მუშაობდა ცნობილი მწერალი არსენ იყალთოელი“.[49]

ეპვს გარეშეა, რომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ქართველთა სავანეებში გაჩაღებული სამეცნიერო-სამწერლო და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა მოსახლეობის თითქმის ზედა ფენას წვდებოდა, ყოველ ახალ ქართველ მოღვაწეს ან მათს ნამოღვაწარს ხალხი ცხოველი ინტერესით ხვდებოდა, ქართული პოეზიისა და ისტორიულ-ფილოსოფიური აზრის ნაყოფი, როგორც ქართველთა, ისე მთელი კავკასიისა და ზოგიერთ სხვა მახლობელ და შორეულ ხალხთა შესწავლისა და კვლევის ობიექტად ხდებოდა. ქართული კულტურის გავრცელებას მეზობელ ქვეყნებში ხელს უწყობდა ისიც, რომ სამხედრო-პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული კავშირის აუცილებლობა ამ ქვეყნებს შორის სათანადო მიმოსვლას და, ამრიგად, გზების გამოძებნასაც საჭიროებდა.

„საქართველო შეერთებული იყო გზებით, როგორც ჩრდილოეთთან, ისე, რასაკვირველია, უფრო სამხრეთთანაც: ამგვარადვე გზებს აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენაც ჰქონდათ მიმართულება“.[50]

ლეონტი მროველის ცნობიდან აშკარაა, რომ ჩრდილოეთთან საქართველოს და კავკასიას აერთიანებდნენ „ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღუის კარი — დარუბანდი და არაგუის კარი, რომელ არს დარიალანი“.[51] „დარიალის“ ანუ „წილკნის გზით“, არაგვის ხეობით „ნაღუარევთა გზითა“, ან კიდევ სხვა ისეთი გზით, რომლითაც გაქცეულმა ფალდონმა „წარვლო გზა წილკნისა და მიეხვია პირსა არაგვისასა და გაჰყვა ნაღუვარევთა გზით ერწოდ“, სწორედ ამგვარი გზებით იყო დაკავშირებული საქართველოსთან ჩრდილო კავკასიის ხალხი. არსებობდა აგრეთვე „გზაი დუალეთისაი“, „გზაი აფხაზეთისაი“, და სხვა, რომლითაც ჩრდილო კავკასია უკავშირდებოდა საქართველოს, მაგრამ ეს გზები შორეული და შედარებით ნაკლებ სარგებლიანი იყო. მემატიანეთა ცნობებით, ვახტანგ გორგასალი ოვსეთით „წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა“, ოვსთა მეფე სადარბაზოდ „წარმოემართა,

---

[49] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ I, გვ. 169.

[50] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 65.

[51] იქვე.

ჰპოვა გზაი აფხაზეთისაი და მოვიდა ქუთათისს“, ნერსე ქართლის ერისთავმა „განვლო კარი ოვსეთისაი, რომელსაც დარიალან ერქუნის“ და სხვ.[52] მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს „გზაი“ პირველთან შედარებით ნაკლებად მისაწვდომი და ძნელად გამოსაყენებელი იყო, ქართველთა და ოსთა შორის მეგობრული ურთიერთობა და კავშირი არა თუ არ შესუსტებულა, არამედ გარკვეულ პერიოდამდე კიდევ უფრო მტკიცდებოდა. ამის შემდეგ, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს გამოჩენილი მკვლევარის აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „საქართველოს სხვადასხვა კუთხეების აღდგენისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს, რასაკვირველია, მიმოსვლაცა და ურთიერთგავლენაც გაცხოველდა. მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის გზები იყო აგრეთვე თვალსაჩინო ძალა, რომელიც ერთის მხრივ საქართველოს მრავალს კუთხეს ერთი-ერთმანეთს უახლოვებდა და აერთებდა, მეორე მხრივ უცხოეთის გავლენა, პოლიტიკური თუ სულიერი, შემოჰქონდა, რომლითაც სამაგიეროდ საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელს და შორეულს ერებსა და სამეფოებზე“.[53]

ქართველთა და ოსთა მეგობრობის აშკარა საბუთს წარმოადგენს ურთიერთნდობა და დახმარება, რაც ამ ერებს შორის, როგორც ომის ვითარებაში, ისე მშვიდობიანობის პერიოდშიაც გრძელდებოდა. ამის ნათელ დადასტურებას იძლევა დავით აღმაშენებლის მიერ „ყივჩაღთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანისძის ასულის — გურანდუხტ დედოფლის ცოლად შერთვა“, რის შედეგადაც ქართველებთან ოსთა დაახლოება მოხდა. თუ რაოდენ მჭიდრო იყო ქართველებისა და ოსების ურთიერთობა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყივჩაღთა მეფის თხოვნა, რომ ქართველებს უზრუნველეყო „გზა მშვიდობისა ოვსთაგან“, დავით აღმაშენებლის მიერ წარმატებით იქნა დაკმაყოფილებული.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „დავით აღმაშენებელი ამის გამო გაემგზავრა ოსეთში და თან წაიყოლა თავისი განთქმული მწიგნობართ-უხუცესი გიორგი ჭყონდიდელი. ოსეთში შემავალს საქართველოს ბატონს **„მიეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი და დადგეს წინაშე მისსა“**. დავით

---

[52] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია; წიგნი II, გვ. 65—66.
[53] იქვე, გვ. 35.

აღმაშენებელმა ყივჩაღნი და ოსები შეათანხმა, ჩამოართვა „მძევალნი ორთგნითვე ოვსთა და ყივჩაღთა და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი და ჰყო შორის მათსა მშვიდობა და სიყვარული“. ამიერიდან „კარნი ოვსეთისანი“ და „ციხენი კავკასიის მთისანი“ საქართველოს განკარგულებაში გადმოვიდა. ყოველივე ამის შედეგად განმტკიცდა საქართველოსა და კავკასიის მთის ხალხთა სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-საალებმიცემო და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობა“[54].

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დავით აღმაშენებელი თავისი დროისათვის შესაფერისი ფართო კულტურით, დიდი სწავლა-განათლებით, ასტრონომიული და ფილოსოფიური ცოდნით, მწიგნობრობის სიყვარულით და ბრძენი პოლიტიკოსის ერუდიციით იყო აღჭურვილი, მაშინ ცხადი გახდება ისიც, თუ რატომ ცდილობდა იგი არა მარტო ქართველთა, არამედ სხვა ხალხთა განათლებისა და დაწინაურებისათვისაც ხელი შეეწყო.[55]

დავით აღმაშენებელი ზრუნავდა არა მარტო ქართველი ერის, ქართული მწერლობისა და მეცნიერების წინსვლისათვის, არამედ თავის თანამოძმეთა და მეზობელ ხალხთა კულტურული პროგრესისათვისაც. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით: „საგულისხმიერო ეს არის, რომ დიდებული გვირგვინოსანის სულიერი თვისება ყოველმხრივი და ფართო ყოფილა; თვით მეფე ხომ კეთილმორწმუნე და უერთგულესი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო; მაგრამ მას **სხვა მოძღვრებისა და სჯულის კაციც უყვარდა.** ამიტომაც იყო, რომ მაპმადიან ისტორიკოსთა სიტყვით, **იგი უცხო ეროვნების შვილებსაც თავის განათლებულს და ძლიერ მფარველობას არ აკლებდა**“.[56]

ცხადია, დავით აღმაშენებლის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავ საგანს წარმოადგენდა მოზარდი თაობის აღზრდა, რომელშიც „უცხო ეროვნებათა შვილებს“ საპატიო ადგილი ეჭირა. ამგვარი ახალგაზრდობის წრეს ეკუთვნოდა ოსებიც, რომელთა სწავლა-განათლებას დავით აღმაშენებელი არც თუ მცირე ყურადღებას აქცევდა.

დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული გავლენა მახლობელ სახელმწიფოებსა და ქვეყნებზე თვალსაჩინოდ გაიზარდა.

---

[54] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 216.
[55] ი ქ ვ ე. გვ. 199 ხაზგასმა ჩვენია.
[56] ი ქ ვ ე. გვ. 216—217. ხაზგასმა ჩვენია.

საქართველომ მცირე აზიის საერთაშორისო პოლიტიკურს ცხოვრებაში უდიდესი გავლენა მოიპოვა.[57]

ეჭვი არაა, რომ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენა გაცილებით. ძლიერი უნდა ყოფილიყო კავკასიის მთის ხალხებზე, რომელთანაც დავით აღმაშენებელს უფრო მახლობელი, კეთილმოყვრული და მეზობლური ურთიერთობა ჰქონდა.

ქართველთა და მეზობელ ხალხთა არისტოკრატიულ ფენებს შორის სამეურნეო-კულტურული ურთიერთობა XI—XII სს. კიდევ უფრო გამტკიცდა. ამ საუკუნის ქართული კულტურა, აღზრდა-განათლება, ხელოვნება და ფილოსოფია საქართველოს საზღვრებს გარეთაც ვრცელდებოდა. წინანდელი მტრობა-ქიშპობის ნაცვლად, **„ოვსთა მეფენი და ერნი ურთიერთ შორის გაჰყვნენ შეთანხმებულს ცხოვრებას, ბაძვას ქართველ მეფეთა საოჯახო სიბრძნეთა და მწიგნობრობას“.**[58]

სამეურნეო-პოლიტიკური კავშირის ნიადაგზე ქართველთა და ოსთა კულტურული სიახლოვე უფრო აშკარა გახდა. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ამ ხალხთა მეგობრობის, ურთიერთობისა და დაახლოების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა დავით აღმაშენებლის შვილისშვილის—გიორგი III-ს დაქორწინებამ ოსთა მეფის ხუდანის ასულზე — ბურდუხანზე (თამარ მეფის დედა), რომელიც გონიერი, მწიგნობარი და ხელსაქმის მცოდნე ქალი ყოფილა. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, მას კარგად `სცოდნია ქართული, არაბული და ბერძნული ენები. უნდა ვიფიქროთ, რომ დედამ თავის ქალიშვილსაც შეასწავლა ეს ენები.

ამასთან, ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ხუდანის მეუღლე, როგორც თავის შვილს, ისე ოსთა ქალებს ქართულ წერა-კითხვას, არაბულ და ბერძნულ ენებს, ჭრა-კერვას, ოქრომკედს, ქსოვასა და საეკლესიო შესამოსელთა მოქარგვას ასწავლიდა. ყველა ამ საქმის ცოდნა ოსთა მეფის ასულს ქართლში, გიორგი III-ს ოჯახში გამოუმჟღავნებია.

„ბურდუხანი დიდი საძირკველი იყო ქართლში. მეფეთა ოჯახში ხშირად გადმოდიოდნენ ოსეთის წარჩინებულ ოჯახთა ქალე-

---

[57] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 297—298.

[58] ზ. ჭიჭინაძე. ოსეთის ისტორია. გვ. 156.

ბი და ბურდუხანისაგან წერა-კითხვას, ოქროთ ქსოვა-ქარგვას სწავლობდნენ.

ბურდუხანი ყოველნაირ ცდას ხმარობდა, რომ ოსთა დედანი წერა-კითხვის მხრით დაეწინაურებინა. ამიტომაც იგი **ოსთა წარჩინებულთა ქალებს**[59] მრავლად **ზრდიდა** თავის ოჯახში. ბურდუხანმა იზრუნა და ოსეთში ერთს მონასტერში გახსნა დედათა სასწავლებელი, სადაც ხშირად... დაბრძანდებოდა და მოწესე ოსთა მოლოზნებს თვით სწვრთნიდა წერა-კითხვასა და სამღთო წერილში, ქართულად ნაკითხ წიგნებს დედათა-დედა ოსის დედათა მოლოზნებს ოსურად უხსნიდა"[60].

ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის განმტკიცების, მათი დაახლოებისა და დამეგობრების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა (1189 წელს) ოსეთის მეფისწულთან, დედის მხრით ბაგრატიონთა შთამომავალ — დავით სოსლანთან თამარ მეფის დაქორწინებამ[61].

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, დავით სოსლანი მწიგნობრობის მიმდევარი გახლდათ. მან კარგად იცოდა ქართული, ბერძნული, თათრული და არაბული ენები. ენების ცოდნის გარდა, იგი იყო მწიგნობრობის მოყვარე, წიგნების მკითხველი, მასთან ქართველი მწერალიც. ამასთან თამართან დაქორწინებამ ხელი შეუწყო ოსეთში ქართული მწიგნობრობის აღორძინებას. დავით სოსლანმა იმეცადინა და ოსებს შორის განავრცო როგორც ქართული წიგნების კითხვა, ისევე მწერლობაც. ოსნი ადვილად მიეჩვევნენ ქართულ მწერლობას. ისინი სწერდნენ ლექსებს, მოთხრობებს და ისტორიულ წერილებს.

„თქმულება არის, რომ ოსებმა დავით სოსლანის დროს ქართულად მწიგნობრობაც დაიწყეს და იგინი მრავლად მისდევდნენ მწერლობას, სწერდნენ ქართულად ლექსებს, მოთხრობებს და ისტორიებს"[62].

---

[59] ისე, როგორც ყველა კლასობრივ საზოგადოებაში, ფეოდალურ საზოგადოებაშიაც სწავლა-აღზრდა გაბატონებულ წოდებათა და კლასთა პრივილეგიას წარმოადგენდა და იგი, უმთავრესად საზოგადოების ზედაფენების ინტერესებს ემსახურებოდა.

[60] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ოსეთის ისტორია. გვ. 160.

[61] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართველოს ისტორია, გვ. 206.

[62] ოსეთის ისტორია ქართულის ისტორიულის წყაროებით, აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, 1913 წ., გვ. 207.

დავით სოსლანის კულტურულობისა და ცოდნისმოყვარეობის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა მემატიანის სიტყვებით გადმოგვცემს, რომ „დედით ბაგრატიონიანი“ დავით სოსლანი, სხვა საქმეებთან ერთად „...მწიგნობრობასა და მეცნიერებაშიც დიდად დაწინაურებული აღმოჩნდაო“[63].

საქართველოს სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერება თამარ მეფის დროს ქართული ფეოდალური კულტურის აყვავების საფუძვლად იქცა. იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და სამწერლო შემოქმედება, ქართული „ვისრამიანი“, იოანე შავთელის „აბდულმესია“, ჩახრუხაძის „თამარიანი“, შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანი“, ქართული მუსიკის, ხუროთმოძღვრებისა და პოეზიის ბრწყინვალე შედევრები ზრდიდა ქართული კულტურის ხვედრით წონას საკაცობრიო კულტურის საგანძურში, აძლიერებდა მისი შესწავლისა და გავრცელების ინტერესს, როგორც ქართველ ტომთა და ქვეყნის შიგნით მეგობართა შორის, ისე მის მეზობელ მოსახლეობაშიაც. თამარის მოღვაწეობის დასასრულისათვის სხვა კუთხეებთან ერთად საქართველოსთან ეკონომიურად, პოლიტიკურად, და კულტურულად დამოკიდებული შეიქმნა მთელი ჩრდილოეთ კავკასია[64].

საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფ ქვეყნებზე ქართული კულტურის გავლენა აშკარა გახდა[65].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსებში ქართული კულტურის გავრცელებას ხელი შეუწყო თამარ მეფისა და დავით სოსლანის დამეგობრებამ. ამ მეგობრობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა როგორც სამხედრო-ეკონომიურ ურთიერთობაში, ისე ქართულ კულტურასთან ოსთა დაახლოებაში.

ქართველთა და ოსთა მეგობრობაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ თამარ მეფემ და დავით სოსლანმა დახმარება აღუთქვეს ყმად ნაფიც ამირმირანს და აღსართან შარვანშას (1191—1192 წწ.) აბუბუქარის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველთა მეფის მიერ ჯარებით

---

[63] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 261.

[64] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, გვ. 211.

[65] თამარ მეფის დროს ჩრდილოეთ კავკასიის სამთავროები საქართველოს სახელმწიფოს ყმადნაფიცები გახდნენ (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 211).

დახმარების პირობის მიღებას, შედეგად მოჰყვა ამირბირანის და აღსართან შარვანშას სტუმრობა (დიდი ამალით) საქართველოს მეფესთან, რომლის დროსაც: „თამარ მეფე და დავით სოსლანი ბრძანდებოდნენ „ჭალასა აგარათასა“ და ყმად ნაფიცი სტუმრები და ნათესავები სადარბაზოდ „უწუვივნეს“[66]. თამარ მეფე თავისი მეუღლით სტუმრებს ღირსეულად გაუმასპინძლდა. „შეიქმნა დარბაზობა და დასხდეს ტახტსა ზედა ოქროჭედილთა თვით თამარ, დავით და ძე მათი“, ხოლო სტუმრებს „მიაგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაღნი ახალნი და შემდგომად ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართუელნი და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი, შემდგომად სომხითარნი, შემდგომად აფხაზნი და სუანმეგრელ-გურულნი, თან რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ და თვით კარვის კარსა ხელისუფალნი და შინაურნი“[67].

ქართველთა და ოსთა შეერთებულმა ძალებმა მტერი დაამარცხეს. ომიანობისა თუ მშვიდობიანობის შემდგომ წლებში (ცალკეულ შემთხვევებს გარდა) ქართველთა და ოსთა კავშირი არ შესუსტებულა. ისტორიული ცნობების მიხედვით, თამარ მეფე სუსტი და ჩაგრული ქვეყნების მოსარჩლე და დამცველი ყოფილა. იგი თავისი დროის მიხედვით, ჰუმანიზმის არა მარტო მქადაგებელის, არამედ დამცველისა და განმახორციელებლის როლსაც ასრულებდა. მემატიანის ცნობით: „...ამისი მოწამე არს სახლი შარვაშთთა და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაქთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა აძის მიერ იყუნეს და მტერთა-გან უზრუნველობასა“[68].

ამრიგად, კავკასიის ხალხთა შორის მეგობრული კავშირისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის დარგში დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში მიღწეული წარმატებანი, გიორგი III-სა და თამარ მეფის ხანაში კიდევ უფრო განმტკიცდა.

ქართული კულტურის, ზნე-ჩვეულებისა და საყოფაცხოვრებო წესების გავრცელებით კავკასიის მთის ხალხები გაეცვნენ ახალს ყოფაცხოვრებას, ახალ ჩვევებს, შეეცადნენ ქართული პოეზიისა და კაზმულსიტყვაობის შესწავლას.

ქართველი ხალხის კულტურა, ზნე-ჩვეულებანი და ტრადიციები უდიდეს აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენდა კავკასიის

---

[66] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 267—268.
[67] იქვე, გვ. 294.
[68] იქვე. გვ. 296—297.

მოსახლეობაზე, აბამდა მას ახალი კულტურული ცხოვრების საერთო ფერხულში.

ამიტომ, არ შეიძლება გვერდი აუაროთ აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოთქმას, რომ „...აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის... კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებელი იყო. სარწმუნოების სხვადასხვაობის—და მიუხედავად, საერთო საკულტურო მუშაობა სუფევდა“[69]...

ქართული ენა და ქართული წიგნები, ქართველთა კულტურული მონაპოვარი, პოეზია, ხელოვნება, ფილოსოფია და ისტორია, საყოფაცხოვრებო წესები და ადათ-ჩვეულებანი, უმთავრესად თავისი პროგრესული ხასიათისა და შინაარსობლივი მიმზიდველობის გამო, ძლიერი ძალით არღვევდა ეროვნული კარჩაკეტილობის ძველ ზღუდეებს და არა მარტო კავკასიელთა, არამედ ბევრი სხვა ხალხის შემოქმედებითი ინტერესის საგნად და მისი შესწავლის ობიექტად ხდებოდა. „ქართველების მაშინდელს მთელს სიძლიერეს, — აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, — ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილების გარდა, მათ, თავიანთ სახელმწიფოში. სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შეიქმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგალითად **სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანიც, ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვისა და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვწოდნენ**“[70]. აღნიშნულ პერიოდში ქართველებმა დიდი სახელმწიფოებრივი აზრის შეგნებისა და მისი განხორციელების ბრწყინვალე ნიჭი გამოიჩინეს.

საქრისტიანო აღმოსავლეთში, რუსებთან და სომხებთან ერთად, ქართველმა ხალხმა შექმნა და განავითარა საერო მხატვრული პოეზია, ფილოსოფია და ხელოვნება, რომელიც ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა მეზობელი ქვეყნების ხალხებზე[71]. სამხედრო უძლეველობასთან ერთად (უმთავრესად პრივილეგიური ფენების სასარგებლოდ) ამ პერიოდში, საქართველოს „...კულტურულადაც ძლიერი... და აყვავებული ცხოვრება, მდიდარი და

---

[69] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 306—307.

[70] ი ქ ვ ე, გვ. 308.

[71] ი ქ ვ ე. გვ. 309—310.

მრავალმხრივი მწერლობა და დაწინაურებული ხელოვნება ამ ძვეინებდა"[72].

X—XII საუკუნეებში ოსებს კავკასიის ველებზე ჰქონდათ ასე თუ ისე ძლიერი სახელმწიფო, რომელიც საქართველოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამ პერიოდში და შემდეგშიაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში „...**ოსეთი საქართველოს სუვერენობას აღიარებს, ქართული კულტურის გავლენას განიცდის**"[73].

მას შემდეგ, რაც კავკასიამ მონგოლთა შემოსევები განიცადა, ბევრს სხვა ქვეყანასთან ერთად, ოსეთის სამეფოც დასუსტდა. ოვით ოსები კი თათართაგან განდევნილ იქნენ. ვახუშტის გადმოცემით: „...შემდგომად ჩინგიზ ყეენთა მოსვლისა, ბათო ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოიკლტოდნენ კავკასიათა შინა"[74]... ოსეთში შინაური არეულობა და ქიშპობა ეაძლიერდა. ქსნის ერისთავთა საგვარეულოს მემატიანის გადმოცემით: „იქმნა ფრიადი შფოთი ქვეყანასა ოვსეთისასა და იქმნა ფრიადი სისხლთა დათხევა მეფეთა შორის მათთა"[75].

ჩრდილო კავკასიის ოსეთში ფეოდალებს შორის ურთიერთ ბრძოლამ და ურთიერთ განადგურებამ იქამდე მიაღწია, რომ ხალხის მასები გაღატაკდა, კულტურისა და განათლების ახლადაღმოცენებული ყლორტები დაიღუპა[76]. ოსების სახალხო განათლების განვითარებას ფეოდალიზმის ეპოქაში ხელს უშლიდა და ხორცმეტივით ფარავდა ცრუმორწმუნეობის ქაოსი, რომელიც ყოველგვარ კულტურულ საწყისებს ჩანასახშივე სპობდა. ასეთ პირობებში სულმოხუთული ოსები XII—XIV საუკუნეებში ჯგუფ-ჯგუფად სახლდებოდნენ კავკასიის მთის პირაქეთა კალთებზე, ხოლო ზოგიერთ ჯგუფს თვით ქართველი მეფეები ან თავადები ასახლებდნენ თავიანთ მამულებში. საქართველოში ოსთა დასახლებას ხელს უწყობდა ნებაყოფლობითი ხიზნობაც, რომელიც ოსი გლეხობის ერთი ნაწილის მწვავე ეკონომიური მდგომარეობით იყო გამოწვეული.

ამრიგად, ოსი მოსახლეობა თანდათან იმ ადგილებზე სახლდე-

---

[72] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 312—313.
[73] მიმომხილველი, 1949 წ., გვ. 115. პროფ. დ. გვრიტიშვილის ნარკვევიდან.
[74] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 107.
[75] ქრონიკები II, გვ. 2.
[76] „Журнал Министерства народного просвещения", 1917 г., Январь, стр. 89.

ბოდა, რომელთაც ქართველობა ნებით თუ უნებლიეთ სტოვებდა საქართველოს შიდა რაიონების გაუკაცრიელებულ ადგილებში იძულებითი გადმონაცვლების გამო.

ვახუშტის გადმოცემით: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“[77].

XIV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს კავშირი მეზობელ ქვეყნებთან არ შესუსტებულა. წინანდელ სამფლობელოებთან საქართველოს კავშირი შეწყვეტილი არ ჰქონდა. გაჭირვების დროს დვალეთი და ოსეთი სწორედ საქართველოს სთხოვდნენ დახმარებას[78].

მართალია, XIII საუკუნის დამლევს და XIV საუკუნის დასაწყისში შინაგანი მტრობისა და ქიშპობის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა საქართველოს სამეფო ძლიერების შესუსტება, მაგრამ არც შინაურ არეულობასა და არც მონგოლთა ბატონობას უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოსა და ოსთა მეფეთა შორის არ შეუცვლია და ქართველთა მეფეს „...ფარაჯან ოვსთა მთავარი მსახურებდა კეთილად“...[, თუმცა ამის შემდგომ მდგომარეობა ჩვეულებრივ არ გაგრძელებულა.

ხვარამზელთა გამოლაშქრებამ, მონგოლთა ბატონობამ და თემურ-ლენგის შემოსევებმა „...მოსახლეობა ბევრგან შეათხელა და ქვეყანა გააუკაცურა, უმთავრესად ბარად... ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებსა და შუაგულში განთავისუფლებულ ადგილებზე მთებიდან ქართველნი მთეულნი დასახლდნენ, ხოლო მათ მაგიერ თანდათანობით იმიერ კავკასიიდან ოსები გადმოვიდნენ“[79]. ოსების ქართლში ჩამოსახლების შესახებ ზემოაღნიშნულ დებულებას სავსებით ადასტურებს პროფ. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებაც, რომლის მიხედვით იმიერკავკასიის ველების დიდი ნაწილი მომთაბარე მონგოლურ-თათრულ ურდოებს დაეპირათ. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა, აფხაზ-ჩერქეზთა ტომები, ოსები, ძურძუკ-ღილვები და სხვანი უთანასწორო ბრძოლაში იძულებულნი

---

[77] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 71.

[78] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 277.

[79] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, წიგნი III, გვ. 245.

ხდებოდნენ თანდათან დაეთმოთ მოსულ მოძალადეთათვის საუკეთესო ველები, თითონ კი მტრებისათვის მიუვალს, მაგრამ მწირს მთას დასჯერებოდნენ. მთის სიმწირე-სიეიწროვით ამოხუთული იმიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობა პირაქეთი კავკასიონისა და მთის ძირობა საქართველოს დაპყრობას ცდილობდა*).

აკად. გ. ახვლედიანის მოსაზრებით, დვალები უნდა იყვეს ქედგადმოღმა ოსთა მოძრაობის პირველი ტალღა. საქართველოს დვალეთსაც მათგან უნდა მიეღოს სახელწოდება. „მათ დროგამოშვებით (უკანასკნელ საუკუნემდე) მოჰყვებოდა ოსთა ახალ-ახალი-ტალღები, რომელთაც ოსი დვალები ნაწილობრივ დასავლეთისაკენ მოსწიეს, ხოლო ნაწილობრივ თავის მასაში გათქვიფეს“[81]. აქ ჩვენთვის ყველაზე მეტად ისაა საინტერესო, რომ ოსები და დვალები იმიერკავკასიიდან კავკასიის ამიერ-კალთებისაკენ მოიწევენ და თავიანთ ზნე-ჩვეულებებითა და ადათ-წესებით ჩვენში იწყებენ დასახლებას.

ამრიგად, ქართველები (თუ ფეოდალური არისტოკრატიის ერთ ნაწილს არ მივიღებთ მხედველობაში) ყოველთვის ცდილობდნენ ოსებთან ძმური ურთიერთობის დამყარებას, ხელს უწყობდნენ მათი ცხოვრების მოწესრიგებას და ამ ორ ხალხთა შორის კულტურული კავშირის განმტკიცებას.

ამას ნათლად ადასტურებს „ცხოვრება წმიდისა ნიკოლოზ დვალისაი“, რომელიც პროფ. კ. კეკელიძის აზრით, XIV საუკუნდა იყოს დაწერილი და „...დიდად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ გვიხატავს ნამდვილს, რეალურ სურათს ქართველთა მდგომარეობისას... მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეში... ნიკოლოზი იყო დვალი, ე. ი. დვალეთიდან **ან ჯავის ხეობის** დიდი ლიახვის ოსეთიდან, ცხინვალის ზემოთ;

...ყოველ შემთხვევაში, ეს ძეგლი საინტერესოა მით, რომ ცნობებს გვაწვდის **ოსების ქრისტიანიზაციისა** და **ქართიზაციის შესახებ**“.[82]

ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, საინტერესო სწორედ ისაა, რომ ნიკოლოზი, ცხინვალის ზემოთ, ჯავის ხეობაში ცხოვრობდა, სადაც,

---

[80] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, გვ. 287.

[81] გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ოსური ენის ისტორიისათვის, თბ. სახ. უნ. მოამბე, V, 1925 წ., გვ. 319.

[82] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941 წ., გვ. 500—501.

XIV საუკუნიდან დვალების მონათესავე ტომები — ოსები ცხოვრობდნენ. ამიტომ, ნიკოლოზ დვალის ცხოვრება ერთგვარ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორი ძლიერი იყო ქრისტიანობის გავლენა დვალებზე, მის მეზობელ ოსებზე და, როგორ უწყობდა იგი ხელს ოსების ქართველებთან დაახლოებას.

ასე რომ, ოსი ხალხის კულტურა და სწავლა-განათლება საუკუნეების განმავლობაში ქართულ კულტურასთან განუყრელ კავშირში ვითარდებოდა.

თ ა ვ ი III

კულტურული ვითარება ოსეთში XV საუკუნიდან ოსეთის რუსეთთან შეერთებამდე

ჩრდილო კავკასიის ოსები XV საუკუნეში უმთავრესად ცხოვრობდნენ ტაგაურის, კურტატინის, ალაგირის, დიგორის, ზაყინისა და ნარ-მამისონის ხეობებში, ხოლო სამხრეთ ოსები კი ჯავის, თვალის, მაღლანდოლეთის, ჯამურის, გუდამაყრის და თრუსოს ცალკეულ „საზოგადოებებში“ იყვნენ დასახლებულნი.[83]

ჩრდილო კავკასიის ოსები ფეოდალურ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან დარიალის ხეობის მთავარი გზით და საძოსაბილიკო გადასასვლელებით იყვნენ დაკავშირებულნი.[84]

საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგაც ქართველები და ოსები ურთიერთდახმარებით, ნდობითა და ურთიერთ თანაგრძნობით ცხოვრობდნენ. ისინი ყოველგვარ გაჭირვებაში, საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ლხინსა და შრომაში ერთმანეთს შველოდნენ და ურთიერთდახმარებას უწევდნენ. მაგალითად, ქართველი მემატიანის გადმოცემით, „1580 წელს ოსეთში იქმნა სიყძილი, ვინაიდან ოსნი იკვებებოდნენ მდელოთი“.[85]

ცნობილია, რომ ამგვარი გაჭირვების დროს ქართველებმა ოსებს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს, უზრუნველყვეს ქსნისა და არაგვის ხეობაში (და საქართველოს სხვა კუთხეებში) მათი

---

[83] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. III, 1883 г., стр. 295. ამავე საკითხზე იხ. „История Осетии (Макет); часть первая. С. Ос. Книжное издательство, Орджоникидзе, 1954 г., стр. 72—73.

[84] ი ქ ვ ე, გვ. 74.

[85] ხ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ (ისტორიული მიმოხილვა). 1916, გვ. 9.

დასახლება, ხე-ტყის მასალის მიწოდება, მათთვის შინაური ცხოველებისა და ფრინველების შეძენა და მათი საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ნიადაგზე ოსთა და ქართველთა შორის მეგობრობა გაღრმავდა, გაფართოვდა ნათესავ-მოყვრობა, შეიქმნა ურთიერთნდობის ატმოსფერო, კიდევ უფრო აუცილებელი გახდა საერთო სალაპარაკო ენის გამოყენება.

XV—XVI საუკუნეებში შინაური არეულობისა და გარეშე მტრების დამრბევი შემოსევების გამო საქართველოს მეურნეობა და კულტურა (წინა საუკუნეებთან შედარებით) დაეცა. მოსახლეობის მასობრივი გაქცევა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო კერების აოხრება სპობდა ქართველი ხალხის საუკეთესო ტრადიციების თაობიდან თაობაზე გადაცემისა და მეზობელ ერების მოსახლეობაში მისი გავრცელების შესაძლებლობას, იწვევდა სწავლა-განათლების, ხელოვნების, პოეზიისა და კულტურის სხვა დარგებში წინსვლა-განვითარების ერთგვარ შეფერხებას, რაც თავის მხრივ შესაბამის გამოხატულებას პოულობდა ამ ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობაში.

XVI—XVII საუკუნეებში ოსები ქართველებთან დაკავშირებული იყვნენ (საუღელტეხილო-სატრანზიტო გზებით), როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად და კულტურულად.

სპარსეთ-თურქეთის დამპყრობელებისა და ადგილობრივ ამხედრებული ზოგიერთი თავაშვებული მებატონის წინააღმდეგ ქართველი მეფეები ოსებში თავიანთ დამხმარე ძალას პოულობდნენ, ხოლო სამაგიეროდ ისინი ფულად გასამრჯელოს, საქართველოს ქალაქებში „თავისუფლად“ მგზავრობისა და ვაჭრობის უფლებას, „აზნაურის წოდებას“, სიგელებსა და სხვა საჩუქრებს იღებდნენ.[86] ქართველებსა და ოსებს შორის ამგვარი კავშირის განმტკიცების იარაღად გამოყენებული იყო ქრისტიანული რელიგია. ქართველი მეფეები ოსეთში აგებდნენ ქართული სტილის ეკლესია-მონასტრებს, აწარმოებდნენ წინათ დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას, აძლიერებდნენ ეკლესიის მსახურთა მისიონერულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რაც თავის მხრივ გარკვეულ გამოხატულებას პოულობდა ქართველთა და ოსთა

[86] История Осетии (макет), часть первая, 1954 г., стр. 84—85.

კულტურულ ურთიერთობაში, ენისა და მეტყველების ურთიერთ-ზეგავლენასა და განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ XVI—XVII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიელ ოსებზე ქართველთა პოლიტიკურ-კულტურული ზეგავ-ლენა ოსმალეთის მიერ მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად საკმაოდ შესუსტდა, კავშირი მათ შორის საბოლოოდ მაინც არ გაწყვეტილა. საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ეტაპებ-ზე, იგი მკვეთრად გამოხატულ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობაში და ოს ხალხზე ქართული კულტურის გარკვეულ ზეგავლენაში მყოფნდებოდა. ქართველი მწიგნობრის გადმოცემით, 1640 წელს თეიმურაზ კახთა მეფემ, რომელმაც დროებით ოსეთს შეაფარა თავი „...შეადგინა ოსთა ძეთა დასი და მათ მიუჩინა წერა-კითხვის მასწავლებელნი, რომელთაც ოსეთში გახსნეს სკო-ლები“.[87]

ცხადია, საეკლესიო ან კერძო სკოლების გახსნა, ოსთა ძე-თათვის მასწავლებლების მიჩენა და წერა-კითხვის გავრცელება ხელს უწყობდა ოსი მოსახლეობის ზედაფენებში ელემენტარული ცოდნის გავრცელებას, ხელოვნების, პოეზიისა და ისტორიის სა-კითხებისადმი მათი ინტერესის გაზრდას.

ზოგი ავტორის ცნობით, გამოჩენილმა პოეტმა — დიდაქტი-კოსმა, ზნეთსწავლულობის იშვიათმა მქადაგებელმა, ოსეთში დროებით თავშეფარებულმა (1690 წ.) არჩილ მეფემ „...ოსთა ძო-წინავე პირნი შეჰყარა და მათ უქადაგა სწავლა-განათლების მნიშ-ვნელობა და თვალის გახილება. ოსებმა თანხმობა განუცხადეს. მერე არჩილ მეფემ რამდენიმე ოსი რუსეთში გაიყოლა და 1706 წელს მოსკოვში მათ გააცნო რუსული სასტამბო საქმეები და მას-თანავე ახლად ჩამოსხმული ქართული ასოების ყალიბები. ოსებს ქართული საბეჭდი ასოების ნახვა დიდათ მოეწონათ“.[88]

არჩილის ოსეთში ყოფნას და ოს ხალხთან მის დაახლოებას მოწმობს მისივე ნათქვამი: „დვალეთს გარდმოველ, დედოფალი იქ დავაყენე და მე იქივ იმერეთს ჩაველ და რვა თვეს ჩხერს ვიყავ

---

[87] ზ. ჭიჭინაძე. ოსების ჩამოსახლება ქართლში, 1916 წ. გვ. 14. ცხა-დია, აქ ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ არა სახალხო სკოლებზე, არამედ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ ერთეულ სასწავლებლებზე, სადაც შეძლებულთა შვი-ლებს ელემენტარულ ცოდნას აძლევდნენ.

[88] ზ. ჭიჭინაძე. ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამა-გი და ღვაწლი მათზე. გვ. 14.

და ისევ დვალეთს წამოველ, და იქიდან ოსეთს ფაიქომში გარდმოველ".[89]

ოსეთთან ამგვარად დაახლოებულ არჩილ მეფეს, მართლაც შეეძლო ოსებში კულტურის შეტანისა და მწიგნობრობის გავრცელების საქმეზე ეზრუნა და საჭირო პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაედგა.

არჩილ მეფის ბიოგრაფიიდანაც ცნობილია, რომ იგი იმერეთის სამეფო ტახტზე დაბრუნების მიზნით, დახმარებისათვის, თუმცა ამაოდ, მაგრამ მოსკოვს ხშირად მიმართავდა. 1699 წ. არჩილი საბოლოოდ მოსკოვში გადასახლდა, ხოლო 1703 წ. მოსკოვშივე ქართული სტამბა მოაწყო და ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო. ამრიგად, სრულიად საფიქრებელია, რომ არჩილმა, მართლაც მოიწვია ოსები მასთან, აუხსნა მათ სწავლა-განათლების მნიშვნელობა, მათგან რჩეულებს გააცნო მოსკოვში მის მიერ მოწყობილი ქართული სტამბა, ქართული შრიფტი და წიგნის ბეჭდვის წესები. რადგანაც იგი, როგორც პოეტი და საზოგადო მოღვაწე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო კავკასიის მთის მოსახლეობაში კულტურის გავრცელებით.[90]

XVII საუკ. ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელი როლი ქართლს ეჭირა, რომელიც სპარსელთა თავხედური პარპაშის მიუხედავად „ამ ხანაში, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად წინ მიდიოდა. მისი გავლენა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა".[91]

ქართული პოეზია, მეცნიერება და ხელოვნება, ქვეყნის შიგნით და გარეთ ქართველთა მიერ გაჩაღებული იდეოლოგიურ-კულტურული მუშაობა საქართველოს გაერთიანება-განმტკიცების მიზნებს ემსახურებოდა. ვახტანგ VI-ს მეფობის ხანაში (1703—1716) ქართლში გაცხოველდა კულტურული მოღვაწეობა. ქართულ და უცხოურ სამართლის წიგნთა კრებულს ვახტანგ მეფემ მის მიერ დამუშავებული „სჯულიც" დაურთო.[92] ამავე პერიოდში

---

[89] არჩილიანი, II, ალ. ბარამიძის რედაქციით, გვ. 7.

[90] ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, აკ. შანიძის რედაქციით, 1950 წ., გვ. 175—177.

[91] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბილისი, 1946, გვ. 357.

[92] იქვე, გვ. 363.

'ბეიქმნა ვახტანგის მეორე საკანონმდებლო წიგნი — დასტურლამალი. კულტურული მუშაობის გაშლას და წიგნიერების გავრცელებას ხელს უწყობდა ვახტანგ VI-ის მიერ 1709 წ. თბილისში 1-ლი სტამბის დაარსება. ამიერიდან საეკლესიო და საერო ხასიათის წიგნები და სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი 'გახდა როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ბარისა და მთის მოსახლეობისათვის. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ვახტანგის საშართლისა და საისტორიო ხასიათის ნაშრომები, „სწავლულ კაცთა" კომისიის მეცნიერული გამოკვლევები, ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია. ვახტანგის აღმზრდელის. სახელგანთქმული მწერლის. მეცნიერის, ლექსიკოგრაფის, პოეტის, დიპლომატის. მოგზაურისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და იგავ-არაკები, დავით გურამიშვილის პოეტური ქმნილებანი და ძორალური ქადაგებანი გარკვეულ როლს ასრულებდნენ არა მარტო ქართველთა, არამედ კავკასიის მთის ხალხთა კულტურულ განვითარებაში.

ქართული წიგნი, ქართული ანბანი და ზნეობრივი ქადაგებანი კავკასიის მთის მოსახლეობაშიაც გზას იკვლევდა.

თბილისის სტამბაში 1778 წელს დაიბეჭდა „ოსურ-ქართული ლოცვის წიგნი"— ხუცურის ასოებით, ხოლო 1794 წელს ოსურ ენაზე ხუცური შრიფტით გამოვიდა „ფსალმუნი",[93] რომელიც იმ დროისათვის გარკვეულ როლს ასრულებდა ოსეთში რელიგიური „კულტურის" გავრცელების საქმეში.

1786 წელს მოზდოკის სტამბაში დაიბეჭდა ოსურ-ქართული ლოცვის წიგნი, ხოლო შემდეგ მოსკოვის ქართულ სტამბაში „ოსური ანბანი — ქართული ასოებით",[94] რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი და ოსი ხალხის კულტურული დაახლოებისათვის.

XVI—XVII საუკუნეების მანძილზე ქართველები ოსებს დიდად ეხმარებოდნენ მწერლობისა და ლიტერატურის შექმნის, სწავლა-განათლების გავრცელებისა და კულტურული დაწინაურების საქმეში.

---

[93] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899 წ., № 779, გვ. 3.

[94] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899 წ., № 780, გვ. 2. იხ. ნარკვევი: „ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდან".

„...ამ პერიოდში ქართველებმა იკისრეს ოსურ ენაზე მწერლობის შექმნის ინიციატივა და უთარგმნეს ოსებს საძღვეთო და საეკლესიო მორალური ხასიათის წიგნები მშობლიურ ენაზე“.[95]

ამგვარად, ქართველ მოღვაწეთა მიერ შედგენილი და დიდი შრომით შექმნილი ქართულ-ოსური წიგნები „...მალე გავრცელდა კავკასიის ტომთა მცხოვრებთ შორის და იმ დროიდან წიგნის გამავრცელებელ და მასწავლებელ იქნენ მცხეთაში განსწავლულნი ბრძენნი მამანი ქართველთა, ოსთა და სხვათა, რომელნიც ასწავლიდნენ ხალხს წერასა და კითხვასა“.[96]

XVII საუკუნიდან XVIII საუკუნის თითქმის ბოლომდე ქართველ ერში თავი იჩინა ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ. გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა სასკოლო საქმე, გაჩნდა ახალი ბუდე და წყაროები ლიტერატურული მუშაობისა. შემოღებულ იქნა წიგნის ბეჭდვის ხელობა. საფუძველი ჩაეყარა კულტურის ისეთ კერებს, როგორიც იყო მცხეთისა და ანტონ კათალიკოსის წიგნთსაცავები, რომელთაგან უკანასკნელში 7 ათასი ტომი ითვლებოდა.[97]

ქართული წიგნები, საქართველოს ხელოვნება და კულტურა თანდათანობით ქართველთა ყველა ტომისა და კავკასიის მთის ხალხთა საკუთრებად ხდებოდა. საქართველოში მოქმედ სასწავლებლებში ოს მოსწავლეთა რიცხვი საკმაოდ იზრდებოდა.[98]

სასულიერო სკოლები მიზნად ისახავდნენ ეკლესიის მსახურთა შვილების აღზრდას. რომელთაც კარგად უნდა სცოდნოდათ წერა-კითხვა, ლოცვები და ღვთისმსახურების წესების შესრულება. 1748 წ. 13 ნოემბრისა და 1762 წ. დადგენილებით ეპისკოპოსი ვალდებული იყო თავის „სამწყსოსათვის“ წერა-კითხვა და საეკლესიო წეს-მსახურება ესწავლებინა.[99]

კათალიკოსი ყოველ ეპისკოპოსს „ღრამოტით“ ავალდებულებდა ეზრუნა დაბალ საეკლესიო სასწავლებელთა მოწყობაზე,

---

[95] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941 წ., ტ. I, გვ. 60.

[96] ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, 1913 წ., გვ. 34.

[97] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941 წ., გვ. 59.

[98] ოსეთის ისტორია, ქართულის ისტორიულის წყაროებით, აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, გვ. 220.

[99] Д. Пурцеладзе. Груз. церковные гуджары, 1881 стр. 40—42.

რათა აღეზარდა სწავლითა და კეთილ საქციელით აღჭურვილი „შვილნი სამღვდელოებისანი“. 1788 წ. 8 ნოემბერს ნიქოზის ეპისკოპოსის — ათანასესადმი ანტონ მეორეს მიერ მიცემული „ღრამოტა“[100] იმას მოწმობს, რომ ნიქოზის მონასტერთან მარადილაც უნდა არსებულიყო სასულიერო სკოლა, რომელიც იმ დროისათვის საკმაო როლს ასრულებდა ეკლესიებისა და სკოლებისათვის საჭირო „კადრების“ მომზადება-აღზრდის საქმეში. იულონ ბატონიშვილის („ხუცესის“, იგივე იოანე „ქართველოვის“, ანუ ქართველიშვილის) მემუარებიდან (1801 წ.) ირკვევა, რომ ქართველები ყოველმხრივ ცდილობდნენ, როგორც თავიანთი, ისე მეზობელ ერთა შვილებისათვის მიეცათ ელემენტარული განათლება.

დედის „მრავლითა ღვაწლითა“ ნაამაგარი მემუარების ავტორი აღნიშნავს:

„გამომცველმან სხვათა და სხვათა მასწავლებელთა მოძღვართამან, ხოლო მდაბიურ წოდებით, ოსტატთამან, ოდესმე მუნვე **ფხვენისს** და **შინდისს, ოდესმე ქრცხინვალს** და სხვაგანცა მივაწიე კითხვამდე პარაკლიტიკოსისაო“[101] და ეს, თავისთავად მოწმობს იმას, რომ ქართლში, რომელშიაც შედიოდა **ფხვენისი, შინდისი,** თუ **ცხინვალი,** ფეხს იკიდებდა საეკლესიო და საოჯახო აღზრდა (კერძო სწავლება), სადაც ყურადღების ცენტრი წერა-კითხვის სწავლებისა და ღვთისმსახურების „წესების“ შეთვისებისაკენ იყო გადატანილი.[102]

ერეკლე II ხანაში ისევ განახლდა „ვახტანგის გადასახლებისა და ოსმალ-ყიზილბაშობის შედეგად შეფერხებულ-შეწყვეტილი კულტურული მუშაობა“.[103] კვლავ ამუშავდა თბილისის სტამბა. გაუმჯობესდა წიგნების ბეჭდვა-გავრცელების საქმე. კერძო სკოლების გვერდით გამრავლდა სახელმწიფო სკოლების რიცხვი. ქ. თბილისში (1756 წ.) და თელავში (1782 წ.) ფილოსოფიის სემი-

---

[100] „ღრამოტა ახლად ჰელ-დასხმულის მღუდელმთავრის მისაცემელი“, საქართველოს მუზეუმი, № 1170—S.

[101] საქართველოს მუზეუმი, № 1196 (1234) შდრ. გაზ. „ივერიას“, 1889 წ., № 203, 204 ან აკ. როგავას ნაშრომს: „სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი“, 1950 წ., გვ. 88—89.

[102] ჩვენ ვერ დავეთანხმებით ზოგიერთ მკვლევართა (მაგ.: დოც. პ. ი. გადიევისა და სხვ.) მტკიცებას, თითქოს სამხრეთ ოსეთში მე-19 საუკუნის შუაწლებამდე არც ერთი სკოლა არ ყოფილა. ჩვენს მოსაზრებას ბევრი ფაქტი ადასტურებს, რასაც ქვემოთ გავეცნობით.

[103] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1948 წ., გვ. 40.

ნარია გაიხსნა, სადაც გაჩაღდა სასწავლო და სამეცნიერო-კულტურული მუშაობა.

აღნიშნული სასწავლებლებიდან გამოსული და ანტონ კათალიკოსის მიერ აღზრდილი პირები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ავრცელებდნენ ამ დროისათვის შესაფერ ცოდნას.

ვეიდენბაუმის ცნობით — ერეკლე II ხანაში, თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ნაწილი გორის მაზრას ეკუთვნოდა, ნაწილი კი დუშეთის მაზრას, რაც კახეთთან ერთად საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.[104]

ერეკლე II, რომელიც პირადად ეცნობოდა ქართველთა და ოსთა ყოფაცხოვრებას, ეჭვი არაა, ყურადღებას მიაქცევდა ამ ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და კულტურული წინსვლის საქმეს, მაგრამ განათლებაზე ზრუნვას ამ პერიოდში ხელს უშლიდა მტრის დამრბევი შემოსევები, რომელიც, როგორც შიდა ქართლს და მაშინდელ ქრცხინვალს, ისე ჩრ. კავკასიის ოსეთსაც სწვდებოდა.

იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში“ აღნიშნულია ის ფაქტი, რომ XVIII საუკ. მეორე ნახევრის დასაწყისში შიდა ქართლში ხშირი იყო გარეშე მტრის შემოსევები, ცეცხლის წაკიდება ადამიანთა ხოცვა-ყლეტა და მოტაცება, ხოლო ხალხში ფესვგადგმული იყო უცოდინარობა და ექიმბაშობა. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში“: „ქორონიკონს 346, ქრისტეს აქეთ 1758 წ. მამა ჩემი დასნეულდა და აგვისტოს 14 მიიცვალა წლისა სამეოცისა. მეფე თეიმურაზ და დედოფალი ანახანუმ სამაჩაბლოს ბრძანდებოდნენ. მე მამის ჩემის სნეულებისათვის აქ დავრჩი, მერმე რომ შეღონდა, ზაქარია ვართაპეტი ბატონებს ახლდა, სხვას ექიმს ვეღარავის ენდო, ექიმებმა გაათავეს და ნამეტნავად ერთმა უბრალომ, უცოდინარმა დედაკაცმა დიაღ ძნელი წამალი დაალევინა და იმან უფრო შეაწუხა. გამგზავნა ზაქარია ვართაპეტთან წამლებისათვის. თურმე ლეკის ჯარი უკან მომდევდა მე და მუხრანს მუხებს ქვეშ ჩამოვჯედ მარტო, ცხენები ბიჭის ხელით გავგზავნე. ლეკი ქსანზე იდგა; მე რო მიველ, მეორე

---

[104] Путеводитель по Кавказу, составил Е. Бенденбаум. Тифлис, 1889. стр. 10.

დღეს სამი ათასი ლეკი მოუხდა ზემოქართლს, ქრცხინვალს. ბატონებს ჯარი არ ახლდათ, ვერ შეებნენ. ვახტანგის შვილი კიკოლაი მოკლეს. სამი ოთხი სხვა იტანა... ალის ციხე აიღეს, მრავალი ტყვე წაიყვანეს, ცეცხლი შეუკიდეს და ისე დაწვეს რაც მორჩა და მრავალი... თავადთა და აზნაურთა სახლნი დახოცეს და წარტაცეს".[105]

ერეკლე მეორეს დასახმარებლად, ხშირად, გარეშე მტრების წინააღმდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის მთიანეთის მცხოვრებთა ჯარები. ქართველი მეფის მოწოდებაზე ოსები წინანდებური ერთგულებით ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის ცნობით, მეფე ერეკლემ და მისმა თანამებრძოლებმა „შემოიყარეს ჯარი ქართლისა და კახეთისა, **პირიქითი და პირაქეთი ოსისა**, თუშფშავნი, მოხევე-ხევსურნი და ყოველი მთის ჯარები..." და შეუტიეს მტერთა.[106]

იგივე აზრს ვხვდებით „იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძში", რომლის მიხედვითაც მეფე ერეკლე „იყო დიდს მზადებაში და ჰყავდა ჯარი დაბარებული ლეკისა, **ოსისა**, ქისტისა, ქართლისა, კახეთისა და... არავინ იცოდა, თუ სად ნებავს წასვლა და იყო დიდს საქმეებში შესული".[107]

ერეკლე მეფემ ქსნის ერისთავი — გიორგი დაამარცხა. უკანასკნელი განდგა. ერეკლე თბილისიდან 1778 წ. 17 იანვარს ქსანზე გაემგზავრა. გზად მუხრანში დარბაისლები შეჰყარა და ქსნის საერისთაოს გაუქმების საკითხთან დაკავშირებით მათთან თათბირი გამართა. იქიდან ერეკლე **ახალგორს** (ახლანდელ ლენინგორში.—ტ. ს.) ავიდა და **„ქართველი ოსების"** მორჩილება მოითხოვა, ერეკლეს განკარგულებით უფლისწული გიორგი ქსანზე დარჩა, იულონი ლიახვზე განაწესეს, რის შემდეგ მეფე თბილისს დაბრუნდა. „ქრონიკონს 466 (1778 წ.) იანვარს 17 ქალაქით წაბრძანდა ბატონი ქსანზე; მუხრანს რომ მივედით, იქ დარბაისელთ უბრძანა: თქვენც იცით, ნადირშამ მამაჩემს უბოძა ქსანი და მოვედით და ხელში დავიჭირეთ. მრავალჯერ შემოგვებნენ ქსნისხეველნი და ვაჯობეთ. მერმე თავეთი ბატონი ითხოვეს, ხორასნიდან მოვაყვანინეთ და დიდი მინათი დაგვდვა მძლავრმა ხელმწიფემ. ძერძე შანშეც უკუმიწგა და ზურაბაც და ახლა ხომ გიორგიმ დაბეჭდა.

---

[105] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950 წ., გვ. 28.

[106] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. III. 1940 წ., გვ. 57.

[107] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950 წ., გვ. 86.

მართალია, როსტომს და მამას... იმისას არა დაუშავებია რა, ვაგრამ მე ვეღარავის ვენდობი ქსანზე, ლიახვზე აღარავის შეუ-შვებო და რაც იქ კაცი ერგება როსტომს, ვაკესა და გვერდის ძირს მივსცემო. აზნაურიშვილებში აიყვანა მახატელი და ზარდია-შვილი, ფურცელაძე, ჩერქეზიშვილი; უთნელიშვილებში მარტო სახლთუხუცესი გიორგი და ფირცხელაურები მთლად და მას,— როსტომს მისცა ქსუისი, პაპუთი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რევა, მეჯვრისხევი, ახალუბანი და შაქათგორი და სათემოები: კუმისი და ნავთლული. გორს, ცხინვალს რაც ან გიორგის წილი იყო, ან როსტომისა, ყველა როსტომს მისცა. აბრძანდა ახალგორს, **ქართველ-ოვსთა** ესევე უბრძანა, გიორგი ბატონიშვილი ქსანზე დაუტოვა, იულონ ლიახვზე გაისტუმრა და წამობრძანდა თბილისს იანვრის 26".[108]

1773 წ. 20 იანვარს ერეკლე მეორემ ბრძანება გამოსცა, რო-მელიც ოსებს და ქართველებს მეფის ერთგულებაზე მოუწოდებდა.

„ქ. ჩვენი ბრძანება არის ჭურთის მოხელეე ილურიძეე, ხაჯა-რავ კოპაძეე, ბუჯიაშვილო ნაცვალო, გარეშემოს მოურავო რუსი-ტაშვილო და ჯაბანაშვილო და **ერთობით ოსნო და ქართველნო!** მერე ჩვენ ქსანი და ლიახვი ორისავ წილი ჩვენს სახასოთ დავდე-ვით. თქვენთან სხვას არას კაცს ხელი არა აქვს. რაც როსტომ ერისთაეს თავისი მამის წილი ერგებოდა, ჩვენ გვერდის ქირზე და ქართლში მივეცით. და თუ იმისათვის სხვა მამულის მიცემა გვენანება, სხვა ალაგას მივცემთ".

ერეკლე II ხალხს ახალგორში ჩასვლას, წყალობას და დახმა-რებას პირდებოდა.[109] ეს, ის პერიოდი იყო, როდესაც კავკასიის მთის ოსებში მწერლობის, საფილოსოფოსო და საეკლესიო ცოდ-ნის გავრცელების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ანტონ კათალიკოსის აღზრდილი სასულიერო პირები, მათ შორის გამალიელ ოს ყოფილი არხიმანდრიტი „წერილითა და გალობითა შინა გამოცდილი და არხიმატიკოსი... მწერალი უცხო, რომელმაც მრავალნი სამღვთონი და საერონი გარდასწერა ვიდრე სამასამდი-სინ" და რომელიც საკმაო ხნის განმავლობაში იკორთის მონასტრის ეკლესიაში მოღვაწეობდა.[110]

---

108 იესე ბარათაშვილი ცხოვრება-ანდერძი, 1950 წ., გვ. 83.

109 საქართველოს სიძველენი, ტ. 2, გვ. 457.

110 ძველი საქართველო, 1909 წ., ტ. I. განყ. 2, გვ. 34. ექვ. თაყაიშვილის რედაქციით.

ოსეთში ქრისტიანული რელიგიის დანერგვის გარდა საფილოსოფოსო ცოდნის, მწერლობისა და კულტურის გავრცელების საქმეში საკმაო წვლილი შეიტანეს აგრეთვე ანტონ კათალიკოსის აღზრდილმა ოს ყოფილმა ნეოფიტემ და იოანე წილკნელ ეპისკოპოსმა ქარუმიძემ, რომელიც, როგორც ცნობილია „...აღიზარდა გარეჯის მონასტერსა შინა სიყრმითგან და ისწავა ბუნ ფილოსოფია და სხვანი სწავლანი, იყო მშვენიერი მოუბარი და... მცოდნე; ამან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი და მათ შორის იოანე ოს—ყოფილი, რომელმანც მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი და მრავალნიცა დაიმოწაფნა“...[111]

ოსთა შორის ცოდნის გავრცელებისათვის თვალსაჩინო მუშაობას ეწეოდა იკორთის არხიმანდრიტი დოსითეოს ფირცხელაური. 1797 წ. 18 თებერვალს საქართველოს პატრიარქი, შეფის ირაკლის-ძე ანტონ მეორე კათალიკოსი ხოფის არხიმანდრიტს[112] დოსითეოს ფირცხელაურს (არხიმანდრიტათ კურთხევასთან დაკავშირებით) ავალებდა ეკლესიის და სწავლა-განათლების საქმის განახლებას.[113] ხოლო 4 წლის შემდეგ (1801 წ. 14 თებერვალს) დავით ბატონიშვილმა დოსითეოს ფირცხელაურს უბოძა იკორთის დეკანოზობა და დაავალა ყველა ზომა მიეღო საეკლესიო-საგანმანათლებლო საქმის აღდგენა-განახლებისათვის.[114] დოსითეოს ფირცხელაური იყო ქუეგათა ხევის მონასტრის არხიმანდრიტი „...წერილთა შინა გამოცდილი და უბნობათა შინა რიტორი“, რომელსაც ანტონ კათალიკოსი თან მიჰყვა ხსენებულ მონასტერში, და რომელმაც „...მიიღო არხიერობაი ...კავკასიის მთისა, და წასრულმან ქართლად მონათლნა რაოდენიმე ათასნი სულნი ოსთაგან...“[115]

გარკვეული წლების პერიოდში ოსეთის საქრისტიანო კომისიის გამგეობას ხელმძღვანელობდა სწორედ ზემოხსენებული ეპისკოპოსი—დოსითეოს ფირცხელაური, რომელიც ოს მღვდლებს რჩევას აძლევდა, რომ „...მათ თვისი შვილები გორის სასწავლე-

---

[111] ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი I, 1909 წ., განყ. III, იხ. „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“.

[112] თლილის ქვით აშენებული, მოზრდილი, მაგრამ უგუმბათო ხოფის ეკლესია—ქსნის ხეობაშია—ახალგორის (ეხლანდელი ლენინგორის) ქვემოთ.

[113] საქართველოს სიძველენი, 1909 წ., ტ. 2, გვ. 465.

[114] ი ქ ვ ე, გვ. 467.

[115] ძველი საქართველო, ტ. 2, 1909. გვ. 49. იხ. წერილი, „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“.

ბელში შეეყვანათ მოწაფედ და მერე იქიდან თბილისში იქნებოდნენ გადმოსულნი სასწავლებლად".[116]

ოსებმა სწავლის მისაღებად თავიანთი შვილების მიბარება იწყეს არა მარტო გორის სასწავლებელში, ან თბილისის სასულიერო სემინარიაში, არამედ არდონის მისიონერთა სკოლაშიაც.

ნიჭიერი და სწავლისმოყვარე ოსები მონდომებით ეწაფებოდნენ ქართულ და რუსულ კულტურას. მისდევდნენ მწიგნობრობას, სწრაფად ითვისებდნენ წერა-კითხვას, ეუფლებოდნენ ცოდნასა და ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას.

საქართველოს ეკლესია ცრუმორწმუნეობის დანერგვასთან ერთად ბარისა და მთის მოსახლეობაში ცდილობდა წერა-კითხვის, ლიტერატურული წერილების, თხზულებების, ნათარგმნი და ორიგინალური წიგნებისა და პროგრესული აზრების გავრცელებას.

„გაიშალა და გაფართოვდა ასპარეზი ქართველთა საერთაშორისო კულტურული დამოკიდებულებისა, რაც გამოიხატა უცხო ენის მცოდნეთა გამრავლებაში და მჭიდრო ლიტერატურული კავშირის გაჩაღებაში, ბერძნების გარდა **დასავლეთ ევროპასთან, რუსეთთან და სომხეთთან. ეს მოძრაობა მოედო ყველა წრეს, წოდებას და მდგომარეობას საქართველოში, მისმა ნაკადმა გადმოლახა საქართველოს საზღვრები და მახლობელ მეზობლებსაც კი შეეხო...**"[117]

ეჭვს გარეშეა, რომ ქართული კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება და საგანმანათლებლო იდეები უდიდეს გავლენას ახდენდა მთის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ოსებზე, სადაც თანდათანობით იზრდებოდა განათლებისა და კულტურისადმი მისწრაფება.[118]

XVII—XVIII სს. ქართველი ხალხის კულტურული კავშირი ოსეთთან კიდევ უფრო განმტკიცდა. ქართველები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ოსებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაშლის, განათლების, გავრცელებისა და ახალგაზრდობის სწავლების ორგანიზაციის საქმეში.

---

[116] ოსეთის ისტორია ქართულის ისტორიულის წყაროებით. ხ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 228—229.

[117] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 60.

[118] „Журнал Министерства народного просвещения", Январь, 1917 г., стр. 9.

თ ა ვ ი IV

ამიერ და იმიერკავკასიის ოსთა სწავლა-განათლების მდგომარეობა ოსეთ-საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდიდან ცარიზმის დამხობამდე (1801—1917)

1. სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება ოსეთში XVIII—XIX საუკუნეებში

ფეოდალებს შორის შინაური არეულობისა და გარეშე მტრების მუდმივი თავდასხმების მიუხედავად, კავკასიის ხალხები მაინც საერთო ეკონომიური და ეთნიკური მდგომარეობით, ახალოგიური სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობით და მორალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების საერთო ნორმებით იყვნენ შეკავშირებულნი[110]. ქართველებსა და ყაბარდოელებს გარდა, კულტურისა და ენის მხრივ ოსებს ბევრი რამ ჰქონდა საერთო კავკასიის სხვა ხალხებთან[120]. XVIII საუკუნიდან დარიალის გზით რუსეთ-საქართველოსა და ოსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი თანდათანობით მტკიცდებოდა. ეს კავშირ-ურთიერთობა XVIII საუკ. ბოლოს და XIX საუკ. ნახევარში კიდევ უფრო გაძლიერდა. XVIII საუკ. 80-წლებში რუსეთმა ოსმალეთს წაართვა ყირიმი და ჩრდილო კავკასიაში თავისი გავლენა განიმტკიცა. აქიერკავკასიაში დასაყრდენის გაჩენისათვის მას დასჭირდა თერგის ხეობის გზით (საქართველოს მიმართულებით) სამხედრო ციხე-სიმაგრეების აგება. ირანისა და ოსმალეთის შემოსევის მოლოდინში საქართველოსა და ოსეთის ორიენტაცია რუსეთისაკენ იხრებოდა[121]. დამპყრობთა მიერ აღმართული ხელოვნური ზღუდეების მიუხე-

---

[110] В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, 1949 г., стр. 89.91.

[120]. ოსეთის ისტორიის ზოგიერთ მკვლევარს ოსეთის მეგობარ ხალხთა შორის ქართველებთან ერთად დასახელებული ჰყავთ მეგრელები, სვანები და აფხაზები. ბევრი ისტორიკოსისათვის დღემდე რატომღაც გაუგებარი რჩება, რომ მეგრელები და სვანები ქართველთა ტომებს ეკუთვნიან, იგივე ქართველები არიან და მათ შესახებ, როგორც ცალკე ერებზე მსჯელობა უაზრობას და ისტორიული ფაქტის დამაბინძურებას წარმოადგენს.

[121] რუსეთის ქვეშევრდომობაში ოსეთის შეყვანის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ოსეთის სასულიერო კომისიის უფროსი, არხიმანდრიტი—პახომი.

დავად, როგორც საქართველო, ისე მთის ოსეთი მაინც ახერხებდა რუსეთთან ეკონომიური კავშირის დამყარებას. XVIII საუკ. ბოლოს ეს კავშირი კიდევ უფრო გაღრმავდა. შაჰის სპარსეთისა და სულთანის ოსმალეთის ბატონობას საქართველოსა და ოსეთის ხალხებმა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ყოფნა არჩიეს. რუსეთ-საქართველოს შორის „მეგობრობის ტრაქტატი" 1783 წლის 24 ივლისს (გიორგიევსკის ციხე-სიმაგრეში) დაიდო, რომელიც ორმხრივ ვალდებულებას ითვალისწინებდა[112]. 1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა. რუსეთის ძალა-უფლების გაძლიერებისათვის კავკასიაში ჩრდილო კავკასიის ოსეთს არა მარტო ეკონომიური, არამედ სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. იმ დროს, როდესაც თურქეთი ფეოდალიზმის ყველაზე უფრო დაბალ, ბარბაროსულ საფეხურზე იდგა და კავკასიელ ერებს გადაშენებას უქადდა, რუსეთის ხალხი თავისი ცივილიზაციითა და კულტურული განვითარებით უდიდეს კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა როგორც კასპიისა და შავი ზღვის ნაპირების, ისე ცენტრალური აზიის ქვეყნების ხალხებზე.

რუსიფიკაციის პოლიტიკის განხორციელებით მეფის თვითმპყრობელობა (განსაკუთრებით XVIII საუკ. ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში) ცდილობდა არა მარტო ქართველ და რუს ხალხთა შორის კავშირის შესუსტებას, არამედ კავკასიის ერებს შორის კულტურული ურთიერთობის შეწყვეტასაც.

თუ XVIII საუკუნის მანძილზე ქართული ეკლესიები და მონასტრები რელიგიის დანერგვასთან ერთად ხელს უწყობდნენ ოსეთში წიგნიერებისა და კულტურის გავრცელებას, XIX საუკუნის დასაწყისში ეკლესიის ამ ფუნქციების წინააღმდეგ გამოვიდა მეფისნაცვალი გენერალი ციციანოვი (1803—1806), რომელმაც საქართველოს კათალიკოსს კატეგორიულად დაავალა ქართველ საეკლესიო მსახურთა რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება და რუსეთის მეფის თვითმპყრობელობისადმი ეკლესიის სრული დამორჩილება. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგი იყო რელიგიური წესების ქართულ ენაზე შესრულების აკრძალვა, მონასტრებსა და სასწავლებლებში ქართული კათედრების დახურვა, ადგილობრივ ეკლესიებსა და სხვა დაწესებულებებში რუსი მოხელეების გადმოყვანა, ადგილობრივი ენისა და კულტურის დევნა და ჰავკასიის ყველა კუთხეში ჩაგვრის პოლიტიკის განხორციელება.

[112] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1946 წ., გვ. 405—406.

1814 წელს ჩამოყალიბდა „ოსეთში ქრისტიანობის აღმდგენელი კომისია“, ხოლო 1860 წ. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“[123], რომელიც ჩრდილოეთ და ამიერკავკასიაში „დაჰყავ და იბატონე“-ს თვითმპყრობელური პოლიტიკის განხორციელების დასაყრდენს წარმოადგენდა.

თუ XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე კავკასიაში მცხოვრებ იმ ხალხებისათვის, რომელთაც საკუთარი დამწერლობა არ ჰქონდათ, მიღებული იყო ადგილობრივ ენაზე ლაპარაკი, ხოლო სწავლება და „ხვთისმსახურების წესების“ შესრულება ძირითადათ ქართულ ენაზე წარმოებდა, ამიერიდან კავკასიის ყველა კუთხეში ეკლესია, სკოლა და სახელმწიფო დაწესებულებანი მოლიანად მმართველობის ბიუროკრატიულ „წესზე“ იქნა გადაყვანილი[124].

რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებით მეფის თვითმპყრობელობა კავკასიელი ხალხების დამორჩილებას ცდილობდა.

სასკოლო ქსელი, მატერიალური ბაზა და მოსწავლეთა შემადგენლობა

ცნობილია, რომ კავკასიის მთის ხალხები, მათ შორის — ოსები, სწავლა-განათლების მხრივ ბარის მოსახლეობასთან შედარებით მეტად დაბალ საფეხერზე იდგა. გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, მეცნიერსა და მწიგნობარს ვახუშტი ბატონიშვილს (1696—1772) ოსების იმდროინდელი კულტურული დონის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ „კვალად არიან, ვითარცა... უწიგნონი, უცოდინარნი, ენა აქუთ ძველი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად... ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყიან ქართულნი“[125]...

ამავე ნაშრომის სხვა ადგილას ვახუშტის მითითებული აქვს ოსებით დასახლებული დიდი კოშკოვანი დაბა ჩიში, რომლის მცხოვრებნი „...არიან მისიცა უმეცარნი“[126].

---

[123] Материалы по истории осетинского народа, 1942 г., том V, стр. 187.

[124] ვოსტორგოვი ყველა ეროვნების ხალხთა მიმართ ძალით გარუსების პოლიტიკას ანხორციელებდა. მისი აზრით, სხვებთან ერთად ოსებმაც რუსულად უნდა ისწავლონ და ილაპარაკონ; „ამის გამო აკრძალულია... ოსთათვის სწავლება ქართული ენისა“ (ეურნ. „განათლება“, 1913 წ., № 9, გვ. 699).

[125] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 110.

[126] იქვე, გვ. 112.

სვანეთის დასავლეთით და ბედიის ჩრდილოეთით დასახლებულ ალანთა შესახებ ვახუშტი აღნიშნავს, რომ „რომელიმე მისისცა უმეცარნი“ ალანნი, სვანებთან ერთად „...იყო კავკასიისავე წილნი, და მეფეთა ქართველთა თვით განიმკვიდრეს, ვითარცა აღვსწერეთ“[127].

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ოსი მოსახლეობის ძირითადი მასა მთის სხვა ხალხებთან ერთად ფეოდალური უკულტურობის სიბნელეში ცხოვრობდა.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა და მძარცველი კლასების მიერ მუდმივი ჩაგვრის მიუხედავად, ოსეთის მშრომელები თანდათანობით რწმუნდებოდნენ სწავლა-განათლების აუცილებლობაში და მათი ბავშვებისათვის მოითხოვდნენ სკოლების გახსნას. ეკლესიის საშუალებით მეფის თვითმპყრობელობა ოსი გლეხობის განათლებისადმი მისწრაფებას თავისი ექსპლოატატორული მიზნების განხორციელებისათვის იყენებდა.

„გაქრისტიანების“ საბაბით, როგორც კავკასიის სხვა ნაწილში, ისე ოსეთშიაც დაიწყო ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის განხორციელება.

მეფის თვითმპყრობელობის კოლონიალური მიზნების განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ და მისი წინამორბედი „ოსეთის სასულიერო კომისია“.

მეფის თვითმპყრობელობა ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის გავრცელებით ცდილობდა მთელი კავკასიისა და მათ შორის — ოსეთის თავის გავლენის ქვეშ მოქცევას. როგორც აღვნიშნეთ, მეფის თვითმპყრობელობამ „ოსეთის გაქრისტიანებისათვის“ მისიონერული კომისია შექმნა[128].

ეკლესიების დაარსებასა და ხალხის „გაქრისტიანებასთან“ დაკავშირებით საჭირო გახდა ეკლესიის მსახურთა ადგილობრივი

---

[127] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 174.

[128] ამგვარი მისიონერული კომისიის შექმნის იდეა ეკუთვნის მეფე ვახტანგ VI-სთან ერთად 1724 წ. მოსკოვში გადახვეწილ ზნამენსკის მონასტრის არქიმანდრიტს—ნიკოლოზს და არხიეპისკოპოსს იოსებს.

ეს იდეა მთავრობის სანქციით დამტკიცდა 1743 წელს. 1745 წელს ჩამოყალიბდა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელმაც იარსება 1792 წლამდე. მასში უმთავრესად ქართველი საეკლესიო მოღვაწეები შედიოდნენ. 1771 წ. თურქეთის დამარცხების შემდეგ „ოსეთის საეკლესიო კომისიაში“ ქართველები თანდათანობით რუსმა საეკლესიო მოღვაწეებმა შესცვალეს.

კადრების მომზადება. ოსეთის სასულიერო კომისიის ზოგიერთი წევრები თავიანთ ბინებზე მოსწავლეებს (სამ-ოთხ კაცს) „საკუთარ ხარჯზე“ ასწავლიდნენ[129]. არხ. პახომის ინიციატივით სინოდის წინაშე 1751 წ. დასმულ იქნა ოსი ბავშვებისათვის პატარა სკოლის დაარსების საკითხი, მაგრამ მას რჩევა მიეცა, ჯერ დაეზუსტებინა სკოლის შენახვის ხარჯები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემადგენლობა, სკოლის ადგილმდებარეობა, სწავლების ენა, მშობელთა მიერ სკოლაში ბავშვთა ნებაყოფლობითი გაგზავნის შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ ეზრუნა ამგვარი სკოლის პრაქტიკულად გახსნისათვის. 1753 წელს არხიმანდრიტ პახომიმ უფრო დასაბუთებული მოხსენებით მიმართა უწ. სინოდს, რომლის წინაშე იშუამდგომლა ქურტათინსკის ხეობაში 30 ბავშვისათვის სკოლის გახსნის შესახებ. ეს მოსაზრება ეფუძნებოდა იმას, რომ სინოდის 1746 წლის მითითებით ნაბრძანები იყო საღვთისმეტყველო წიგნების ქართულიდან ოსურად თარგმნა ქართული ანბანის გამოყენებით[130].

1764 წლის 27 სექტემბერს გადაწყდა აღნიშნული სკოლის მოზდოკში დაარსება. სკოლაში ძირითადად მამასახლისთა შვილებს იღებდნენ. ყიზილიარის კომენდანტი 1766 წ. პატაკში წერდა, რომ სკოლაში ჩარიცხულია ოთხი მოწაფე — ნარის, მაძისონის და ზაყინის ხეობების მამასახლისთა შვილები და, რომ ნაბრძანები აქვთ: „აყვდეთ ისინი კმაყოფილნი და საუკეთესო პირობებში, რათა ამით ...აღუძრან მათ სურვილები სკოლაში მიაბარონ თავიანთი შვილები“[131].

---

[129] История Осетии (макет), часть 1-я. 1954 г., стр. 123. არხიმანდრიტმა პახომიმ მოამზადა 2 მოსწავლე, იგუმენ გრიგორმა—3, რომელთაგან ერთი მღვდლად ეკურთხა და ოსეთს დაუბრუნდა.

[130] ი ქ ვ ე, გვ. 124. არის ცნობები, რომ ქართულიდან ნათარგმნი საღვთისმეტყველო წიგნები ოსურ ენაზე გამოიცა 1853 წელს (იხილეთ: გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 780, გვ. 2. აგრეთვე: „Сборник сведения описания местностей и племен Кавказа“, том 22. ჯანაშვილის სტატია).

[131] Материалы по истории Осетии, т. V, № 6. ოზდოკის სკოლის მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობის შესახებ ნათლად მეტყველებს 1767 წლის სია, რომლის მიხედვით იყო:

1) მოსწ. თეოფანე ყარაბულაევი—დიგორის მამასახლისის შვილი, რომელსაც ჰყავდა 20 კომლი გლეხი;

2) ივანე ელიხოვი—მამისონიდან, მამასახლის იგორ ხურაბოვის შვილი, რომლის მამა ითვლებოდა ოსეთის 1 ელჩთა შემადგენლობაში—პეტერბურგში.

3) ანდრია ბითაროვი—(ზაყინის „მაზრიდან“) ზაყინის მამასახლისის შვილი;

4) ხეთაგუროვები (3 მცირეწლოვანი) ნარელი მდიდრის შვილები და ა. შ.

მოზდოკის სკოლასთან არსებობდა პანსიონი. სადაც მამასახლისთა შვილები სახარჯოთ — თვითეული 4 მანეთს იღებდა, ხოლო „მდაბიოთა“ ბავშვები კი—2 მანეთს.

მოზდოკის სკოლაში პირველად სწავლება ქართულად სწარმოებდა (ოსურ ენაზე თარგმნით), მაგრამ შემდეგ. პოლიტიკური მოტივის საფუძველზე, სასულიერო კომისიის ახალი უფროსის—იგუმენ გრიგოლის განკარგულებით მიღებულ იქნა წინადადება, რომ ესწავლებინათ ბავშვებისათვის რუსულ ენაზე და „...არა რომელიმე სხვა დიალექტზე“[132].

ეს წინადადება ცარიზმის პოლიტიკით იყო ნაკარნახევი, რადგანაც მათ მესვეურთა მოსაზრებით, თუ ოს მოსწავლეებს შეასწავლიდნენ რუსულ ანბანს, მაშინ შვილების ზეგავლენით, მშობლებთან ერთად მათი ნათესავებიც ადვილად მიიღებდნენ რუსეთის ქვეშევრდომობას[133]. სინოდი სიამოვნებით შეხვდა შუამდგომლობას მოზდოკის სკოლაში რუსულ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ, რის განხორციელებაც ფაქტიურად 1765 წლიდან დაიწყო. მოსწავლეთა შემადგენლობა აღნიშნულ სკოლაში საშუალოდ 6—46-მდე მერყეობდა[134].

მოზდოკის მისიონერულ სკოლას განაგებდა ყიზილარის კომენდანტი და ასტრახანის გუბერნატორი. ხოლო უშუალო ხელმძღვანელობას „ოსეთის სასულიერო კომისია“ ახორციელებდა.

ეს სკოლა უაღრესად რელიგიური ხასიათისა იყო და ადგილობრივ მცხოვრებთაგან მეფის თვითმპყრობელობის ერთგულ მსასურებს ამზადებდა. სასწავლო გეგმით, აღნიშნულ სკოლაში ოსური და რუსული ენები, სიმღერა, ფსალტირი და წმინდანების ისტორია ისწავლებოდა. პირველ-დასაწყისი სწავლება ბავშვების დედაენაზე სწარმოებდა. მოზდოკის სასულიერო მისიონერულმა სკოლამ 1792 წლამდე იარსება[135]. სასწავლო-სააღმზრდელო საქმის ცუდად დაყენებისა და რელიგიური მიზანდასახულობის

---

[132] История Осетии (макет), часть первая, 1954 г., стр. 125.

[133] Известия Северо Осетинского Научно-исследовательского института, том XII, С/О Госиздат, Дзауджикау, 1947 г., стр. 184.

[134] Материалы по истории осетинского народа, т. V, сборник документов по истории народного образования в Осетии, Госизд. С. О., 1942 г., стр. 6—7.

[135] Сборник документов по истории народного образования в Осетии, Госиздат С. О. АССР, Орджоникидзе, 1942 г., стр. 6.

მიუხედავად მოზდოკის სკოლამ დადებითი როლი შეასრულა ნაციონალური კულტურის განვითარებისა და ეროვნული კადრების პირველი წყების მომზადების საქმეში. ამ სკოლიდან გამოვიდნენ იმ დროისათვის განათლებული პირები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ოსურ-რუსული და ოსურ-ქართული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. მოზდოკის სკოლაში შექმნილი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განვითარდა ოსური დამწერლობა, რომელიც საეკლესიო-სლავიანურ გრაფიკს (ანბანს) ემყარებოდა[136].

მესაზღვრეთა არმიის ოფიცრის — შტედერის შეხედულებით, თუ მოზდოკის სკოლა გახდებოდა საზოგადოებრივ-სასარგებლო და მისი ხელმძღვანელობა ახალგაზრდობას უფრო ფართო მომზადების შესაძლებლობას მისცემდა, მას შეეძლო ამ ერის (ოსების) კულტურის გარდაქმნის საფუძვლად გამხდარიყო[137].

როგორც აღვნიშნეთ, მოზდოკის სკოლა მისაწვდომი იყო მხოლოდ უმნიშვნელო, „მცირერიცხოვან მთის მცხოვრებთა მაღალი ფენების ბავშვებისათვის, რაც ოსების განათლების დონის ამაღლების საქმეზე შესაძლებელ გავლენას ვერ ახდენდა. მიუხედავად ამისა, მან მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოსური დამწერლობისა და ნაციონალური კულტურის განვითარების საქმეში.

ბეფის თვითმპყრობელობა კავკასიაში თავის მისიონერულ მიზნებს უმთავრესად „კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს“ და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მეშვეობით ახორციელებდა. თუ 1792 წლამდე ეკლესიებისა და სკოლების გახსნისა და მოსახლეობის „რელიგიოზური დამუშავების“ საქმეს „ოსეთის სასულიერო კომისია“ ასრულებდა, ამის შემდეგ ეს ფუნქციები მოზდოკისა და მადჟირსკის საეპისკოპოსოს (ეპისკოპოსი — ქართველი გაიოზ ბარათაშვილი ან ნაცვლიშვილი, რომელმაც ოსური ენა ძშვენივრად იცოდა) ხელში გადავიდა. მან განაგრძო სასულიერო კომისიის მიერ დაწყებული მისიონერული მოღვაწეობა[138].

---

136 М. С. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв., Автореферат, Госиздат С. О. АССР, 1950 г., стр. 8.

137 იქვე.

138 Известия Северо Осетинского Научно-исследовательского института, том XI, 1947 г., стр. 184.

1815 წ. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობა განახლდა, რომლის ცენტრად მიჩნეულ იქნა ქ. თბილისი. მისი ხელმძღვანელობა 1817 წლამდე მინდობილი ჰქონდა საქართველოს არხიეპისკოპოსს — დოსითეოს ფირცხელაურს, რომელიც 1817 წლის 14 მაისიდან 1821 წლის 14 მაისამდე საქართველოს არხიეპისკოპოსმა თეოფილაქტემ შესცვალა[139].

სასულიერო კომისიის მოღვაწეობა უმთავრესად მიმართული იყო კავკასიის „...მთიელთა შორის წერა-კითხვისა და პირველდაწყებითი ქრისტიანული განათლების გავრცელებისაკენ"[140].

კომისია ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ისახავდა მეფის თვითმპყრობელობისათვის აქტიური დახმარება გაეწია კავკასიის კოლონიზაციის განხორციელებაში, რისთვისაც არსებული სკოლების მატერიალური ბაზის გაძლიერებასთან ერთად ცდილობდა ახალი სკოლების გახსნისათვის საშუალების გამონახვას და ყველა მთიელთა სწავლის სურვილის დაკმაყოფილებას[141].

ოსი ხალხის „გაქრისტიანების" საბაბით მთის აულები და სოფლები სამრევლოებად იყოფოდა, სადაც ეკლესიებისა და სკოლების გახსნა იყო გათვალისწინებული. პირველ ხანებში რამდენიმე სამრევლოს მოსახლეობას ერთი ეკლესია ან თითო პატარა სკოლა ემსახურებოდა. 1744 წლიდან ეკლესიის მმართველობას გადაწყვეტილი ჰქონდა ოსეთში მცხოვრებ ახალგაზრდობისათვის სას. მმართველობის ხარჯზე სკოლებისა და ეკლესიების ქსელის გაფართოება, მაგრამ შემდეგში აღმოჩნდა, რომ ოსებისათვის სკოლების გახსნას ნაკლები ყურადღება ექცეოდა[142].

ოსეთის კოლონიზაციის დაჩქარებისათვის მეფის თვითმპყრობელობა სკოლებისა და ეკლესიების ქსელის გაშლას აჩქარებდა. კავკასიის მთის ხალხთა დაპყრობის პოლიტიკა ოსეთის ზედაფენებზე დაყრდნობით (სკოლების გამოყენების გზით) ხორციელდებოდა.

XIX საუკუნის 30—40 წლებში მთის ხალხები და კერძოდ, ოსები სწავლა-განათლებისადმი საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენ-

---

139 Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860—1910 гг. Тифлис, 1910 г., стр. 82—83

140 ГИА ГССР, Ф. 219, д. № 61, Л. 3—28.

141 Документы по истории Грузии (1862—1917). т. I, ч. I, под редакцией проф. Ш. К. Чхетия, Тбилиси, 1954 г., стр. 541.

142 Акты, собранные кавказскою Археографическою комиссиею, т. 1, Тифлис, 1866 г., стр. 82—83.

ლნენ. ისინი ხშირად მიმართავდნენ კავკასიის მთავარმართებელს ოსეთში სკოლების გახსნის შესახებ, მაგრამ მათი თხოვნა უმეტეს შემთხვევაში უშედეგოდ რჩებოდა.

1834 წელს როზენი სამხედრო მინისტრს ა. ჩერნიშევს აცნობებდა „საკუთრივ ოსების საზოგადოებათა სურვილზე, რომ მათ ჰქონდეთ სასწავლებლები ბავშვთა გასანათლებლად“[143]. იგივე როზენის მიმართვიდან ირკვევა, რომ ოსეთიდან და კავკასიის მთიელთა სხვა მცხოვრებლებიდან „მთელი საზოგადოება შუამდგომლობდა მღვდლების გაგზავნისა და სკოლების გახსნის შესახებ“, მაგრამ სკოლისა და მასწავლებლების მაგიერ ოსებს მთავრობის მიერ ბოქაულები და ყაზახთა რაზმები ეგზავნებოდა[144].

XIX საუკ. მეორე ნახევარში საქართველოში შედარებით მრავლდებოდა რუსულ ყაიდაზე მოწყობილი საეკლესიო-სამრევლო, სამონასტრო და საშინაო (კერძო) სკოლების რიცხვი.

ამიერკავკასიის „პატარა ერების“ სწავლა-განათლებისაკენ ლტოლვის „სურვილთა დაკმაყოფილებისა“ და აღნიშნული მხარის მმართველობის რეორგანიზაციისათვის 1840—1841 წწ. სენატორ განის ხელმძღვანელობით შეიქმნა სახელმწიფო საბჭოს კომისია, რომელმაც „სახალხო სკოლების შესახებ“ 1841 წ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა: „ამიერკავკასიის მხარის მცხოვრებთა სურვილი მოაწყონ თავიანთი ბავშვებისათვის სკოლები, იმდენად დიდია, რომ შორეული მთიელებიც კი, ისეთები, როგორიც არიან ჭარის ლეკები და ოსები, გამუდმებით სთხოვენ ამის შესახებ მმართველობას.

ვცნობდით რა სასარგებლოდ და საჭიროდ, რამდენადაც შეიძლებოდა ხელი შეგვეწყო განათლებისაკენ ამიერკავკასიელთა ასეთ შესანიშნავ ლტოლვისათვის, ჩვენ მივიღეთ ზომები ბავშვთა მოსათავსებლად სამრევლო სკოლებში“[145].

სახელმწიფო საბჭოს კომისიის გადაწყვეტილების მიუხედავად, არც ამ დადგენილების გამოტანის უახლოეს პერიოდში და არც შემდგომ (1859—60 წწ.) მთისა და ბარის ოსეთში სწავლა-განათლების გასავრცელებლად წინ რაიმე განსაკუთრებით

---

[143] გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, გვ. 128.

[144] იქვე.

[145] Акты, Археографической комиссии, том IX, стр. 33.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ ყოფილა გადადგმული. საეკლესიო-სამრევლო ან საოჯახო სკოლები, რომლებიც აქა-იქ, კერძო ინიციატივით იხსნებოდა, უმეტეს შემთხვევაში მოუწყობელი იყო, სადაც არ ჰყოფნიდათ მასწავლებლები. ამგვარ სკოლებში ხშირად უცენზო, წერა-კითხვის ნახევრად მცოდნე პირები ასწავლიდნენ. ცნობილია, მაგალითად, რომ 1852 წ. სოფ. ორტევიდან სახელმწიფო ყმა—თომა ჩოჩიშვილი საქართველოს ეგზარხოსს სამხ. ოსეთის სოფელ როკაში სკოლის ხელმეორედ გახსნის უფლებას სთხოვდა, მაშინ, როდესაც ჩოჩიშვილმა მხედრული წერა-კითხვა (ოჯახში შესწავლის გზით) ძლივს იცოდა[146].

XIX საუკუნის 30—40 წლებში ცარიზმი თავისი მიზნების განსახორციელებლად ოსეთში ხსნიდა მისიონერთა სკოლებს, ხელს უწყობდა სამხედრო და სამოქალაქო სასწავლებლების ქსელის ერთგვარ გაფართოებას, რათა მთის ხალხში ჰყოლოდა ცოტად თუ ბევრად განათლებულნი „მსახურნი ეკლესიისა", მღვდლები, ჩინოვნიკები, სოფლის მწერლები, მასწავლებლები, სამხედრო პირები და წვრილი მოხელეები.

ოსეთში წერა-კითხვისა და ელემენტარული ცოდნის გავრცელების საქმეში, XIX საუკ. 40—50 წლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვლადიკავკაზის ოსური სასულიერო სასწავლებელი (1836 წლის სექტემბერში გაიხსნა), რომელშიც დასაწყისშივე 34 მოსწავლიდან 33 ოსი ირიცხებოდა. სწავლება ამ სკოლაში რუსულ და ოსურ ენაზე წარმოებდა. სხვა მისიონერულ სკოლებთან ერთად, ეს სასწავლებელიც მთის მოსახლეობაში ცარიზმის პოლიტიკის განხორციელების მიზნებს ემსახურებოდა. საქართველოს ეგზარხოსის აზრით, ზემოაღნიშნული სასწავლებლის ძირითად მიზანს შეადგენდა მოემზადებინა „ოსეთის მრევლისათვის უგანათლებულესი საეკლესიო მღვდელ-მსახურნი"[147].

ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელი „ოსეთის სასულიერო კომისიის" ინიციატივით გაიხსნა, რომელიც ოსეთის მისიონერთა და მამასახლისთა შვილებს ამზადებდა. ეს სკოლა 1863 წლამდე არსებობდა[148]. მისი დაარსების ინიციატორი იყო

---

[146] გ. თავზიშვილი. სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, გვ. 197.

[147] История Осетии (макет), часть первая, с древнейших времен до 1917 г., СОНИИ, Г. Орджоникидзе, 1954 г., стр. 147.

[148] Известия Северо Осетинского Научно-исследовательского института, том XI, 1947 г., стр. 185—186. ამ სკოლის ზედამხედველად ერთ-ერთ დოკუმენტში დასახელებულია ინო დეალიშვილი, მაგრამ ჩვენის ფიქრით, იგი უნდა იყოს შინო დეალიშვილი.

საქართველოს ეგზარხოსი ევგენი. მან შეადგინა ამ სკოლის დებულება, რომელიც დირექტორს შიო დვალიშვილს ავალებდა სკოლაში ადგილობრივ მამასახლისთა და სხვა წარჩინებულ პირთა შვილების მიღებას, მაგრამ ეს ღონისძიება არასაკმარისი აღმოჩნდა. ამიტომ, 1841 წელს მან გამოსცა ბრძანება, რომლითაც მღვდლებს ავალდებულებდა აღნიშნულ სკოლაში თავიანთი შვილების შეყვანას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მათ ჯამაგირების დაკავებას, ხოლო მოსწავლეებს პოლიციურ-ადმინისტრაციული ზომების მიღებას პირდებოდა[149].

ვლადიკავკავის ოსური სასულიერო სასწავლებელი ადმინისტრაციულად საქართველოს ეგზარხატს ექვემდებარებოდა, ხოლო სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში—თბილისის სასულიერო სემინარიას. სასწავლებელთან არსებობდა პანსიონი, სადაც სახელმწიფოს ხარჯზე მღვდლებისა და სხვა პრივილეგიურ პირთა შვილები იზრდებოდა[150].

ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებელი ადგილობრივი მოსახლეობის იდეოლოგიური „დამუშავების“ ამოცანას კარგად ასრულებდა, მაგრამ, ამასთან ერთად, იმავე სასწავლებლის კედლებიდან გამოვიდნენ ცნობილი -საზოგადო მოღვაწეები (კოლიევი, ცორაევი და სხვ.), რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ადგილობრივი ნაციონალური კულტურის ამაღლების საქმეში. მასწავლებელთა და ეკლესიის მსახურთა მომზადების გაუმჯობესების მიზნით 1861 წელს „საზოგადოებამ“ გააძლიერა ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებლისადმი „ეკონომიური დახმარება“, მაგრამ პეტერბურგიდან გზადმომავალმა კავკასიის მეფისნაცვალმა დაიწუნა ამ სკოლის მუშაობა, არ მოიწონა რუსული ენის სწავლების არსებული მდგომარეობა, მოითხოვა სკოლის პროფილის დაზუსტება და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა. კომისიის დასკვნით, თავის ფუნქციებს (სასულიერო სემინარიაში შესასვლელად მოსწავლეთა მომზადების, მთიელთა შორის განათლების გავრცელებისა და „მოქალაქეობრიობის“ განმტკიცების საქმეში) მშვენივრად ასრულებდა

---

[149] Известия Северо Кавказского педагогического института, им. М. Ю. Гадиева, т. XIII, стр. 247, იხ. დოც. ბ. ი. სიმონოვის ნარკვევი: „Горские школы“.

[150] Материалы по истори осетинского народа, том V, сборник документов по историн народного образования в Осетии, Госизд. С/Ос. АССР. г. Орджоникидзе, 1942 г., стр. 8.

საოლქო სკოლა, რისთვისაც საჭიროდ იქნა მიჩნეული ვლადიკავკავის სასულიერო სკოლის დროებით დახურვა ან გადაკეთება.

კომისიის შეხედულებით, ორი სასწავლებლის არსებობა ერთგვარი მიზნისათვის ერთ მცირერიცხოვან ქალაქში არ არის გამართლებული. ამიტომ მიღებულ იქნა დადგენილება ვლადიკავკავის ოთხკლასიანი სასწავლებლის გაუქმებისა და „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ხარჯზე მისი საოლქო სკოლაზე გადაცემის შესახებ. კომისიის დასკვნას დაეთანხმა კავკასიის მთავარმართებელი და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრ. აღმ. საზოგადოების" მმართველობას მისცა განკარგულება ვლადიკავკავის 4-კლასიანი სასულიერო სკოლის დახურვის შესახებ[151].

ვლადიკავკავის სასულიერო სკოლაში პირველ ხანებში სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა, ხოლო შემდეგ კი — რუსულზე.

1836 წლის 12 ოქტომბერს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებელს შიო დვალიშვილს (სახარებისა და სხვა წიგნების რუსულად თარგმნასა და სწავლების რუსულ ენაზე შემოღებასთან ერთად) ავალებდა: სწავლება მთიელთა ბავშვებისა ქართული ანბანით, როგორც სავსებით არასაჭირო, სრულიად გააუქმეთო[152].

ვლადიკავკავის სამაზრო სასულიერო სასწავლებელი 4-კლასიანი სკოლა იყო, რომელშიაც ექვსი (შტატის) მასწავლებელი ასწავლიდა. ამ სკოლის მასწავლებლის მინიმალური ხელფასი 125 მანეთს შეადგენდა, მაქსიმალური კი — 400 მანეთს. სხვა საგნებს გარდა აღნიშნულ სკოლაში ოსური წერა-კითხვაც ისწავლებოდა. კურსდამთავრებულთა დიდი უმეტესობა („კავკასიაში მართლმად. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ხარჯზე) თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძობდა სწავლას[153].

საეკლესიო მმართველობისა და მის მიერ გამოყოფილი „კომიტეტის" მოსაზრებით, კავკავის სასულიერო სასწავლებელში „...უნდა მოეწყოს მთელი ჯაბუკების აღზრდა მისიონერული

---

[151] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1862 и 1863 гг., 1865 г., стр. 18-19.

[152] Материалы по истории осетинского народа, т. V, сборник документов по истории народного образования в Осетии, 1942 г., стр. 80. ЗдрГ фонд Владикавказского духовного училища, дело 1836 г., № 683, стр. 25.

[153] Документы по истории Грузии (1862—1917), т. I, ч. 1, стр. 542. Под редакцией проф. Ш. Чхетия. ЗдрГ ЦГИА ГССР, Ф. 219, д. 61. Л. 3—28.

მოღვაწეობისათვის. იმისათვის, რომ ეს სასწავლებელი დაყენებულ იქნეს თავისი მაღალი მოწოდების სიმაღლეზე, კომიტეტმა მისთვის ახალი გაძლიერებული შტატი შეადგინა. ცვლილება შეიტანა სწავლების შინაარსში და სასწავლო ნაწილის მუშაობის ზოგიერთ მხარეში"...[154]

კავკავის სასულიერო სკოლას ეკლესიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში ბევრი ნაკლი ჰქონდა, რისთვისაც ძისხელმძღვანელობა ეკლესიის მეთაურთა მხრივ და კავკასიის მმართველებისაგან ხშირ საყვედურებს იღებდა.

მიუხედავად ამისა, ვლადიკავკავის სასულიერო სკოლა დიდ როლს ასრულებდა ოსეთში მისიონერთა ადგილობრივი კადრებისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა მომზადება-აღზრდის საქმეში. მღვდლებისა და მასწავლებლების სიმცირის გამო საეკლესიო უწყებამ გადაწყვეტილება მიიღო 1887 წელს ოსეთის სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ (ექვსწლიანი კურსით), რომელიც თავისი პროგრამული მოცულობით უფრო ფართო მიზნებს ისახავდა, ვიდრე სამაზრო სასულიერო სკოლა. სამაზრო 4-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების გარდა ექვსკლასიან სასულიერო სკოლაში ასწავლიდნენ: 1) მართლმადიდებელ სარწმუნოებას; 2) მუსულმანთა საწინააღმდეგო პოლემიკას; 3) ეკლესიის ისტორიას; 4) დიდაქტიკას; 5) სამოქალაქო ისტორიას; 6) გეომეტრიას: 7) ფიზიკას; 8) ჰიგიენას და 9) ოსურ ენას. 1895 წელს აღნიშნული სასწავლებელი მისიონერულ სასულიერო სემინარიად გადაკეთდა,. საგნების იმ კურსით, რომელიც სასულიერო სემინარიის გეგმით იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, სემინარიაში შემოღებულ იქნა: ა) მართლმადიდებელი კატეხიზმოს; ბ) ლიტურღიის; გ) საეკლესიო სლავიანური და რუსული ენების; დ) სიტყვიერების თეორიის (რუსული ლიტერატურის ისტორიით); ე) არითმეტიკის; ვ) გეოგრაფიის; ზ) საეკლესიო გალობის და თ) სუფთა წერის სწავლება.[155]

1909 წელს მისიონერული სემინარია რეორგანიზებულ იქნა და ჩვეულებრივ სემინარიად გადაკეთდა, რომელიც მთლიანად

---

[154] Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860—1910 гг. стр. 90. შეადარეთ „Лело общества" 1858 г., № 1, Л. 87.

[155] იქვე გვ. 190—191.

ვლადიკავკავის ეპისკოპოსს დაუქვემდებარდა. „უწმინდესი სინოდის“ დადგენილების თანახმად „კავკასიაში მართლმ. ქრ. აღმდ. საზოგადოებას“ სემინარიის შენახვაზე ყოველწლიურად უნდა გაეღო 11.125 მანეთი.[156] ამრიგად, კავკავის სასულიერო სემინარია, რომელიც სასულიერო სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა, გარკვეულ როლს ასრულებდა ოსეთის ეკლესიებისა და სკოლებისათვის საჭირო კადრების აღზრდისა და ოსეთის ნაციონალური კულტურის განვითარების საქმეში.

50—60-ან წლებში მისიონერთა სკოლების ქსელი ოსეთში საგრძნობლად იზრდებოდა. ოსი ინტელიგენციის წრე მღვდლების, მასწავლებლებისა და წვრილი ჩინოვნიკების ხარჯზე ივსებოდა, რომელსაც მეფის მთავრობა ხალხის იდეოლოგიური დამუშავების იარაღად იყენებდა. ვლადიკავკავის ოსურმა სასულიერო სკოლამ (1836—1863 წწ.) არსებობის მანძილზე საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის მასწავლებელთა საკმაო რაოდენობა მოამზადა.

მეფის მთავრობა ოსეთში ყველაზე მეტად საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვს ამრავლებდა. ჩრ. ოსეთის სამხედროოლქში XIX საუკ. 60-იან წლებში 7 საეკლესიო-სამრევლო სკოლა იყო 107 მოსწავლით; 1863 წელს—13 სკოლა 250 მოსწავლით; 1865 წელს—20 სკოლა 299 მოსწავლით; 1867 წელს—30 სკოლა 542 მოსწავლით.[157]

1862 წელს ოსმა სახალხო მოღვაწემ — ა. კოლიევმა თავისი სახსრებით ოსი გოგონებისათვის საკუთარ ბინაზე გახსნა 1 დაწყ. სკოლა, რომელშიც პირველ ხანებში 20 მოწაფე გოგონა სწავლობდა. ამ სკოლის გახსნით, საზოგადო მოღვაწე კოლიევი მიზნად ისახავდა „კარჩაკეტილ“ და „ბნელ ცხოვრებას“ შეჩვეული ოსი ქალები გამოეყვანა ცოდნისა და „თავისუფალი ცხოვრების“ ნათელ გზაზე. აღნიშნული სკოლა გამიზნული იყო „მშობლიური წერა-კითხვისა და ქრისტიანული მოძღვრების საწყისების შესწავლისათვის“.[158] 1863 წლის სხვადასხვა დროს აღნიშნულ სკოლაში მეცადინეობას ესწრებოდა 10-დან 23-მდე გოგონა, რომელიც ოსურ წერა-კითხვასა და ხელსაქმეს სწავლობდა. ხელსაქმის მასწავლებელი (ქალები ასწავლიდნენ) ყოველწლიურად ხელფასის სახით ორას-ორას მანეთს იღებდა. ამას გარდა, „საზოგადოების“ გადა-

---

[156] Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860—1910 гг., стр. 191.

[157] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1862 и 1863 годы, Тифлис, 1865 г., стр. 16.

[158] იქვე.

წყვეტილებით სკოლას (ხელსაქმის ხელსაწყო-მოწყობილობისა და მასალების შესაძენად) ეძლეოდა 100 მანეთი. გათვალისწინებული იყო ბავშვთა საუკეთესო ნამუშევრების გაყიდვა და ხელსაქმეში დაინტერესებული გოგონების წახალისება-დაჯილდოება. სკოლის შეკეთება-მოწყობისა და სასწავლო ინვენტარის შეძენის ხარჯებზე თვით სკოლის გამგე-დამაარსებელი (კოლიევი) იყო პასუხისმგებელი. აღნიშნული სკოლა 1863 წელს ოლღის სახელობის ქალთა სამკლასიან სკოლად გადაკეთდა.[159]

„ამ სკოლამ ყველაზე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქალთა მდგომარეობაზე ოსეთში" (კ. ლ. ხეთაგუროვი).[160] მან, კოსტა ხეთაგუროვის სიტყვით, ქვეყანას ბევრი „...საძაგალითო დედა, გამრჯელი მეოჯახე და სახალხო მასწავლებელი აღუზარდა.[161] ასეთივე სკოლა გოგონებისათვის (XIX საუკუნის 70-იან წლებში) სოფ. სალუგარდანში გახსნა აგრეთვე სახალხო მოღვაწემ — ნ. გატუევმა, მაგრამ ამგვარი ნაბიჯები სწავლა-განათლების მხრივ ოსი ხალხის საჭიროების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. მეფის თვითმპყრობელობის ინტერესები ოსეთში საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელის გაშლას მოითხოვდა. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1861 წლის რეფორმის შემდეგ ამ ტიპის სკოლების რიცხვი ოსეთში ერთგვარად გაიზარდა.

1864—1866 წწ. ჩამოყალიბდა ვაჟთა და ქალთა ორკლასიანი სკოლები, მათ შორის — ვლადიკავკავის ქალთა ორკლასიანი რეორგანიზებული (1865 წ.) სასწავლებელი.[162]

XIX საუკუნის 70—80 წლებში საზოგადოებრივი აზრი ერთხმად აღიარებდა სასწავლებელთა ქსელის გაშლის გადაუდებელ საჭიროებას ყველასათვის, მაგრამ ხაზგასმით მიუთითებდა იმის შესახებ, რომ სკოლები განსაკუთრებით ოსებს, ჩეჩნებსა და ყაბარდოელებს ესაჭიროებათ. გაზ. „კავკაზის" მიხედვით, არსებულ სასწავლებელთა შორის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოლღის სახელობის ქალთა სკოლას და ვლადიკავკავის სპეციალურ ქალთა

---

[159] Известия Северо Осетинского Научно-исследовательского института, том XI, 1947 г., стр. 188.

[160] იქვე.

[161] იქვე, გვ. 200. „კავკასიაში მართლმ. ქრისტიანობის აღმდ. საზოგადოების" 1860—1910 წლების ანგარიშში ვლადიკავკავის ქალთა სკოლის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1863 წელი (იხ. დასახელებული „ანგარიში", 1910 წ., გვ. 187).

[162] Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860—1910 гг., 1910 г., стр. 187.

სასწავლებელს ოსებისათვის, რომელთაგან პირველი კერძო (კოლიევისა და ადგილობრივი საზოგადოების ხარჯზე) იყო, ხოლო შეორე— (პანსიონით—24 აღსაზრდელით, გოგონებისათვის)— კავკასიაში მართლმ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ბიუჯეტზე, რომელსაც ოსეთის სამრევლოთა მმართველი — არხიმანდრიტი იოსები განაგებდა.[163]

ვლადიკავკავის ოსურ ქალთა სკოლაში აღზრდა პრივილეგიურ-წოდებრივ ხასიათს ატარებდა. ამ სკოლის 70 მოსწავლეში (1866 წლის 15 აგვისტოს ცნობებით) იყო: 1) თავადებისა და ჩინოვნიკების შვილები—33 მოსწავლე, 2) ვაჭრებისა და საპატიო მოქალაქეთა შვილები — 14, 3) მეშჩანების შვილები — 16 და 4) დაბალი წოდების — 7 მოსწავლე.

ამრიგად, ღარიბ ოსთა შვილებს (თითქმის მთლიანად) ქალთა სკოლებში კარი დახშული ჰქონდა.[164]

ვლადიკავკავის ოსური ქალთა სკოლის ხარჯები 1880 წლისათვის თვალსაჩინოდ (ე. ი. 6,495 მან.) გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ „საზოგადოებას“ დიდად ეძნელებოდა აღნიშნული სკოლის შენახვა (24 აღსაზრდელით), საერთო ხარჯები „საზოგადოების“ ხაზით 28.024 მანეთამდე იქნა აყვანილი.

1880 წლის 13 მაისს ვლადიკავკავის ოს ქალთა სკოლის მთელი მუშაობა, პანსიონატი, ბავშვთა კვება, ცოდნა-მომზადება კავკასიის მეფისნაცვლის მიერ იქნა მოწონებული, ხოლო ამავე წლის 22 მაისს, სკოლის შემოწმების დროს იგივე მოსაზრება ინსპექტორთან ერთად დადასტურებულ იქნა მღვდელ-მთავარის — ვლადიკავკავის ეპისკოპოსს — იოსების, თერგის ოლქის სახ. სკოლების ინსპექტორ —ს. გრუშევსკისა და სხვათა მიერ, რომლებმაც მოიწონეს მოსწავლეთა მხრივ ოსურიდან რუსულ ენაზე „ოთხთა სახარების“ თარგმნა, წმინდანების ისტორიასა და კატეხიზმის ცოდნაში, რუსეთის ლიტერატურაში, გეოგრაფიაში, ისტორიასა და პედაგოგიკაში მოსწავლეთა მომზადება.[165]

1891 წლის 1 იანვრიდან კავკავის დედათა სამკლასიანი სასწავლებელი. „საზოგადოებამ“ დახურა იმ საბაბით, თითქოს მისი

---

[163] გაზ. „კავკაზ“, 1876 წ., № 3, გვ. 2.

[164] Материалы по истории осетинского народа, т. V, сборник документов по истории народного образования в Осетии, 1942 г., стр. 104—105.

[165] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 год, стр. 83—84.

შენახვა „ძვირი ჯდებოდა“, ხოლო სარგებლობა მას „ნაკლები მოჰქონდა“.[166] აღნიშნული სკოლის ნაცვლად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთკლასიან დედათა სკოლის გამართვისა — ერთი (თერგის გაღმა)—სოფ. ჩირისტონყაუში, ხოლო მეორე კი—(თერგს გამოღმა) სოფ. ხუმალაგში. 1891 წლის 7 იანვარს ამ საქმეზე თბილისიდან ვლადიკავკაკში სპეციალური კომისია (მღვდელ-მონაზონის — ლეონიდის, დეკანოზ კალისტოვისა და პოლკოვნიკ კომაროვის შემადგენლობით) ჩავიდა, რომელმაც დაითანხმა ადგილობრივი მოსახლეობა დასახელებულ სოფლებში ქალთა ერთკლასიანი სკოლების გახსნის, სასკოლო ბინების გამოყოფის, შენის მიზიდვისა და მასწავლებელთა შესანახი ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ამრიგად, სკოლების შენახვის მთელი ხარჯები კვლავ ადგილობრივ ოს მოსახლეობას დაეკისრა. ამავე დროს, ოლღის სახელობის კავკავის ოს ქალთა სკოლა 1891 წელს „სკოლა-პრიუტად“ იქნა გადაკეთებული.[167]

XIX საუკუნის 50—60-იან წლებში ოსებში საკმაოდ გაიზარდა სწავლისადმი ინტერესი, ცოდნის შეძენისადმი მისწრაფება და სკოლების დაარსებისაკენ ლტოლვა. ოსეთის კულტურის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი პრესაშიაც აშკარად გამოთქვამდა იმ აზრს, რომ ოსები ცოდნის მოტრფიალენი, ცნობისმოყვარენი, მოსაზრებულნი და რუსული ენის ადვილად შემთვისებელნი არიან, ისინი ადვილად ახერხებენ საშუალო სკოლებში შესვლას, ხოლო ბევრი მათგანი გამოირჩევიან ყურადღებითა და შრომისმოყვარეობით. ზოგიერთ მკვლევართა მოსაზრებით, ოსებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ დამწერლობა, საკუთარი ანბანი, წიგნი, კულტურა და სკოლა, ვიდრე რომელიმე სხვა ერს, რადგანაც, მათი გაგებით „...მსოფლიო უნდა მართოს ანბანმა და არა მახვილმა და თოფმა... არც ერთი ერისათვის ეს არ არის ისე აუცილებელი, როგორც ოსებისათვის“.[168]

XIX საუკ. მეორე ნახევრისა და XX საუკუნის რევოლუციამდელი რუსული პრესა კარგად ორგანიზებულ სკოლას ყოველი ერის კულტურული განვითარების მთავარ ფაქტორად აღიარებდა, მაგრამ სკოლის ქსელის გაფართოება განსაკუთრებით საჭიროდ

---

[166] გაზ. „ივერია“, 1891 წ. 30 იანვარი. იხ. სტატია ხელმოწერით: „ქართველი ოსებში“.

[167] Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860—1910 гг., изд. 1910 г., стр. 187.

[168] „Журнал Министерства народного просвещения“. 1917 г. Январь. стр. 91. იხ. ს. ვ. ფარფაროვსკის ნარკვევი „Народное образование у осетин“.

მიაჩნდა ოსებისათვის, რომელთა „გაქრისტიანება“ (რუსეთთან დაახლოების მიზნით) მეფის თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენდა.

1830—1850-იან წლებში ჩრდილო ოსეთში 12 ეკლესია აშენდა, რომელთა მღვდლებს (გარდა ოსების „მონათვლისა“) დაევალა სკოლების მოწყობა და წერა-კითხვის გავრცელება.[169] აღნიშნულ პერიოდში სასკოლო განათლების წყაროს ოსებისათვის წარმოადგენდა ახლად დაარსებული მთიელთა სკოლა ვლადიკავკაზში და ორი სასწავლებელი: სამაზრო და სასულიერო — მოზდოკში.[170] აღნიშნული სკოლები ადგილობრივი პრივილეგიური ფენების შვილების აღზრდის საქმეს ემსახურებოდა. ეს სასწავლებლები საუკეთესო წყაროს წარმოადგენდა ოსი მოსახლეობის განათლებისათვის, ვინაიდან „...ისინი მეტად ხალისიანად აძლევდნენ მათში თავიანთ შვილებს“.[171] სასკოლო ქსელი შედარებით გაფართოვდა XIX საუკ. 60-იან წლებში, როდესაც ოსეთის „სასულიერო კომისიის“ ფუნქციები „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ შესცვალა.[172] საზოგადოების ჩამოყალიბების ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ოსეთის სოფლებში აქა-იქ გაჩნდნენ განათლების პატარ-პატარა კერები, რომლებიც ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად ხალხში წერა-კითხვისა და ცოდნის პირველ სხივებს ავრცელებდა. ასეთი სკოლები ჩრდ. ოსეთში გასული საუკუნის 50-იან წლებში 35-ს აღწევდა, რომელშიც 380—400-მდე ბავშვი სწავლობდა.[173] მართალია, სასკოლო საქმეში მაშინ ბევრი ისეთი დაბრკოლება (ცუდად სწავლება, ხელსაწყო-მოწყობილობათა უქონლობა და სხვ.) არსებობდა, რომელიც ამცირებდა სკოლის რაოდენობრივი ზრდის მნიშვნელობას, მაგრამ ფაქტია, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლებმა მაინც გარკვეული როლი შეასრულეს მთის მოსახლეობის გონებრივი გამოფხიზლებისა და ზნეობრივი ამაღლების საქმეში.

„კავკასიაში მართლმ. ქრისტ. აღმ. საზოგადოებამ“ 1861 წელს გაიფვალისწინა ეკლესიებთან სკოლების მოწყობა, რისთვისაც: ა) შეიმუშავა „წესები“ საეკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნის

---

[169] „Журнал Министерства народного просвещения“, 1917, январь, стр. 92.

[170] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, изд. упр. Кавк. уч. округа, 1883 г., вып. III, стр. 309.

[171] ი ქ ვ ე, გვ. 310.

[172] ი ქ ვ ე, გვ. 310.

[173] ი ქ ვ ე, გვ. 311.

შესახებ; ბ) ხელი მიჰყო სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემას; გ) მღვდლებს დაავალა ადგილობრივი ენის შესწავლა; დ) შეეცადა სასკოლო შენობების მოწყობას იქ (მაგ.: ჯავაში, როკაში, ბეკმარში), სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე მათი აგება შეუძლებელი ხდებოდა. 1863 წლის ივნისში „საზოგადოებამ" წინადადება მისცა მთის ეკლესიების მღვდლებს: ა) მოეწყოთ თავიანთ სამრევლოებში სკოლები; ბ) სადაც არ იყო სკოლის მოწყობის შესაძლებლობა, თითონ აეყვანათ რამდენიმე ბავშვი და ესწავლებინათ მათთვის (ვაჟებისათვის 10 მანეთად, გოგონებისათვის — კი 15 მანეთად) წერა-კითხვა; გ) მღვდლებს გაეგზავნა ელემენტარული სასწავლო მოწყობილობა, რაც აუცილებელი იყო სკოლაში პირველი მეცადინეობის დაწყებისათვის; დ) გამოყო მასწავლებლები დარგკოხის, ბატაკოიურტოვსკის, ჯავისა და ორტევის სკოლებისათვის, რომელთაგან თვითეულს წლიურად ას-ასი მანეთი ხელფასი დაუნიშნა.[174]

XIX საუკუნის 60—70 წლებში კავკასიის მთის ხალხებში სწავლის წყურვილი იზრდებოდა, ხოლო სასკოლო ქსელის ზრდის ტემპი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა ცოდნის მიღებისადმი მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. სწავლა-განათლების საქმისადმი რეალური დახმარების მაგიერ „საზოგადოება" რჩევას იძლეოდა რომ: ა) ყოველ სამრევლოში ხალხს თვით აეშენებინა კეთილმოწყობილი სასკოლო შენობები; ბ) ადგილობრივ სამოქალაქო ხელისუფლებას მეტი აქტიობა გამოეჩინა სკოლის დაარსებისა და შენახვის მხრივ: გ) გათვალისწინებული ყოფილიყო განსაკუთრებული მასწავლებლების შერჩევა სამრევლო სკოლებისათვის და ა. შ., მაგრამ ეს ღონისძიებანი განუხორციელებელი აღმოჩნდა.[175]

კავკასიის მთიანეთში XVIII საუკ. ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადგილობრივი ახალი ინტელიგენცია, რომელიც თავის გავლენას აძლიერებდა მაჰმადიანურ მოსახლეობაზე და ამით უმცირებდა მათ რუსული კულტურის ელემენტების უცხოობისა და თურქეთისადმი სიმპათიის გრძნობებს. ისინი პირადი მაგალითით ცდილობდნენ მაჰმადიან

---

[174] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1862 и 1865 гг., 1865 г., стр. 15.

[175] იქვე, გვ. 18.

ოსთა დარწმუნებას ქრისტიანული სარწმუნოებისა და განათლების მიღების აუცილებლობაში.[176]

1860—70-იან წლებში ოსეთის მთის სოფლებში 30-მდე პირველდაწყებითი სკოლა იყო, რომელშიც 444 მოსწავლე ვაჟი და 23 ქალი სწავლობდა. სკოლის მთელი კონტინგენტის შემადგენლობაში მაშინდელი კლასიფიკაციით შედიოდა: სამურძაყანოელი (იგივე ქართველი)—71, უდინები—25 და ოსები—371. ამ სკოლებში უმთავრესად მღვდლები ასწავლიდნენ, რომელთაც არ გააჩნდათ პედაგოგიური განათლება, საეკლესიო „საქმეებით" გადატვირთვის გამო არ ეცალათ სკოლებისათვის. ამავე დროს, მთიელთა შორის ყველას არ ჰქონდა შეგნებული განათლების ძალა და მნიშვნელობა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თავს ნაკლებად იწუხებდნენ სკოლების გახსნისა და მათი კეთილმოწყობისათვის.

1862 და 1863 წლებში „კავკასიაში მართლმ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სამოქმედო ტერიტორია დაყოფილი იყო: 1) ვლადიკავკავის (ბლაღოჩინი პროტოიერი—კოლიევი), 2) არდონის (მიხეილ სუხიევი), 3) დიგორის (ალექსი ალადჯიკოვი), 4) ჯავის (პეტრე კონჩუევი), 5) ორტევის (სოლომონ კანდელაკი) „საბლაღოჩინოებად" და ცალკე „საკრებულოებად". „ვლადიკავკავის საბლაღოჩინოში", 12 სამრევლო საზოგადოებიდან საეკლესიო-სამრევლო სკოლები არსებობდა მხოლოდ 6 სამრევლოში, მათ შორის: ვლადიკავკავის (ქალთა სკოლა, რომელსაც თვით კოლიევი ხელმძღვანელობდა), დალაკავსკის (ღურბელაძე), ბატაკო—იურტოვსკის (ხარებოვი), კადგერონის (ბედიევი), დარგკოხის (მარკოზოვი) და საუდალსკის (ჯანუევი) სამრევლოებში[178].

არდონის „საბლაღოჩინოს" 10 სამრევლოდან სკოლები ძო-

---

[176] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. III, 1888 г., стр. 312—313. იხ. დ. ლავროვის ნარკვევი: „Заметки об Осетии и осетинах".

[177] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1862 и 1863 годы, 1865 г., стр. 17—18.

[178] იქვე, გვ. 73—95. დასახელებულ წლებში ზემოაღნიშნულ „საბლაღოჩინოში" მღვდლობისა და მასწავლებლობის ფუნქციას ასრულებდნენ ზარიძე, გახოკიძე, ბახტაძე, ღურბელაძე და სხვა საეკლესიო ქართველი მოღვაწეები.

ქმედებდა — 3-ში, მათ შორის: არდონსა, ნარსა და სადონში[179]. დიგორის 7 საზოგადოებიდან სკოლები იყო მხოლოდ ვოლნოხრისტიანოვსკის, გალოცკის, მიზურის და მეხჩინის სამრევლოებში. სადაც ცნობილი სემინარიელი მოღვაწის ალაჯიკოვის გარდა საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ მღვდლები: აღლაძე, სურგულაძე, გიუნაშვილი და სხვები.

ჯავის „საბლაღოჩინოს“ 13 საზოგადოებიდან სკოლა მხოლოდ ჯავასა და ბეყმარში არსებობდა.[180] ორტევის „საბლაღოჩინოს“ ათი სასოფლო საზოგადოებიდან სკოლები მხოლოდ ორტევის, ბესტავაანთსოფლის, კუცოეთის და წინასოფლის სამრევლოს ემსახურებოდა.[181] გარდა ამისა, ოსეთის ცალკე „საკრებულოში“ (კოილიასარში) არსებობდა სკოლა, რომელიც 579 მცხოვრებზე იყო გაკუთვნილი.[182]

1862 წლის 1 იანვრისათვის „კავკასიაში მართლმ. ქრისტ. აღმდ. საზოგადოების“ შემოსავალი სულ 407,593 მან. და 18 ½ კაპ. შეადგენდა, ხოლო გასავალი —26,385 მან. 27½ კაპ. საინტერესოა, რომ გასული თანხის დიდი ნაწილი ე. ი. 11.404 მან. 37 კაპ. საზოგადოების წევრთა „სამკერდე ნიშნების“ მომზადებაზე დაიხარჯა, 6.936 მან. და 27½ კაპ.— ეკლესიის მსახურთა ხელფასზე, ხოლო სკოლებისა და მოსწავლეთა შენახვაზე მხოლოდ 2,956 მან. და 3 კაპ. გარდა ამისა, წიგნების გამოცემასა და ბეჭდვაზე 3.999 მან. და 80 კაპ. იქნა დახარჯული.[183] ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ „საზოგადოების“ მხრივ სკოლებისა და ხალხის განათლების საქმეებისადმი გულგრილ დამოკიდებულებასა და ეკლესიის მსახურთა უპირატესი მდგომარეობის შესახებ.

---

[179] ი ქ ვ ე, გვ. 73—95. აღნიშნულ სამრევლოებში ეკლესიებსა და სკოლებს ქართველებიდან ემსახურებოდნენ მღვდლები: ლოლაძე, ბალაძე, ხატისკაცი, სამარგულიანი და სხვები.

[180] გარდა აღნიშნულ სკოლებში მომუშავე პირებისა, საეკლესიო ცოდნისა და წერა-კითხვის გავრცელების საქმეში გარკვეულ მონაწილეობას იღებდნენ საეკლესიო მოღვაწენი: მაკავარიანი, მაღალდაძე, ყიფშიძე, კვანტაბაძე, ხახუტაშვილი, პონჯაიძე, კობიაშვილი, ელიაშვილი, კასრაძე და სხვები,

[181] ორტევის საბლაღოჩინოში საეკლესიო „განათლებას“ ავრცელებდნენ მღვდლები: კანდელაკი, ლომოური, ელიაშვილი, ცხვედაძე, ოკროპირიძე, პაპიტაშვილი და მარკოზაშვილი.

[182] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1862 и 1863 гг., 1865 г., стр. 73—95. იხ. იქვე: „Сведение о церковных прич. и приходах, состоящих в ведении общ. восст. пр. христ. на Кавказе“.

[183] Документы по истории Грузии (1862—1917), том I, ч. 1, под редакцией проф. Ш. К. Чхетия, Тбилиси, 1954 г., стр. 543. შდრ ЦГИА ГССР, Ф. 219, д. 61, Л. 3—28.

„კავკასიაში მართლმ. ქრ. აღმდგ. საზოგადოების“ შემოსავალი 1861 წლიდან 1863 წლამდე ჩათვლით შეადგენდა 619.849 მან. და 61¼ კაპ. აქედან 1862 წელს დაიხარჯა სულ 77.680 მან და 17 ½ კაპ., ხოლო 1863 წელს 91,980 მან. და 75 ¼ კაპ., 1862 წელს დაიხარჯა: ა) სკოლების მოწყობაზე მათ შენახვასა და მოსწავლეებზე — 14.318 მან. და 57 ½ კაპ. და ბ) წიგნების თარგმნასა და დაბეჭდვაზე — 5.382 მან. 68 ¼ კაპ.

1863 წელს სკოლების შენახვაზე დაიხარჯა — 10.994 მან. 56 ½ კაპ. წიგნებისა და ანბანის შედგენა-დაბეჭდვისათვის — 2664 მან. 90 კაპ[184].

ამრიგად, აღნიშნული „საზოგადოება“ თავისი შემოსავლის ⅘-ს ეკლესიების მშენებლობაზე, მღვდლების შენახვაზე და ხალხის გონების დაბნელებისათვის განკუთვნილ „ლოცვების“ თარგმანებზე ხარჯავდა, ხოლო ⅕-ს — საეკლესიო სკოლებზე, რომელიც ხელს უწყობდა მთის მოსახლეობაში მეფის თვითმპყრობელობისა და ეკლესიის ერთგული ახალგაზრდობის აღზრდას.

1871 წელს ჩრ. ოსეთში არსებობდა 15 საეკლესიო-სამრევლო სკოლა (მათ შორის ერთი ქალთა სკოლა — 17 მოსწავლით), რომელშიც გოგონების ჩათვლით — 470 ბავშვი სწავლობდა. 1880 წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ 20 სკოლა მოქმედებდა, მათ შორის — 7 ქალთა (ალაგირის, სალუგარდანის, არდონის. ოლღის სახ. 3 კლასიანი, დანარჩენი — ერთკლასიანი) სკოლა, რომელშიც 674 მოსწავლე (აქედან — 197 ქალი) ირიცხებოდა.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1869 წელს „საზოგადოების“ უწყებაში ოთხი ტიპის დაწყებითი სკოლა ჩამოყალიბდა: 1) ერთკლასიანი; 2) ორკლასიანი; 3) სამკლასიანი და 4) საკვირაო სკოლები მოზრდილთათვის[185]. სამრევლო სკოლები იყო პირველი და მეორე თანრიგისა. პირველი თანრიგის სკოლაში 20 მოსწავლეს იღებდნენ, ხოლო მეორეში კი — 10-დან — 15-მდე მოსწავლეს[186].

1880 სასწ. წლის დასაწყისში „კავკ. მართლმ. ქრ. აღმ. საზოგადოების“ სკოლებში სულ 1578 მოსწავლე ირიცხებოდა. მათ შორის—1203 ვაჟი და 275 ქალი. წლის ბოლოს მოსწავლეთა საერთო

---

184 იქვე, გვ. 4—6.

185 Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860—1910 гг., стр. 187.

186 Сборник документов по истории народного образования в Осетии, 1942 г., стр. 116.

რიცხვი 1757-მდე გაიზარდა. მოსწავლეთა რიცხვის საგრძნობ ზრდას უმთავრესად ადგილი ჰქონდა ვლადიკავკაკის ოკრუგისა და მთის სხვა რაიონების სკოლებში[187].

„მართლმ. ქრისტ. აღმ. საზოგადოების“ სკოლებში გაერთიანებულ მოსწავლეთა განაწილება ეროვნების მიხედვით იმას ადასტურებს, რომ მეფის თვითმპყრობელობის მთელი პოლიტიკა კავკასიელ ხალხთა დაქუცმაცებისა და სკოლების საშუალებით მათი გადაგვარებისაკენ იყო მიმართული.

ეროვნულ-ტომობრივი შემადგენლობის მიხედვით „ქრისტ. აღმდ. საზოგადოების“ საეკლესიო-სამრეწველო სკოლებში 1880 წელს სწავლობდა: რუსი — 79, ბერძენი — 7, ქართველი — 317, ფშაველი — 53, ხევსური — 15, ინგილო — 91, იმერლები და გურულები — 6, მეგრელები და სამურძაყანოელები — 190, ოსები — 855, სომხები — 26, ქურთები — 7, ებრაელები — 10, აისორები — 0, აფხაზები — 36[188].

მოსწავლე გოგონების შემადგენლობიდან 54 გოგონა ვლადიკავკაკის ქალთა თავშესაფარში ცხოვრობდა. 1885 წელს იმავე საეკლესიო უწყების ყველა 21 სკოლაში ჩ. ოსეთში სულ 986 ბავშვი და მოზარდი სწავლობდა, რომელშიაც მოსწავლე გოგონების რაოდენობა 379-ს აღწევდა. 1895 წელს 1871 წელთან შედარებით საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა, მაგრამ სასკოლო ასაკის ოს ბავშვთა მაქსიმალური უმრავლესობა (ცხრა-მეათედზე მეტი) მაინც სკოლის გარეთ იმყოფებოდა. 1898 წელს საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი ოსეთში 32-დე იქნა აყვანილი, რომელშიაც ვლადიკავკაკის სკოლის ჩაუთვლელად 3355 ვაჟი და 469 გოგონა (სულ 3824 მოსწავლე) სწავლობდა[189].

სკოლების უმთავრესი მიზანი ოსეთში იმდენად მთიელთა კულტურის ამაღლება როდი იყო, რამდენადაც ხალხში ქრისტიანობის გავრცელება, მართლმადიდებელთა სარწმუნოების დანერგვა და მეფის ერთგულების რწმენის გაძლიერება.

---

[187] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 г., изд. 1884 г., стр. 7б.

[188] ქართველი ერის დაქუცმაცებისა და დასუსტების მიზნით ქართველთა ტომებს: ფშაველებს, ხევსურებს, ინგილოებს, იმერლებს, გურულებს, მეგრელებს, სამურძაყანოელებს და სხვებს მეფის მოხელეები ცალკე ეროვნებებად აცხადებდა.

[189] ი ქ ვ ე, გვ. 206—207.

კავკასიელ ხალხებს შორის, ისეთი პატარა, მაგრამ ცნობილი ერი, როგორიც ქართველებია, მოსწავლეთა ეროვნულ შემადგენლობაში თვითმპყრობელებს 7 — 8 ერად (ქართველებად, ფშაველებად, ხევსურებად, ინგილოებად, იმერლებად, გურულებად, მეგრელებად და სამურძაყანოებლებად) ჰყავდათ წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ყველასათვის ცნობილი იყო და არის, რომ ეს „ეროვნებანი" ფაქტიურად ქართველთა ტომებია და საუკუნეთა მანძილზე ქართველებად იწოდებიან. მეორეს მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მთავარ კონტიგენტს (855 მოსწავლეს) **ოსები** წარმოადგენდა, რადგანაც ცარიზმის ერთ ერთ ძირითად მიზანს სკოლების საშუალებით ოსეთის „მიმხრობა" და თვითმპყრობელი რუსეთის „პროტექტორატში" მისი ნებაყოფლობითი შეყვანა შეადგენდა. მოსწავლეთა დასახელებულ კონტიგენტში წოდებათა მიხედვით იყო: თავადების შვილები — 41, ბეგების — 13, აზნაურების — 66, სასულიერო პირთა — 57, ვაჭრების — 22, მოხარკეთა კი — 1558[190]. სწავლების ელემენტარული ხასიათის მიუხედავად, შეძლებულთა შვილების აღზრდაწ აღნიშნულ სკოლებში მაინც პრივილეგია ეძლეოდა.

სკოლების, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემადგენლობა ოსეთში 1880 წლისათვის შემდეგ სურათს გვიჩვენებდა[191]:

№№ რიგ.	სკოლების დასახელება ადგილის მიხედვით	მეხუთეებნა როდენობა	მასწავლებელთა შემადგენლობა: სამინარიელი მასწავლებელი	არა სამ. მასწავ.	მიყენებული ეპ. ეპარქიის მასწავ.	მასწავლ. ქალები	ს ე ნ	მოსწავლეები: ვაჟები	ქალები	ს ე ნ	სკოლასთან არსებული „პროიუტი" სწავ.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	ჩრდილოეთ ოსეთი				ა) ვაჟთა ერთკლასიანი სკოლები:						
1	გიხელის	1972	1	2	1	—	4	36	—	36	—
2	დარგკოხის	1365	1	—	1	—	2	42	—	42	—
3	ალაგირის . . .	2689	1	1	1	1	4	93	—	93	—
4	ბატაკო-იურტოვსკის .	1363	—	1	1	—	2	44	—	44	—
5	ოლღის სახ.	1789	1	1	—	—	2	43	—	43	—
6	მიზურის	1254	—	1	1	—	2	25	—	25	—
7	არდონის . . .	2422	1	1	1	—	3	67	—	67	—
8	ვოლნო-ხრისტიანოვსკის .	3796	—	2	1	—	31	02	—	102	—
9	ხუმალაგის . . .	1576	1	—	—	—	1	35	—	35	—

190 Отчет о деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 г., стр. 76—77.

191 ი ქ ვ ე, გვ. 94—96.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
10	დალაკავსკის . .	1228	—	1	1	—	2	35	—	35	—
11	დარგავსკის .	3345	1	—	—	—	1	28	2	30	2
12	სადონის .	1277	—	1	1	—	2	38	11	49	—
13	ზარომაგის . .	960	—	1	—	—	1	33	—	33	—
	ს ,ულ		7	12	9	1	29	261	13	634	2
	სამხრ. ოსეთი·										
1	ვანათის . .	1184	1	—	1	—	2	23	12	35	—
2	როკის .	455	—	1	—	—	1	30	—	30	—
3	ჯავის . .	1605	1	—	1	—	2	52	—	52	—
4	ბეყმარის . .	1879	—	1	1	—	2	17	—	17	—
	ს ,ულ .		2	2	3	—	7	122	12	134	—
		ბ) ქალთა სამკლასიანი სკოლები									
1	ვლადიკავკავის . .	20057	—	—	1	5	6	—	63	63	24
		გ) ქალთა ერთკლასიანი სკოლები									
1	ალაგირის .		—	—	—	1	1	—	30	30	—
2	ოლგინის .		—	—	—	1	1	—	23	23	—
3	არდონის		—	—	—	1	1	—	29	29	—
4	დარგკოხის .		—	—	—	1	1	—	28	28	—
5	ხუმალაგის		—	—	—	1	1	—	35	35	—
	ს ,ულ					5	5	—	145	145	[193]

აღნიშნული ცხრილიდან ირკვევა, რომ ვლადიკავკავის ოლქში „საზოგადოება“ 1880 წლის დასაწყისში 13 ვაჟთა და 6 ქალთა სკოლას განაგებდა, ხოლო სამხრეთ ოსეთში — 4 საეკლესიო სამრევლო სკოლას. ამრიგად, სკოლების საერთო რიცხვი წინა წელთან შედარებით ერთით (დაიხურა გიზელის ქალთა სკოლა) — შემცირდა[193]. 85.834 მცხოვრებს კავკასიის მთიანეთში ემსახურებოდა „ქრისტიანობის აღმდ. საზოგადოების“ 35 ვაჟთა და 7 ქალთა სკოლა. 42 სკოლიდან 31 სასწავლებელი მთის მოსახლეობის „გაქრისტიანებისათვის“ იყო გამიზნული[194]. „საზოგადოების“ ხელ-

[192] Отчет о деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 г., стр. 98—101.

[193] ი ბ ი ვ ე, გვ. 63.

[194] ი ბ ი ვ ე.

მძღვანელობა თავისი მისიონერული მიზნების განხორციელებისათვის ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. საქართველოს ეგზარხოსის—ევგენის გამოთქმით, ეკლესიებისა და სკოლებისათვის შერჩეული უნდა ყოფილიყო ისეთი პირები, რომლებიც „აღზრდილნი არიან მშობლიურ სასულიერო სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში... აქვს რა მიზნად ღვთისადმი ერთგულება და სამსახური, მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელება პოლიტიკურ მიზანსაც უნდა შეიცავდეს“[195]. ამრიგად, როგორც კავკასიის სხვა კუთხეებში, ისე ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსებშიაც სკოლა მეფის თვითმპყრობელობის კოლონიალური მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა. 1898 წელს ვლადიკავკავის ეპარქიალური სასწავლებლის საბჭოს თანამშრომელი, საეკლესიო სკოლების რიცხვის გადიდებასთან დაკავშირებით წერდა, რომ „სკოლა ოსეთში არის მისიონერული ბანაკი“ და მთიელთა შორის არავითარი სხვა სკოლა საჭირო არ არის, რადგანაც მისი აზრით. უმჯობესია „...ოსეთში, მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო სკოლა იქნეს დანერგილი...“[196]

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის (1905 — 1907 წწ.) პერიოდში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში „კავკასიაში მართლმ. ქრისტ. აღმ. საზოგადოების“ კომპენტენციაში არსებული სკოლების, მოსწავლეებისა და მასწავლებელთა შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლეოდა:

№№ რიგზე	სკოლის დასახელება და მისი დაარსების წელი	სკოლის ადგილმდებარეობა (სოფელი)	სკოლის შენობის ვარგისიანობა ან ბოლოდ	მოსწავლეთა შემადგენლობა 1906—1907 წწ.			მასწავლებლების რაოდენობა
				ვაჟი	ქალი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8
	ჩრდილოეთ ოსეთში						
1	არდონის 2-კლასიანი (1869 წ.)	არდონი	სას. საზ. მიერ აგებულია 3000 მან. 1904 წ. დაიწყო ახალი შენობის აგება	317/265	—	317/265	გამგიანად 3 მასწ.
2	ბესლანის (1890 წ.)	ბესლანი	3500+1500	31/26	—	31/26	გამგიანად 2. მასწ.
3	ვლადიმირის 2 კლასიანი (ყოფ. ბატაკო-იურტოვის, დაარს. 1870 წ.)	ვლადიმირი	5000 მან.	140/109	—	140/109	გამგიან. 3 მასწ.

[195] ი ქ ვ ე, გვ. 146.
[196] Материалы по истории Осетии, т. VI, стр. 164.

1	2	3	4	5	6	7	8
4	გალიათის 2—კლასიანი (1895 წ.)	გალიათი	—	10 / 50	—	0 / 50	
5	გიზელის 2 კლასიანი (1870 წ.)	გიზელი	7000 მან.	0 / 116	—	0 / 116	გამგიანად 2 მასწ.
6	დალაკაუს 2 კლასიანი (1863 წ.)	დალაკაუ	—	90 / 89	30	120 / 89	გამგიანად 3 მასწ.
7	დარგავის 2 კლასიანი (1869 წ.)	დარგავი	6000 მან.	67 / 95	23 / 21	90 / 116	გამგიანად 2 მასწ.
8	დარგკოხის 2 კლასიანი (1870 წ) ვაჟთა	დარგკოხი	2000 „	120 / 107	—	120 / 107	გამგიანად 2 მასწ.
9	დარგკოხის 2 კლ. ქალთა სკ. (1894 წ.)	დარგკოხი	ვაჟთა სკ. შენობაში	—	37 / 48	37 / 48	გაძგე და 1 მასწ.
10	კადგაროხის 2 კლ. (1893)	მაჩხესკი	აგებულია 12 ათ. მან. უკეთესი შენობა ოსეთში არ არის	106 / 81	10 / 0	116 / 81	
11	ოლგინსკის ვაჟთა ორკლასიანი (1869 წ.)	ოლგინსკი	5000 მან. აგებულია სკოლის საზ-ბის მიერ	151 / 112	—	151 / 112	გამგე და მასწ.
12	ოლგინსკის ქალთა (1892 წ.)	ოლგინსკი	ვაჟთა სკოლის შენობაში	—	91 / 106	91 / 106	გამგ. 2 მასწ.
13	სალუგარდანის ვაჟთა 2 კლასიანი (1874 წ.)	სალუგარდანი	7000 მან. საზ. და ადგ. მცხ. მიერ	0 / 124	—	0 / 124	3 მასწ.
14	სალუგარდანის ქალთა (1867 წ.)	—.—	ვაჟთა სკოლის შენობაში	—	54 / 60	54 / 60	3 ძასწ.
15	ხუმალაგის ვაჟთა 2 კლასიანი (1869 წ.)	ხუმალაგა	3000 მან. 1904 წ.	0 / 80	—	0 / 80	2 ძასწ.
16	ხუმალაგის ქალთა სკ. (1891 წ.)	— „—	ვაჟთა სკ. შეხობაში	—	85 / 85	85 / 85	გამგე და მასწ.
17	ხიდიკუსის	ხიდიკუსი	—	0 / 80	—	0 / 80	2 მასწ.

1	2	3	4	5	6	7	8
1	არკნეთის (1903 წ.)	არკნეთი	დრ. შენობა	21	4	25	
				29	7	36	2 მასწ.
2	აწერისხევის (1897 წ.)	აწერისხევი	—	9	14	23	
				11	17	28	1
3	ვანათის 2 კლ. 1899 წ. და ერთ-კლასიანი—(1879 წ.)	ვანათი	ორსართულიანი შენობა 200 მან. „სახ." მიერ	—	—	—	3 მასწ.
4	გუჯარეთის (1903 წ.) . .	გუჯარეთი	უფარგისი შენობა	27	–	27	
				34		34	2 მასწ.
			სამხრეთ ოსეთში [107]				
1	ჯავის 2 კლასიანი (1852 წ.)	ჯავა	მცხ. მიერ აგებული 3000 მან. აგურის შენობა	92	2	94	
				92	8	100	3 მასწ.
2	ჯრიის (1903 წ.)	ჯრია	ხის შენობა (450 მან).	52	2	54	
				58	4	62	2
3	ზღუბირის (1904 წ.)	ზღუბირი	ეკლესიის შენობა	35	9	44	
				41	6	47	2
4	კოშკის (1891 წ.) .	კოშკი	სოფელმა ააგო 700 მან.	17	2	19	
				16	4	20	2
5	ყორნისის (1869 წ.) .	ყორნისი	800 მან. სოფ. ააგო	33	0	33	
				37	1	38	2
6	მსხლების (1903 წ.)	მსხლები	სამლოცველოში	21	15	36	
				23	12	35	2
7	როკის (1890 წ.)	როკაში	—	32	11	43	
				36	7	43	2 2
8	ჯვრიეის (1903 წ.) .	ჯვრიეი	დაქირავებული	36	3	39	
				36	5	41	1

წარმოდგენილი „უწყისი" გვიჩვენებს, რომ კავკასიაში „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ხაზით 1906 — 1907 წწ. ჩრდილო ოსეთში არსებობდა 11 ორკლასიანი და 6 ერთკლასიანი სკოლა, მათ შორის—4 ქალთა სასწავლებელი. ამავე უწყების სისტე-

[107] Отчет восстановления православного христианства на Кавказе за 1906 и 1907 гг., стр. 136—137.

მაში სამხრ. ოსეთში იყო 1 ორკლასიანი და 7 ერთკლასიანი სასწავლებელი. სულ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში 12 ორკლასიანი და 13 ერთკლასიანი (25) სამრევლო სკოლა მოქმედებდა, რომელშიაც 1906 წ. 1833 მოსწავლე, ხოლო 1907 წ. კი — 2138 ბავშვი სწავლობდა, მათ შორის 1906 წ. 365, ხოლო 1907 წ. — 391 მოსწავლე ქალები[198].

მარტო ვლადიკავკავის საეპარქიოში არსებობდა: 1906—1908 წწ. ორკლასიანი სკოლა—11, ერთკლასიანი სკოლა — 7.

ეს ციფრები ადასტურებენ იმას, რომ 1906 — 1908 წლებში საეკლესიო-სამრევლო სკოლების შემადგენლობაში ქსელის ზრდის თვალსაზრისით არავითარი ცვლილება არ მოხდარა[199].

1913 წელს ვლადიკავკავის ეპარქიაში ორკლასიანი სკოლები არსებობდა არდონსა, ვლადიმირსკსა, გიზელსა, დარგკოხსა, კადგარონსა, ოლგინსა, ხრისტიანოვსკოესა და ხუმალაგში, რომელშიაც სულ—1455 მოსწავლე სწავლობდა. ამ სკოლებს 32 მასწავლებელი (მათ შორის 18 კაცი და 14 ქალი) და 9 მღვდელი (სამღვთო სჯულის მასწავლებელი) ასწავლიდა[200]. გარდა ამისა, ერთკლასიანი სკოლები მოქმედებდნენ ალაგირში, არდონში, ბესლანში, ვლადიმირსკში, გალიატში, გიზელში, გულარში, დაგომში, დალაკკაუში, დარგავში, დარგკოხში, ჯემარაში, დუნტაში, ზაკში, ზარომაგში, ზგიდში, კადგარონში, კამულტაში, კანნში, კობანში, ლაცში, ლისრიხსში, მახჩესკში, მიზურში, ოლგინში, სადონში, სანიბა-ნოვში, სანიბა-სტარში, სტირ-დიგორში, ტიბში, უნალში, ნოვი-ურუხში, სრედნი-ურუხში, ხედიკუსში, ხოდში, ხრისტიანოვსკოეში, ხუმალაგში და ეცნაში. მსმენელთა რაოდენობა ამ სკოლებში უდრიდა 2413 მოსწავლეს, მათ შორის იყო 1494 ვაჟი და 919 ქალი. ერთკლასიანი სკოლები არსებობდა აგრეთვე არდონისა და არხონსკის აულებში და ხუტორებში, სადაც სულ 168 მოსწავლე (40 ვაჟი და 128 გოგონა) სწავლობდა[201].

---

[198] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907 гг., Тифлис, 1908 г., стр. 42.

[199] მოსწავლეთა აღნიშნულ კონტინგენტში ჩვენ ნაგულისხმევი გვაქვს მაშინდელი გორის მაზრის სოფლების: არკნეთის, აწერისხევის, ვანათის (ორკლასიანი) და გუჯარეთის სკოლების მოსწავლეთა შემადგენლობა, რომელიც ზემოთ ნაჩვენებ „უწყისშია“ წარმოდგენილი.

[200] Архив СОНИИ, фонд Владикавказского окр. отделения епархиального училищного совета, дело 1913 г., № 115.

[201] Материалы по истории осетинского народа, т. IV, сборник документов по истории народного образования в Осетии. Госиздат С/Ос 1942 г., стр. 199—200.

1914—1915 სასწავლო წლისათვის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი ოსეთში ერთგვარად გაიზარდა. 1915 წელს ოსეთის საეპარქიოს 11 ორკლასიან სკოლაში 1827 მოსწავლე (1678 ვაჟი და 149 ქალი) სწავლობდა. განყოფილებების მიხედვით ირიცხებოდა: I განყოფილებაში — 616 მოსწავლე, II — 438, III — 351, IV — 226, V — 153, VI — 43 მოსწავლე. აღნიშნულ წელს 2 კლასიანი სკოლის კურსი დაამთავრა სულ 51 მოსწავლემ (45 ვაჟმა და 6 გოგონამ), ერთკლასიანი სკოლისა — 125 მოსწავლემ, რომელთა შორის იყო ვაჟი—116, ხოლო გოგონა—9. მოსწავლეთა ამ შემადგენლობას 38 მასწავლებელი ასწავლიდა. ქ. ვლადიკავკავში 1915 წელს მოქმედებდა „საზოგადოების" 9 ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც სულ 626 ბავშვი (299 ვაჟი და 327 გოგონა) სწავლობდა. აქედან I განყოფილებაში იყო 279 მოსწავლე, II — 217, III — 107, IV — 23. ამათგან ერთკლასიანი სკოლის კურსი დაამთავრა (41 ვაჟმა და 43 გოგონამ) სულ—84 მოსწავლემ. მოსწავლეთა ამ შემადგენლობას 15 მასწავლებელი ასწავლიდა.

ვლადიკავკავის ოლქის 39 სკოლაში სულ 2389 მოსწავლე (მათ შორის: ვაჟი — 1341 და გოგონა — 1048) ირიცხებოდა, რომელთაგან: I განყოფილებაში იყო 1142 მოსწავლე, II — 593. III — 432, IV — 222. ერთკლასიანი სკოლის კურსის დასრულება შესძლო 77 ვაჟმა და 65 გოგონამ, სულ 142 მოსწავლემ. საეკლესიო-სამრევლო სკოლების ამ შემადგენლობას 51 მასწავლებელი ემსახურებოდა. სუჟეევსკის განყოფილების სკოლებში სულ 265 მოსწავლე იყო გაერთიანებული, საიდანაც ირიცხებოდა: I განყოფილებაში — 134, II — 97, III — 34, სულ 51 ვაჟი და 214 ქალი. ერთკლასიანი სკოლის კურსი მხოლოდ 15 გოგონამ დაამთავრა. მთელს ოლქში სწავლობდა: ვაჟი — 3389, ქალი — 1740, სულ — 5129. მათ შორის: I განყოფილებაში — 2174, II — 1333, III — 940, IV — 471, V — 161, VI — 45; ორკლასიანი სკოლის კურსი დაამთავრა 52 მოსწავლემ (მათ შორის ვაჟი —47, ქალი—5), ერთკლასიანი სკოლისა—443 მოსწავლემ (ვაჟი—255, ქალი—136). მოსწავლეთა მთელ შემადგენლობას სულ 109 მასწავლებელი ასწავლიდა, რომელთა შორის იყო 72 ქალი და 37 კაცი[202].

---

[202] Архив СОНИИ, фонд Владикавказского окружного отд. епархиального училищного совета, дело № 112, Л. 335—338. შდრ. „Сборник документов по истории народного образования в Осетии, Госиздат С. О. 1932 г., стр. 211—222.

წარმოდგენილი ციფრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლები ოსეთში მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა. ქალების აღზრდა მიზნად ისახავდა ოჯახზე მთავრობის გავლენის გაძლიერებას. სწავლების უვარგისი სისტემა აძნელებდა მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადასვლას და კურსის ნორმალურად დამთავრებას. სკოლებში უმთავრესად შეძლებული ფენების ახალგაზრდობა სწავლობდა, რომელთაც რელიგიური სულისკვეთებით ზრდიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ოფიციალური მოხელეების ყურადღება უმთავრესად საეკლესიო-სამრევლო სკოლების გაფართოებისაკენ იყო მიქცეული, ოსეთში სხვა ტიპის სკოლებიც წარმოიშვა, რომელთა რიცხვი, თუმცა შეუმჩნევლად, მაგრამ, მაინც იზრდებოდა. XIX საუკუნის 90-იან წლებში თერგის სახალხო სკოლების. დირექციის უწყებაში ჩამოყალიბდა სახალხო პირველდაწყებითი სკოლები, რომელიც მოსახლეობაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა. ასეთი სახალხო პირველდაწყებითი სკოლები პირველად სოფელ შანაევოსა და ნოგკაუში გაიხსნა. ოსეთის ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთა კერძო ინიციატივით ანალოგიური სკოლები ჩამოყალიბდა ბრუტეში, დურ-დურეში და სხვა ადგილებში, სადაც უმთავრესად გლეხთა ბავშვები სწავლობდნენ.

კავკასიის სასწავლო ოლქის უწყებაში ჯერ კიდევ 1854 წელს გაერთიანებულ 1498 მოსწავლის გარდა, ოსეთისა და სამურძაყანოს სკოლებში 114 მოსწავლე სწავლობდა[203].

1855 წელს, ამავე უწყების ხაზით ოსეთის, სვანეთის და სამურძაყანოს სკოლები 101 ბავშვს აერთიანებდა[204].

1898 წელს ვლადიკავკავის ოლქის სახ. სკოლების დირექციის პირველდაწყებით სასწავლებელში სწავლობდა 42 მოსწავლე, საშუალო სკოლებში — 48, უმაღლეს სასწავლებლებში — კი 17[205].

---

[203] Акты, т. XI, стр. 726.

[204] ი ქ ვ ე, გვ. 739. ჩვენთვის მოუხერხებელი შეიქმნა იმის გამორკვევა, მოსწავლეთა ზემოხსენებულ შემადგენლობაში რამდენი იყო ოსი და რამდენი სხვა ეროვნების ბავშვები.

[205] Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Терской области, дело 1887 г. № 14, Л. 197. См. Сборник документов по истории народного образования в Осетии, Госизд, СОНИИ, 1942 г., стр. 266—269.

XX საუკუნის დასაწყისში ოსეთის სხვადასხვა სოფლებში დაიწყო სახალხო განათლების სამინისტროს ერთკლასიანი და ორკლასიანი სახალხო სკოლების გახსნა, რომელთა რიცხვი 1913 წლის დასაწყისში 13-ს აღწევდა. თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორის ცნობით, 1913 წლის 1 იანვრისათვის სასოფლო ორკლასიანი სკოლები იყო: ალაგირის (1909 წ.), ხაშალკულის (1904 წ.), ზილგინის (1911 წ.), მაგომეტანის (1911 წ.), ნარის (1911 წ.), ტულატოვის (1910 წ.), ხრისტიანოვსკის (1908 წ.), ელხოტოვის (1908 წ.) და ზოგიერთ სხვა სოფლებში, ხოლო ერთკლასიანი — კარჯინის, ნოვიურუხის (1911 წ.), ნოგკაუს (1897 წ.), შანაევოსა (1896 წ. და 1904 წ.) და სხვებში. მხოლოდ ამ სკოლებში სწავლობდა 1151 ვაჟი და 190 ქალი, სულ 1341 მოსწავლე[206].

ორივე მხარის ოსეთში ძირითადად დაწყებითი სახალხო სკოლების ქსელი ფართოვდებოდა. ჩრ. ოსეთში 1913—14 სასწავლო წელს მოქმედებდა 41 ერთკლასიანი, 9 ორკლასიანი (სულ 50) საეკლესიო-სამრევლო და განათლების სამინისტროს ანალოგიური ტიპის 13 სკოლა.

ამრიგად, სულ ჩრ. ოსეთში ორივე უწყების 63 დაწყებითი სკოლა არსებობდა. ოსეთის ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარის სიტყვებით: „ეს სკოლები ატარებდნენ უაღრესად საეკლესიო ხასიათს. ისინი წარმოადგენდნენ პატარა ეკლესიებს მოზარდებისათვის“[207]. მიუხედავად იმისა, რომ „ეს სკოლები მთის ხალხთა შეგნების დახვეწაზე, გაღრმავებასა და გაფართოებაზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა“, მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ოსი ხალხის კულტურული განვითარებისა და მომავალი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

ოსური კულტურის განვითარებაში თავისი დროისათვის გარკვეულ როლს ასრულებდა 1861 წლის რეფორმამდელი ტენგინსკის სკოლა, რომელიც შემდეგ ვლადიკავკაზის სამთო საოლქო სასწავლებლად გადაკეთდა. 1861 წელს ოსებისათვის გახსნილ იქნა სამთო საოლქო სასწავლებელი, რომელიც 1859 წლის „დებულების“ მიხედვით ჩინოვნიკების, მდიდრებისა და წარჩინებულ წოდებათა ბავშვების აღზრდას ემსახურებოდა. ეს სკოლა ცარიზმის პოლი-

---

[206] Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Терской области, дело 1912 г., № 697, л. 80, შდრ „Сборник документов по истории народного образования в Осетии“, 1942 г., стр. 284.

[207] „Журнал Министерства народного просвещения“, 1917 г., Январь, стр. 93. С. О. Фарфаровский: „Народное образование у осетин“, стр. 88.

ტაკის განხორციელებისათვის საჭირო ადგილობრივ მოხელეებს ამზადებდა. შვიდი წლის შემდეგ (1868 წ.) აღნიშნული სკოლა რეალურ პროგიმნაზიად გადაკეთდა (სამთო პანსიონით). რომლის ბაზაზე გიმნაზია ჩამოყალიბდა, ხოლო საბოლოოდ (1874 წელს) — რეალური სასწავლებელი[208].

წერა-კითხვის და სამხედრო საქმის მცოდნე ადამიანების აღზრდაში (XIX საუკუნის 30—40-იან წლებში) ერთგვარ როლს ასრულებდნენ „სამხედრო აღსაზრდელთა" სკოლები, რომლებიც კავკასიის სამხედრო კორპუსის ცალკეულ პოლკებსა და ბატალიონებში არსებობდა. პირველი ასეთი სკოლა გახსნილ იქნა 1830 წელს გრებენსკის ყაზახთა პოლკში (ქ. ჩერვლენოში), ხოლო შემდეგ კარგალინსკში, ეკატერინოგრადსა და სხვ. ადგილებში[209].

კავკასიის კორპუსის ცალკე შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო სულ 864 „სამხედრო აღსაზრდელი" (ბატალიონში ათი კაცი), რომელიც უმთავრესად სამხედრო პირების, კაზაკებისა და კავკასიის მთიანეთის „მაღალი ფენების" ოჯახების შვილებს შეადგენდა.

ამ სკოლებს მთავარ ამოცანად უსახავდნენ „...კავკასიის მხარის ღარიბი აზნაურების, სხვა საპატიო წოდებისა და მთის ტომების ყმაწვილებისათვის მიეცათ ერთგვარი განათლება"...[210] ამ სკოლას ბევრი სწავლის მსურველი აწყდებოდა, რადგანაც სწავლა სახელმწიფო ხარჯზე იყო და მთის ტომებს იგი მეტად ხელსაყრელად მიაჩნდათ. აღნიშნული სკოლები საკმაოდ იზიდავდა აგრეთვე ე. წ. „საპატიო მთიელთა" შვილებსაც. 1848 წელს ნავაგინსკის პოლკში (ვლადიკავკავის სიმაგრეში) 50 კაცისათვის გაიხსნა „სამხედრო აღსაზრდელთა" სკოლა. ამ სკოლაში „საპატიო წოდების" მთიელთა 30 ადგილიდან 20 ადგილი ოსი „სტარშინების" შვილებს ეკავა. 1857 წელს ეს სკოლა ტენგინსკის პოლკს გადაეცა. 1857 წელს მასში ირიცხებოდა: აზნაურთა შვილები—8, ოფიცრებისა—20, საპატიო მამასახლისთა—32. მათ შორის: მთიელთა ბავშვები—32, რუსები — 28, სულ — 60. 32 მთიელიდან 20 ბავშვი იყო ოს ალდართა შვილები[211].

---

[208] История Осетии (макет), часть первая, 1954 г., стр. 200.

[209] Сборник документов по истории народного образования в Осетии, 1942 г., стр. 9.

[210] ი ქ ვ ე. გვ. 148. იხ. 1836 წ. 3 აგვისტოს დამტკიცებული „დებულების" მუხლი 124.

[211] Сборник документов по истории народного образования в Осетии, 1942 г., стр. 9.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1861 წელს სამხედრო აღსაზრდელთა სასწავლებელი ვლადიკავკაზის სამთო საოლქო სკოლად გადაკეთდა. სკოლა დამთავრებულები, რომლებიც უკვე 17 წლის ასაკს აღწევდნენ, მშობლებთან დაბრუნების შემდეგ, თავიანთი სურვილით, ან სამხედრო სამსახურში (პრაპორშჩიკებად, პორუჩიკებად, როტმისტრებად, კაპიტნებად და სხვ.), ან კიდევ სამოქალაქო საქმეში (მწერლებად, მთარგმნელებად და სხვ.) ეწყობოდნენ.

ამ სკოლებში უმთავრესად უნტერ-ოფიცრები ასწავლიდნენ და როგორც თვით ეს „მასწავლებლები", ისე მათი აღზრდილებიც მთის ხალხთა სწავლა-განათლების საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ.

სამთო სკოლები ორ ჯგუფად იყოფოდა: ა) საოლქო და ბ) დაწყებითი. საოლქო სკოლა თავისი უფლებებით და პროგრამული მოცულობით სამაზრო სკოლებს უთანაბრდებოდა. აღნიშნული სკოლის კარგი წარმატების მქონე კურსდამთავრებულები კავკასიის სასწავლო ოლქის გიმნაზიის IV კლასებში უგამოცდოთ მიიღებოდა (დებულების პარაგ. 15). დაწყებით სკოლებს ჰქონდა ერთი კლასი სამი განყოფილებით. ამ სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც კარგი წარმატება ჰქონდათ, უგამოცდოდ მიიღებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის სამაზრო სკოლებისა და გიმნაზიების მეორე კლასებში (დებულების პარ. 22). ამ სკოლის პროგრამა რუსული სკოლის ანალოგიური კლასების პროგრამებს შეესაბამებოდა და მცირეოდენი სპეციფიკა, რაც მას ამავე საფეხურის რუსული სახალხო სკოლებისაგან განასხვავებდა, მდგომარეობდა იმაში, რომ სამთო სკოლებში რუსული ღვთისმეტყველების კურსი მუსულმანურად ისწავლებოდა[212].

ვლადიკავკაზის მთიელთა საოლქო სკოლის გარდა ასეთივე საოლქო სკოლა გაიხსნა ნალჩიკში (1861 წ.), გროზნოში (დაწყებითი), ნაზრანოვსკსა და მაიკოპში. მაიკოპის სკოლა 1882 წელს ჩვეულებრივი ტიპის საქალაქო სკოლად გადაკეთდა. გროზნოსა და ნაზრანოვის სკოლები 1919 წლამდე არსებობდნენ.

იმპერატორის მიერ 1859 წლის 20 ოქტომბრის დამტკიცებული „წესდებით", მთიელთა სკოლები ორგანიზებული იქნენ („ცდის სახით") ოთხი წლის ვადით, მაგრამ ამ სკოლის „წესდების" ვადა

---

[212] Известия Северо Кавказского педагогического института им М. Ю. Гадиева, т. XIII, 1937 г., стр. 249—250. იხ. ჯ. ი. სიმონოვის სტატია— „Горские школы".

1917 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა. აღნიშნული სკოლების მიზანს შეადგენდა თვითმპყრობელობის დამცველთა მომზადება. მეფის თვითმპყრობელობის აღნიშნულ მიზნებს განაპირა მხარეების ხალხთა მომართ ნათლად გამოხატავდა პროფ. პ. კოვალევსკი, რომლის შეხედულებით, რუსეთმა სისხლით უნდა მოიპოვოს სხვა ერებზე ბატონობა. შოვინისტი მეცნიერი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ „ინოროდცების" განათლების მიზნად აღიარა რუსეთის განაპირა ქვეყნის ხალხთა უეჭველი გარუსება და ძალის გამოყენებით რუს ხალხთან მათი შერწყმა[213].

მთის ხალხებში მეფის თვითმპყრობელობის ზემოაღნიშნული პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო იყო დრო, სათანადო ზეგავლენის აპარატი და გარკვეული მეთოდების მომარჯვება, რასაც ცარიზმის მოხელეები მთიელთა სკოლების მეშვეობით ახორციელებდა.

„სახალხო განათლების სამინისტროს მისიონერული პოლიტიკა განაპირა მხარეებში არ განირჩეოდა ეროვნულ უმცირესობათა ხალხების მოთხოვნილებებისადმი განსაკუთრებული მოუთმენლობით და სამინისტრო ხშირად მიდიოდა დათმობებზე, მართალია, მხოლოდ ამ მისწრაფებათა რომელიღაც ნაწილში..."[214]

მთიელთა სკოლებთან პანსიონები ჩამოყალიბდა, რომელშიც უმთავრესად შეძლებულთა (ალდართა) შვილები ცხოვრობდნენ. ასეთი პანსიონები გახსნილი იყო: 1) ვლადიკავკაზის მთიელთა სკოლაში —120 ბავშვისათვის; 2) ნალჩიკის —65, ტეშირ-ხან-შურინსკის —65, უსტ-ლაბინსკის —65, გროზნოს —65 და ა. შ. ვლადიკავკაზის სამთო სკოლის 80 პანსიონერიდან 50 ბავშვი ოს საშხედრო პირთა ოჯახებიდან იყო, ხოლო 30 რუს საშხედრო პირთა შვილები.[215]

ვლადიკავკაზის მთიელთა საოლქო სკოლაში 1866 წელს უმთავრესად პრივილეგიურ წოდებათა შვილები სწავლობდნენ. მოსწავლეთა შემადგენლობიდან იყვნენ: თავადებისა და ჩინოვნიკების შვილები —46, სასულიერო წოდებისა —6, ვაჭრებისა —3, მეშჩანებისა და სხვათა —12, კაზაკებისა —23. ეროვნული შემადგენ-

---

[213] П. Ковалевский, Национализм и национальное воспитание 1912 г., стр. 255 – 256.

[214] Известия Северо Кавказского педагогического института, им. М. Ю. Гадиева, т. XIII, 1937 г., стр. 246.

[215] Сборник документов по истории народного образования в Осетии, 1942 г., стр. 97.

ლობის მიხედვით სწავლობდნენ: ოსი—74, კუმიკი—2, ინგუში—3, ჩეჩენი—1, ქართველი—4, სხვადასხვა—5.[216]. აშრიგად, 74 ოსი ბავშვი უმთავრესად შეძლებულთა ფენას ეკუთვნოდა, რომელსაც თვითმპყრობელობა მომავალში ადგილობრივ მოსახლეობაზე „ზემოქმედებისა“ და მთის მცხოვრებთა „იდეოლოგიური დამუშავებისათვის“ ამზადებდა. პანსიონები ზოგიერთ სხვა სკოლასაც ჰქონდა. მასში ბავშვები ცუდად ცხოვრობდნენ. პანსიონები არსებობდა აგრეთვე ალაგირსა და ხრისტიანოვსკოეს სკოლებთან. ალაგირის სკოლის ზოგიერთი მოსწავლე პანსიონში „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ხარჯზე ცხოვრობდა. „კომისია“ წლიურად ერთ მოსწავლეზე 30 მანეთს იხდიდა[217]. ამ თანხით გათვალისწინებული ჰქონდათ ბავშვის კვების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და სასწავლო ხელსაწყოების შეძენის ხარჯების დაკმაყოფილება, მაგრამ პანსიონებში ბავშვთა ცხოვრების პირობები იმდენად ცუდი იყო, რომ ისინი გამუდმებით მიმართავდნენ ოჯახებს სათანადო დახმარებისა და პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის.

თვით სასწავლებელთა ხელმძღვანელობა პანსიონებში ბავშვთა აუტანელი საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესახებ წერდა:

„ცხოვრების მოთხოვნილების სიძვირის გამო ამ სკოლის მოსწავლეები იკვებებიან მხოლოდ შავი პურით და ისიც არასაკმაო რაოდენობით. ცხელი საჭმელი არასოდეს მოეპოვებათ. უმეტეს შემთხვევაში (თითქმის მუდამ) ბავშვები დადიან ფეხშიშველა, ჭუჭყიანები. ავადმყოფებს ზედამხედველობა და მოვლა არა აქვთ“[218]. სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მიღება მხოლოდ ოსეთის ყველაზე საუკეთესო და ცნობილი გვარების ოჯახიშვილებისა და რუსი სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკების ბავშვების ხვედრს წარმოადგენდა.[219] მთიელთა სკოლები მატერიალურად აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ვლადიკავკაზის საძთო სკოლას სრულიად გამოუსადეგარი, ფანჯრებჩალეწილი, შეუღებავ ჭერ-იატაკიანი, სამხედრო ნაწილის მიერ წუნდებული უაზარმა ეჭირა, რომელშიაც სიცივისა და ავარიული მდგომარეობის გაძო

---

[216] Сборник документов по истории народного образования в Осетии, 1942 г., стр. 104—106.

[217] ი ქ ვ ე, გვ. 10.

[218] ი ქ ვ ე, გვ. 10. იგივე საკითხზე იხ. „Известия Северо Осетинского Научно-исследовательского института, т. XI, 1947 г., стр. 187.

[219] Известия Северо Кавказского педагогического института им М. Ю. Гадиева, т. XIII, стр. 250—252. იხ. ბ. ი. სიმონოვის სტატია: „Горские школы“.

მეცადინეობა თითქმის შეუძლებელი იყო. უარეს მდგომარეობაში არსებობდა ნაზრანოვსკის მთიელთა სკოლის შენობა (1868 წ.), რომელიც სკოლას იმიტომ გადაეცა, რომ ჯარისკაცების საცხოვრებლად უვარგისი აღმოჩნდა.[220] აღნიშნული სკოლის მოსწავლეების შესახებ დასახელებული სკოლის ზედამხედველი წერდა: „აქ ბავშვების ტანსაცმელს, მცირე გამონაკლისს გარდა სრული გაგებით შეიძლება უწოდოთ ძონძები. ბავშვები მთლიანად და გაუოუკლებლივ დაფარულია ჭუჭყით, მუნითა და ქეცით"...[221]

მოსწავლეთა კუთვნილ პროდუქტებს, ტანსაცმელს და ნივთებს ხშირს შემთხვევაში „ზედამხედველი" („Смотритель") ითვისებდა. 1866 წ. 6 დეკემბერს ნაზრანოვსკის მთიელთა სკოლის მოსწავლეები ხელმძღვანელთა მისამართით დაწერილ განცხადებაში აღნიშნავდნენ, რომ ისინი ტიტვლები და დაავადებულნი მათხოვრულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

„...გვაცმევენ ძალიან ცუდად... ქვედა საცვალი ძუხლებამდე არ გვწვდება, ხალათი კი — წელამდე. ზედა ტანსაცმელი სულ დახეულია. ასე, რომ ჩვენ დავდივართ, როგორც პატიმრები. შეტად ცუდ ფეხსაცმელებს გვაწვდიან... სწორედ რომ ვთქვათ, სკოლაში ცხოვრება და სწავლა შეუძლებელია. თუ პირობები არ შეიცვალა, უნდა დავტოვოთ სკოლა, გვეყო ამდენი ტანჯვა..."[222]

საყვედურების, უკმაყოფილების გამოთქმისა და სამართლიანი მოთხოვნილებების გამო თვით მოსწავლეებს სჯიდნენ. ასეთი მდგომარეობა მთიელთა სკოლების მოსწავლეთა ცხოვრებისა და სწავლის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. ალექსანდრე III-ის მეფობის ხანაში განათლების დარგში პოლიტიკური რეაქცია გაძლიერდა. სკოლებზე ეკლესიისა და პოლიციის მეთვალყურეობა და იეზუიტური „ზედამხედველობა" გაიზარდა. მასწავლებელთა თათბირების მოწვევა აიკრძალა, ჯაშუშობა და სკოლის მუშაკთა დევნა-შევიწროება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყოველივე ამის მიუხედავად, სკოლის პროგრესულ მოღვაწეთა და განათლების სხვა მუშაკთა ინიციატივით ზოგიერთ ოსურ სოფლებში (იმათთვის, ვისაც წერა-კითხვა შეეძლო) იხსნებოდა ე. წ. „საკვირაო სკოლები" და „საღამოს კურსები", სადაც ხალხისათვის საინტერესო საუბრები ტარდებოდა. ამგვარი „საკვირაო სკოლები"

---

[220] იქვე, გვ. 255.
[221] იქვე, გვ. 256.
[222] იქვე, გვ. 257.

და „საღამოს კლასები“ არსდებოდა პირველი საფეხურის სახალხო სკოლების კურსდამთავრებულთა უკეთ მომზადებისა, სკოლებში მიღებული ცოდნის სრულყოფისა და მათზე პედაგოგიური ზეგავლენის შენარჩუნებისათვის. მოზრდილები საღამოს კლასებში ვარჯიშობდნენ წერა-კითხვაში (რუსულად), რუსულ ლიტერატურასა და სხვა საგნებში. მრავალფეროვან კითხვებზე იღებდნენ პასუხებს სახალხო საუბრების დროს. 1898 წელს ჩრ. კავკასიის ოსთა სოფლებში 18 ასეთი „საკვირაო სკოლა“ და „საღამოს კლასები“ (მათ შორის: დარგკოხის, ხუმალაგის, ბატაკო-იურტოვის და სხვ.[223]) მოქმედებდა, რაც გარკვეულ როლს ასრულებდა ოსეთში წერა-კითხვის გავრცელების, მთის ხალხთა რუსულ კულტურასთან დაახლოებისა და ოსი ახალგაზრდობის საერთო შეგნების ამაღლების საქმეში.

სასკოლო აღზრდისა და ხალხის განათლების მხრივ ანალოგიური მდგომარეობა იყო სამხრეთ ოსეთშიაც, სადაც „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ და „სასწავლო ოლქის სამზრუნველო“ მეფის თვითმპყრობელობის „ერთგული მსახურების“ მომზადების პოლიტიკას ანხორციელებდა. სასკოლო საქმის „ინიციატორთა“ როლს აღნიშნულ კუთხეშიაც ეკლესიის ხელმძღვანელობა და მათი მსახურები ასრულებდა.

ჯერ კიდევ 1826 წ. სამხრეთ ოსეთის სოფ. ბეკმარის ეკლესიის მღვდელი საქართველოს ეგზარხოსს თხოვდა სოფელ ბესტავანთ-სოფელში ეკლესიის აშენებას და ადგილობრივი ოსი ბავშვებისათვის წერა-კითხვის სწავლების საქმეში დახმარების გაწევას[224]. ამავე დროს, საქართველოს საეგზარხოსო ოსეთის ეკლესიის მსახურებს ავალებდა ოსი ბავშვების შეკრებას (სამრევლოების მიხედვით) და მათთვის წერა-კითხვის, ლოცვებისა და საძღვთო სჯულის სწავლებას[225].

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ ერთ-ერთი წევრი იმ მოსაზრებას გამოთქვამდა, რომ ჯავაში, როგორც ოსეთის ცენტრში, საიდანაც ერთდება ყველა მიმართულების გზები, ფრიად სასარგებლო იქნება სკოლის დაარსება; მცხოვრებნი ძლიერ განწყობილ-

---

[223] „Журнал Министерства народного просвещения“, Январь, 1917 г., стр. 96.

[224] Е. К. Краткий очерк истории Грузинской церкви и Экзархата за XIX столетие, Тбилиси, 1901 г., стр. 92.

[225] საქართველოს სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 139, საქმე № 267, ფ. 100.

ნი არიან და ითხოვენ მათი ამ სურვილის დაკმაყოფილებას[226]. ოსი მოსახლეობის ინიციატივით 1847 წ. წინასოფლის, ჯავისა და ხაჩირაანთკარის ეკლესიებთან გაიხსნა დაწყებითი სამრევლო სკოლები, რომლებშიაც სულ 28 ბავშვი სწავლობდა.

გაზ. „დროება" 1876 წელს წერდა, რომ „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ" დიდი ლიახვის ხეობაში (ოსთა სოფლებში) ხელი მიჰყო ეკლესიებისა და სკოლების აშენებას. „ამ დიდი ლიახვის ხეობაში — ჯავაში, კოშკაში და როკაში ყველგან ეკლესია და სკოლებია; ზღუბირშიაც ეკლესია არის, მაგრამ სკოლა ჯერჯერობით არ არის. ეკლესიები და სკოლები სხვა საზოგადოებაშიც ბევრგან არის, როგორადაც ედისაში"[227].

ჯერ „სასულიერო კომისია", ხოლო შემდეგ „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" პირველ რიგში ხალხის „ზნეობრივი დამუშავების" ამოცანას აყენებდა, რისთვისაც სასოფლო ეკლესიებისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელს აფართოებდა. სკოლების გახსნის მეტ სიმძიმეს „საზოგადოება" ადგილობრივ მოსახლეობას აკისრებდა.

ოსი მშრომელების დაჟინებითი მოთხოვნითა და მათივე სახსრებით, ზემოჩამოთვლილ სკოლების გარდა გახსნილ იქნა ქეშელტის (1853 წ.), როკის (1854 წ.), კოშკინის (1856 წ.), ორტევის (1858 წ. ხელმეორედ), მსხლების (1862 წ.), ელსკის (1854 წ.) და კუცოეთის (1863 წ.) საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომელთაც სამღვდელოება ძირითად მიზნად მთის მოსახლეობაში მაჰმადიანური სარწმუნოების აღმოფხვრას, ქრისტიანული რელიგიის დანერგვას, მეფის ხელისუფლებისადმი ერთგული მონების მომზადებას უსახავდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლები უმთავრესად სწორედ ამ მისიას ასრულებდა.

ოსი მოსახლეობის გაზრდილ მისწრაფებას განათლებისადმი და მეფის მთავრობის საწინააღმდეგო მაქინაციებს ადასტურებს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ანგარიში (1865 წ.), რომელშიც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის შესახებ ნათქვამია, რომ მათ (ოსებს) კარგად ესმით „...განათლების სასარგებლო მნიშვნელობა, უნდათ (სურთ) თავიანთ ბავშვებისათვის წერა-კითხვის სწავლება, მაგრამ უკიდუ-

[226] საქართველოს სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 139, საქმე № 5427, ფ. 6.6
[227] გაზ. „დროება", 1876 წ., № 128. გვ. 4.

რესი სიღარიბის გამო მათი ამ სურვილების დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება"[228].

ქართველი მოღვაწეები და ქართული პრესა არაერთხელ ძიუთითებდა ოსი ხალხის ნიჭიერებასა და ცოდნის მიღებისადმი მათ გაზრდილ მოთხოვნილებაზე. გაზ. „დროებას" გამოთქმით: „საზოგადოდ ოსები ძალიან ნიჭიერი ხალხია და კიდეც ხალისით ეჩვევიან ყოველივე კეთილ საქმეს"...[229], მაგრამ ნიჭისა და გონებრივი უნარის განვითარებისათვის ხალხის შვილებს არ ჰქონდა საჭირო პირობები შექმნილი.

ამავე „საზოგადოების" 1887—1888 წ. ანგარიშში მითითებულია აგრეთვე სოფ. ვანათის მცხოვრებთა ცოდნისადმი უდიდეს ლტოლვაზე, დასახელებულია რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი იმისა, თუ, როგორ დადიოდნენ ზოგჯერ მოზრდილი ყმაწვილები სკოლაში, ესწრებოდნენ მეცადინეობას და სთხოვდნენ მასწავლებლებს ესწავლებინათ მათთვის[230].

განათლების საქმისადმი სოფ. როკის გლეხობის გაზრდილი ინტერესის შესახებ (1890 წ.) მიუთითებდა სასკოლო ინსპექტორი[231], რომელიც ამავე დროს ხაზს უსვამდა იმასაც, თუ, როგორ წინააღმდეგობას აწყდებოდა გლეხობა სკოლების გახსნისათვის ბრძოლის გზაზე[232]. მეფის თვითმპყრობელობის ნებასურვილის უყოყმანოდ შემსრულებელი საეკლესიო უწყება და კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო სათანადო სახსრების უქონლობის საბაბით გვერდს უვლიდა სახელმწიფოს ხარჯზე სკოლების გახსნას და სწავლა-განათლებისათვის საჭირო ხარჯების მთელი სიმძიმის ზიდვას სიღარიბისაგან ქანცმილეულ ოს მოსახლეობას აკისრებდა. სწორედ ამგვარი მთავრობის შესახებ ლენინი ამბობდა: „...ხალხის ცხრა მეათედს ფულს ართმევს ყოველნაირი სკოლებისა და სასწავლებლებისათვის, ამ ფულით თავადაზნაურებს ასწავლის, ბოლომდაბიო მოქალაქეებს და გლეხებს გზას უხშობს"[233].

---

228 საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 1726, ფურც. 46—48, 65—67.

229 გაზ. „დროება", 1876 წ., № 129, გვ. 3.

230 საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე, № 570, ფურც. 12—13.

231 ი ქ ვ ე, საქმე № 666. ფურც. 13, 14, 29.

232 საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 107. სერია ბ, საქმე № 559. ფურც. 2—4.

233 ლენინი სახალხო განათლების შესახებ, 1936 წ., გვ. 106.

იმის შიშით, რომ ცოდნის გზით მშრომელ გლეხობას არ შეეგნო თავისი ბედშავი ცხოვრების ნამდვილი მიზეზი, მთავრობა ბევრს შემთხვევაში ადგილობრივი სახსრებით სკოლის გახსნაზედაც თავს იკავებდა, ხოლო ზოგჯერ, გლეხობის პრაქტიკულ ნაბიჯებს აშკარა წინააღმდეგობასაც უწევდა. ამგვარ შემთხვევებს სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა როკის, ედისის, ორტევის, ხცვეს, ქემერტის და ზოგიერთ სხვა სასოფლო ადგილებში. სადაც გლეხები კისრულობდნენ სასკოლო შენობის აგებას. გათბობა-განათებისა და სხვა ხარჯებს, მაგრამ მეფის კავკასიელი კლევრეტები გლეხობის ამ განზრახვის განხორციელებას აფერხებდა[234].

ქართული პრესა მთავრობის მოხელეებს მკაცრად აკრიტიკებდა ოსი ხალხის განათლების საქმეზე უზრუნველობისა და გულცივობისათვის. „სამხრეთ ოსეთში, როცა მხოლოდ საში შკოლაა,— წერდა გაზ. „შრომა“, — განათლება სრულიად დაცემულია. ეს შკოლები არიან... სოფლებში: ჯავაში, როკში და ბეკმარში. ერთი შკოლა, რომელიც წინეთ სოფ. ორტევში იყო (საცა თომა ჩოჩიშვილის შემწეობით დაარსდა), გადაიტანეს სოფელ ვანათში, ღმერთმა უწყის რისთვის. ეჭვი არ უნდა იყოს, რომ 20.000 მცხოვრებისათვის სამი შკოლა საკმაო არ არის“[235].

სასულიერო უწყების სკოლებში მეცადინეობა არანორმალურად, უსისტემოდ და დროგამოშვებით მიმდინარეობდა. ბევრს შემთხვევაში სკოლებში ადგილობრივი ენის უცოდინარი მასწავლებელი ინიშნებოდა, რომელიც მოსწავლეებს „მუნჯურად“ ასწავლიდა. სწავლების ამგვარ პირობებში ბავშვები გაკვეთილებზე იშვიათად ცხადდებოდა.

ცნობილი ქართველი მწერალი ს. მგალობლიშვილი სკოლის ამგვარი მდგომარეობის შესახებ 1880 წლის 25 იანვარს ქართული პრესის ფურცლებზე წერდა: „ამას წინათ, რაღაც ჩემი საქმისათვის მივდიოდი ცხინვალისაკენ. გზაზე შემხვდა ჯავის ხეობის ოსი. ძე გამოველაპარაკე. იმან დამიწყო **ქართულად ლაპარაკი (საზოგადოდ ქვემო ოსეთში ოსებმა თითქმის ყველამ იცის ქართული ლაპარაკი).** შემდგომ რამდენიმე ხნის ბაასისა, მე ჩამოვუგდე შკოლებზე ლაპა-

---

[234] ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 684, ფურც. 89—90, საქმე № 580, ფურც. 13—15, საქმე № 904, ფურც. 114, საქმე № 1094, ფურც. 14—15, საქმე № 903, ფურც. 131—132, ფონდი 109, საქმე № 104, ფურც. 14—15.

[235] გაზ. „შრომა“. 1883 წ., № 17, გვ. 3, 4 მაისი. სტატიას ხელს აწერს „ოსი-ჩ“.

რაკი. გადააგდ-გადმოაგდო თავი, რაღაცნაირის... თვალით გადძო-მბედრა: რის შკოლები, რის სწავლა, სად ვინ გაიგონაო!?... ამისაგან გავიგე, სოფ. როკაში, ოსეთში, არის შკოლა, გახსნილი „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისაგან". ამ როკის შკოლაში არის მასწავლებლად დანიშნული რუსი უფ. სპიცინი... ამ ვაებატონს შარშან მაისში მიუგდია ქვა როკისთვინაც და ის დღეა და ის დღე, ფეხი აღარ შეუდგამს. ენკენისთვიდან მოკიდებული აქამომდე დაკარგულია..."[236].

სწორედ, სკოლის ამგვარი მდგომარეობის გამო ოსი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სწავლაზე გული უცრუვდებოდა, ეშვის თვალით უყურებდა მასწავლებელს, ხშირ შემთხვევაში გაჰყავდა ბავშვები სკოლებიდან, რითაც ხალხში სკოლის ავტორიტეტი ეცვმოდა. ს. მგალობლიშვილს რუსი მასწავლებლის გაგზავნა ოსურს სკოლებში მიზანშეწონილად მიაჩნდა იმ შემთხვევაში, თუ მათ შეეძლებოდათ ადგილობრივ ენაზე სწავლება. ოსი ხალხის კულტურული აღორძინებისათვის დაუღალავი მებრძოლი სოფრომ მგალობლიშვილი „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისაგან" მოითხოვდა: „გზავნოს საზოგადოებამ ვინც უნდა მასწავლებლად, მხოლოდ კი ყური უგდოს, რომ იმათ კეთილსინდისიერად მოჰკიდონ საქმეს ხელი, თითქმის მთელი წლობით ნუ ანებებენ შკოლას თავს"[237]. ფაქტია, რომ „საზოგადოება" ოსი ხალხის სწავლა-განათლების საქმეს მინიმალურ ყურადღებასაც არ აქცევდა.

სამხრეთ ოსეთის სოფ. მსხლებისა და ჯავის მოსახლეობის თხოვნას, რომ საეკლესიო მმართველობას ეკისრა საშრეველო სკოლების ხარჯების გაღება, „სასულიერო უწყებამ" უარით უპასუხა. მთავრობისაგან ასეთივე უარი მიიღო სოფელ როკის გლეხობამ, რომელიც ხელისუფლებისაგან სასკოლო შენობის აგება-შენახვისათვის ყოველწლიურად 300 მანეთის გაღებას მოითხოვდა[238].

„ოსეთის სასულიერო კომისია" და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" თანხებს არ იმეტებდა ოსი მოსახლეობის სწავლა-განათლებისათვის, მაშინ, როდესაც მშრომელთა გონების დაბნელებისათვის (ეკლესიების შენახვაზე) სახაზინო ფულები ხელგაშლილად იხარჯებოდა.

---

236 გაზ. „დროება" 1880 წ., № 19, გვ. 3. ს. მგალობლიშვილის სტატიიდან.

237 იქვე.

238 ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 1121, ფურც. 7—8, საქმე № 1127, ფურც. 9.

მხოლოდ 1853 წ. კავკასიის სასწავლო ოლქის „წესდებით“ იქნა გათვალისწინებული ყოველწლიურად 1000 მანეთის (ვერცხლის ფულით) გაღება სამურზაყანოს, სვანეთის და ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის, მაგრამ, ესეც ქაღალდზე დარჩა და 1854 წ. აღნიშნული სკოლების შენახვაზე, სულ მხოლოდ 334 მან. და 22 კაპ. იქნა დახარჯული[239].

ბატონყმობის გადავარდნის პერიოდში სამხრეთ ოსთა სოფლებში არსებობდა 11-მდე საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომელშიაც. არაზუსტი ცნობებით 187-მდე მოსწავლე (მათ შორის 20 გოგონა) სწავლობდა[240].

ზოგიერთ შემთხვევაში, მეცადინეობა მღვდლის სახლში წარმოებდა (საკუთარი სასკოლო შენობის უქონლობის გამო), ხოლო შენობის ასაგებად მოსახლეობისაგან აკრებილ თანხებს მთავრობის ადგილობრივი მოხელეები ფლანგავდნენ. სკოლის შენობათა აგებისათვის თითო ორ-ორჯერ გლეხობისაგან შეგროვილი თანხები გაფლანგეს: წუნარის, ძარის, დამპალეთის, დოდოთის, ქვასათალის, ტბეთის და სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ სხვა სოფლის მაშასახლისებმა, მაგრამ მოსახლეობის ამგვარი ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ მთავრობა საჭირო ზომებს არ იღებდა.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ-საზოგადოების“ 1864 წლის „ანგარიშის“ მიხედვით ირკვევა, რომ სამხრეთ ოსეთში (ჯავისა და ორტევის საბლაღოჩინოებში) 23 სამრევლოდან ბავშვების სწავლა მხოლოდ 11 სამრევლოში იყო მოწყობილი. მოსწავლეთა რაოდენობა 107-მდე აღწევდა, რომელთა შემადგენლობიდან 21 ბავშვი მშობლების მიერ უკანვე იქნა წაყვანილი. ამრიგად, სამხრეთ ოსთა 23 სამრევლოში დაახლოებით 23 ათას მცხოვრებზე 1874 წლის თებერვლისათვის ჯავის, ორტევის, ბეყმარის და როკის სამრევლოს სკოლები მოქმედებდა. სწავლა ამ სკოლებში არაორგანიზებულად და უსისტემოდ წარმოებდა. ყოველივე ამის შედეგად, მოსწავლეთა უმრავლესობას წიგნის კითხვა შეეძლო ოსურად, რუსულად და ქართულად, მაგრამ ორს უკანასკნელ ენაზე წაკითხულის მნიშვნელობა და აზრი არ ესმოდათ[241].

---

239 ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 139, საქმე № 16468. ფურც. 5.

240 საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 82, ფურც. 65—70.

241 გაზ. „Кавказ“, 1874 г., № 24, стр. 2. Статья ф. Натиева: „Из Южной Осетии“.

სკოლებში მოსწავლეთა გამოცხადება (სწავლის არასაინტერესოდ წარმართვისა და სკოლის კეთილმოუწყობლობის გამო) არანორმალურ ხასიათს ატარებდა. სასკოლო ინსპექტორის ცნობით „როკის სკოლაში ბავშვები სწავლობდნენ მხოლოდ 1866 წლის დეკემბრამდე, ხოლო შემდეგ ის დაკეტილი იყო მღვდლის მიერ. ივლისში, რევიზიის დროს მასში აღმოჩნდა მხოლოდ 3 მოწაფე 23 ყმაწვილიდან, რომლებიც დეკემბრამდე სწავლობდნენ"[242].

1867 წლის „ანგარიშით" მოსწავლეთა რაოდენობა ორივე „საბლაღოჩინოში" უდრიდა 144-ს, რომელთა შორის 133 ვაჟი და 11 ქალი (ჯავის სკოლისა) სწავლობდა[243].

„საზოგადოების" 1871 წლის „ანგარიშის" მიხედვით, ამავე პერიოდში ჯავის სკოლაში მხოლოდ 22 მოსწავლე ითვლებოდა. ეს სკოლა შეღარებით კეთილმოწყობილი იყო, ჰქონდა ბოსტანი და ბაღი, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულ შრომას ატარებდნენ[244], მაგრამ იგი ოსი გლეხობის განათლების მიღებისადმი გაზრდილ მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებდა. კიდევ უფრო უარესი იყო ვანათის ორკლასიანი სკოლის მდგომარეობა, რომელშიაც სკოლის სიღარიბისა და მოუწყობლობის გამო სწავლას ჩამოცილებულ მოსწავლეთა რიცხვი (გარკვეულ პერიოდებში) საკმაოდ იზრდებოდა. 1898 წლის ნოემბრის დასაწყისში ვანათის სკოლაში მისულ რევიზორებს „... სამწუხაროდ, მოწაფეები ძლიერ ცოტანი დაუხვდათ, რადგანაც სწავლა ჯერ კიდევ თავის კალაპოტში არ იყო ჩაყენებული სასწავლებლის შენობის დაუმთავრებლობის გამო"[245]. მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრების მხრივ ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ზემო როკის სკოლაში, სადაც მცხოვრებლებს საზამთრო სარჩოსათვის ზრუნვაში ჩაბმული ჰყავდა ოჯახის მთლიანი შემადგენლობა. ამიტომ, ბავშვებს არ აცლიდნენ სწავლისათვის და სასწავლებელი თვეების მანძილზე თითქმის ცარიელი რჩებოდა[246].

1899 წლის 28 სექტემბერს, სასწავლებელთა ზედამხედველს როკის სკოლაში 30 მოსწავლის მაგიერ მხოლოდ 12 მოსწავლე

---

242 Газ. „Кавказ", 1874 г., № 24. გვ. 2.

243 ი ქ ვ ე.

244 ი ქ ვ ე.

245 გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899 წ., № 770, გვ 2.

246 გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899 წ., № 959, გვ. 2. იხ. დისეურას-პირელის კორესპონდენცია: „სწავლა-განათლების საქმე".

დახვდა. სკოლების ზედამხედველმა ზემოროკელებს აღნიშნულ-სოფლიდან ქვემო როკაში სკოლის გადატანაზე თანხმობა შესთავაზა, ხოლო ქვემო როკელებს ავალებდა: ა) კანცელარიის შენობის სკოლისათვის გადაცემას და შეკეთებას; ბ) კანცელარიისათვის სხვა შენობის გამოყოფას; გ) უახლოეს მომავალში ახალი სასკოლო შენობის აგებას; დ) ბავშვთა თავშესაფარისათვის ერთი ოთახის მომატებას; ე) დარაჯის დაქირავებას; ვ) სკოლისა და მასწავლებლებისათვის შეშის დაუგვიანებლად მიტანას; ზ) სკოლის ხარჯების დროულად გაღებას, რამდენიმე წლით ზემო როკელების განთავისუფლებას სკოლის შენახვის ხარჯებისაგან და სხვ. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სოფ. ზღუბირშიაც[247].

სამხრეთ ოსთა ზოგიერთი სოფლები სკოლის გარეშე იყო დატოვებული. მთავრობის ადგილობრივი მოხელეები პირველ რიგში ეკლესიების აშენებისა და ხალხის გონების დაბნელებისათვის ზრუნავდნენ. ამიტომ იყო, რომ პატარა ლიახვის ხეობაში საცხენისისა და ბელოთის მცხოვრებლები „....არც მონაწილეობას იღებდა აქამდე რომელსამე სასწავლებელში, არც თითონ ხსნიდა თავის საკუთარს სასწავლებელს და არც ბავშვებს აძლევდნენ სასწავლებელში“[248].

მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, განათლების ზოგიერთ მოღვაწეთა ინიციატივით სამხრეთ ოსთა სოფლებში არსდებოდა პირველდაწყებითი საეკლესიო-სამრევლო სკოლები. 1898 წ. შეორე ნახევარში ყოფილი ინსპექტორის — კირიონის მეცადინეობით და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით გახსნილ იქნა აწერისხევის ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სადაც გაკვეთილებზე 30 მოსწავლის მაგიერ ხშირად 20 ბავშვი ცხადდებოდა[249].

1899 წელს საცხენისის მცხოვრებლებმა სასკოლო ინსპექტორებს თხოვეს თავიანთი სოფელი მიეწერათ ვანათის სკოლაზე იმ პირობით, რომ: ა) ადგილობრივი მცხოვრები გადაიხდიდა მასწავლებლის ჯამაგირის ნაწილს; ბ) თითო ურემ შეშას შიუტანდნენ მასწავლებლებს; გ) სკოლის ასაკის ყველა ბავშვს ჩააბაძდნენ სწავლაში; დ) გაიღებდნენ სკოლის ხარჯებს და ა. შ. ამავე პერიოდში ბელოთის მოსახლეობამაც მიიღო დადგენილება აწერისხევის სკო-

---

[247] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 939, გვ. 2.
[248] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 775, გვ. 2.
[249] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 770, გვ. 2.

ლასთან შეერთებისა და აღნიშნულ სკოლაში მათი შვილების გაგზავნის შესახებ, რისთვისაც სკოლას აღუთქვეს ხარჯების ნაწილის გადახდა[250].

მთავრობის წარმომადგენელთა წინადადებას თავიანთ ხარჯზე სკოლების გახსნის შესახებ ოსები სიამოვნებით თანხმდებოდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ თვითმპყრობელობა თავისი სახსრებით სკოლების გახსნაზე თავს ნაკლებად იწუხებდა.

1898 წლის მეორე ნახევარში სოფელ გერში მოწვეული 3 სოფლის მკვიდრი ოსების შეკრება აღფრთოვანებით შეეგება (მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორის — მამინაიშვილის) წინადადებას სოფ. გერში ერთკლასიანი სკოლის გახსნის შესახებ. კრებამ მიიღო დადგენილება: ა) ყოველწლიურად, სკოლის შესანახად შეაგროვონ და ზემოხსენებულ „საზოგადოებას" გადასცენ ოცი თუმანი; ბ) დაიქირაონ ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც უნდა ეძსახურებოდეს სკოლას; გ) ყოველწლიურად მიუზიდონ სკოლას საჭირო რაოდენობით შეშა; დ) ვალდებულებად აიღონ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ყოველწლიურად (3 წლის ვადით) გზავნა სკოლაში[251]. სკოლისათვის ხალხმა მოითხოვა ჭვრივის სამრეველოს კრებულისათვის თლილი ქვით აშენებული ოთხოთახიანი (ამჟამად თავისუფალი) შენობის გადაცემა, რომლის შეკეთებას თვით ხალხი ივალდებულებდა. ადგილობრივი მღვდლის (ქოქოევის) ინიციატივით ეკლესიის შემოსავლიდან სკოლას ყოველწლიურად ათ-ათი თუმანი დაენიშნა, ხოლო სკოლის ინვენტარ-მოწყობილობა ასევე კერძო პირთა ხარჯზე იქნა შეძენილი[252]. გაზ. „ცნობის ფურცელი" მოუწოდებდა ქართლის სხვა სოფლების ოსებს სკოლების გახსნის საქმეში მიებაძათ „ამ სასიქადულო სოფლებისათვის" და თუ თვითეულ სოფელს არ შეეძლებოდათ ცალ-ცალკე სკოლების გახსნა, ხუთ-ექვს სოფელს ერთად მაინც დაეარსებინათ თავიანთი სასწავლებელი[253].

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ საეკლესიო უწყების კურსი განათლების დარგში მიმართული იყო თვით მოსახლეობის ხარჯზე სკოლების გახსნისაკენ, რათა „დანაზოგი" სახსრები ეკლესიების ქსელის გაშლაზე ყოფილიყო გამოყენებული.

---

[250] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1898 წ., № 775. გვ. 2. მართალაძის კორესპონდენციიდან.

[251] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899 წ., № 777, გვ. 2.

[252] ი ქ ვ ე.

[253] ი ქ ვ ე. გვ. 2. მართალაძის სტატიიდან.

საეკლესიო უწყება არავითარ ზომებს არ იღებდა მისდაძი დაქვემდებარებულ სკოლებში მეცადინეობის ნორმალური პირობების შექმნისათვის. 1899 წლის ზამთარში ჯავის სკოლაში ინსპექტორებმა ვერ შესძლეს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება, რადგანაც მასწავლებლებს შეგირდები დაეთხოვნათ ქორწილებისა და სხვა ადგილობრივ „დღეობებში" მონაწილეობის გამო[254].

„კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ხელმძღვანელობა სკოლის შეკეთებას და კეთილმოწყობას თვით მოსახლეობისაგან მოითხოვდა. სკოლების მატერიალური მდგომარეობა სავალალო იყო, ხოლო მისი გამოსწორებისათვის ზრუნვა —ინდიფერენტული. „როკის სკოლის ხის შენობა ისე დაძველებულა და დაფუცუნებულა, — წერდა „ცნობის ფურცელი",—რომ ყოველი დიდი გრიგალის დროს წაქცევას ლამობს. შეგირდების მაგიდები სულ მიმტვრეულ-მომტვრეულია, სკოლას არც ერთი ფანჯარა აღარა აქვს მთელი, კედლები ძინგრეულ-მონგრეულია, ბუხარი — უკან გადაწოლილი. ერთი სიტყვით, აქ მეცადინეობა ყოვლად შეუძლებელია. მასწავლებლისათვის არც შეშაა და არც მოსამსახურე"[255]. ამგვარი მდგომარეობიდან გამოსავალს **„საეკლესიო საქმეთა"** ხელმძღვანელობა „სკოლის დახურვის" შესახებ დამუქრებასა და ადგილობრივი მოსახლეობაზე სკოლის ხარჯების დაკისრებაში ხედავდა[256].

ჯავის ხეობის ოსები, მათივე გამოთქმით რომ ვთქვათ, „სიკვდილს ამჯობინებდნენ სკოლის დაკეტვას"[257]. „მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" წარმომადგენლები და მთავრობის სხვა ადგილობრივი მოხელეები კი, ოსებს სკოლების დახურვით ემუქრებოდნენ. ოსებმა იცოდნენ, რომ მთავრობის გულგრილობის შედეგად უახლოეს წლებში ედისის სასოფლო სკოლა დაიხურა. თავიანთი შვილების აღზრდის სურვილი ოსებში იმდენად ძლიერი იყო, რომ ზემო როკის მცხოვრებმა ჯანასპი თომაშვილმა (თომაევმა) სკოლას თავისი საკუთარი (საამოცთუმნად ღირებული) სამ-ოთახიანი სახლი შესწირა.

---

[254] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899 წ., № 778, გვ. 2.

[255] ი ქ ვ ე. გვ. 2. იხ. მართალაძის კორესპონდენცია.

[256] ინსპექტორმა ჯაველები გააფრთხილა, რომ შენობის მოუწყობლობაი შემთხვევაში სკოლას იქ გადაატანინებდა „საზოგადოებას". სადაც ადგილობრივ. მცხოვრებნი მეტად იზრუნებდნენ მისი კეთილმოწყობისა და შენახვისათვის სკოლის დახურვის მუქარამ ოსები ძლიერ აღაშფოთა, რის გამოც ინსპექტორს აღუთქვეს სკოლის შენობის კეთილმოწყობა და მისთვის მეტი დახმარების გაწევა.

[257] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899 წ., № 778, გვ. 2.

ზღუბირის, ჯომაღის, ქვემო როკისა და სხვა პატარა სოფლების მცხოვრებლები ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდნენ ზემო როკიდან ამ სოფლების ცენტრში სკოლის გადმოტანას, რათა იგი თანაბრად მისაწვდომი ყოფილიყო მახლობელი სოფლების ყველა ბავშვისათვის. ამ სამართლიანი პედაგოგიური მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სოფლებისაგან მოითხოვეს: ა) ხალხს, სკოლის შესანახად „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისათვის“ ყოველწლიურად ეხადა 30 თუმანი; ბ) მოსახლეობას თავიანთი ხარჯით აეგო სასკოლო შენობა, იმ გეგმის მიხედვით, რომელიც „ცენტრიდან“ იქნებოდა დაშვებული; გ) სკოლისათვის დაექირავებინათ ტექნიკური მომსახურე პერსონალი; დ) სასწავლებელი მოემარაგებინათ საკმაო შემით; ე) ეტარებინათ სკოლაში სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და ა. შ., რაზედაც სასოფლო ყრილობა დათანხმდა[258].

1898 წლის 13 ნოემბერს საეკლესიო-სამრევლო სკოლის მესვეურებმა ასეთივე პასუხისმგებლობა დააკისრეს სოფ. კოშკის მოსახლეობას, სადაც „...სკოლის შენობა მინგრეულ-მონგრეული იყო“...[259] მათ, ხალხს წინადადება მისცეს: ა) შეეკეთებინათ სკოლა; ბ) მასწავლებელთათვის ხელფასის მოსამატებლად ყოველწლიურად ეხადათ 15 თუმანი; გ) მღვდლისათვის აეშენებინათ ცალკე საცხოვრებელი სახლი. ამ მოთხოვნების პასუხად მოსახლეობის კრებამ დაადგინა:

ა) ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისათვის ყოველწლიურად ეძლიათ 150 მანეთი;

ბ) სკოლის შენობისათვის ჩაეტარებინათ საფუძვლიანი შეკეთება;

გ) მღვდლისათვის (მთავრობის დახმარებით) აეგოთ ცალკე საცხოვრებელი სახლი;

დ) მღვდლის საცხოვრებელი სახლი გადაეკეთებინათ ბავშვთა („პრიუტად“) თავშესაფარად;

ე) თავშესაფარი შეევსოთ საჭირო ავეჯითა და მოწყობილობით.

ამრიგად, სკოლის შენობის აგების, მისი კეთილმოწყობის, ბავშვთა თავშესაფარების აგების, მასწავლებელთა და ტექნიკურ მუშაკთა შენახვის მთელი სიმძიმე ადგილობრივ ღარიბ მოსახლეობას აწვებოდა.

---

[258] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 779, გვ. 2.
[259] იქვე

ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ მოსახლეობა მთავრობის წარმომადგენელთა წინადადებას სკოლის დაარსების შესახებ, ერთგვარი ეჭვის თვალით უყურებდა. ამის შედეგი იყო ისიც, რომ ზოგიერთ სოფლებში (მათ შორის კოშკაში) ხალხი „...ძლიერ გულგრილად ექცეოდა თავიანთ სასწავლებელს. სკოლის აშენების შემდეგ ქვა აღარავის მიუგდია გვერდზე"[260]. ხალხის გულგრილი დამოკიდებულება სკოლის საკითხისადმი გამოწვეული იყო მათი მხრივ არა სწავლა-განათლების მნიშვნელობის შეუგნებლობით, არამედ საეკლესიო-სამრევლო სკოლების ნაკლებ სარგებლიანობით და იმ ხარჯების სიმძიმით, რომელიც მშრომელ გლეხობას მძიმე ტვირთად აწვებოდა.

სახალხო განათლების მხრივ ცხინვალი არასახარბიელო სურათს იძლეოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცხინვალი პატარა, ულამაზო, მეჩხრად დასახლებული სასოფლო ტიპის დაბას წარმოადგენდა, რომლის შესახებ თავის თავგადასავლითი ხასიათის წერილებში („გორიდან ოსეთში") ილია ალხაზიშვილი წერდა: „ცხინვალი არც კიტრია და არც ნესვი, ე. ი. არც სოფელია და არც ქალაქი. მაგრამ არა, ამჟამად უფრო ოსეთის სატახტო ქალაქად ჩაითვლება"[261].

ცხინვალი არა ერთხელ ყოფილა ბრძოლის ასპარეზად. აქ, ძველად თავს იყრიდნენ და საქართველოს ბედ-იღბალზე ბჭობდნენ გამოჩენილი მხედართმთავრები, სარდლები და ქვეყნის მოვირნახულე სხვა ადამიანები. ამიტომ, შემთხვევითი როდია, რომ „დიდ მოურავიანის" მეოთხე მუხლში ცხინვალი ამგვარადაა მოხსენებული:

„ქრცხინვალს იდგა მეფე შვებით, მას გვერდს ახლდა მოურავი,
იშვებდენ და იხარებდენ, ქარი უქრით მათ არავი.
მტერი ყოველგნით შეაშინა, ომის იყვნეს არ მზარავი.
ავი ენა მათაც გაჰყრის, ქვეყნისათვის ეს არს ავი"[262].

ზოგიერთ მოგზაურთა გადმოცემით, XIX საუკ. II ნახევრის დასაწყისში ცხინვალი 600-მდე კომლს ითვლიდა. ამათგან: დაახლოებით 1/5-ს შეადგენდა ებრაელები, დანარჩენს კი — სომხები და ქართველები. თვით დაბა-ქალაქი ღარიბული, სოფლური ტიპის ყოფილა. „შენობები ხისა და ქვიტკირისაა — ყავრით დახურული:

---

260 გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899 წ., № 779, გვ. 2.
261 გაზ. „დროება", 1876 წ., № 126.
262 ი ქ ვ ე.

ბევრი კარგი ორეტაჟიანი სახლია ლიახვზე გადაკიდებულ ბალკონებით. ქუჩები ძლიერ ვიწრო, მრუდე და უსუფთაოა... ხეირიანი ეზო არავის არა აქვს. ასე გასინჯეთ, სომხების მშვენიერი არხიტექტურის ეკლესია ისეთნაირად ჩამალულია სახლებში, რომ მიდგმა არა აქვს"[263].

ირკვევა, რომ ამ პერიოდში ცხინვალში ფეხმოკიდებული ყოფილა მიწა-მამულებით ვაჭრობა, მიწების ყიდვა-გაყიდვა. ამავე დროს, დაბის კულტურულად მოწყობაზე თავს არავინ იწუხებდა.

XIX საუკ. 60—70-იან წლებში ცხინვალში უმთავრესად ქართველები, სომხები და ებრაელები ცხოვრობდნენ, მაგრამ თვით სომხები ქართულ და ოსურ სალაპარაკო ენას იყენებდნენ. ცხინვალელ სომხებში „...ძნელად იპოვით სამშობლო ენის მცოდნეს, საზოგადოდ აქ ქართული ენა იხმარება, ბევრი ოსურსაც კარგად ლაპარაკობს"[264].

XIX საუკუნის შუა წლებში ცხინვალში თავს იყრიდნენ ბევრი უსაქმო, ზარმაცი და დროსტარების მოტრფიალე ადამიანები. უსაქმურობა განსაკუთრებით არისტოკრატიულ წრეში იყო ფესვგადგმული. „აქაური არისტოკრატია გაცხარებული ლოტოსა და კარტის თამაშობაშია გართული, მაგრამ ქალები თურმე, მშვენივრად ლექსების მღერაში ატარებენ დროს"[265].

1865—70 წლებში ცხინვალი ოსეთისა და ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც სომხები და ებრაელები უფრო შეძლებულად ცხოვრობდნენ, ვიდრე ქართველები. ამიტომ, პირველნი მათი შვილებისათვის სწავლის მიცემას კერძო გზითაც ადვილად ახერხებდნენ. ამის შესახებ გაზ. „დროება" 1867 წლის 20 ოქტომბერს წერდა: „...ცხინვალსა აქვს დიდი მაზრა, კავკასიის მთის აქეთი დიდის ლიახვისა და პატარა ლიახვის ოსები სულ იქ მიდიან სავაჭროთა... განათლება მცხოვრებლებისაცა უფრო იმყოფება სომხებსა და ურიებში... სომხებსა ჰყავსთ ფასით დაქერილი თავიანთის შვილების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ქართულს და სომხურს კითხვას, წერასა და ანგარიშსა... აგრეთვე ურიების ხახმები სულყველა ურიების შვილებს ასწავლიან თავიანთ სჯულს, კითხვასა და წერას, ქართულს

---

[263] გაზ. „დროება", 1876 წ., № 126, გვ. 3.

[264] იქვე.

[265] იქვე.

მხედრულ კითხვას და წერას. ესრედ იზრდებიან მათი შვილებიც „ამოსადეგად“...[265].

ცხადია, ამგვარი „კერძო სწავლება“, როგორც სომხების, ისე ებრაელების ბავშვებს სასურველ განათლებას ვერ აძლევდა, მაგრამ ფაქტია, რომ მას ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა ცხინვალის მკვიდრთა კულტურული განვითარების საქმეში[267].

ქართული პრესა არა ერთხელ გამოთქვამდა სინანულს იმის გამო, რომ ცხინვალში „... საზოგადო შკოლა არ არის გახსნილი, თუმცა იყო პატარა ხანს, მაგრამ ისიც მოიშალა მათის დაუდევრობითა“[268]. ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცხინვალის ფონზე პირველ პლანზე იდგა ვაჭრობა, სპეკულაცია, ქეიფი, დროსტარება, მექრთამეობა, ხოლო შემდეგ კი — სკოლისა და განათლების საკითხები.

ცხინვალელები ყველაზე მეტად რკინიგზის გაყვანაზე და სკოლების გახსნაზე ოცნებობდნენ. მგზავრობის გაუმჯობესება, შრომა, განათლების მიღება, ცხოვრების წინსვლა და ცოდნის ამაღლება ცხინვალელთა სანუკვარ იდეალს წარმოადგენდა.

ცხინვალელ მშრომელთა ამ იდეალების შესახებ გაზ. „დროება“ 1876 წლის № 126-ში წერდა: „საზოგადოება იმედიანულობს, თავის დროზე აქ უეზდიც გაიხსნას, და უფრო კი იმის მოსიხარულნი არიან, რომ მომავალი რკინიგზის სტანცია აქ იქნებაო... ეს გზა გორის სტანციიდან იწყობა, მტკვარზე ხიდი გაიდვის და შემდეგ ლიახვის მარჯვნივ მიდის. სოფელ ვარიანშიც სტანცია იქნებაო და ამ სოფელს ზევით რომელსამე ალაგას ლიახეზე დიდი ხიდი გაიდება და გზა ლიახვის მარცხნივ მოექცევა, ცხინვალის სტანცია გამოლმა მოუვა და აქედან გზა სულ მარცხნივ მიდის და შესდევს ჯავაზე, ხვწეზე, კოშკაზე და სხვ... კოშკას ზევით ეს გზა დასავლეთისაკენ ხეობაში შეუხვევს და ამ ხეობის შემდეგ ტონელს გაიყვანენ და ზედ იმ ალაგას გაახედებენ, სადაც ვერცხლის და ტყვიის ზავოდია სოფ. სადონაში ვლადიკავკავის ოკრუგში და აქედან ვლადიკავკავის სტანციას შეუერთდება. ამგვარად ჩვენი თბილისი რუსეთს ხმელეთითაც შეუერთდება[269].

---

[266] გაზ. „დროება“, 1867 წ., № 42, 20 ოქტომბერი. იხ. იოსებ ეფემიაშვილის კორესპონდენცია „ცხინვალიდან“.

[267] იქვე. გვ. 2.

[268] იქვე.

[269] გაზ. „დროება“, 1876 წ., № 126, გვ. 4.

ქართული პრესა იმ აზრს, იცავდა, რომ ამგვარ ღონისძიებათა განხორციელების გზით დიდი ლიახვის ხეობის ოსები ადვილად შეიძენდნენ სამუშაოს, აღარ ჩაუვარდებოდნენ ხელში ვაჭრებს და ამ გარემოებით ისინი (ოსები) ქართველებთან ერთად დაეწაფებოდნენ განათლების წყაროს[270].

ცხინვალის მოსახლეობა დაინტერესებული იყო სკოლების გახსნით, თავიანთი შვილების აღზრდით, მაგრამ ხალხის განათლებისათვის თავს არავინ იწუხებდა. 1878 წლის 9 მარტს გაზ. „ივერია" მწუხარებით აღნიშნავდა იმის შესახებ, რომ ცხინვალში არ არსებობდა სკოლა, ცხინვალელები არ ზრუნავდნენ, ხოლო მთავრობის ხალხი არ იცლიდნენ სკოლისათვის[271].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ცხინვალელი მოსახლეობა ყოველ ღონეს მიმართავდა სკოლის გახსნისა და ხალხის კულტურული წინსვლისათვის. მთავრობის უზრუნველობის გამო ხალხი თავისი სახსრებით ცდილობდა სკოლის აგებას. 1880 წელს 24 თებერვალს გაზეთი „დროება" მხურვალედ გამოეხმაურა ადგილობრივ ქველმოქმედ ქალს, რომელმაც „ცხინვალის სკოლის სასარგებლოდ" ხალხში ფულები შეაგროვა. იგი, ამ პატრიოტული საქმის ინიციატორს ურჩევდა, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ანგარიში ჩაებარებინა საზოგადოებისათვის, თორემ ომიანობის დროს „წითელი ჯვრის სასარგებლოდ მოგროვებული ფული დანიშნულებას არ მოხმარებია"[272].

ქართული პრესა აღფრთოვანებით ეხმაურებოდა ცხინვალში სკოლის გახსნის მოახლოებას. გაზ. „დროება" 1880 წლის 1 აგვისტოს აქვეყნებდა ცნობას იმის შესახებ, რომ „...ცხინვალში სექტემბრიდან დაარსდება ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომლისთვისაც საკუთარ (რვა ოთახიანი) შენობას ამზადებენ, რომელიც იჯარით უნდა გაკეთდეს შვიდას თუმნათ"[273].

მართლაც, 1881 წლის 22 იანვარს „დროებამ" (№ 15) მკითხველებს აუწყა იმავე წლის 8 იანვარს სოფ. ცხინვალში ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის გახსნისა და სკოლის ზედამხედველად ს. ჯაფარიძის დანიშვნის შესახებ. გაზეთი იმასაც იტყობინებოდა, რომ „გახსნისთანავე სასწავლებელში შესვლის სურვილი ას უმაწვილს გამოუცხადებია"[274]. ცხინვალის ორკლა-

---

270 გაზ. „დროება", 1876 წ., № 126, გვ. 4.
271 გაზ. „ივერია", 1878 წ., № 10, გვ. 2.
272 გაზ. „დროება", 1880 წ., № 43, გვ. 2.
273 გაზ. „დროება", 1880 წ., № 161, გვ. 3.
274 გაზ. „დროება", 1881 წ., № 15, გვ. 2.

ხიან რეალურ სასწავლებელზე ადგილობრივი მოსახლეობა დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ მთხოვნელთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ სკოლის ხელმძღვანელობისათვის შეუძლებელი აღმოჩხდა ცოდნის მიღების ყველა მსურველთა დაკმაყოფილება. „ამ სკოლის დაარსება ნათლად გვიმტკიცებს, თუ რა დიდი სურვილი აქვს ჩვენს საზოგადოებას, რომ თავის შვილებს განათლება მისცეს. როგორც კი შეიტყო საზოგადოებამ, რომ შეგირდების მიღება აძა და ამ დღეს იქნებაო, მაშინ შეიკრიბა სკოლის წინ და ბ. ჯაფარიძეს — ამ სკოლის ზედამხედველს მოსვენება არ ჰქონდა თხოვნების მიღებით, ყველას უნდოდა იმის შვილიც მიეღოთ. მსურველი ბევრი აღმოჩნდნენ, მაგრამ ადგილები კი შეგირდებისათვის იყო საკმაო“[275].

როგორც ირკვევა, 1881 წლის 1 აპრილისათვის ცხინვალის ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელში 82 მოსწავლე სწავლობდა, მათ შორის—76 ვაჟი და 6 ქალი. სწავლის მსურველი ორ-სამჯერ მეტი იყო, მაგრამ შენობის სივიწროვე არ იძლეოდა სკოლაში სწავლის ყველა მსურველთა მიღების შესაძლებლობას.

ცხინვალის ორკლასიან ნორმალურ სკოლაში სწავლა პირველ ხანებში კარგად იყო დაყენებული. „დროება“ ამ წარმატებას სკოლის ზედამხედველის — ჯაფარიძის საუკეთესო ცოდნას, მდიდარ გამოცდილებას და პედაგოგიურ დახელოვნებას მიაწერდა. „დროების“ გამოთქმით: „სამი თვეა, რაც სკოლა გაიხსნა და აძის შეგირდები ეხლავე აკვირვებენ მნახველს ცოდნით, სწავლით... ბ. ჯაფარიძეს ეტყობა, რომ ის „ახალი პედაგოგი“ არის, არც ერთ საქმეს არ დაიჭერს საზოგადოების დაუკითხავად და ცდილობს სკოლა შეაყვაროს ხალხს“[276].

სკოლასთან ხალხის დაახლოებას, ზრუნვას სასკოლო საქმიანობაში ცხინვალელი მოსახლეობის აქტიურად ჩაბმისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლის წარმატებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ამრიგად, ცხინვალის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის ხელმძღვანელობას ისე ჰქონდა წარმოდგენილი, რომ:

1) სწავლა საზოგადო საქმეა და თითონ საზოგადოებამ უნდა იზრუნოს მისთვის;

2) ყოველთვის საჭიროა თვითმოქმედება და არა სხვების პოლიციური მზრუნველობა;

---

[275] გაზ. „დროება“, 1881 წ., № 15, გვ. 2.
[276] გაზ. „დროება“, 1881 წ., № 73, გვ. 2.

3) სწავლაში უნდა არსებობდეს თავისუფლება, რომელიც უარყოფს ყაზარმულ დისციპლინას;

4) ბავშვები უნდა იზრდებოდნენ ისე, როგორც ამას „ბუნების კანონი და ახალი პედაღოგია ითხოვენ“ და ა. შ.[277].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ცხინვალში კერძო სკოლებიც არსებობდა. სკოლები გაუხსნია რომელიღაც დიაკვანსა და ძონაზონს, მაგრამ „სწავლება“ ამ „სკოლებში“ მოძველებული და დაბავსებულ „სისტემით“ წარმოებდა „ეს პატივცემულნი მოღვაწენი განათლებისა, ძველებურად „ანუ-ბანუს“ ასწავლიდხენ შეგირდებს“[278]. ამავე პერიოდში, სომხებისათვის ცხინვალში გახსნილი ყოფილა აგრეთვე საანგარიშო სკოლა (ეკლესიის ხარჯზე), რომლის მასწავლებელი ხშირად ორკლასიანი ნორმალური სკოლის მუშაობას ესწრებოდა და ცდილობდა მისი გამოცდილება სომხების სკოლაში გამოეყენებინა, მაგრამ ყოველივე ეს ძაინც ძომავალზე იყო დამოკიდებული.

ცხინვალელ სომხებს განზრახული ჰქონდა საქალებო სკოლის გახსნა. ამისათვის დაიქირავეს სახლი. „...ეს კეთილი საქმე ეკატერინე იარალოვამ დაიწყო, რომელიც გულმხურვალედ ელტვის თავის მიზანს“. ეს მიზანი „დროების“ აზრით ყოველძხრივ. მისაბაძ იდეალს წარმოადგენდა[279].

გორის მაზრის ხელმძღვანელობა სკოლების გახსნის საქმეში პრაქტიკული დახმარების გაწევის მაგიერ ცხინვალელებში სახალხო განათლების მნიშვნელობის „ახსნა-განმარტებით“ და სკოლის საჭიროების „ქადაგებით“ კმაყოფილდებოდა.

„დროების“ თანამშრომელის (ნ. ხიზანიშვილის) ძტკიცებით, გორის მაზრის უფროსი „...გულწრფელი მოსარჩლეა სახალხო განათლებისა და, სადაც კი შეიძლება, ხალხს ამ განათლების საჭიროებას უქადაგებს... სხვათა შორის ცხინვალის სასწავლებლებზედაც მას ფხიზლად თვალყური უჭირავს“...[280] მიუხედავად ამისა, ფაქტიურად ცხინვალში სკოლების გაუმჯობესების დარგში ბევრი არაფერი გაკეთებულა. ერთადერთი სკოლა, რომელიც ხალხში ნაძდვილი განათლებისა და ჭეშმარიტი ცოდნის დანერგვისაკენ იბრძოდა, ეს იყო ცხინვალის ნორმალური სასწავლებელი, რომლის

---

277 გაზ. „დროება“, 1881 წ., № 73, გვ. 2.

278 იქვე.

279 იქვე.

280 გაზ „დროება“. 1884 წ., № 82. Plebs-ის ხელმოწერით. იხ. ნ. ხიზანიშვილის სტატია: „ხეა ცხინვალის მაზრიდამ“.

ზედამხედველი, გამოცდილი, ფრიად ძუყაითი და თავისი საქმის მცოდნე პედაგოგი—ჯაფარიძე ყველა საშუალებას მიმართავდა ბოსწავლეთა აღზრდის ნორმალური პირობების შესაქმნელად. საინტერესოა, რომ ებრაელები უარს აცხადებდნენ ქართველებთან და სომხებთან ერთად სკოლის შესანახად გაეღოთ საჭირო სახსრები, იმ მოტივით, რომ მათ საკუთარ სკოლებში საკუთარი ხარჯები ჰყავდათ.

„მერე ნეტავი იცოდეთ, რანაირია ამათი შკოლები. ნამდვილი პედაგოგიური ჯამბაზობა თუ გინდათ, სწორედ აქ არის! ან რა ტვინი უძლებს აქაური ებრაელის ბავშვებს? ცხინვალელი ხახამი, ბავშვების ხროვა და „დაბადების“ ბუდბუტი თავის ქნევით და ტანის რხევით — აი, უტყუარი სურათი ებრაული სკოლისა. სკოლის ამაზე მეტი-ღა დაცინვა განა იქნება?.... აქაურს ებრაელებს ეშინიათ — საზოგადო სკოლამ მათი სარწმუნოება არ შეარყიოს... კარგი სკოლა არას არყევს და ყველას კი ამტკიცებსო“, — წერდა „დროების“ თანამშრომელი ნ. ხიზანიშვილი[281].

აღსანიშნავია, რომ ცხინვალელი სომხები 1880—90 წწ. ძნიძვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ ქალების აღზრდას. გარდა ებრაელებისა, როგორც აღვნიშნეთ, ცხინვალში, ეკლესიის ხარჯზე სომხებს საკუთარი საქალებო სკოლა ჰქონდათ, სადაც ბარტო სომხის გოგონები სწავლობდნენ. სკოლის მზრუნველად და მასწავლებლებად ქალები მუშაობდნენ, ამ სკოლიდან, უკანასკნელ ხანებში განიდევნა ქართული ენა, რის სწავლებასაც წინათ სერიოზული ყურადღება ექცეოდა.

გაზ. „დროებამ“ სავსებით სწორად აღნიშნა, რომ „ხანგრძლივმა ისტორიულმა ცხოვრებამ საქართველოს სომხები შეაკავშირა ჩვენთან და ეხლა კი ზოგიერთი .უკეღმართნი პირნი ძმობისა და ერთობის მოსპობას ცდილობენ, ისტორიულ სიმართლეს უარყოფენ“[282].

ცხინვალის სომხურ საქალებო სკოლას დიდ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი სომეხი ქალები. 1883 წელს, ქველმოქმედმა ქალმა ეკ. იარალოვისამ სამას თუმნამდე შეაგროვა და სკოლას უდიდესი დახმარება გაუწია. გაზ. „დროების“ ცნობებით „...რაიმე სწავლა-განათლება მას არსად მიუღია და სკოლას კი მსხვერპლად ედება“[283]. „დროება“ ცხინვალელ ქალებს ამგვარი კეთილშობილური საქციელის მიბაძვისაკენ მოუწოდებდა.

---

281 გაზ „დროება“, 1884 წ., № 82, გვ. 2—3.
282 იქვე, გვ. 2.
283 იქვე, გვ. 2—3.

მთავრობის მოხელეების მხრივ სკოლის კეთილმოწყობის საქმეს ცხინვალში ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ცხინვალელი მოქალაქეები უკულტურობისა და გონებრივი სიბნელის ბურუსში ცხოვრობდნენ. განათლების მესვეურები ივიწყებდნენ იმას, რომ „სკოლის საქმეს... უფრო მეტის ენერგიით, მეტის სურვილით და თავგამოდებით უნდა ხელის მოკიდება, ვიდრე სხვა საქმეს"[284].

გაზ. „დროება" ხაზგასმით მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ „ორმოცამდე სხვადასხვა სასოფლო გადაწყვეტილება შესდგა სკოლების გახსნაზე ამ ორი წლის წინათ და ჯერ-ჯერობით არც ერთი იმათგანი არ შესრულებულა. არც არავინმა იცის შესრულდება თუ არა..."[285]

ცხინვალელი ებრაელები, რომელნიც 1880—85 წლებში ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენდა, გულგრილად ეკიდებოდნენ სკოლებს, არ იღებდნენ მისი შენახვისათვის საჭირო სახსრებს და არც თავიანთი შვილების აღზრდისათვის ზრუნავდნენ.

„სკოლის საქმეში უზრუნველობის მიზეზი ის არის, რომ იქაური ურიები, რომელნიც შეადგენდნენ ცხინვალში უმრავლესობას, ზურგს უქცევენ სკოლას და ამის გამო სასოფლო გადაწყვეტილება არა სდგება-რა სკოლის გაუმჯობესებისათვის. ურიები თავის შვილებს სკოლაში არ აბარებენ და არც ხარჯი უნდათ იკისრონ. ამ საცოდაობაშია სკოლა ურიების გადამკიდე, მაგრამ არც კი თვით ურიები არიან უკეთეს მდგომარეობაში"[286].

1884 — 1885 წწ. ცხინვალში გამოჩნდნენ ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები, როგორიცაა: მომრიგებელ-მოსამართლეები, ექიმები, მასწავლებლები, გამომძიებლები და სხვა, მაგრამ ადგილობრივი ხალხის განათლებისათვის თავს არავინ იწუხებდა. მათი უმრავლესობა დროს უქმად ყოფნაში, გართობაში, სეირნობასა და ლაყბობაში ატარებდა. გაზ. „დროების" გამოთქმით: „ცხინვალს, რომ ზურგი შევუქციოთ, არ ავცდებით ლიახვზედ ხიდს: ეს არის ერთად ერთი სასეირნო და სალაყბო ადგილი... აქ სალაყბოში უცხო კაცი ადვილად მიხვდება ცხინვალელების დღის ვარამს"[287].

---

284 გაზ. „დროება", 1885 წ., № 167, გვ. 2.

285 იქვე.

286 იქვე.

287 გაზ. „დროება", 1885 წ. № 167, გვ. 2.

ამ უსაქმურთა ცხოვრებაზე დაკვირვება ახალგაზრდობის აღზრდაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა. გაზ. „დროების“ ცინიკური გამოთქმით, „ახლად განათლებულ ცხინვალელებს აძნაირი დროის გატარება კი შეჰფერით, მაგრამ რა ხელი აქვთ იქ ჯერად გაუნათლებელ მცირე-წლოვან ბავშვებს, რომელნიც, თუ მონაწილენი არა, მაცქერალნი არიან ხოლმე, თითქმის გათეხებამდის, ამ ვახანალიებზედ“[289].

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ბავშვების აღზრდის, მათი გარემოს მოწესრიგების საქმე თვითდინებაზე იყო მინდობილი და მისთვის თავს არავინ იტკივებდა.

ცხინვალის ქუჩებსა და ბაღებში უქმად მოხეტიალე ბავშვების რიგების ზრდა ეკ. იარალოვის კერძო სკოლის დახურვითაც იყო გამოწვეული. პრესის გამოთქმით: „დიდი ხანი არ არის, რაც ესენი (ბავშვები.—ტ. ს.) ამშვენებდნენ ადგილობრივ სკოლას, სადაც წერა-კითხვის გარდა, ისეთ მშვენიერ ხელსაქმეს ასწავლიდნენ, რომ ბევრ მოწაფეთაგანს ეხლავ შეეძლო თავის მარჯვენით ხელი გაემართა ოჯახისათვის. არა ერთი იმათგანი მოიგონებს სიყვარულით და მადლობით თავის „პაპეჩიტელნიცას“, სკოლის სამაგალითო მოღვაწეს და მზრუნველს ქ. ეკატერინე იარალოვისას ამ ხელსაქმის სწავლების გამო. ძლიერ დააკლდა ეს სკოლა ცხინვალელებს...“[290]

ცხინვალში განათლების მესვეურთა მხრივ სკოლების არაერთგზის შემოწმების მიუხედავად მოსახლეობის კულტურული წინსვლის საქმეში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. 1885 წლის აგვისტოში ცხინვალში რამდენჯერმე იყვნენ გუბერნიისა და მაზრის თავკაცები, რომლებმაც დიდი ყურადღება მიაქციეს „...აქ გამართულ ნორმალურს სკოლას, რომელიც არასანატრელ მდგომარეობაშია ნივთიერის მხრივ. დაძველებული შენობა სკოლისა, კარგა ძვირად ნაყიდი, იმყოფება მყრალ, უწმინდურ... უბანში და დღე-დღეზედ ჩამოქცევას აპირებს“[200]. გუბერნიისა და მაზრის უფროსები ურჩევდნენ ცხინვალელებს სკოლის გადატანას უფრო ჯანმრთელ, ცენტრალურ, მზიან და სუფთა ადგილას (სინათლიან შენობაში), რისთვისაც ხალხს აღუთქვეს მთავრობის სახსრებით დახმარება, მაგრამ ყოველივე ეს ცარიელ დაპირებად დარჩა. მრავალგზის დაპირების მიუხედავად სკოლის საქმე მაინც ძველებუ-

---

289 გაზ. „დროება“, 1885 წ., № 165, გვ. 3.
290 გაზ. „დროება“, 1885 წ., № 176, გვ. 1.
200 იქვე.

რად მიდიოდა. ხალხის განათლებისათვის რეალურად არაფერი კეთდებოდა[291].

„ცხინვალს ერთადერთი სასწავლებელი აქვს, რომელსაც წლისა და წლის თავზე მოწაფეები ემატება. ასე რომ, ტევა არ არის და სკოლის კედლები კი განზედ არ იწევენ, რომ საწყალი მოწაფეები ხალვათად დასხდნენ. მოვიცადოთ, ცხინვალელებო, ენკენისთვემდის, იქნება ღმერთმა გვიპრიანოს და კედლებმა თვითონ განზედ დაიწყოს წევაო",—ირონიულად წერდა გაზეთი „ივერია"[292], რომელიც ხალხს სასკოლო საქმეებისადმი ყურადღების გამახვილებას გადაუდებელ ამოცანად უსახავდა.

უკულტურობის ზრდას ცხინვალში ხელს უწყობდა სკოლების ქსელის სივიწროვე და განათლების არსებული კერების მოუწყობლობა. ცხინვალის ორკლასიანი ნორმალური სკოლის კეთილმოწყობაზე პრესაში ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ მდგომარეობა კვლავინდებურად გრძელდებოდა. გაზ. „ივერია" 1891 წლის 8 იანვრის ნომერში აღნიშნული სკოლის შესახებ წერდა: „ჩვენს სკოლაში დღეს 96 ყმაწვილი სწავლობს. სკოლის შენობა კი ისეთია, რომ ამოდენა რიცხვი ყმაწვილებისა შიგ ვერა თავსდება და ძალიან ვიწროობაში არიან. თანდათან კი მატულობს ეს რიცხვი. სკოლის შენობა რომ გაფართოვდეს, იმედია, მსურველი სწავლისა უფრო მეტი იქნება"[293].

სწავლის მსურველ მოსწავლეთა კონტინგენტის სისტემატური ზრდის მიუხედავად სასკოლო შენობის გაფართოებასა და მის კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავდა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ სკოლაში ბოლო წლებში ქართული ენის სწავლებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

მართალია, ცხინვალელი მოსახლეობის განათლების დონე ჯერ კიდევ დაბალი იყო, მაგრამ XIX საუკუნის ბოლო წლებში საქალაქო ცხოვრების განვითარება მოსახლეობის გონებრივ და სულიერ ყოფაზე მაინც თავისებურ გავლენას ახდენდა. ცხინვალელთა მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება და გონებრივი ჰორიზონტი თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ თანდათანობით იზრდებოდა. ამგვარი მდგომარეობის შესახებ გაზ. „ივერია" 1892 წლის № 143-ში წერდა: „ჩვენი ცხინვალი დაბა კი არ არის, ქალაქია. რაც გორისათვის ქალაქია, ის ცხინვალისათვის გორიაო".

---

[291] გაზ. „დროება". 1885 წ., № 176, გვ. 1.
[292] გაზ. „ივერია", 1888 წ., № 153, გვ. 2.
[293] გაზ. „ივერია", 1891 წ., № 5, გვ. 2.

ცხინვალელთა კულტურული დონის ზრდაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის ბოლოს ადგილობრივ ჩამოუყალიბებიათ სცენის მოყვარეთა დასი, დაუდგამთ „მზის დაბნელება“, გადაუწყვეტიათ: ა) წიგნსაცავ-სამკითხველოსა და საქალაქო სასწავლებლის გახსნა; ბ) ლიახვის პირად გასართობი ბაღის გაშენება; გ) საკუთარი გაზეთის დაარსება და ა. შ. ამის შესახებ გაზ. „ივერია“ წერდა: „გონების საკარჯიშებლად ვაარსებთ წიგნთსაკითხავს და ქალების სასწავლებელს[294]; გასართობად ვაკეთებთ ლიახვის ნაპირას ბაღს და შემდეგში შეიძლება ჩვენი გაზეთიც ვიქონიოთ“[295].

ამგვარი ნაბიჯების მიუხედავად, ხალხი განათლების მხრივ მაინც დაბალ დონეზე იდგა. მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობა საგრძნობად უშლიდა ხელს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. კულტურისა და განათლების „მთელი სიკეთით“ გაბატონებული კლასები სარგებლობდნენ. სკოლა, წიგნი, ბიბლიოთეკა, გაზეთი, ჟურნალი ცხინვალელთა სანუკვარ იდეალს წარმოადგენდა. „არც ცხინვალის ბიბლიოთეკა ყოფილა უკეთეს მდგომარეობაში! უკეთესს ვინღა ჩივის, ნატამალიც რომ იყოს. ჰკა მაგასო! უგრიალიათ ერთბაშათ და შეცვივნულან სამკითხველოში. დაუტაცნიათ წიგნები, ჟურნალები, გაზეთები — აქ გდებას ის არ ჯობია სახლი დაგვიშვენოსო? რაღაც თორმეტიოდე ჩალის სკამი ჰქონია სამკითხველოს და ისიც ერთს უფრო მკლავ-ღონიერს მოუგდია ზურგზე და შინისაკენ უკრავს თავი (ეს უფრო ხელსაყრელია ი რაღაც ფარატინა ქაღალდებზეო), დანარჩენები თითონ შენობას უვლიან, ზოგი კარს აძრობს და ზოგი ფანჯარას. არ დარჩენილა თურმე ცხინვალში არავინ, თუ არ დავრდომილი, რომ ნადავლი არ ეშოვნოს-რა. თოვლი ჩამოყარა თუ არა, საძირკველს შეუგდეს თურმე ბარები და ზოგიც ბანზე მოექცა ყვარფინის ასაგლეჯად... ბიბლიოთეკა როგორ დაიკეტება, როცა არც კარი შეუნარჩუნეს და არც ფანჯარა, და ასე ძირგამოთხრილი სამკითხველო განისვენებს ცხინვალში ცხინვალელთა სანუგეშოდ“[296].

როგორ გადაჭარბებულადაც არ უნდა გვეჩვენოს ცხინვალის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მდგომარეობის ამგვარი სურათი, ფაქტია, რომ XIX საუკუნის ბოლოს ცხინვალის მოსახლეობის კულ-

---

294 ერთკლასიანი ქალთა სასწავლებელი ცხინვალში 1886 წ. დაარსდა, რომელიც 1891 წლიდან ცხინვალის ქალთა ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა.

295 გაზ. „ივერია“. 1892 წ., № 145, გვ. 3.

296 ჟურ. „კავალი“, 1899 წ., № 51, გვ. 866.

ტურული მრთხოვნილების დაკმაყოფილების საქმე თვითდინებაზე იყო მინდობილი.

ვაჭრობის განვითარება და კაპიტალიზმის ყველა სიძახინჯეები XX საუკ. დასაწყისში ცხინვალელთა ცხოვრების სარკეშიაც თავის გამოხატულებას პოულობდა. „თუმცა ცხინვალი დაბად ირიცხება, — წერდა ჟურნ. „კვალი", — მაგრამ ნამდვილად კი არც დაბაა და არც სოფელი. ბნელი ტალახიანი ქუჩები, წარმოუდგენელი სიძვირე სანოვაგისა, მკლავაძეების ქეიფ-ზეიმი, ჭორი, თამაში ლოტოსა და ვერტუშკისა, აი ცხინვალის ყოველდღიური საყვარელი დროს გატარება"[297].

ცხინვალში ამ პერიოდში განცხრომაში იყენენ თავადაზნაურები, ჩინოვნიკი მოხელეები და ვაჭარ-სპეკულიანტები, რომლებიც ხალხის შრომით ცხოვრობდნენ, მაგრამ ცოდნა, განათლება, სკოლა, ჟურნალ-გაზეთები ხალხისათვის ზედმეტად მიაჩნდათ.

ჟურნ. „კვალის" გადმოცემით ირკვევა, რომ ცხინვალში XX საუკუნის დასაწყისში მოსახლეობა: ა) ჟურნალ-გაზეთებს იშვიათად იღებდა; ბ) მოსწავლეებს აკრძალული ჰქონდა ქართულად სწავლა და ქართული ლაპარაკი; გ) სკოლებში გამეფებული იყო ფიზიკური დასჯის ზომები[298].

„ქალების სკოლაში, — ჟურნ. „კვალის" გამოთქმით — „კარგად" არის დაყენებული სწავლის საქმე. დღე არ გავა ისე, რომ სკოლიდან დაბრუნებულ მოსწავლეს ბღუჯა-ბღუჯა თმა არ მოქოხდეს სახლში. ყურების ხევა, გასაღების თავში ცემა, უსადილოდ ზედიზედ 3—4 დღე, ხანდახან მთელი კვირა დატოვება და სხვა",— ასეთი იყო „დისციპლინის აღზრდის" საშუალებანი ცხინვალის სკოლებში[299].

ხალხის უკმაყოფილების მიუხედავად, ამგვარი მდგომარეობის წინააღმდეგ განათლების მესვეურები ხმასაც არ იღებდნენ. „რა ნაყოფი უნდა მოიტანოს ასეთ პირობებში შკოლამ და რა გავლენა უნდა იქონიოს ნორჩ აგებულებაზე ასეთმა მასწავლებელმა, ამაზე არავინ არ ფიქრობსო", — წერდა ჟურნალი „კვალი", რომელსაც ამგვარი სიმახინჯეები სამსჯავროთ მზის სინათლეზე გამოჰქონდა.

---

[297] ჟურნ. „კვალი", 1903 წ., № 3. გვ. 44.

[298] არსებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ 1903 წლის დასაწყისში ცხინვალში არსებობდა ერთი საქალებო და მეორე ვაჟების სასწავლებელი. ამ უკანასკნელში ზიმშიევი ასწავლიდა მაგრამ იგი თავისუფალ დროს არ ახმარდა იმისთანა „უნიშვნელო" საგანს, როგორც ბავშვებისათვის „ჯეჯილის" ან სხვა წიგნების კითხვაა (ჟურნ. „კვალი", 1903 წ., № 3, გვ. 44).

[299] ჟურ. „კვალი", 1903 წ., № 3, გვ. 44.

ამრიგად, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ცხინვალში იყო ვაჟთა და ქალთა ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და რამდენიმე საოჯახო სკოლა, რომლებიც მოუწყობლობის, მთავრობის მოხელეთა გულგრილობისა და უსახსრობის გამო თავის დანიშნულებას მინიმალურადაც ვერ ასრულებდა. კიდევ უფრო ცუდი იყო მდგომარეობა დიდი ლიახვის ხეობაში ოსებით დასახლებულ სოფლებში, სადაც ახალგაზრდობის აღზრდას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი (სამხრეთ ოსეთში) 1865—66 წწ. 11-დან XIX საუკუნის 80-90 წლებში რამდენადმე შეიკვეცა, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 187-დან 134-მდე შემცირდა.

არა ზუსტი ცნობებით 1903—1905 წწ. გაიხსნა გუჯარეთის, აბანოს და ღუდის საეკლესიო-სამრევლო სკოლები, მაგრამ საშაგიეროდ სასულიერო უწყებამ ედისის, როკის (1900 წ.) და ზოგიერთი სხვა სასწავლებლები დახურულად გამოაცხადა.

„ოსეთის სასულიერო კომისიის" უწყებაში სამხრეთ ოსეთში ითვლებოდა:

1900—1901 წწ.—5 საეკლესიო-სამრევლო სკოლა—240 მოსწავლით (მათ შორის 20 ქალი);

1905—1906	წწ.—9	417	67
1909—1910	წწ.—11	633	93
1911—1912	წწ.—10	495	90

1916—1917 წწ.—7—10-მდე „ მოსწავლეთა შემცირებული რაოდენობით, რადგანაც ბავშვები გაურბოდნენ უაზრო ზეპირობას, ცხოველური წვრთნისა და რელიგიური დოგმატების უსარგებლო ზუთხვის სისტემას, რომელიც ამ სკოლებში იყო გაბატონებული[300].

აღნიშნული სკოლების უსარგებლობაში დარწმუნებულ შშობლებს უკან გაჰყავდათ თავიანთი შვილები.

სწავლების არსებული უვარგისი სისტემა, ლოცვებისა და საეკლესიო საგალობელთა დაუსრულებელი ზეპირობა გონებას უხშობდა სწავლას მოწყურებულ ოს ახალგაზრდობას, ხოლო ქართული წიგნისა და კულტურის დევნა ოს მოსახლეობას საეკლესიო-

---

[300] ვისარგებლეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრ. ოსეთის სამეცნ. კვლევითი ინსტიტუტის მასალებით.

სამრევლო სკოლებზე გულს უცრუებდა. ამგვარი მდგომარეობის გამო „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ იძულებული იყო თავისი 1888 წლის „ანგარიშში“ ვანათის საეკლესიო-სამრ. სკოლის შესახებ ეთქვა:

„ოდესღაც სკოლის საჭიროების ინტერესით მეტად გამსჭვალული ადგილობრივი მცხოვრებნი, ეხლა სავსებით გულცივი გახდა მის მიმართ, ნაკლებად აქცევენ მას ყურადღებას და ნაკლებად გრძნობენ ასეთი სკოლის საჭიროებას“...[301] იგივე „საზოგადოება“ ჯავის საეკლესიო-სამრევლო სკოლის შესახებ იძულებული იყო აღენიშნა, რომ ჯაველებისათვის მეტად დამახასიათებელი თვისება — სწავლისადმი ინტერესი — ამჟამად შეცვლილია სკოლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულებით, განათლებისადმი გულგრილი განწყობილებიო.[302]

ნამდვილად, ჯავის მშრომელები საერთოდ როდი იყო გულგრილი სწავლა-განათლებისადმი, არამედ ინდიფერენტულად უყურებდა მხოლოდ საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, რომლებიც მოსწავლეების ნორჩ გონებას ტვირთავდა ცხოვრებისათვის უსარგებლო „ცოდნის“ ნაგავით.

XIX საუკუნის 80-იან წლებში სამხრეთ ოსეთში კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველომ დაიწყო ე. წ. სამინისტრო სკოლების გახსნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1881 წ. გაიხსნა ცხინვალის ორკლასიანი ნორმალური სკოლა. შემდეგში დაარსებულ იქნა ახალგორის (ეხლანდელი ლენინგორის) დაწყებითი სასოფლო სკოლა (1864 წ.), ცხინვალის ერთკლასიანი ქალთა სასწავლებელი (1886 წ.), ახალგორის ქალთა ერთკლასიანი სკოლა (1888 წ.) და კუდაროვის ერთკლასიანი დაწყებითი სკოლა (1889 წ.), რომლებშიც (1887—88 წწ.) სულ 185 მოსწავლე (მათ შორის —136 ვაჟი და 49 გოგონა) სწავლობდა.[303]

1910 წლის ოფიციალური ცნობებით მაშინდელს გორის მაზრაში სასკოლო ასაკის 20.000 ბავშვზე მოდიოდა 52 სხვადასხვა ტიპის სკოლა. მაზრაში შემავალ ისეთ ცნობილ კუთხეებში, როგორიცაა ახალქალაქი, ბორჯომი, მეჯვრისხევი, ცხინვალი და სხვა, ხალხს საჭიროდ მიაჩნდა ოთხკლასიანი საქალაქო სკოლების გახსნა (სახელოსნო და სამეურნეო განყოფილებებით), მაგრამ ეს გან-

---

301 საქართველოს სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი № 141 საქმე № 549, ფურც. 12—15.

302 იქვე, ფონდი 141, საქმე № 796. ფურც. 2—9.

303 Отчет попечителя Кавк. уч. округа за 1867 г., стр. 262, 266, 288.

ზრახვაც ხალხის სურვილების წინააღმდეგ დიდხანს არ ყოფილა განხორციელებული. ხალხი მოითხოვდა სოფელ ჯავაში ორკლასიანი სამინისტრო სკოლის ოთხკლასიანად გადაკეთებას[304], მაგრამ მშრომელთა ეს მოთხოვნაც უყურადღებოდ რჩებოდა. სახალხო სკოლების დაარსების ნაცვლად ცარიზმის მოხელეების მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელის გაშლას, რამდენადაც იგი ამ გზით ცდილობდა ხალხთა მასების გონების დაბნელების პოლიტიკის განხორციელებას.

1914 წელს სამხრეთ ოსეთში უკვე არსებობდა ჯავის, მსხლებისა და ვანათის ორკლასიანი და ერრიის, ყორნისის, ორტევის, კი.შკის, როკის, ზღუბირის შუა-ერმანის და კეშელთის ერთკლასიანი სკოლები.

ამავე პერიოდში გახსნილ იქნა ზაყორის (1891 წ.), ჩასავლის (1895 წ.), ცხინვალის ქალთა ორკლასიანი (1896 წ.), ძარის, ედისის (1896 წ.), ცხინვალის I, II და III (1909 წ.), გვერცევის, ხვწეს, წონისის (1910 წ.), გუპტინის, ჯავისთავის, ქურთის, ტბეთის (1911 წ.), გერის, კვერნეთის, ფრინევის (1912 წ.) და შუშითყანის სამინისტრო სკოლები.[305]

სამინისტრო სკოლებისა და მოსწავლეთა შემადგენლობის დინამიკა (სამხრეთ ოსეთში) 1881—1915 წწ. უდავოდ გაზვიადებული ცნობების მიხედვით შემდეგ სურათს იძლეოდა:

1881 წ.—1 სამინისტრო ორკლასიანი სკოლა	82 მოსწ. (ვაჟი 76, ქალი 6);	
1887—88 წ.—3	160	31
1890—91 წ.—4	193	32
1900—1901 წ.—6	304	115
1904—1905 წ.—8	415	139
1914—1915 წ.—20 „	920 „	„ 387 „[306]

სამინისტრო სკოლების რიცხვი 1917 წელს (1915 წელთან შედარებით) ერთით გაიზარდა.[307]

---

[304] ქურ. „ანათლება", 1910 წ., № 1. გვ. 35.

[305] Отчет о сост. нав. Кав. уч. Округа за 1900 г. 1901 г., стр. 44, за 1902 г., стр. 47, 51, 61, 68 და საქ. ცსს საისტ. არქივი, ფონდი 93, საქმე № 5449, ფურცლ. 3—6, 7—9.

[306] იხ. დოკ. ბადიევის დასახელებული ნაშრომი (ხელთნაწერი), გვ. 127—130.

[307] 1916 წლის ივლისში გაიხსნა ჯავის უმ. დაწყებითი სასწავლებელი (ცხ. ფონდი 109, საქმე № 416, ფურცლ 69 91, 1917 წ.).

ამრიგად, სასულიერო და საერო განათლების უწყებაში ცარიზმის დამხობამდე სამხრეთ ოსეთის სოფლებში (არაზუსტი მასალების მიხედვით) 32-მდე სამინისტრო და საეკლესიო-სამრევლო სკოლა ითვლებოდა, რომელშიაც სულ 1415-მდე ბავშვი სწავლობდა[308].

სასკოლო შენობებისა და დგამ-ავეჯის სიმცირე და უვარგისობა, სასწავლო ხელსაწყოებისა და სახელმძღვანელოების უქონლობა, სწავლების შინაარსის რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტა და სწავლა-აღზრდის მთელი პროცესის რელიგიისადმი დამორჩილება, სკოლების ერთ-ერთი მეთვალყურის გამოთქმით რომ ვთქვათ, იწვევდა სკოლების წინსვლის სრულს შეჩერებას, ძილისა და გაყინვის მდგომარეობას, ახშობდა ბავშვის სულსა და ცხოვრებას, რომელიც ძლივს-ძლიობით ინარჩუნებდა თავის არსებობას.[309] სპეციალური სასკოლო შენობები სამხრეთ ოსეთში 1860 წლამდე თითქმის არ არსებობდა. ჯავის, ორტევისა და როკის სოფლებში, ხის მცირე ფართობიანი შენობა ჰქონდათ, მაგრამ იმდენად დაძველებული, რომ 1864 წელს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ინსპექტორი მიუთითებდა მათი დანგრევის საშიშროებასა და მარცხის მოსალოდნელობაზე.[310]

პრესის მასალებიდან ცნობილია, რომ ვორონცოვის დროს ჯავის ხეობაში დაბანაკებული ჯარის სადგომები შემდეგში სკოლებს გადაეცა. მაშინდელი ჯარის სადგომ ყაზარმებს, როგორც „დროება“ წერდა, XIX საუკ. ბოლოსაც შეხვდებოდით ჯავაში, როკასა და სხვა ადგილებში, რომლებშიც სკოლები იყო გამართული.[311]

ქართული პრესის ცნობით, ზოგიერთ სოფლებში სკოლისათვის ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე ხის 1—2 ოთახიანი შენობები იგებოდა, ხოლო უმეტესად იგი ჯარის მიერ დაწუნებულ ყაზარმებში იყო მოთავსებული.[312]

„მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მესვეურები სკოლის შენახვისა და კეთილმოწყობის ხარჯების გაღებას ადგილობრივ მოსახლეობას აკისრებდა მაშინ, როდესაც ხალხისაგან შეგროვილი თანხების დიდი ნაწილი ეკლესიების შენახვას ხმარდებოდა.

---

[308] ი ქ ვ ე. ფონდი 109, საქმე № 416, ფ. 89—91.
[309] საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 1572, ფურც. 1—4
[310] ი ქ ვ ე. ფონდი 141, საქმე № 62. ფურც. 65—81.
[311] გაზ. „დროება“, 1876 წ, № 128, გვ. 4.
[312] ი ქ ვ ე.

„ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიერ სკოლის კეთილმოწყობის ხარჯების გაღებაზე უარისთქმის გამო ვანათის სკოლას არც ავეჯი გააჩნდა, არც სახელმძღვანელო წიგნები. სკოლის მასწავლებლის (ნ. საძაგლიშვილის) თაოსნობით გორისა და ცხინვალის საზოგადოებაში შეგროვილი თანხებით შეძენილ იქნა სკოლისათვის საჭირო ნივთები.[313]

1—2 ოთახიანი სასკოლო შენობები თავიანთი ხარჯით ააგეს მსხლების; ზავდეს, კოშკის, ქეშელტის, ჯომაღის, თრისის, საბასღუბირის, შიმბიათის, სოჭინის, ჭერიევის, ბესტავანთ სოფლის, ლეკოვანის და ზოგიერთი სხვა სოფლის მოსახლეობამ, მაშინ, როდესაც მთავრობის მოხელეები ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს სკოლების მოწყობისა და მთის ხალხში სწავლა-განათლების შეტანის საქმეს.

სამინისტრო სკოლებიდან საკუთარი სასკოლო შენობა ჰქონდა გვერცევის, გუფთის, ხვწეს, ცხინვალის (ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელს), ედისის და ცონის სკოლებს, დანარჩენი 13 სამინისტრო სკოლა მოსახლეობის მიერ დაქირავებულ ბინებში იყო მოთავსებული.[314]

XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ ოსთა სკოლების მატერიალური ბაზის მდგომარეობაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სახალხო სკოლების ინსპექტორის მოხსენება, რომელშიაც 1916 წ. ტბეთის სკოლის შესახებ წერდა: „ვინახულე ტბეთის სკოლა და მივიღე ყოვლად უნუგეშო მდგომარეობის შთაბეჭდილება. სასწავლებელი მოთავსებულია პატარა ბნელ ოთახში, თითქმის ყოველგვარი მოწყობილობის გარეშე“.[315]

ცხადია, სასკოლო შენობების ფართობის სიმცირე, ბნელი ოთახები და სასწავლო მოწყობილობის უქონლობა უარყოფითად მოქმედებდა არა მხოლოდ მოსწავლეთა მომზადების დონეზე, არამედ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზედაც. სასკოლო შენობების ნაწილი პირადი სარგებლიანობისათვის მღვდლებს ეპირა.

„კავკასიაში მართლმ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ანგარიშში აღნიშნულია: „სწავლის მდგომარეობა მაშინ გაუმჯობესდება, როდესაც ადგილობრივ მღვდლებს ბინებს აუშენებენ და ისინი გაათავისუფლებენ მათ მიერ ამჟამად დაკავებულ სასკოლო ოთახებს“[316].

---

[313] გაზ. „დროება“, 1893 წ., № 118, გვ. 2.
[314] საქართველოს სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 1001, ფურც. 1, 3—8, საქმე № 1495, ფურც. 14—19.
[315] ი ქ ვ ე, ფონდი 109, საქმე № 374, ფურც. 89.
[316] ი ქ ვ ე, ფონდი 141, საქმე № 649, ფურც. 12—15.

სასკოლო შენობები მოუწყობელი და სწავლებისათვის შეუფერებელი იყო. დგამ-ავეჯის სიმცირის გამო მოსწავლეები ხშირად იატაკზე ან ფანჯრის რაფაზე მსხდარნი წერდნენ და კითხულობდნენ[317]. ანალოგიური მდგომარეობა იყო კანათის სკოლაში, რომლის შესახებ საქართველოს ეპარქიალურ სასწავლებელთა საბჭო წერდა: „სკოლა უდგამოდაა. ასე, რომ მოსწავლეებს იატაკზე ჯდომა“... და ისე მეცადინეობა უხდებაო[318].

ვანათისა და ედისის სკოლების კეთილმოწყობისა და ამ საქმისადმი მთავრობის მოხელეების უყურადღებობის საკითხს ხშირად ეხმაურებოდა ქართული პრესა. როგორც გაზეთი „ივერია“ წერდა, მღვდელ-მონაზონი ლეონიდი იძულებული გამხდარა დაეტუქსა ედისისა და ვანათის მამასახლისები, რომელთაც „...გაზაფხულზედვე უნდა გაეკეთებინათ ედისელების სკოლის შენობა და ვანათელების სკოლის გალავანი. ამიტომ მ. ლეონიდი სრული ორ-ორი დღე დარჩა იქ და სანამ თავის თვალწინ არ დაასრულებინა ედისაში სკოლის სახლი და ვანათში გალავანი, ფეხიც არ მოუცვლია იქიდან. სასიამოვნო იყო, როდესაც ოთხი სოფლის საზოგადოება ვანათის სკოლას გალავანს არტყამდა, რიგი ქვას ეზიდებოდა იქვე. ლიახვის პირიდან, რიგი მარგილებს, რიგი ჯალჯას და რიგი კიდევ ტკბილის სიმღერით გალავანს ავლებდა“[319].

ყოველივე ზემონათქვამი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ მთავრობა და ეკლესიის ხელმძღვანელობა სკოლის ხარჯების გაღების მხრივ დიდ მომჭირნეობას ეწეოდა. სასკოლო შენობათა აგება, მათი კეთილმოწყობა, ინვენტარის შეძენა, გათბობა-განათება და მომუშავე პერსონალის შენახვის ძირითადი ხარჯები ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი ბეგარის შესრულების ან ფულადი სახსრების გაღების გზით სრულდებოდა.

შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდათ საშინისტრო სკოლებს, მაგრამ სახარბიელო და მეცადინეობისათვის ნორმალური მდგომარეობა არც იქ ყოფილა[320].

სკოლები ურთიერთისაგან 15—25 კილომეტრით იყვნენ დაცილებულნი. საცხოვრებელი ადგილიდან შორეულ მანძილზე ფეხ-

---

317 საქ. ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 1[illegible], საქმე № 196, ფურც. 2—9.

318 იქვე, ფონდი 169, საქმე № 17 ფურც. 69.

319 გახ. „ივერია“, 1891 წ., № 227, გვ 2 [illegible].

320 საქ. ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 1[illegible], საქმე № 610, ფურც. 5, საქმე № 1194, ფურ. 2. საქმე № 1191, ფურც. 66, 67, 92—96.

ტიტველა და ნახევრად მშიერი ბავშვების გზავნა ღარიბ ოსებს ძლიერ უჭირდათ.

ამგვარი პირობების შედეგად (ჯერ კიდევ 1864 წ.) დაისვა საკითხი ზოგიერთ სკოლასთან პანსიონატის მოწყობის შესახებ.

როკის სკოლასთან 30 ბავშვისათვის განზრახული იყო პანსიონატის მოწყობა. თითოეულ პანსიონარს უნდა გადაეხადა (თვეში) 4 მანეთი, ნახევრად პანსიონარს კი — 2 მანეთი. ამგვარივე პანსიონატების მოწყობა გათვალისწინებული იყო ჯავის, ორტევის, ვანათის, ედისისა და ზოგიერთ სხვა სკოლებისათვის, მაგრამ, მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ ვანათის სკოლასთან გაიხსნა „ბავშვთა ღამის გასათევი სახლი", როკისა (1902 წ.) და კოშკინის (1910 წ.) სკოლებთან ე. წ. „პრიუტები". მთის განსაკუთრებული პირობებით გამოწვეული პანსიონატების გახსნა-შენახვის ხარჯების მთელი სიმძიმე ისევ გლეხებს აწვებოდა. სამღვდელოება კი პანსიონების გახსნაზე ოს გლეხობას „სათანადო სახსრების" უქონლობის ძომიზეზებით მუდამ უარით ისტუმრებდა[321].

როგორც ჩრ. ოსეთში, ისე სამხ. ოსთა სოფლებშიაც მწვავედ იდგა სკოლებთან ბავშვთა თავშესაფარების მოწყობის საკითხი. სოფ. გერის მოსახლეობის კრებამ მიიღო დადგენილება ვანათის სკოლასთან ბავშვთა თავშესაფარის მოწყობის შესახებ. ვანათის სკოლა ოსურ სკოლად ითვლებოდა, მაგრამ ორმოცდაათი ბავშვიდან 1885—86 წ. მასში მხოლოდ 11 ოსი სწავლობდა. გაზეთი „ივერია", რომელიც მთის ხალხთა შვილების სწავლა-განათლების საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, აძის ერთ-ერთ პირველ მიზეზს იმაში ხედავდა, რომ „...ოსები შორსა ცხოვრობდნენ სკოლაზე და ბავშვებს ვერ შეუძლიანთ სიარული სკოლაში. მეორედ, რომ ოსები სიღარიბისა გამო ვერ უჭერენ თავის შვილებს ცალკე სახლსა. თავშესაფარი რომ გაკეთდეს, — „ივერიას" გამოთქმით, — ორივე დამაბრკოლებელი ძიზეზი ძოისპობა და ოსებს ადვილად შეეძლებათ თავიანთი შვილები შკოლაში გამოზარდონ ხოლმე"[322].

ამრიგად, ოსების სოფლებიდან სკოლების დაშორებულობა, სკოლებთან ბავშვთა თავშესაფარების უქონლობა, სასწავლებელთა მოუწყობლობა, მოსახლეობის სიღარიბე და ხალხის განათლებისადმი მთავრობის მოხელეთა გულგრილობა მთავარ დამაბრკოლებელ

---

321 საქ. ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 812, ფურც. 9.

322 გაზ. „ივერია", 1886 წ., № 241, გვ. 3. იხ. კ. ცხ-ძეს სტატია.

მიზეზებს წარმოადგენდა, რაც ხელს უშლიდა ოს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას.

ქალთა განათლება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მემამულეები და ბურჟუაზია ქალთა აღზრდა-განათლებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ერთგვარ განათლებას დიდგვარიანთა წარმოშობის ოსი ქალები საოჯახო აღზრდის გზით იღებდნენ.

ისტორიული ფაქტების მიხედვით დადასტურებულად ითვლება, რომ ოსთა მეფის — ხუდანის ასულმა — ბურდუხანმა (რომელიც გიორგი მესამეზე დაქორწინდა), არა მარტო სხვადასხვა ენები, არამედ ჭრა-კერვა, ქსოვა-ქარგვა, ოქრომკედი და წერა-კითხვის სწავლების წესებიც მშვენივრად იცოდა[323]. თუ ეს ცნობები ოს მეფეთა და დიდგვარიანთა შთამომავლობას ეხება, სამაგიეროდ, გაბოჩენილი ქართველი გეოგრაფოსი—ვახუშტი ბატონიშვილი, საერთოდ, ოსი ოჯახების ქალების შესახებ აღნიშნავდა, რომ „ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმინდა და კეთილნი“[324].

ძველთაგანვე აღიარებულია, რომ ოსი ქალები შრომისმოყვარენი, ნიჭიერნი და გამრჯენი არიან. „ოსის ქალები, — წერდა „დროება“,—კარგს ყველს და ერბოს ამზადებდენ, აგრეთვე კარგს შალებს ქსოვენ და ჩოხა-შარვლებსაც ჰკერავენ“[325]. მაგრამ ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ ოსი ხალხის შვილები, განსაკუთრებით ქალები ფეოდალიზმის ეპოქაში კარჩაკეტილად და მონურ მდგომარეობაში ცხოვრობდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ოსი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელთა ინიციატივით ჩრდილოეთ კავკასიის ოსეთში ქალთა სკოლის მოწყობის საკითხიც წამოიჭრა. 1862 წელს პროტოიერ კოლიევის მიერ დაარსებულ ქალთა კერძო სკოლაში 20 ოსი გოგონა სწავლობდა. 1863 წ. აღნიშნულ სკოლაში 23 მოსწავლე ქალი ირიცხებოდა. 1865 წ. ჩამოყალიბდა ვლადიკავკაზის ოს ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი. პანსიონით. ამ უკანასკნელში 24 პანსიონერი გოგონა ცხოვრობდა.

1880 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სოფ. ჩიროსტონყაუში და ხუმალაგში გაიხსნა ქალთა ერთკლასიანი სკოლები. 1871 წელს ჩრდილოეთ ოსეთში (გარდა ვლადიკავკაზის ქალთა სკოლებისა) 2 ქალთა სკოლა არსებობდა 27 მოსწავლით, 1880 წ. — 7 ქალთა სკოლა —

---

323 ხ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ოსეთის ისტორია, გვ. 160.
324 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 111.
325 გაზ. „დროება“, 1876 წ., № 128, გვ. 3.

197 ბავშვით, ხოლო 1881 წ. — 275 გოგონა, რომელთაგან 54 კავკავის ქალთა თავშესაფარში ცხოვრობდა. 1895 წ. მოსწავლე გოგონების რიცხვი ჩრ. კავკასიის ოსეთში უდრიდა 379-ს, 1898 წ. (ვლადიკავკავის ქალთა სკოლების ჩაუთვლელად)—469, 1913 წ. — 919, ხოლო 1915 წ.—1524. აღსანიშნავია, რომ 1949 მოსწავლეში, რომელიც 1915 წელს ოსეთის საეპარქიოს ორკლასიან სკოლებში ირიცხებოდა, კურსი მხოლოდ 6 გოგონამ დაასრულა. აქ, ვლადიკავკავის სკოლების 327 მოსწავლე ქალიდან ერთკლასიანი სკოლის კურსი დაამთავრა 43 გოგონამ, ხოლო მთელი ვლადიკავკავის ოლქის სკოლების 1048 მოსწავლე ქალიდან — 65 მოსწავლემ. ამრიგად, ცხოვრების დაბეჯითებითი მოთხოვნილების ნიადაგზე საეკლესიო სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა, მაგრამ პრაქტიკული ცხოვრებისაგან სკოლების მოწყვეტის, სწავლებაში დოგმატიზმისა და ვერბალიზმის გაძლიერების გამო ოს ქალთა განათლების საქმე სასურველ ნიადაგზე მაინც ვერ მიმდინარეობდა.

სამხრეთ ოსეთში ქალთა სწავლება შემოღებულ იქნა (1866 წ.) ჯავისა და ბესტავაანთსოფელში, რომლიდგანაც პირველში 13 გოგონა სწავლობდა, მეორეში კი — 7. 1864 წ. სამღვდელოებას „წესდებით“ გათვალისწინებული ჰქონდა სკოლებში ან კერძო აღზრდის გზით გოგონებისათვის მიეცათ წერა-კითხვის ცოდნა, მაგრამ ამ მიზნის განხორციელებას (სხვა მიზეზებთან ერთად) სწავლის ქირა (15 მანეთი) აბრკოლებდა. როგორც ჩრ. კავკასიის ოსეთში, ისე საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობა სიხარულით ხვდებოდა ქალთა სკოლების გახსნას და ყოველმხრივ ცდილობდა მიეცა თავიანთი გოგონებისათვის ელემენტარული განათლება.

ქართული პრესა აღფრთოვანებით მიესალმებოდა ოს ქალთა სკოლების დაარსების საუკეთესო ინიციატივას და მოსახლეობას ფართოდ აცნობდა მის მნიშვნელობას ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში.

1890 — 1891 სასწავლო წელს სამხრეთ ოსეთში არსებული ჯავის, ვანათის, როკისა და ედისის სკოლების რიცხვს მიემატა სოფ. კოშკას ახლადდაარსებული საქალებო სასწავლებელი, რომლის მასწავლებლად დანიშნულ იქნა თბილისის საეპარქიო სასწავლებლის კურსდამთავრებული ქალი—ა. სანაკოშვილი. „საქალაქო სასწავლებლის დაარსება,— როგორც გაზ. „ივერია“ წერდა,— ოსეთში საყურადღებო და სასიამოვნო ამბად უნდა ჩაითვალოს, რადგან

დღეს ამ ქვეყანაში ქალი მეტად დუხჭირს მდგომარეობაში იმყოფება"[326].

გოგონების სწავლის მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ მათ უმრავლესობას ნახევრად ჩაუცმელ-დაუხურავს და მშიერს უხდებოდა სკოლებში სიარული.

„განსაკუთრებით ცუდად არიან ჩაცმულნი გოგონები, რომლებიც ზამთარში თოვლზე ფეხშიშვლები და მხოლოდ ჩითის კაბით დადიან, კლასში 3—4 საათს ფეხმოკეცილნი სხედან... მეტად საშინელია ამ უბედურთა მდგომარეობა, როდესაც კლასები ცუდად ინთება"[327]. სკოლის მოუწყობლობა, შიმშილი, სიტიტვლე, დუხჭირი და აუტანელი ცხოვრება ქალთა განათლების გზაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა, მაგრამ გოგონების რაოდენობა სკოლებში შედარებით მაინც იზრდებოდა.

სამხრეთ ოსთა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლობდა: 1876 წ. 20 გოგონა; 1880 წ. — 12; 1900 წ. — 20; 1905 წ. — 65, 1906 წ. — 70, 1907 წ. — 81, 1908 წ. — 127, 1909 წ. — 93, 1911 — 12 ს. წ. — 90, ხოლო 1916 — 17 წწ. კიდევ უფრო ნაკლები. სამაგიეროდ ქალ-მოსწავლეთა რიცხვი სამინისტრო სკოლებში შედარებით უფრო მეტად იზრდებოდა. განათლების სამინისტროს უწყების სკოლებში სამხრეთ ოსეთის მასშტაბით ირიცხებოდა: 1887 წ. — 31 ქალი-მოსწავლე; 1890 წ. — 32; 1900 წ. — 115; 1904 — 1905 სასწ. წელს — 139, ხოლო 1914 — 15 წწ. კი — 387 მოსწავლე. აქედან ცხინვალის ორკლასიან სამინისტროს სკოლაში 1887 წ. 5 გოგონა სწავლობდა, ახალგორის ერთკლასიან სასოფლო სკოლაში — 2. მსხლების (1903 წ.) და კოშეხის (1892 წ.) ქალთა სკოლები ჩქარა შერეული ტიპის სასწავლებლად გადაკეთდა. 1885 წელს განათლების სამინისტროს ხაზით გაიხსნა ცხინვალის ქალთა ერთკლასიანი სკოლა, რომლის ბაზაზე 1896 წელს ქალთა ორკლასიანი სკოლა ჩამოყალიბდა. 1888 წელს შეიქმნა ახალგორის ქალთა სასწავლებელი, მაგრამ მოსწავლე ქალების რიცხვი ამ სკოლებში შეუმჩნევლად იზრდებოდა[328].

პროფესიონალური განათლება. კავკასიის მთის მცხოვრებნი და მათ შორის ოსები — ძველთაგანვე მისდევდნენ საჭირო საოჯახო საგნებისა და ნივთების ოჯახშივე დამზადებას. ქართველები, რომლებიც ოდითგანვე იყვნენ ოსებთან სამეურნეო-კულტურულ

---

[326] გაზ. „ივერია", 1891 წ., № 227, გვ. 2 3.

[327] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 г стр. 78.

[328] იხ. ჯ. ი. გადიევის დასახელებული ნაშრომი, გვ. 127—130.

ურთიერთობაში, მათ ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს სამეურნეო-სახელოსნო საქმიანობის ცოდნა-ჩვევათა შეთვისების საქმეში. ოსებმა შეითვისეს და შეისწავლეს მრავალი ხელობა, რაც მათი საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის — ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში საოჯახო სახელოსნო საქმიანობაში ოსების ცოდნისმოყვარეობის შესახებ ვკითხულობთ, რომ მათ „უწყიან ხელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისა, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მქედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა, სახლთ შენება“ და სხვ.[329] ხელსაქმეობაში, სახელოსნო და სატექნიკო საქმეში ერთნაირად იწვრთნებოდნენ, როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც. იგივე ვახუშტის გადმოცემით, „...ოსები გამოიღებენ მიწიდან მრპენსა, გვარჯილასა, ბოგირდსა. ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმინდა და კეთილნი“[330].

მთის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, ბუნების წიაღისეულ სიმდიდრეებთან პირისპირ შეხვედრა, მესაქონლეობა-მემინდვრეობის პროდუქტიულობის შეზღუდულობა და სხვა, ოსებს გარკვეულ ბიძგს აძლევდა საოჯახო-სამეურნეო-ხელოსნური ცოდნის მიღებისაკენ, მაგრამ თვითსწავლის გზით ვიწრო ხელოსნური ჩვევების შეთვისება მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა.

ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ოსეთში ადრიდანვე დაისვა საკითხი სოფლის მეურნეობასა, ხელოსნობასა და ხელსაქმეობაში ბავშვთა მოსამზადებლად სკოლების გახსნის შესახებ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი სკოლები დიდხანს არ ყოფილა ჩამოყალიბებული.

„საზოგადოების“ ზოგიერთ სკოლაში შეიქმნა სახელოსნოები, სადაც მოსწავლეებს აჩვევდნენ პრაქტიკულ შრომას. მათ ასწავლიდნენ ბარის, ფოცხის, ლამბაქის, თითისტარის, ქამარის, საანგარიშოს, სახაზავის და სხვათა გაკეთებას, მერხების, კარადების, მაგიდებისა და სკამების შერემონტებას, ეკლესიის ხატებისა და სურათების ჩარჩოების შეკეთებას. „საზოგადოების“ სკოლებიდან ამ წლიდან 1870-იან წლებში ყველაზე სანიმუშოდ ითვლებოდა გიზელის, ალაგირის, სადონის, ვლადიკავკაზის ქალთა სამკლასიანი, სამხრეთ ოსეთის — ჯავის, ვანათის, მსხლების და სხვა სკოლები[331].

---

[329] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 111.

[330] ი ქ ვ ე.

[331] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 г., Тифлис, 1884 г., стр. 47, 64—65.

სადურგლო და საზეინკლო საქმეს სწავლობდა: სადონის სკოლაში — 10 მოსწავლე, ალაგირში — 7, გიზელში — 19. 4 სკოლის 223 მოსწავლიდან სადურგლო-საზეინკლო ხელობის ელემენტებს 49 მოსწავლე სწავლობდა, რომელთა უმრავლესობას ოსები შეადგენდა[332].

ბავშვებს აჩვევდნენ აგრეთვე სკოლის ბაღ-ბოსტანში მუშაობას. ამ მხრივ, საინტერესო და სასარგებლო შრომას ეწეოდხენ ოლღის სახელობის ქალთა, ხუმალაგის, დარგკოხის, ბატაკოიურტოვსკის და ზოგიერთი სხვა სკოლები. ქალთა სკოლებში ისწავლებოდა ხელსაქმე. მოსწავლე გოგონები ეჩვეოდნენ ქსოვას, კერვას, ქარგვას, გაუთოებას, ქალის ფეხსაცმელების შეკეთებას და სხვა საოჯახო საქმის კეთებას[333]. გიზელის სკოლას ჰქონდა კარგი სახელოსნო, სადაც თავისუფალ დროს მოსწავლეები ვარჯიშობდნენ სხვადასხვა სასკოლო ხელსაწყოებისა და საოჯახო ნივთების კეთებაში.

აგრო-ტექნიკურ ჩვევათა მიღება-განმტკიცებისათვის საჭირო ბაზა სკოლებს არ გააჩნდა. ადგილობრივ თავადებისაგან იჯარით „ნაბოძები" საცდელი მიწის ნაკვეთები, მხოლოდ ბეკმარისა და ყორნისის სკოლებს ჰქონდა, მაგრამ მიწის ამ ნაკვეთებზე არავითარი პრაქტიკული მუშაობა არ წარმოებდა. კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ დააყენა მოსწავლე გოგონებისათვის ხელსაქმის სწავლების შემოღების საკითხი, რისთვისაც თითოეულ სკოლაზე 15 მანეთის დაშვება გაითვალისწინა, მაგრამ ხელსაქმის სწავლება (ისიც არასისტემატურად) მხოლოდ ჯავისა და მსხლების სკოლაში იქნა შემოღებული.

სამინისტროს უწყების სკოლებიდან ხელსაქმე ისწავლებოდა მხოლოდ ფრინევის, ტბეთისა და ცხინვალის ქალთა ორკლასიან სკოლებში. გარდა ამისა, ადგილობრივი პირობების შესაბამისად ქურთის სკოლაში ასწავლიდნენ მეკონსერვეობას (კონსერვების კეთებას), ცხინვალის — ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელში — კალათის დაწვნას.

1914 წელს განზრახული იყო აგრეთვე ცხინვალის ნორმალურ სკოლასთან სახელოსნო განყოფილების მოწყობა, წონის (წონისის) დაწყებით სკოლაში (40 ბავშვისათვის) ყველისა და კარაქის დამზა-

---

[332] ი ქ ვ ე, გვ. 54.
[333] ი ქ ვ ე, გვ. 66.

დებისა და ედისის სკოლაში ხალიჩების მოქსოვის სწავლების შემოღება, მაგრამ ეს იდეაც განუხორციელებელი დარჩა[334].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველ საზოგადოებაში მომწიფდა აზრი სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ. შედგა კომისია, რომელსაც ლოჭინის მაგიერ, მინდობილი ჰქონდა ახალი სამეურნეო სკოლისათვის ახალი ადგილის ამორჩევა. კომისიამ სამეურნეო სკოლის დაარსებისათვის შესაფერ ადგილად მიიჩნია ეორის მაზრის სოფელ ცხინვალის მახლობელი ადგილები, საიდან „...ბლომად სახელმწიფო მიწაც არისო და, რომელიც, კომისიის აზრით, სხვა ყველა მხრითაც მოხერხებული და კარგი ადგილია სამეურნეო სკოლის გასამართავად"[335]. ქართული პრესა, რომელიც საზოგადოებრიობის აზრს გამოხატავდა, გამოთქვამდა იმედს, რომ „...ეს პირველდაწყებითი სამეურნეო სკოლა ერთ დროს უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლად გადაიქცევა", სადაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ახალგაზრდებს ადვილად შეეძლებოდა „...როგორც სწავლის მიღება იმაში, აგრეთვე სამაგალითო მეურნეობისა, მაშინებისა, ვენახებისა, ხეხილებისა და სხვ. ნახვა და გაცნობა"[336].

მიუხედავად ამისა, ცხინვალში სამეურნეო სკოლის დაარსების იდეას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რის შედეგადაც ეს საქმეებლ ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

სამაგიეროდ, ოსები ხელობის შესწავლას დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ და, თუ თვით ოსეთში არა, რუსეთისა და საქართველოს ქალაქებში არსებულ პროფესიონალურ სასწავლებლებში იღებდნენ შესაფერ ცოდნას.

ამასვე ადასტურებს ილ. ალხაზიშვილის „ოსეთს მოგზაურობის შთაბეჭდილებანი", სადაც იგი წერდა: „ამგვარად მავალნი ექვს საათზე ჯავასაც მივედით. ორ ცხენოსან ოსს დავეწიეთ. ერთმა რუსულად მოგვცა სალამი და ბოლოს აგვიხსნა, რომ ეს მაშაჩეშია და მე თბილისში სახელოსნო შკოლაში ვაბარივარ აგერ სამი წელი იქნება და ჩქარა კარგი სლესარი გამოვალო" და ა. შ.[337].

ამრიგად, ოსები თანდათანობით ეუფლებოდნენ სამეურნეო-ტექნიკურ განათლებას, იძენდნენ საზეინკლო და სადურგლო ხე-

---

[334] საქართველოს სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 109, საქმე № 183 ფურც. 28–29. 1914 წ., შდრ. პ. ი. გადიევის დასახ. შრომას, გვ. 116—117.

[335] გაზ. „დროება", 1880 წ., № 148, გვ. 1—2.

[336] იქვე.

[337] გაზ. „დროება", 1876 წ., № 127, გვ. 3.

ლობის ცოდნას, რასაც მთის ხალხთა ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში კავკასიაში თანდათანობით მოიმზიფდა აზრი პროფესიონალური სკოლების დაარსების შესახებ. 1884 წლის იანვარში ქართული პრესა საზოგადოების ყურადღებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სახელოსნო სკოლების გახსნისა და ამ გზით ხალხის ეკონომიურ-კულტურული განვითარების აუცილებლობაზე ამახვილებდა. ასეთი სკოლების დაარსება შავშეთსა და აჭარის გარდა საჭიროდ იქნა მიჩნეული ქსნის ხეობაშიაც, რომელიც ამ პერიოდში ოსებით ხშირად იყო დასახლებული[338].

კავკასიის მთის ხალხებში პროფესიონალური სწავლების ინტერესის გაძლიერების მიუხედავად, ოსი ხალხის ოცნება სამეურნეო-ტექნიკურ სასწავლებელთა დაარსების შესახებ ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე მაინც არ ყოფილა განხორციელებული.

3. სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები

თვითმპყრობელური სკოლა ოსეთში გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების ყურმოჭრილ მონებს ზრდიდა. მაშინ აღზრდა აჩვევდა მორჩილებას. აქ ყველაფერი მოქნილი და შეგუებული იყო გაბატონებული პოლიტიკისა და რელიგიის საჭიროებებთან. ასე, რომ მშრომელთა ბავშვებს ესმოდათ „...მხოლოდ ქადაგება მორჩილების, პასიურობის და ბედის წინაშე ქედმოხრილობისა“[339]. ენგელსის ეს დებულება მთლიანად და სავსებით გამოხატავს არა მარტო XIX საუკუნის ინგლისში მოქმედი სკოლების მუშაობის შინაარსს, არამედ მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ დამონებული პატარა ერების სწავლა-განათლების მდგომარეობასაც.

ცხადია, კ. მარქსი ათასჯერ მართალი იყო, როდესაც აშკარა ბურჟუაზიული მთავრობისა და სკოლებზე ეკლესიის გავლენის შესახებ ამბობდა: ბურჟუაზიული „მთავრობისა და ეკლესიის ყოველგვარი გავლენა სკოლაზე თანაბრად გამოსარიცხავია“[340].

რუსეთის იმპერიის სხვა კოლონიებისა და კერძოდ, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ასწავლიდნენ საეკლესიო-სლავიანური წიგნების კითხვას

---

338 „გაზ. დროება“, 1884 წ., № 15, გვ. 1.

339 ფრ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში. ციტირებულია კრებულიდან—კ. მარქსი და ფრ. ენგელსი სახალხო განათლების შესახებ 1948 წ., გვ. 66.

340 მარქსი, გოთას პროგრამის კრიტიკა, 1932 წ., გვ. 35—36.

(კანუკოვის ანბანით) სამღვთო სჯულს, გალობას და წერას ფსალმუნის მიხედვით. უმრავლეს სკოლებში (მაგ.: 1847—1863 წწ.) შემოღებული იყო ქრისტიანული მოძღვრება, მოკლე კატეხიზმი, საეკლესიო გალობა, ანგარიში (ოთხი მოქმედების ფარგლებში) და რუსული ანბანი[341].

1869 წ. სასწავლო გეგმაში მცირეოდენ ცვლილებათა შეტანის მიუხედავად საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ისწავლებოდა სამღვთო სჯული, რუსული ენა, „ტუზემცუ[illegible]“ ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, ტექნიკური ხაზვა, ე. წ. „თვალსაჩინო სწავლება“ (ცნობები ბუნებისმეტყველებიდან, სუფთა წერა, გალობა, გიმნასტიკა, ხეზე მუშაობა, ხელსაქმეობა) და სხვ., მაგრამ ამ საგნების სწავლებაც ცუდად იყო დაყენებული.

სამღვთო სჯული. ყველა საფეხურისა და ტიპის სკოლებში სამღვთო სჯული სწავლების „ძირითად საგნად“ იყო აღიარებული. ამ „საგნის“ გადაცემა მასწავლებლის მიერ უმთავრესად რელიგიური დოგმატების, ე. წ. „წმინდანებისა“ და „სასწაულმოქმედთა“ ცხოვრების გაზეპირებას ემყარებოდა, რაც გონებას უხშობდა, სულს უხუთავდა ცოდნისმოყვარე, ნიჭიერ ოს ახალგაზრდობას. სკოლების შემოწმების დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა არა სამეცნიერო დისციპლინების ძირითადი ელემენტების შეთვისების მდგომარეობის გამორკვევას, არამედ იმის გამოვლინებას, ატარებდნენ თუ არა ოსი ბავშვები (ყელზე და მკერდზე) ჯვრებსა და ხატებს. პირველ პლანზე იყო წამოწეული სამღვთო სჯულის სწავლება, რომელიც, როგორც ცალკე საგანი, მორალისაგან დამოუკიდებლად ისწავლებოდა. მაშინ, როდესაც რუსულ ენასა და არითმეტიკაში გამოცდები ორი-სამი „მფრინავი კითხვით“ თავდებოდა, სამღვთო სჯულში ცოდნის შემოწმებას მღვდელი (ან მისი შემცვლელი პირი) 5—6 საათს ანდომებდა[342]. ოსეთის სკოლებში სამღვთო სჯულის სწავლას მოსწავლეები ინდიფერენტულად ეპყრობოდნენ. მაჰმადიან ოსთა სკოლებში არც მღვდლებმა და არც ბავშვებმა იცოდნენ რას ასწავლიდნენ და რას სწავლობდნენ. სამრევლო სკოლები (ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში) არსებობდა ერთკლასიანი (ორწლიანი სწავლების კურსით), ორკლასიანი (ოთხწლიანი კურსით) და სამკლასიანი (6 წლიანი სწავლების კურსით),

---

341 Истор. Архив ЦАУ—ГССР. ф. 139, дело № 12026. лист 5.

342 „Журнал Министерства народного просвещения“, 1917 г., Январь. стр. 98.

სადაც რელიგიის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება ‘ექცეოდა.

მოკლე კატეხიზმი და საეკლესიო გალობა. ეს საგნები ხელს უწყობდა რელიგიური სულისკვეთებით ბავშვთა აღზრდას და მოსწავლეებში ქრისტიანული სარწმუნოების დანერგვას ეშსახურებოდა. ამ „საგნების“ სწავლება ლოცვებისა და საღვთისმეტყველო ღაღადის სისტემაზე იყო აგებული. როგორც ვლადიკავკავის მაზრის ბარისა და მთის ოსების სკოლებში, ისე გორის, დუშეთისა და საქართველოს მთიანეთის სხვა მაზრების ოსებში 1880—90 წლებში გაძლიერებულ იქნა საეკლესიო გალობის სწავლება. ვლადიკავკავის ეპისკოპოსის —ოსების წინადადებით „კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიერ გალობის ორი მასწავლებელი იქნა გამოყოფილი, რომელთაგან ერთი (ვლადიკავკავის ტაძრის მთავარი დიაკონი) ბარის ოსების სკოლებზე იქნა მიმავრებული, ხოლო მეორე—სალუგარდანის სკოლის მასწავლებელი) — მთის ოსების სასწავლებლებზე. სოფ. ოლგინსკაში, ხუმალაგში და მთის სხვა სოფლის სკოლებში საეკლესიო საგალობელთა სწავლებას იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ ბავშვებს ადვილად შეეძლოთ წარმოეთქვათ: „უფალო შეგვიწყალე, წმიდაო ღმერთო, მეუფეო ზეცათაო, ღირს არს ჭეშმარიტად და საერთოდ, საერო სიმღერებიც: მრავალჟამიერ რუსულად და ოსურად“[343]. ამგვარი საშუალებებით მეფის თვითმპყრობელობა ცდილობდა ოს ახალგაზრდობაში ქრისტიანობის დანერგვას, ბავშვებში მეფის ერთგულების სულისკვეთების გაღვივებას და მათგან ცარიზმის ერთგული მსახურების მომზადებას. ამავე გზით, მთავრობის მოხელეები ცდილობდნენ ოსი ხალხის გადაბირებას და რუსეთის მეფის ტახტისადმი თავდადებული შინაყმების აღზრდას. ეკლესიისა და სკოლის ზოგიერთ მოღვაწეს მეტად სასიამოვნოდ ეჩვენებოდა „ყმაწვილებისაგან ოსურად თქმული უფალო შეგვიწყალე, წმინდაო ღმერთო და მრავალჟამიერი...“[344] მაგრამ მიუხედავად ამისა, ოს ბავშვთა დიდი ნაწილი და მშობელთა უმრავლესობა რელიგიური წესების დაცვის საქმეს, წირვა-ლოცვებისა და საეკლესიო საგალობელთა შესრულებას პასიურად და მეტად გულგრილად ეკიდებოდა. თვით „საზოგადოების“ წარმომადგენელთა აღიარებით: „...სავსებით გასაგებია, კატეხიზმოსა და მოძღვრებაში

---

[343] გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 23, გვ. 2.
[344] იქვე.

ღვთისმსახურების შესახებ პროგრამების ქრონიკული შეუსრულებლობა"[345]. მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობა იძულებული იყო ეთქვა, რომ სამღვთო სჯულის სწავლება, როგორც „...აღზრდის უძლიერესი საშუალება, ოსეთში ვერ არის სათანადოდ გამოყენებული"[346]. მათი გაგებით, ოსეთის სკოლებში უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმეში, საჭირო იყო რელიგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის გაძლიერება, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა გულცივად ეკიდებოდა ღვთისმსახურების წესების შესრულებას.

ქართული საეკლესიო ჟურნალი „მწყემსი" არაერთხელ მიუთითებდა იმის შესახებ, რომ ოსებს თავიანთ ენაზე არ ჰქოხდათ წირვა-ლოცვისა და ქადაგებითი სიტყვის მოსმენის შესაძლებლობა, რაც ქრისტიანული რელიგიისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი მათი ინტერესის შესუსტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა. „ასეთი გულცივობა სარწმუნოებაზე, ასეთი რელიგიური ინდიფერენტიზმი — არა ხალხში არ უნდა იყოს, როგორც ოსებშიაო",— წერდა გ. ლიახველი[347], რომელიც ადგილობრივ ენაზე ლიტერატურის შექმნას, მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებას ოსი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად აღიარებდა.

ქრისტიანული რელიგიისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების მიუხედავად ოსეთის სკოლებში ეკლესიის მსახურთა მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რელიგიური დოგმატების ზუთხვას, საეკლესიო ლოცვებისა და ქრისტიანულ საგალობელთა გაზეპირებას და სარწმუნოებრივი ილეთების შესრულებას.

პირველდაწყებით სკოლებში მოსწავლეებს აზეპირებინებდნენ საღვთო სჯულის დოგმატებს, წმინდანების მოკლე ისტორიას, ახსნა-განმარტებებს რწმენის სიმბოლოებისა და ლოცვების შესახებ (წიგნაკით: „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი"), საგალობლებს: „სლავსია, სლავსია" („Славься, славься"), „მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ ერთმორწმუნე რუსეთის მეფეს",

---

[345] Отчет состоящего под Августейшим покровительством ея императорского величества государыни императрицы Марии Федоровны общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907 г., стр. 70.

[346] იქვე, გვ. 71.

[347] ჟურ. „მწყემსი", 1885 წ., № 2, გვ. 4—5.

„ღმერთო შეგვიწყალე“, „ბოქე ცარია ხრანი“ და სხვ.[348], რაც ტვინს ულაყებდა, თავს აბეზრებდა და სკოლას აძულებდა მთისა და ბარის ოსეთის სწავლისმოყვარე ახალგაზრდობას.

არითმეტიკის სწავლება რიცხვებისა და ციფრების წერა-კითხვით და მექანიკური ვარჯიშებით ამოიწურებოდა. არითმეტიკის პროგრამით ბავშვებს უბრალო 4 მოქმედების, ნუმერაციის, სახელდებული რიცხვების, გეომეტრიული ნაკვთებისა და სხეულების ელემენტარული ცოდნა მოეთხოვებოდა.

ოსურ ენაში ბავშვებს მარცვლებით თვლას ასწავლიდნენ, მაგრამ სწავლებაში დოგმატური „წესისა“ და რელიგიურ-ვერბალური „მეთოდის“ დანერგვის გამო ბავშვები რეალურ ცოდნას ვერ იღებდნენ.

ჯერ კიდევ 1826 წ. 9 დეკემბერს ბეყმარის პროტოიერი — ბლაღოჩინის მოვალეობის შემსრულებელი ათანასე ბაჭავარიანი საქართველოს ეგზარხოსს უპატაკებდა:

„მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს უწმინდესებულებას ოსი ბავშვების წარმატებათა შესახებ, რომელნიც ჩემთან სწავლობენ. სახელდობრ: ყორნისის მცხოვრებნი: I — ანდრია ხასიშვილი, II — სიმონა ჯიოშვილი და III — ტორმანაულის მცხოვრები — გიორგი ჯიოშვილი; ჯავაში — იქაურ დიაკვანთან — სიმონ ცერაძესთან: I — მიხეილ სანაკოშვილი, II — გიორგი სანაკოშვილი და III — ივანე სანაკოშვილი. კეშელტის დიაკვანთან — იოსებ იალღუზიძესთან: I — თედორე, II — ნონე კობისაშვილი და III — ლევან კოტაშვილი.

ყველა ამათ სწავლა დაიწყეს ამა 1826 წლის მაისში, რომელთაგან პირველმა — ანდრია ხასიშვილმა დაამთავრა მთელი ოსური საანბანო წიგნი. სხვა დანარჩენებს შესწავლილი აქვთ მხოლოდ ანბანი, რომელთა შორის მხოლოდ ერთმა — ჯავის მცხოვრებმა — ივანე სანაკოშვილმა მოასწრო წერის შესწავლა. აშკაცად ყველა ისინი გულმოდგინედ განაგრძობენ სწავლას[349].

ზემომოხსენებული დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ: ა) სწავლის დაწყება-დამთავრების დრო არ იყო ზუსტად განსაზღვრული; ბ) სწავლების დოგმატური „წესის“ გაბატონების გამო ბავშვებს

---

[347] Известия Северо Кавказского пед. института им. М. Ю. Гадиева, т. XIII, 1937 г., стр. 274.

[349] საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 139, საქმე № 1616, ფურც. 18.

ადგილობრივ ენაზედაც უჭირდათ წერა-კითხვის შესწავლა; გ) სწავლება მოწყვეტილი იყო რეალურ ცხოვრებას.

1868 წლიდან ზოგიერთ სკოლაში ოსური ენის სწავლება თითქმის მთლიანად იქნა აღკვეთილი.

გიმნასტიკა, ხაზვა, ე. წ. „თვალსაჩინო სწავლება“ (ბუნებისმეტყველების ელემენტების გაცნობა) მოსაჩვენებლად „გეგმაში“ არსებობდა, ნამდვილად, აღნიშნული საგნები, აქა-იქ და ისიც, მხოლოდ ფორმალურად „ისწავლებოდა“.

რუსული ენა — არა მარტო ძირითად სასწავლო საგნად, არამედ ყველა საგნების სწავლების საფუძვლად ითვლებოდა. რუსული ენის პროგრამის მიხედვით სწავლობდნენ წერა-კითხვას, ატარებდნენ პრაქტიკულ ვარჯიშს (ე. წ. „ლექსიურ“ გაკვეთილებს), როდონეფსკის „Родина“-დან ხდებოდა ადგილების კითხვა და გაზეპირება, წარმოებდა წერითი კარნახები, მაგრამ სწავლების უვარგისი სისტემისა და უაზრო ზეპირობის გამო მოსწავლეები საფუძვლიან ცოდნას მაინც ვერ იღებდნენ. „რუსულ ენაში მოსწავლეებმა ისე ცოტა იციან,— ეკითხულობთ „საზოგადოების“ ანგარიშებში,— რომ დამხმარე კითხვების მიცემის დროსაც კი არ შეუძლიათ ორი-სამი წინადადებიდან აზრის გადმოცემა“[350].

ანალოგიურ მდგომარეობაში იყო სხვა სკოლებიც. კორინთის სკოლაში „რუსულ ენაში... მოსწავლეებმა თითქმის არაფერი არ იციან“, — აღნიშნულია მაშინდელს ოფიციალურ წყაროებში[351].

ოსთა საეკლესიო-სამრევლო სკოლების სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა „ოსეთის სასულიერო კომისიის“ 1847 წლის 10 აპრილის (№ 328) მიმართვა საქართველოს ეგზარხოსისადმი, რომელშიაც ნათქვამია: „თქვენდამი რწმუნებულ კანცელარიის ა/წ. 9 აპრილის (№ 943) მომართვის პასუხად ოსეთის სასულიერო კომისიას პატივი აქვს გაცნობოთ, რომ ამჟამად სასულიერო კომისიის უწყებაში საეკლესიო-სამრევლო სკოლები არსებობს ოსეთის შემდეგ ეკლესიებთან და სამრევლოებთან:

ა) 1. არდონის წმ. გიორგის სახ. ეკლესიასთან;
2. წინსოფლის წმ. გიორგის ეკლესიასთან;

---

[350] ზემოხსენებული შეხედულებისა იყო ი ო ს ე ბ იალღუზიძე, იმ ი ო ა ნ ე იალღუზისძის ხათესავი, რომელმაც ქართულიდან ოსურად თარგმნა და დაბეჭდა სახარ ბა. ქართული ალფავიტის საფუძველზე შეადგინა ოსური არბანი, მაგრამ ესმეტად საინტერესო საკითხია და სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

[351] საქ. ცსს არქივი, ფონდი 141, საქმე № 896, ფურც. 2—4; საქმე № 649, ფურც. 12—15.

3. კაბანო-კაკადურის სამრევლოსთან;

4. ნარის წმ. გიორგის სახ. ეკლესიასთან;

5. ჯავის წმ. ღვთისმშობელ-ქრისტესშობის სახ. ეკლესიასთან;

6. ხაჩირაანთკარის წმ. გიორგის სახ. ეკლესიასთან.

ბ) მოსწავლეები: ა) არდონის ეკლესიასთან (ჩრდილოეთ ოსეთია. — ტ. ს.) ირიცხება 26 ვაჟი; ბ) წინსოფლის ეკლესიასთან — 5 მოწაფე: გ) კაბანო-კაკადურის სამრევლოში — 4 ვაჟი; დ) ნარის ეკლესიასთან — 4 ვაჟი; ე) ჯავის ეკლესიასთან — 12 მოწაფე; ვ) ხაჩირაანთკარის ეკლესიასთან — 10 მოწაფე. სულ 6 სკოლაში სწავლობს 59 მოსწავლე, რომლებიც მონათლულ ოსების შვილები არიან.

გ) მასწავლებლები ამ სასწავლებლებში ინიშნებიან ეგზარხის განკარგულებით. ადგილობრივ სამრევლო მღვდლებს, რომლებიც ოსეთის სამრევლო მღვდლების წოდებით ხაზინიდან იღებენ ჯამაგირს, სოფლის სამრევლო სკოლის ხელმძღვანელობისათვის არავითარი განსაკუთრებული ხელფასი არ ეძლევათ.

დ) სასოფლო სამრევლო სკოლების მოსწავლეები **პირველყოვლისა წერა-კითხვას სწავლობენ რუსულ ენაზე, შემდეგ ასწავლიან მათ ქრისტიანული მოძღვრების საწყისებს** სამოქალაქო შრიფტით. ამ საგნისათვის სასწავლებლებს სასწავლო წიგნებით ამარაგებენ ოსეთის სასულიერო კომისიის თანხებიდან.

ე) ეს მოსწავლეები ცხოვრობენ საკუთარ ხარჯზე.

ვ) ოსეთის სასულიერო კომისიას სახელმწიფო ᲫᲐᲛᲣᲚᲔᲑᲨᲘ განსაკუთრებული სასწავლებლები არა აქვს"[352].

აქედან ნათელია, რომ ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მოსწავლეებს გონებას უხშობდნენ საეკლესიო დოგმატების რუსულ ენაზე ზეპირობით. ამგვარი სკოლების საშუალებით მეფის თვითმპყრობელობა და მისი ეკლესია „...ახალგაზრდა ადამიანის მეხსიერებას ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის ცხრა მეათედი უსარგებლო იყო, ხოლო ერთი მეათედი — დამახინჯებული"...[353]

საეკლესიო-სლავიანური ენა. ოსეთის სკოლებში საპატიო ადგილი ეჭირა საეკლესიო-სლავიანური ენის სწავლებას. კვირეულ საათების რაოდენობა ამ საგანში შეადგენდა:

---

[352] ᲘᲥᲕᲔ, ფონდი 139, საქმე № 12806, ფურც. 4, 1847 წ. მიმართვას ხელს აწერს „ოსეთის სასულიერო კომისიის" მდივანი, კოლეჯის ასესორი მარსოვი.

[353] ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ, ტომი 31, 1952 წ., გვ. 344.

III განყოფილებაში —6 გაკვეთილს;
IV —6
V —4
VI „ —3 „

I და II განყოფილებაში ისწავლებოდა ოსური ენა, მაგრამ ადგილობრივ ენაზე სახელმძღვანელოების უქონლობის გამო ხშირად ეს საგანი საეკლესიო-სლავიანური ენის გაკვეთილებით (მაგ.: დიგორის სკოლაში) იცვლებოდა[354]. ერთკლასიან სკოლაში საეკლესიო-სლავურ ენას კვირაში 26 გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი, ორკლასიანში—28. თუ რუსულ სკოლებშიაც ეძნელებოდა ბავშვებს საეკლესიო-სლავიანური ენის შესწავლა, მით უმეტეს რთული იყო მისი შეთვისება ოსი ბავშვებისათვის, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ საფუძვლიანად რუსული ენა[355]. ოსურს სკოლებში „მოსწავლეები ზეპირად, ყოველგვარი გაგების გარეშე სწავლობდნენ ლოცვებსა და სლავიანურ ტექსტებს“, რაც ბავშვებში სწავლების ამგვარი სისტემისადმი სიძულვილის გრძნობებს აძლიერებდა.

ქართული ენა. 1864 — 1870 წწ. ქართული ენა ოსეთის სკოლებში შემოღებული იყო, როგორც არასავალდებულო საგანი. მეფის თვითმპყრობელობის ცენტრსა და პერიფერიებში მოპარპაშე რუსიფიკატორები ჩვენი ქვეყნის ვერც ერთ კუთხეში ვერ ითმენდნენ ადგილობრივ ენებზე სწავლებას და ოსი მოსახლეობის ძალით გადაბირების პოლიტიკას ატარებდნენ.

მეფის მთავრობის მიერ დაგეშილი „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქციაში მოკალათებული შოვინისტები, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ წევრებს იმის გამო ამათრახებდა, რომ ოსურ სკოლებში ქართული ენა რუსულის გვერდით ისწავლებოდა. აღნიშნული „საზოგადოება“ დიდმპყრობელ შოვინისტებს ბოდიშის ტონით პასუხობდა იმის შესახებ, რომ „ზოგიერთებთან, როგორც მაგალითად სამხრეთ ოსებთან, მტკიცედ სჭარბობს ქართული ენა... ჯავის, კუდარის, მამისონის და სხვა ხეობებში“[356]. მეფის თვითმპყრობელობა, მისი ედიქტების უყოყმანოდ შემსრულებელი კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს და საქართველოს საეგზარხოსოს აქტიური ჩარევით შეეცა-

---

[354] „Журнал Министерства народного просвещения“, Январь—1917 г. стр. 98—99.
[355] ი ბ ე ე. გვ. 99.
[356] გახ. „Кавказ“, 1868, № 24.

და ოსეთის სკოლებიდან განედევნა ქართული ენა, ოსებს შორის გაეღვივებინა ქართველებისა და ქართული კულტურისადმი სიძულვილი, მაგრამ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდამდე (ზოგიერთ შემთხვევაში — შემდეგაც) თვითმპყრობელ-კოლონიზატორთა ეს მიზანი დაუბრკოლებლად არ ყოფილა განხორციელებული. ოს ხალხს და მის მოწინავე ინტელიგენციას თავისი ეროვნული კულტურის განვითარებისათვის საჭიროდ მიაჩნდა, როგორც დიდი რუსი ხალხის ენისა და კულტურის შესწავლა-დაუფლება, ისე, მასთან ხანგრძლივ ისტორიულ მეგობრობაში მყოფი ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-გამოყენება და ქართველებთან ძმური კავშირის განმტკიცება. მიუხედავად ამისა, ქართული წიგნი, ქართული ენა და კულტურა ოსეთში, მეფის სატრაპების მხრივ სასტიკ დევნას განიცდიდა[357].

ამრიგად, ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სასწავლო გეგმით და ცხრილის მიხედვით ეთმობოდა:

I გაკვეთილი სამღვთო სჯულს;
II არითმეტიკას;
III კითხვას;
IV რუსული ენის პრაქტიკულ შესწავლას;
V სუფთა წერას და საეკლესიო გალობას და ა. შ.[358]

ანალოგიური მდგომარეობა იყო სამინისტროს სკოლებში, რომლის საშუალებითაც „სასწავლებელთა ხელმძღვანელობა" დაინტერესებული იყო ახალგაზრდობაში შთაენერგა „შიში ღვთისა", „სიყვარული წმინდისა ეკლესიისა" და „ერთგულება მეფისა და მამულისა"...

ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ერთკლასიან და ორკლასიან სამინისტრო სკოლებში ისწავლებოდა: 1) სამღვთო სჯული (კვირაში — 4 საათი); 2) რუსული ენა (12 საათი); 3) მშობლიური ენა; 4) არითმეტიკა; 5) სიმღერა-გალობა; 6) რუსეთის ისტორია (ორკლასიან სკოლებში); 7) გეოგრაფია; 8) ბუნებისმეტყველება (მოკლე ცნობები); 9) ხატვა და 10) გეომეტრიული ცნობები (ორკლასიან სკოლებში)[359].

---

[357] საქართველოს სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 107, სერია „ბ" საქმე № 559, 187[illegible] წ. იქვე ფონდი 141, საქმე № 559, ფურც. 23, საქმე № 802, ფურც. 2, 9. საქმე № 957. 1897 წ., საქმე № 109[illegible], ფურც. 14—15, 1902 წ., საქმე № 953, ფურც. 2. შდრ დოკ. გადიევის დასახ. ნაშრომის გვ. 97.

[358] საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 1590, ფურც. 24, 29—32.

[359] იქვე, ფონდი, საქმე № 176, 1913 წ., საქმე № 810, გვ. 79.
იხ. აგრეთვე „Правила о начальных училищах, утвержденные Кассо в 1913 г."

ამრიგად, სამინისტროს უწყების სახალხო ერთკლასიან და ორკლასიან სკოლებში ცენტრალური ადგილი ეჭირა საძღვთო სჯულის, საეკლესიო საგალობლებისა და რელიგიური დოგმატების სწავლებას, პროგრამის წერტილიდან წერტილამდე გაზეპირებას. რუსიფიკატორული პოლიტიკის მომხრეები სწავლა-განათლების ამგვარი „სისტემის“ დამცველთა როლში გამოდიოდნენ. ყველასათვის ცნობილია, რომ „ძველ წყობილებას თავის საამსახურში ჰყავდა მრავალი დიდად განათლებული ადამიანი, რომლებიც იცავდნენ ძველ წყობილებას, რომლებიც ახალი წყობილების წინააღმდეგ მიდიოდნენ. განათლება — ეს ხომ იარაღია, რომლის ეფექტი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის უჭირავს იგი ხელში, ვის სურო შეუტიონ ამ იარაღით“.

სკოლას და სახალხო განათლების არსებულ სისტემას მეფის თვითმპყრობელობა მშრომელი ხალხის დამონავება-დაბეჩავების იარაღად იყენებდა.

თერგის ოლქის ზოგიერთი სკოლა საეკლესიო-სამრევლო სკოლებისაგან განსხვავებული სასწავლო გეგმით მუშაობდა. მთიელთა სკოლებში უმთავრესად ისეთი საგნები ისწავლებოდა და იმ „წესით“, რომელიც მეფის თვითმპყრობელობას ადგილობრივ მოსახლეობაზე თავისი იდეური გავლენის განმტკიცებაში დაეხმა-

№№ რრ	საგნების დასახელება	მოსაამზ. კლასები			ძირითადი კლასები			შენიშვნა
		1	2	3	1	2	3	
1	სამღვთო სჯული და მუსულმანური ყურანი	1	1	1	2	2	2	ცალკე ფურცელზე დამოწმებული
2	რუსული ენა: ა) სალაბარი	—	—	2	—		—	
	ბ) კითხვა	5	5	2	—	—	—	
	გ) სტატიების შესწავლა	—	—	2	5	4	3	
3	არითმეტიკა —	3	3	4	4	3	2	
4	გეომეტრია	—	—	—	—	—	2	
5	ძველი ისტორია —	—	—	—	—	2	2	
6	რუსეთის ისტორია —	—	—	—	3	2	2	
7	გეოგრაფია —	—			—	—	2	
8	ზოოლოგია —	—	—	—	—	—	3	
9	ფრანგული ენა —		—		—	—	2	
10	ლათინური ენა —	—		—		—	2	
11	პედაგოგიკა —	—	—		—	—	3	
12	ხ ა ტ ვ ა —	—	—	—	2	2	1	
13	სუფთა წერა —	5	5	3	4	3	—	
14	სიმღერა —	3	3	3	3	4	3	
		17	17	17	23	22	20	

რებოდა. მაგალითად, ვლადიკავკაზის მთიელთა საოლქო სკოლის სასწავლო გეგმა შემდეგ სახეს ატარებდა[360] (იხ. ცხრილი 129 ველზე).

ვლადიკავკაზის მთიელთა საოლქო სკოლა (ისე როგორც სხვა ანალოგიური სასწავლებლები) მიზნად ისახავდა თვითმპყრობელობის ადგილობრივ მოხელეთა კადრების მომზადებას. ამ მიზნით, აღნიშნული ტიპის სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება საძღვთო სჯულის, რუსული ენის, რუსეთის ისტორიის, ფრანგული და ლათინური ენებისა და საეკლესიო გალობის შესწავლას ეთმობოდა. ბავშვებს ასწავლიდნენ მსოფლიოსა და რუსეთის ისტორიას იმ დროს, როდესაც მათ არავინ არაფერს უამბობდა საკუთარი სამშობლოსა და მისი ხალხის ისტორიაზე, მოსწავლეებს აწვდიდნენ მოკლე ცნობებს რუსეთის გეოგრაფიის შესახებ, მაგრამ წარმოდგენასაც არ აძლევდნენ კავკასიის გეოგრაფიაზე და ა. შ.

მთიელთა სკოლებს სამხედრო უწყება განაგებდა. სახალხო სკოლათა დირექტორები სამხედრო ოლქის უფროსის შეუთანხმებლად ვერც მასწავლებელს ნიშნავდა და ვერც მასწავლებელთა თანამბრძოლებს ატარებდა[361].

სწავლება აღნიშნულ სკოლებში უმთავრესად ბავშვთათვის გაუგებარ ენაზე წარმოებდა. მოსწავლეების გადატვირთვა ცხოვრებაში გამოუსადეგარი „რელიგიური ცნობებით" ხელს უშლიდა ნამდვილი ცოდნის შეთვისებას. სკოლის აუტანელი რეჟიმი ბავშვთა ისედაც აუტანელ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. მოსწავლეებთან ყოველდღიურად 60 წუთიანი 5 გაკვეთილი ტარდებოდა, რომელსაც შრომის 1,5 საათიან გაკვეთილებს გარდა (საღამოობით) რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის დარიგებები, საგალობლების შესრულება, საბარების (ან ყურანის) კითხვა და მომაბეზრებელი საეკლესიო-სარწმუნოებრივი საუბრები ემატებოდა[362].

მოსწავლეები სკოლაში ყოველდღიურად 8—10 საათს მუშაობდნენ. გაკვეთილებს შორის მხოლოდ 5 წუთიანი შესვენება ეწყობოდა.

სასწავლო მასალა ტრაფარეტული, რელიგიურ-დოგმატური, უშინაარსო, მოსაბეზრებელი და არასაინტერესო იყო, რაც მოსწავ-

---

[360] Известия Северо Кавказского педагогического института им. М. Ю. Гадиева, том XIII, 1937 г., стр. 265.

[361] იქვე, გვ. 158.

[362] იქვე. გვ. 261.

ლეებს სკოლაზე გულს უცრუებდა. რუსულიდან თარგმნილი „უწმინდესი ღვთისმშობელი“, „ლოცვა წმინდისა სულისა“, „ღირსეულ არს“ და სხვა მსგავსი რამ, როგორც ოსი, ისე მთის სხვა ხალხთა პავშვებისათვის გაუგებარი რჩებოდა. ერთკლასიან სკოლაში რუსული ენის მართლწერის ელემენტარული საკითხები ისწავლებოდა. მესამე წლის ბოლოს ბავშვებს მარტივი წინადადებების სინტაქსურად და უბრალო სიტყვების ეტიმოლოგიურად გარჩევას ასწავლიდნენ.

1909 წელს თერგის ოლქის სახალხო სკოლების მეორე საინსპექციო რაიონის ცხრავე ოსურ სკოლაში სამღვთო სჯული, რუსული ენა, საეკლესიო-სლავური ენა, „ტუზემცური“ (ე. ი. ადგილობრივი.—ტ. ს.) ენა, სუფთა წერა და კალიგრაფია, არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია-გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება და სიმღერა-გალობა ისწავლებოდა[363].

საეკლესიო-სლავიანური ენის შესწავლა გუსევის წიგნით ბავშვებს ძლიერ ეძნელებოდა. ადგილობრივ ენაზე სწავლება (ინსპექტორის მიერ გამორკვეულ 25 სკოლიდან 4 სკოლაში იყო) სკოლების საერთო რიცხვის მეხუთედ ნაწილშიაც ძლივს ხერხდებოდა. აღნიშნულ სკოლებში პირველ წელს სწავლება მშობლიურ ენაზე იწყებოდა, მეორე წელს — პარალელურად (ადგილობრივ და რუსულ ენაზე), ხოლო მესამე წელს—რუსულ ენაზე, სადაც ადგილობრივი ენა ერთ-ერთ სასწავლო საგნად რჩებოდა. უმრავლეს სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა[364].

მოსწავლეები ცალკეულ ფრაზებს ან სიტყვებს ზეპირად სწავლობდა და მასწავლებელს გუნდურად პასუხობდა. პირველ ხანებში დასწავლა მშობლიურ ენაზე წარმოებდა, ხოლო შემდეგ იმავე ფრაზების ან წინადადებათა თარგმნა-წარმოთქმა რუსულად ხდებოდა. სასწავლო მასალის (ტექსტის) წაკითხვა და დამახსოვრება ბავშვებს, როგორც მშობლიურ, ისე რუსულ ენაზედაც უხდებოდათ.

მოსწავლეები ძნელად ეუფლებოდნენ რუსულ სალაპარაკო ენას, უჭირდათ წერა, სასვენი ნიშნების გამოყენება და თავის დროზე ხმის ამაღლება, რადგანაც პედაგოგიურ პროცესში უგულებელყოფილი იყო ვარჯიშის, თვალსაჩინოებისა და სხვა დიდაქტიკური პრინციპებისა და რაციონალური მეთოდების გამოყენება.

---

363 Материалы по истории осетинского народа, том V, сборник документов по истории народного образования в Осетии, Госиздат СОНИИ, 1942 г., стр. 274—279.

364 ი. ქ. ვ, ბ. 277.

365 „Журнал министерства народного просвещения“, 1917 г., стр. 98.

რუსული ენის სწავლებაში გამოყენებული იყო ორი მეთოდი: ა) თარგმნითი — გრამატიკული და ბ) ნატურალური. პირველი სწავლების ფუნდამენტად დედაენისა და მისი გრამატიკის კანონების ცოდნას აღიარებდა, მეორე კი — ენის უცოდინარობას, მშობლიური ენის გამოუყენებლობას, თვალსაჩინოებაზე და ხმის მსგავსებაზე სწავლების აგებას.

მოსწავლეებს აზეპირებინებდნენ ისეთი უშინაარსო ხასიათის ლექსებს, როგორიცაა, მაგალითად:

„ილოცეთ, ძვირფასო ბავშვებო,
ღმერთს სიტყვებით შეეკედრეთ:
შეიწყალე, ღმერთო, რუსეთი ჩვენი.
შეიწყალე ჩვენი მეფე"[366].

ამგვარი დოგმატური შინაარსის ტექსტებით ტვინს ულაყებდნენ ცოდნისმოყვარე და ნიჭიერ ოს ახალგაზრდობას.

სკოლებში მეტად უხარისხოდ ისწავლებოდა კალიგრაფია და სუფთა წერა. გეომეტრიაში სწავლების სათანადო დონეზე დაყენებას ხელს უშლიდა სახაზავის, ტრანსპორტირის, ცირკულის, ეკერის, საზომი ლენტისა და სხვა გეომეტრიული თვალსაჩინო ხელსაწყოების უქონლობა და მასწავლებელთა დაბალი მომზადება. ისტორიასა და გეოგრაფიაში ორკლასიან სკოლებში (ახსნითი კითხვის მეთოდით) მეფეთა ცხოვრების, მათი ბრძოლებისა და დაბადებიგარდაცვალების ამბები (როჟდენსტვენსკის ან პუციკოვიჩის სახელმძღვანელოებით) ისწავლებოდა. გეოგრაფიის გაკვეთილებზე მოსწავლეებს ფიზიკური და მათემატიკური გეოგრაფიის მოკლე ცნობები ეძლეოდა. ბუნებისმეტყველების სწავლება იმ პროგრამის მიხედვით სწარმოებდა, რომელიც ორკლასიანი სკოლებისათვის 1903 წელს სახალხო სკოლების დირექტორებისა და ინსპექტორების ყრილობამ დაამტკიცა[367].

აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებათმეცნიერების სწავლება ძოწყვეტილი იყო გარემომცველი ცოცხალი ბუნების გაცნობას, ვინაიდან „ყმაწვილების გონებრივი განვითარებისათვის... გარეშმ-

---

[366] Известия Северо Кавказского педагогического института им. М. Ю. Гаднева, т. XIII, С/Ос. Госиздат, 1937 г., стр. 271.

[367] Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Терской области, дело № 636, 1909 г. Л. 23—30.

ძველი ბუნების საგნების გაცნობაზე არავითარი ყურადღება არ ეყოფილა მიქცეული"[368].

სიმღერის სწავლება საეკლესიო საგალობელთა შესრულებით ხასიათდებოდა. ოსურ სკოლებში ამგვარ სიმღერებს 1 ან 2 მოსწავლე ან (გუნდური წარმოთქმით) მთელი კლასი ასრულებდა. ხელგარჯილობის სწავლება ვიწროსაქმოსნურ, უტილიტარულ ხასიათს ატარებდა.

4. ოსური დამწერლობის განვითარება, წიგნიერების გავრცელება და სასწავლო სახელმძღვანელოები

ოსების გაქრისტიანებისა და ამ საქმეში მისიონერული მოღვაწეობის განვითარებისათვის საჭირო იყო საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა, ადგილობრივ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა. ქართული ანბანის საფუძველზე ოსური დამწერლობის განვითარება დაიწყო ჯერ კიდევ XVIII საუკ. მეორე ნახევარში რუსეთთან საქართველოსა და ოსეთის კავშირის განმტკიცების გზით[369]. ამ პერიოდში იმიეროსეთის მოსახლეობა უმეტესად ტაგაურის, კურთათინის, ალაგირისა და დიგორის ხეობებში იყვნენ დასახლებულნი, ხოლო საქართველოში ოსები დიდი ლიახვისა და ქსნის ხეობებში ცხოვრობდნენ. მთის ოსეთის მოსახლეობა ბარის ოსებს არა მარტო ეკონომიურად, არამედ კულტურულადაც ჩამორჩებოდა, რადგანაც პრიმიტიული ნატურალური მეურნეობა და პატრიარქალური ყოფა-ცხოვრება ხალხის განათლების გზაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა. ცარიზმის პოლიტიკა კავკასიის მთის ხალხების მიმართ, უმთავრესად, მათი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოვლინება-გაძარცვასა და ადგილობრივ მოსახლეობის დამორჩილებაში მდგომარეობდა. მეფის თვითმპყრობელობას ამ მიზნისათვის ადგილობრივი რუსული ენის მცოდნე, რუსეთის ორიენტაციის მისიონერული კადრები ესაჭიროებოდა. ოსეთში საეკლესიო განათლების შეტანისა და ოსი ხალხის რუსულ კულტურასთან დაახლოების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართველი მისიონერი მღვდლები (არხიმანდრიტი პახომი და სხვ.), რომლებიც ვახტანგ VI-თან რუსეთში ყოფნის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში

---

[368] Газ. „Кавказ", 1874 г., № 24, стр. 2. ფ. ნაროევის სტატიიდან: „Из Южной Осетии".

[369] С. М. Тотоев, Развитие культурной и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв., Госиздат, С/Ос. 1950 г., стр. 6—7.

ეწეოდნენ რელიგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. პირველი საეკლესიო წიგნები ქართულიდან ოსურად ითარგმნა და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა იგუმენ გრიგოლის (1747—1753 წწ.) ინიციატივით.

თარგმნითი და ორიგინალური წიგნების შედგენა-გავრცელების საქმეში შემდეგში უდიდესი როლი შეასრულა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ, მოზდოკის ეპისკოპოსმა გაიმ (იგივე გაიოზი), რომელსაც ეკუთვნის მოზდოკში ქართული სტამბის მოწყობის (1796—1801 წწ.) ინიციატივა[370].

მოზდოკის სტამბის გამოცემებიდან „...გაიოზის „ანბანი" სასტამბო ხელოვნების შედეგრს წარმოადგენს"[371]. გაიოზმა 1798 წელს **ოსებს სლავიანურ ალფავიტზე დაფუძნებით შეუდგინა ოსური ანბანი, რითაც დასაბამი მისცა ოსური დამწერლობის განვითარებას.** 1798 წელს, გაიოზის მიერ შედგენილი რუსულ-სლავური ალფაბეტის საფუძველზე, ოსეთის კულტურის ისტორიაში პირველად გამოჩნდა მისივე ნაბეჭდი ოსური წიგნი—კატეხიზმი, რომელიც არა მარტო მოზდოკის სკოლაში იყო გამოყენებული, არამედ ყველა კავკასიელ რუს, ქართველ და ოს საეკლესიო მოღვაწეთა შიერ იხმარებოდა, როგორც „სამაგიდო" წიგნი[372]. ოსეთის კულტურისა და აზროვნების ისტორიის გამოჩენილი მკვლევარის — პროფესორ ს. მ. ტოტოევის შეხედულებით, ეპისკოპოსს გაის წიგნს უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, **პირველი** იმიტომ, რომ ამ პერიოდიდან (ე. ი. თითქმის ერთნახევარი საუკუნის წინათ), პირველად გაისმა ოსური სიტყვა, რითაც საფუძველი ჩაეყარა ოსურ წერა-კითხვას და დამწერლობას; **მეორე**, ის იყო პირველი ქვაკუთხედი ოსური ლიტერატურის ფუნდამენტის შესაქმნელად, რომელმაც საწყისი მისცა რუსული გრაფიკის საფუძველზე ოსური დამწერლობის განვითარებას; **მესამე**, იგი ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა ოსი ხალხის რუსულ კულტურასთან და რუს ხალხთან დაახლოებისა და მათ შორის განუყრელი კავშირის განმტკიცებისათვის[373].

---

[370] ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი 1, 1941 წ., გვ. XII—XIII.

[371] იქვე, გვ. XIII.

[372] С. М. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв.", Госизд., С/Ос. Дзауджикау. 1950 г., стр. 8—9 გამოჩენილი ოსი მოღვაწის—გ. ცაგოლოვის მოსწრებული გამოთქმით. გაიოზის წიგნი: „Начальное учение человеком, хотящим учиться книг божественного писания" (1798 г.) „ოსური მწიგნობრული ლიტერატურის პირმშოს"—წარმოადგენდ».

[373] С. М. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв., 1950 г., стр. 8—9.

მიუხედავად იმისა, რომ გაიოზის წიგნები რელიგიური შინაარსის იყო და ოსეთში იგი ცარიზმის კოლონიალური მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა, მას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც **ნაციონალური განათლების პირველ თესლს, რომელზედაც მომავალში ოსური დამწერლობის ჯეჯილი უნდა ამწვანებულიყო.** ამრიგად, **გაიოზი, მიჩნეულ უნდა იქნას ოსური დამწერლობის ერთ-ერთ ფუძემდებლად, პირველ განმანათლებლად, ოსური ანბანის საფუძვლის ჩამყრელად, ოსურ ნაციონალურ ენაზე პირველი საკითხავი წიგნის შემომღებად, რომელმაც გაბედული ნაბიჯი გადადგა ოსი ხალხის ქართულ და რუსულ კულტურასთან დაახლოების გზაზე.**

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის დიდი მკვლევარის—აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ცნობით: „ოსების განათლებას გაიოზმა[374] დიდი ღვაწლი დასდო:

---

[374] გაი (გაიოზი) სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა გვარით არის მოხსენებული. ზოგიერთები (თეიმურაზ ბატონიშვილი, ეპისკ. კირიონი, ალ. ცაგარელი, ი. სავინსკი) მას თავად ბარათაშვილად იხსენიებენ. ზოგიერთები (მთვარელიშვილი, ხახანაშვილი და სხვ.) გაიოზ ნაცვლიშვილად, ხოლო სხვები (დ. ბაქრაძე და ა. შ.) თაყაშვილად, ან კიდევ ვაგოშოშვილად (იხ. რაინეგსის Algemeine historisch-topographie Beschreibung des Kaukasus, II, 1797, გვ. 102—104). გაიოზი (დაახლოებით) დაბადებულა 1746 წელს, რომელიც ვიღაც თბილისელ დიაკონს აღუზრდია. მასვე უსწავლებია გაიოზისათვის წერა-კითხვა. შემდეგში მისი აღზრდა უკისრია რუსეთიდან საქართველოში (1763 წ.) დაბრუნებულ ანტონ კათალიკოსს. მას გაიოზისათვის თბილისის სემინარიაში (სხვებთან ერთად) უსწავლებია: ღრამატიკა, პიიტიკა, რიტორიკა, ლოგიკა, არისტოტელეს კატეგორიები, მეტაფიზიკა, ფიზიკა და ფილოსოფია.

1772 წელს გაიოზს, ანტონ კათალიკოსისა და ბატონიშვილ ლეონის მეთაურობით მონაწილეობა მიუღია ერეკლე მეფის მიერ პეტერბურგს გაგზავნილ დიპლომატურ მისიაში. პეტერბურგში ყოფნისას გაიოზს უსწავლია ალექსანდრე ნეველის სემინარიაში, სადაც შეუსწავლია რუსული, ლათინური და ბერძნული ენები. 1775 წ. გაიოზი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში შესულა „სწავლისათვის ლათინურისა და რუსულისა", რომელიც დაუმთავრებია 1778 წელს. 1779 წელს ის მღვდელმონაზვნად აკურთხეს, ხოლო 1780 წელს რუსეთში იგუმენობა მიიღო. 1782 წელს იგი თელავის სასულიერო სემინარიის რექტორად იქნა დანიშნული, სადაც დაახლოებით 1 წელიწადს მუშაობდა. 1783 წელს მონაწილეობა მიიღო ქ. გეორგიევსკში რუსეთთან ცნობილი ტრაქტატის დადებაში. კავკასიის მმართველის—პ. ს. პოტიომკინის გაცნობის შემდეგ, 1784 წელს, ის პეტერბურგში არქიმანდრიტად აკურთხეს. 1793 წელს გაიოზი მოხდოკის ეპისკოპოსად დანიშნეს და ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებელი კომისიის გამგებლობაც მას ჩააბარეს. 1799 წლის 16 ოქტომბრიდან 1808 წლამდე იგი სარატოვისა და პენზის ეპარქიის განაგებდა, ხოლო 1808 წლიდან 1821 წლის 21 თებერვლამდე (ვიდრე გარდაიცვალა) ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსად მუშაობდა. გაიოზის კალამს 400-ზე მეტი ნაშრომი მიეკუთვნება, რომელთაგან უმეტესობა თარგმნილია, ხოლო დანარჩენი კი—ორიგინალური.

მათ მან შეუდგინა ანბანი, რომელსაც საფუძვლად დაუდო სლავური ანბანი და გადაუთარგმნა „პირველდაწყებითი საქრისტიანო მოძღვრება“.[375] ამის შემდეგ, ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით, მოსკოვის ქართულ სტამბაში გამოიცა „ოსური ანბანი ქართული ასოებით“, ხოლო 1766 წელს მოზდოკში დაიბეჭდა „ოსურ-ქართული ლოცვანი“. ამაზე უფრო ადრე, ივივე სახელწოდების წიგნი საეკლესიო-ხუცური ასოებით გამოიცა ვახტანგ VI მიერ დაარსებულ თბილისის სტამბაში (1778 წ.), ხოლო ფსალმუნი (ოსურ ენაზე — ხუცური ასოებით)— კიდევ უფრო გვიან —(1794 წელს), რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ოსური კულტურისა და ნაციონალური დამწერლობის განვითარებისათვის[376].

სწავლების შინაარსი ოსეთის სკოლებში სასწავლებელთა დანიშნულებით და თვითმპყრობელობის მიერ მათ წინაშე დასახული, ამოცანებით განისაზღვრებოდა. ამის შესაბამისად ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში უმთავრესად სამღვთო სჯული, საეკლესიო სლავიანური და ოსური ენები, არითმეტიკის ელემენტები, ლოცვები და საეკლესიო საგალობლები ისწავლებოდა.

ამიტომ, ბუნებრივია, სკოლებს შესაბამისი დამხმარე წიგნები და სახელმძღვანელოები ესაჭიროებოდა.

1836 წლამდე კავკასიის მთიანეთის სკოლებში ოსი ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლისა და განმანათლებლის იოანე იალღუზიძის (1770—1810) მიერ თარგმნილი სახელმძღვანელოები და სხვა წიგნები იხმარებოდა.

ჯერ კიდევ 1820 წელს ქ. თბილისში „სადიდებლად წმიდისა, ერთარსისა, ცხოველსმყოფელისა და განუყოფელის სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა; და სასულიეროს სამოძღვრებლად ახალმოქცეულთა მთის ოვსეთისა ერთა“... გამოქვეყნებულ იქნა „საცისკრონი ლოცვანი“ ანუ „წიგნი ესე ლოცვანი, კატეხიზმოსი და მოკლე ქრისტიანებრი-ზნეობითი სწავლა“ პარალელური (მარცხნივ ქართული და მარჯვნივ ოსური) ტექსტებით, რომელიც „...ქართულიდან ბუნებით ოვსთაგანის აზნაურის იოანე იალღუზისძის მიერ“ იყო თარგმნილი[377]. ამის შემდეგ (1821 წ.) მოსკოვის სტამბაში (ნუსხა-ხუცურით) ქართულ-ოსური პარალელური ტექსტებით დაიბეჭდა „კონდაკი“, ხოლო 1824 წელს (ქართულ-ოსური

---

[375] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941 წ. ტ. I, გვ. 355 356,

[376] „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 779, გვ. 3, № 780, გვ. 2.
ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი 1, 1941 წ., გვ. 90—91.

პარალელი ტექსტებით) „გამოკრებილი კურთხევანი“, რომელიც „...ქართულიდან ოვსურისა ენასა ზედა“ თარგმნილ იქნა ქართულს კულტურულ-ლიტერატურულ წრეებში (ერეკლე მეორისა და გიორგი XII-ს კარზე) აღზრდილი „...ბუნებითი ოვსთაგანის აზნაურის იოანე იალღუზისძის მიერ“[378]. XIX საუკუნის დასაწყისში, ოსეთ-საქართველოს კულტურული კავშირის განმტკიცებისათვის დაუღალავმა მებრძოლმა იოანე იალღუზისძემ ოსებისათვის გაბოსცა ქართული შრიფტით ნაბეჭდი სახარება[379], რომელიც მთის ხალხში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ხელს უწყობდა ოსების ქართველებთან კულტურულ დაახლოებას და ამ გზით იმ დროის მოწინავე რუსულ მწერლობასთან კავშირის განმტკიცებას.

იოანე იალღუზიძე იყო ქართულ-რუსული და ოსური ენების საუცხოო მცოდნე, ქართულიდან ოსურ ენაზე სხვადასხვა თხზულებების მთარგმნელი, პოეტი, ქართული ლექსების ავტორი[380], რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული მწერლობის განვითარებისა და ქართველ, რუს და ოს ხალხთა კულტურული დაახლოების საქმეში.

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის — აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას შეხედულებით: „ოსური ენის ყველაზე ძველი ძეგლია იალღუზიძის თარგმანი საეკლესიო წიგნთა. იალღუზიძეს ოსურისათვის ქართული ანბანი აქვს გამოყენებული“[381]. ცხადია, ქართველთა კულტურულ სავანეებში აღზრდილი (იმ დროისათვის გამოჩენილი) ოსი მოღვაწის — იალღუზიძისათვის შემთხვევითი რიდი იყო ყოველივე იმის მაქსიმალურად გამოყენება, რაც ოდნავ მაინც ხელს შეუწყობდა ოსეთში წიგნიერებისა და ცოდნის გავრცელება-განვითარების საქმეს. ოსი ისტორიკოსი ალ. კოზაევი თავის ნარკვევში („Древние осетины и Осетия“) მიუთითებდა (XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში) ოსეთში დამწერლობის წარმოშობისა და ხალხის კულტურულ აღორძინებაში წიგნის როლის შესახებ. მისი აზრით, XIX საუკუნის დასაწყისში ოსეთი დაადგა ეროვნული კულტურის აღორძინების გზას. „შინაურ ცხოვრებაში ეს ისტორიული მოძრაობა უმთავრესად კულტუ-

---

378 ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, 1941 წ., გვ 96.

379 В. И. Абаев. Осетинский язык и фольклор, изд. АН СССР, М., 1950 г., стр 454 455.

380 ტ. რუხაძე. ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, 1959 წ., გვ. 197—198.

381 პროფ. ა. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, 1946 წ., გვ. 192—193.

რის უდიდეს ნაყოფში და უწინარეს ყოვლისა—დამწერლობის განვითარებაში გამოიხატებოდა"[382]. კოზაევის გამოთქმით, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ოსები საკუთარი ანბანისა და ნაციონალური დამწერლობის გარეშე იყო და მხოლოდ გვიან (XIX საუკ. 40-იან წლებში) დაადგა იგი საკუთარი და ნათარგმნი ლიტერატურის ნაციონალურ ენაზე შექმნისა და განვითარების გზას[383].

ოსური ნაციონალური კულტურისა და წიგნიერების განვითარებას, როგორც ცნობილია (XVIII საუკუნეში) ხელს უშლიდა:

ა) ოსურ ენაზე ანბანისა და დამწერლობის უქონლობა;

ბ) მღვდლების მიერ ქართული და რუსული ენების უცოდინარობა, რომელზედაც უმთავრესად საეკლესიო-ღვთისმსახურების „წესების" შესრულება ხდებოდა, მაგრამ გაიოზის მიერ ოსური ანბანის შემოღების შემდეგ ეს მდგომარეობა შეიცვალა.

ეგზარხოსმა—მიტროპოლიტმა თეოფილაქტემ „...ოს აზნაურებში იპოვნა იოანე იალღუზისძე, რომელიც პატარაობიდანვე საქართველოში იზრდებოდა და ქართული ენა გრამატიკული წესის მიხედვით მშვენივრად იცოდა. მოძებნა უნიჭიერესი კაცი, რომელიც წიგნებს ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნიდა"[384].

სწორედ, ამ დიდმა მოღვაწემ—იოანე იალღუზისძემ მთელი თავისი ცოდნა, ნიჭი და მონდომება გამოიყენა მშობლიურ ენაზე წიგნიერების განვითარების, ქართულ-ოსურ-რუსული კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისა და მშობლიური ხალხის ყოველმხრივი აღორძინებისათვის.

იოანე იალღუზისძის საეკლესიო-საღვთისმეტყველო ნაშრომების ნაწილი (ქართულ-ოსური პარალელური ტექსტებით) მოსკოვის სტამბაში დაიბეჭდა, ნაწილი კი — თბილისში, რაც ოსეთის ეკლესიებსა და სკოლებს ეგზავნებოდა. ამგვარი გზით ბევრმა ოსმა ისწავლა, როგორც ქართული, ისე ოსური და რუსული წერა-კითხვა და მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების „წესების" შესრულება.

ჯერ კიდევ საქართველოს ეგზარხოსმა თეოფილაქტემ, ხოლო შემდეგ — ეგზარხოსმა-არხიეპისკოპოსმა იოანემ (1822 წ.) დაავალეს იალღუზისძის თხოვნა და შველა აღმოუჩინეს მას ქარ-

---

[382] Древние осетины и Осетия, сочинение Александра Кодзаева. Владикавказ, 1903 г., стр. 1.

[383] ამასთან დაკავშირებით ალ. კოზაევი მიუთითებდა ქართველი ისტორიკოსის—პროფ. მ. ჯანაშვილის უდიდეს დამსახურებაზე, რომლის წყალობით ოსებმა ისწავლეს, შეინარჩუნეს და ოსურად გამოაქვეყნეს ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნილი პოემა „ალღუზიანი"

[384] История грузинской иерархии, Москва, 1886 г., стр. 88—89.

ოულიდან ოსურად „წმინდა ევანგელიის“ თარგმანსა და გამოცემაში-ნათარგმნის ტერმინოლოგიის დასაზუსტებლად დახმარებისათვის მიმართეს ქართველ მემამულეს ოსეთში — თავად შალვა ერისთავს, რომელსაც თხოვეს — შეერჩია ქართულ-ოსური ენების მცოდნე ოავის ქვეშევრდომი ოსი-ქრისტიანები და ებრძანებინა მათთვის, რათა საფუძვლიანად განეხილათ „ევანგელიის“ ოსური თარგმანი, მოეძებნათ მასში შეუსაბამო, არაზუსტი გამოთქმები და ეცნობებინათ ამის შესახებ მათი სამრევლოს პროტოიერის — ბიბილურისა და გ. იალღუზისძისათვის, რათა ამ უკანასკნელთ შესაფერი ცვლილებები შეეტანათ ნათარგმნი წიგნის ტექსტში[385], მაგრამ ამ ღონისძიების განხორციელების მიუხედავად, ნათარგმნი წიგნების გამოყენება ოსეთში გარკვეულ სიძნელეებს აწყდებოდა.

კავკასიის მთის სხვა ხალხებთან შედარებით (XIX საუკუნის დასაწყისში და შემდეგ) ოსებს საკუთარი დამწერლობის განვითარების მხრივ მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ. ნათარგმნი და ორიგინალური წიგნების შექმნის ნიადაგზე ბევრმა ოსმა მიიღო აღზრდა სასულიერო სასწავლებლებში და აქტიურად ჩაება თავისი ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში.

1862—1863 წწ. და შემდეგ „წიგნის მთარგმნელი კომისიის“ ინიციატივით ოსურ ენაზე დაიბეჭდა პროტოიერ კოლიევის, კოლეჯის ასესორის — მეედლოვის, მღვ. სუხიევის, თბილისის სასულიერო სემინარიის ოსური ენის მასწავლებლის ვ. ცორაევის, დანიელ ჭონქაძისა და სხვათა ნათარგმნი და ორიგინალური ნაშრომები[386].

XIX საუკუნის 30-იან წლებიდან ოსეთში (რუსული ძალაუფლების განმტკიცებისა და რუსული კულტურის გავლენის გაძლიერების გზით) ქართული წიგნები რუსული სახელმძღვანელოებით შეიცვალა. 1830 წელს ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა შიო დვალიშვილმა (რომელმაც მშვენივრად იცოდა ოსური ენა), რუსულ ანბანზე გადასვლასთან დაკავშირებით, საეკლესიო უწყების ხელმძღვანელობისაგან ნებართვა მოითხოვა რუსული ალფაბეტის ბაზაზე ოსური სახელმძღვანელოების შედგენის შესახებ, რაზედაც შესაფერი თანხმობაც მიიღო.

ამგვარი ნებართვის შემდეგ შიო დვალიშვილის ინიციატივით შეიქმნა რუსულ ალფაბეტზე შედგენილი ოსური სახელმძღვანე-

---

385 История грузинской иерархии, Москва, 1826 г., стр. 91—92.

386 Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1862 и 1863 годы, Тифлис, 1865 г., стр. 11—12.

ლოები და სხვა დამხმარე წიგნები, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ოსური კულტურის რუსულ კულტურასთან დაახლოებას. ოსეთის ეკლესიებსა და სკოლებში პირველ ხანებში გამოყენებული იყო ქართული ასოებით ნაბეჭდი ოსური საეკლესიო წიგნები. ამასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადო მოღვაწე ილ. ალხაზიშვილი გაზ. „დროებაში“ 1876 წელს (№ 128) წერდა: „რადგანაც ოსებს ალფაბეტი არა აქვსთ, ქართული ასოებით საღმთო წიგნები ოსურ ენაზე გადათარგმნეს და ეხლა თითქმის ყველა ეკლესიაში წირვა-ლოცვა და ქადაგება ოსურს ენაზეაო“[387].

ოსებში თანდათანობით იკიდებდა ფეხს „საეკლესიო განათლება“, ვითარდებოდა მშობლიური სიტყვა და მწერლობა, რაც მეტად ნელა, მაგრამ მაინც ხელს უწყობდა მთის ამ ხალხთა საერთო კულტურის ამაღლებას.

ჩრდილოეთ ოსეთის კულტურულ ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა აკადემიკოს ა. შეგრენის „ოსური ანბანის“ და რუსული სამოქალაქო ალფაბეტის საფუძველზე შედგენილი „ოსური გრამატიკის“ (1844 წ.) სახელმძღვანელო, რომელსაც თან ახლდა მოკლე რუსულ-ოსური და ოსურ-რუსული ლექსიკონი. ოსური ენის თავისებურებათა მეცნიერული შესწავლის საქმეში ამ პერიოდში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს აგრეთვე როზენმა და შლეიხერმა, მაგრამ ოსური კულტურის განვითარებისათვის შეგრენის ნაშრომებს გაცილებით მეტი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ამ უკანასკნელთა მეცნიერულ გამოკვლევებს.

მიუხედავად შეგრენის გრამატიკის ამგვარი მნიშვნელობისა, მას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. 1885 წელს ჟურნალ „მწყემსში“ (№ 2, 15 იანვარი) გ. ლიახველი შიშს გამოთქვამდა, თითქოს, საკუთარი ანბანისა და დამწერლობის უქონლობით კავკასიის ერთ-ერთ უძველეს ხალხს — ოსებს თავისი თვითმყოფობის დაკარგვა ემუქრებოდა. ავტორი (რომელიც რამდენჯერმე უბრუნდებოდა ოსური ანბანისა და დამწერლობის საკითხს) ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ოსებს არა ჰქონდათ და არცა აქვსთ დღეს თავისი ანბანი. 1820—30 წლებში ერთმა ოსთაგანმა ი. იალღუზიძემ შემოიღო ოსურ წერაში სახმარებლად ქართული ასონი, მაგრამ აკადემიკოს შეგრენს, ოსური ღრამატიკის შემდგენელს, იალღუზიძის „თეორია“ არ მოეწონა და შემოიღო რუსული ალფაბეტი, რომელიც არ აკმაყოფილებს

[387] გაზ. „დროება“, 1876 წ., № 128, გვ. 4.

ოსური ენის გამოთქმას, რადგან ასონი: ძ, წ, ჭ, ჯ არ არიან რუსულ ალფაბეტში. შეგრენისაგან შემოღებულ ალფაბეტის შემოწმებით ოსურ ენაზე გადაითარგმნა რამდენიმე სამღვთო წიგნი, რომელთაც სამწუხაროდ, არა აქვს ისეთი მნიშვნელობა და გავლენა ოსებზედ, როგორიც უნდა ჰქონდეთ. ამ წიგნებიდან, რასაკვირველია, ოსს ბევრი არა ესმის-რა. თვით ამ ალფაბეტზე ოსური ენის სწავლების საქმე „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლებში რიგიანად არ მიდიოდა და არც შემდეგში წავა. მთელ სამხრეთ ოსეთში (მღვდლებს გარდა) ეხლა არ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელსაც შეგრენის ალფაბეტზე კითხვა შეეძლოს“...[388]

ამ მსჯელობიდან ჩვენთვის ნათელია, რომ ოსი ინტელიგენცია დოგმატურად არ იღებდა ამა თუ იმ წიგნს, კრიტიკულად აფასებდა ყოველ სახელმძღვანელოს და ცდილობდა ნამდვილ ოსურ ანბანზე აგებული სახელმძღვანელო წიგნების შექმნას, რომელიც ყოველ ოსს მისცემდა შესაძლებლობას ეწერა, ეკითხა და თავისუფლად ელაპარაკა თავის ბუნებრივ მშობლიურ ენაზე.

გ. ლიახველის მიერ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებანი შეგრენის გრამატიკის შესახებ მიმართული იყო არა რუსული ალფაბეტისა და რუსულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოების გამოყენების წინააღმდეგ, არამედ იმ ნაკლოვანებათა დაძლევა-აღმოფხვრისაკენ, რომელიც შეგრენის გრამატიკას და მაშინდელ სასკოლო სახელმძღვანელოებს ახასიათებდა.

გ. ლიახველი ოს ბავშვთათვის მისაწვდომი სახელმძღვანელოების შედგენისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ოსური ალფაბეტის გამოყენების მიზანშეწონილობის თვალსაზრისს იცავდა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამით სრულიადაც არ ცდილობდა იგი ოსურ სკოლებში რუსულ ანბანზე შედგენილი სახელმძღვანელოების გამოყენების მნიშვნელობის შემცირებას. „...ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვსთქვათ ის, რომ **რუსული ალფაბეტი ნუ იხმარება ოსურ წერაში**, არამედ იმას ვამბობთ, რომ რიგია შეადგინონ (თუნდ სხვადასხვა ენებიდანაც) ისეთი ალფაბეტი, რომელიც პასუხს გასცემდეს ოსურ გამოთქმას და მაშინ შეიძლება ლიტერატურაც გაჩნდეს როგორმე ამ ენაზე“[389].

ოსური სკოლების რიგიანი სახელმძღვანელოების შეუდგენლობისათვის კორესპონდენტი—გ.ლიახველი უსაყვედურებდა რა სწავლულ ოს ახალგაზრდობას (უნივერსიტეტისა და სემინარიის კურს-

---

[388] ჟურნ. „მწყემსი“, 1885 წ., № 2, გვ. 4—5.
[389] იქვე.

�მთავრებულებს—კოლიეევს, ალაჯიკოვს, სუხიევს და სხვებს, რომელთაც ეროვნული კულტურის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს) მოუწოდებდა მათ ყოველგვარი ზომები მიეღოთ ოსურ ენაზე რიგიანი სახელმძღვანელოების შექმნისათვის, ოსეთში სწავლა-განათლების გავრცელებისა და დაქვეითების გზაზე მდგარი ქვეყნის **„ნამდვილ კალაპოტში ჩაყენებისათვის“**[390]. ოსი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისა და კულტურული განვითარების იმედს, ზემოხსენებულ შეხედულებათა ავტორი, ქრისტიანობის ქადაგებაზე და რელიგიური სწავლა-განათლების გავრცელებაზე ამყარებდა.

„სწავლა-განათლება და ქადაგება ქრისტიანობაზედ,— აი, პირველნი პირობანი, რომელთაც,— ლიახველის სიტყვით,— შეუძლიანთ შეინახონ ოსეთი უვნებლად, თორემ არც ერთი ქვეყანა არ გადაურჩება მუხთალ სოფლის გამაქრობელ და დამარღვეველ ძალას“[391].

რა თქმა უნდა, რელიგიური ჟურნალის—„მწყემსის“ იდეური ზეგავლენის ქვეშ მყოფი კორესპონდენტის—ლიახველისათვის არ შეიძლებოდა სავსებით ნათელი ყოფილიყო ის, რომ ოსი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა არა მასების რელიგიური აღზრდა და ქრისტიანობის ქადაგება, არამედ ცარიზმის დამხობა, ხალხის განთავისუფლება და სწავლა-განათლების საქმის დემოკრატიულ ნიადაგზე მოწყობა.

ოსური ენის შესწავლისა და ოსურ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში ზემოჩამოთვლილ სწავლულებს დიდ დახმარებას უწევდნენ მეედლოვი, შიო დვალიშვილი (ოსური ენის მასწავლებელი) და სხვები.

შეგრენის გრამატიკას იყენებდა კოსტა ხეთაგუროვი, რომელიც აღნიშნულ სახელმძღვანელოს ოსური ლიტერატურული ენის განვითარებისა და ოსური კულტურის რუსულ კულტურასთან დაახლოების მნიშვნელოვან საშუალებად თვლიდა.

XIX საუკუნის 50—60-იან წლებში ოსურ ენაზე უმთავრესად საეკლესიო წიგნები შეიქმნა. ამ საქმეში თავი გამოიჩინა არხიეპისკოპოსმა იოსებმა (ი. ი. ჩეპიგოვსკიმ, წარმოშობით უკრაინელმა), რომელიც სინოდის ბრძანებით 1857 წელს ოსეთის ეკლესიის მრევ-

---

[390] ჟურ. „მწყემსი“, 1885 წ., № 2, გვ. 4—5.

[391] იქვე.

ლისა და ოსეთის სამხ. ოლქის სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველად იყო დანიშნული. ის თავის „მოღვაწეობაში“ თანამედროვე განათლებულ ოსებს (მღვდლებსა და მასწავლებლებს) ეძყარებოდა, რომელთა შორის იყვნენ: აკსო კოლიევი, მიხეილ სუხიევი, ალექსი ალაჯიკოვი, სოლომონ ჟუსკაევი, ვასილ ცორაევი, ეგორ კარაევი, გიორგი კანტემირი და სხვები.

1860 წელს ზემოჩამოთვლილ პირთა მონაწილეობით ჩაძოყალიბდა „სახელმძღვანელოს მთარგმნელი კომისია“, რომლის ძიზანი იყო ოსეთში ქრისტიანობის გავრცელება და აბალგაზრდობაზე ნაჰმადიანური სარწმუნოების გავლენის შესუსტება. ეპისკოპოს იოსების ხელმძღვანელობით შეგრენის მიერ შექმნილი „ანბახის“ საფუძველზე (ეკლესიის მოთხოვნათა შესაბამისად) 1861 წელს გამოცემულ იქნა „ოსური ანბანი“, რომელიც რუსულის დახმარებით ისწავლებოდა. XIX საუკუნის II ნახევარში ზემოხსენებული სახელმძღვანელო ალმ. კანუკოვის გაუმჯობესებულმა სახელმძღვანელომ (90-იან წლებში) შეცვალა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში მანვე მოჰკიდა ხელი I რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენას, რომელიც 80-იან წლებში გამოვიდა. იმავე მოღვაწის ავტორობით, ოსური სკოლებისათვის გაძოქვეყნებულ იქნა რუსული და ოსური ენების გრამატიკა და სხვა წიგნები, რომელთა გამოცემას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ოსეთში წიგნიერების განვითარების საქმეში.

ჯერ კიდევ 1859 წელს დიგორ-ალაგირის ოსური სკოლების რევიზორი — მასლოვი უკმაყოფილებას გამოთქვამდა სკოლებში რუსული და ოსური ენების სწავლების ცუდად დაყენების გაძო. იგი მოითხოვდა ოსური საეკლესიო-სამრევლო სკოლების პროგრამის გაფართოებას ამავე ტიპის რუსული სკოლების დონემდე, ყველა საგნის სწავლების შემოღებას ოსურ ენაზე — რუსული ენის საეალდებულო სასწავლო საგნად დატოვებით[392].

ოსეთის ეკლესიების რწმუნებული არხიმანდრიტი იოსები მხარს უჭერდა ყველა საგნის ოსურ ენაზე სწავლების შემოღებას, ნით უმეტეს, რომ იმ დროისათვის არსებობდა საანბანო წიგნები და შეგრენის გრამატიკა, რომელსაც იგი (ოსური კულტურის განვითარებაში) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამრიგად, იოსების აზრით, ყველა შესაძლებლობა არსებობდა იმისათვის, რომ

---

[392] Известия Северо Осетинского научно-исследовательского института, т. XI, С/О Госиздат, 1947 г., стр. 187.

სწრაფად და სწორედ წაეწიათ წინ ოსეთის ნაციონალური განათლების საქმე რელიგიური გზით[393].

ოსი მშრომელი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებით დაინტერესებულ ქართველ მოღვაწეებს, მათ შორის პროფ. ალ. ხახანაშვილს სრულებითაც არ აკმაყოფილებდა განათლების მხრივ მოძმე ოსი ხალხის მდგომარეობა. იგი, 1899 წლისათვის, ორივე მხარის 200.000 მცხოვრებზე, თითქმის საკმარისად თვლიდა 30 სასოფლო სკოლას, რომელშიაც 2500 ბავშვი სწავლობდა, მაგრამ მიუთითებდა იმაზე, რომ „...ამ უკანასკნელ დრომდის განათლებამ ფეხი ვერ მოიკიდა ოსეთში. მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა,— პროფ. ხახანაშვილის მოსაზრებით,— ის იყო, რომ არ არსებობდა ოსურს ენაზედ საკითხი წიგნი სალმრთო წერილის გარდა და სკოლიდან გამოსული ბავშვი ადვილად ივიწყებდა იმასაც, რაც შეიძინა სასწავლებელში რუსულს ენაზედ შედგენილ სახელმძღვანელოების შემწეობით“[394].

პროფ. ალ. ხახანაშვილი იზიარებდა უსლარის აზრს ახალი თაობის აღზრდა-განვითარებისათვის ბავშვის აგებულებასა და აზროვნების დონესთან სასწავლო მასალის შეფარდების აუცილებლობის შესახებ. იგი მიუთითებდა გამოჩენილი ოსი სახალხო მოღვაწეების (იურისტი ღაპპო ბაევი და სხვ.) უდიდეს ზრუნვაზე ისეთი სასწავლო წიგნების შედგენისათვის, რომლებიც „...ერთსა და იმავე დროს ასწავლიდეს რუსულსა და ოსურს ენებს. ამისათვის,— ხახანაშვილის აზრით,— საჭიროა გვერდი-გვერდ მოყვანილი იყოს რუსული და ოსური ტექსტი, ანუ მოთხრობა. შემდეგ საჭიროა **შედგენილ იქნას ოსურს ენაზედ გეოგრაფიული, ისტორიული, სამეურნეო და სხვა საკითხი წიგნები,** რადგანაც სასწავლებელში რუსულს იმდენად არა სწავლობენ, რომ ამ ენაზედ შეითვისონ საჭირო ცხობანი. **ერთი სიტყვით: საჭიროა სამშობლო ენაზედ მწერლობის შექმნა**“[395].

ოსურ სკოლებში სწავლებისა და აღზრდის საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენებისათვის პროფ. ხახანაშვილს საჭიროდ მიაჩნდა ოსურ ენაზე (სხვადასხვა სასწავლო საგნებში) სახელმძღვანელოების გამოცემა, ოსური ლიტერატურის განვითარება და მთის ხალხებში სასარგებლო ცოდნის გავრცელება. რამდენადაც, კავკასიის

---

[393] ი ქ ვ ე, გვ. 187. შდრ. Материалы по истории осетинского народа, т. V, 1942 г., стр. 86.

[394] გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 136, გვ. 2—3.

[395] ი ქ ვ ე.

მთის ხალხებმა (თავიანთ ენებზე) საუკუნეების მანძილზე შექმნეს ლექსები, ლეგენდები, არაკები და ანდაზები, ამდენად, ხახანაშვილის შეხედულებით, სახელმძღვანელოების შედგენისა და მწერლობის განვითარებისათვის — აღნიშნული მასალა უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

„ოსებში მწერლობის დასაწყისი შეიტანეს ქართულის ანბანით, შემდეგ ეს ანბანი შესცვალეს რუსულის ანბანით, ზოგიერთის ასოების დამატებით. ამ ახლად, აკადემიკოსის შეგრენის მიერ შექმნილი ანბანით,— როგორც ხახანაშვილი წერდა,— ისარგებლეს აკად. შიფნერმა, პროფ. მილერმა სხვადასხვა ცვლილებებით. 1890 წ. გამოიცა ამ ანბანით ოსური პირველი საკითხავი წიგნი. მოკლედ რომ მოგახსენოთ, ამ ანბანმა მოიკიდა მაგრა ფეხი და ახლა პირველად ოსურს ენაზედ საეკლესიო წიგნების გარდა, საერო ნაწერებიც იბეჭდება“[396].

ოსური სახელმძღვანელოების შექმნის ისტორიისა და სწავლების ენის დარგში მომხდარი ცვლილების მეცნიერულად დასაბუთებული შეხედულებანი, რომელიც ზემომოყვანილ ამონაწერშია გახვითარებული, ადასტურებს ქართველ მეცნიერთა განსაკუთრებულ ზრუნვას ოსი ხალხის კულტურული განვითარებისა და რუსულ კულტურასთან მათი კავშირის განმტკიცებისათვის. კოსტა ხეთაგუროვის „ირონ ფანდირის“ კრიტიკული გარჩევისას პროფ. ხახანაშვილი ხაზს უსვამდა ამ ნაწარმოებთა მრავალფეროვნებას, პატრიოტულ ხასიათს და მის უდიდეს საზოგადოებრივ მნიშვნელობას ოსი ხალხის კულტურულ განვითარებაში.

კოსტა ხეთაგუროვის ლექსთა კრებულში შეტანილი მასალის მეცნიერულ-ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე პროფ. ხახანაშვილი დაასკვნის, რომ „...ლექსთა წყობა ოსებს ტონური აქვთ. ე. ი. ისეთი ლექსთაწყობა, როგორიც რუსებს... იგი აგებულია ხმის ამაღლებაზედ“[397]. პროფ. ხახანაშვილი აღტაცებული იყო კოსტა ხეთაგუროვის ლექსთა კრებულით, რომლის პირველი ნაწილი „...ელეგიურის კილოთი და მამულიშვილობის გრძნობით არის გაჟსჭვალული“[398], ხოლო ლექსებმა „მ. ზ. ყიფიანის სახსოვრად... აღუ-

---

[396] ამ წიგნებთა შორის პროფ. ა. ხახანაშვილს დასახელებული აქვს ლაპო ბაევის საფასით 1897 წ. გამოცემული „Аевхаердт хаесание“ (გვარი და სახელია გმირისა), ალ. კუბალტის ნაწერები და კოსტა ხეთაგუროვის ლექსთა კრებული „Ірон Паендур“ („ოსების ფანდური“). იხ. გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 136, გვ. 2—3.

[397] გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 136, გვ. 2—3.

[398] იქვე.

ძრა ოსებს სიყვარული ერისა"[399]. ოსური კულტურის, დაძწერლობისა და ლიტერატურის განვითარება ქართველ მეცნიერში უდიდეს აღფრთოვანებას იწვევდა, რის გამოც იგი წერდა: „ვუსურვოთ ოსებს წარმატება ამ პატიოსანს გზაზედ და ვინატროთ იმათის საერო მწერლობის გაფურჩქვნაო"[400]. ეს გულწრფელი გაძონათქვაბი ნათელს ჰფენს იმ ძმურ განწყობილებას და კულტურულ ურთიერთობას, რომელიც ორი მეზობელი ხალხის მოწინავე ინტელიგენციას შორის არსებობდა. ოსი ხალხის კულტურული დაწინაურებისათვის სხვა ქართველი მოღვაწეებიც იბრძოდნენ.

1830—40-იან წლებში (ვლადიკავკაკში) ოსეთის სასულიერო კომისიაში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწერლის — დანიელ ჭონქაძის („სურამის ციხის" ავტორის) მამა — ძღვდელი გიორგი ჭონქაძე, რომელიც ჩრდილოელ ოსებში დიდ კულტურულ-საგანძანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ მომავალი მწერალი დანიელ ჭონქაძე ჯერ კავკავის სკოლაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ — თბილისის სას. სემინარიაში.

XIX საუკუნის შუა პერიოდში (1851—1855 წწ.) დ. ჭონქაძე პირველად კავკავისა და შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში **ოსური ენის მასწავლებლად** მუშაობდა, სადაც ყოველმხრივ უწყობდა ხელს ოსი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს[401]. დანიელ ჭონქაძე დიდ ენერგიას ხარჯავდა „...ოსთა შორის წერა-კითხვის გავრცელებისათვის"[402] და როგორც ქართულ-რუსულ-ოსური ენების კარგი მცოდნე, ადგენდა სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს და სხვა ნაშრომებს ოსებისათვის დახმარების გასაწევად, ენერგიულად შრომობდა ოს ხალხში ცოდნის გავრცელებისათვის, ოსი მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისათვის[403].

---

[399] პროფ. ალ. ხახანაშვილის გადმოცემით, კოსტა ხეთაგუროვი იყო დედით ქართველი. მას განზრახული ჰქონდა ეთარგმნა „...აგრეთვე ოსურად ჩვენი ალლუზიანი, რომელსაც დაუცავს ოსების ისტორია". ჩვენ არ მოგვეპოვება სათანადო საბუთები ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა მტკიცების სასარგებლოდ ან მის წინააღმდეგ. ამიტომ, ზემონათქვამს მხოლოდ უბრალო ცნობის სახით ვაქვეყნებთ.

[400] გაზ. „ივერია", 1899 წ., № 136, გვ. 2—3.

[401] არკ. ხ უ ნ დ ა ძ ე, დანიელ ჭონქაძე, გვ. 27—33, თბილისი, 1932 წ.

[402] ი ქ ვ ე, გვ. 44—45, 47, 51, 52—53.

[403] დამახასიათებელია, რომ დანიელ ჭონქაძემ ცნობილ ოს საზოგადო მოღვაწეს თან — ვასილ ცორაევთან ერთად (XIX საუკ. 60-იან წლებში) შეკრიბა ოსური ხალხური თქმულებები, რომელიც პეტერბურგში აკადემიკოს შიფნერმა 1868 წელს გამოსცა ალითურით: „ოსური ტექსტები, შეკრებილი დანიელ ჭონქაძისა და ვასილ ცორაევის მიერ".

ოსური სკოლებისათვის ზოგიერთი წიგნები შეადგინა, თარგმნა და გამოსცა ოსმა საზოგადო მოღვაწემ — ვასილ ცორაევმა (1827—1884). ერთგვარი დადებითი როლის მიუხედავად, რომელიც აღნიშნულმა სახელმძღვანელოებმა შეასრულეს, ისინი თავისი უაღრესად რელიგიური ხასიათის გამო ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის განხორციელების მიზნებს ემსახურებოდა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, ისე სამხრეთ ოსთა სკოლებში რუსულ ენას ოსი ბავშვები გამოჩენილი ქართველი პედაგოგ-კლასიკოსის — იაკ. გოგებაშვილის („Русское слово"-თი) სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ. ოსი მშრომელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ სამღვდელოებამ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ხელმძღვანელებს მოსვენებას არ აძლევდა ის უდიდესი ზეგავლენა, რომელსაც ახალგაზრდობაზე იაკ. გოგებაშვილის „Русское слово" ახდენდა, რისთვისაც ყოველ ღონეს ხმარობდნენ სკოლებიდან მის უკუსაგდებად.

„საზოგადოების" 1860—1910 წწ. „მუშაობის ანგარიშში" ნათქვამია, რომ „რუსული ენის სწავლება სწარმოებს გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი და მისი მძლავრი გავლენით (კავკასიის სკოლებში), მაგრამ ეს სახელმძღვანელო დრომოჭმულია. უფრო ზუსტად რომ ითქვას, ცხოვრებას ჩამორჩენილია. იგი (სახელმძღვანელო.—ტ. ს.) გამოცდილ მასწავლებლის ხელშიაც კი, ბავშვის აზროვნებას და გონებრივ არეს ავიწროებს და გამოუცდელ მასწავლებლის ხელში ხომ მოსწავლეს სულ აჩლუნგებს. ჭეშმარიტ ქველმოქმედებით საქმეს გაუკეთებდა თავის ერს ნიჭიერებით სავსე ქართველი, თუ შექმნიდა ახალ გაუმჯობესებულ სახელმძღვანელოს და ამგვარად გაჰფანტავდა გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი ქართულ სკოლაზე ჩამოწოლილ ბურუსს"[404]. 1906—1907 წლებში ეკლესიის მმართველობა სასტიკად კიცხავდა ყანობის, ნაგორევის, ღუდის და ყაზბეგის საეკლესიო-სამრევლო სკოლებს იმის გამო, რომ აღნიშნულ სკოლებში შემჩნეული იყო გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი „განსაზღვრულობა" და ბავშვებზე მისი უდიდესი ზეგავლენა[405].

---

[404] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907 гг., изд. 1909 г., стр. 50.

[405] იქვე, გვ. 51.

ამ ბრძოლის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები ხელს უწყობდა ოსი ბავშვების მიერ როგორც რუსული, ისე ქართული ენისა და წერა-კითხვის საფუძვლიან შესწავლასაც. ოსი მშრომელები გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს დამსახურებულ შეფასებას აძლევდნენ და მოითხოვდნენ ოსეთის სკოლებში მის დატოვებას. უცნობი ავტორის მიერ 1907 წ. ოსურ გაზ. „ნოგ ცარდ"-ში (№ 46) გამოქვეყნებულ წერილში („ჩვენი მასწავლებლები"[406]) ნათქვამია:

„ჩვენს სკოლებში არ არის რუსული ენის არც ერთი კარგი სახელმძღვანელო. რაგინდ გულმოდგინე და ოსტატი მუშაკი არ უნდა იყოს, თუ მას არ ექნება კარგი იარაღი, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მისი მუშაობა წინ ვერ წავა. საქართველოში გამოჩნდა მეტად ნიჭიერი ადამიანი, სკოლების მცოდნე, გვარად — გოგებაშვილი. მან ქართული სკოლებისათვის შექმნა რუსული ენის სახელმძღვანელო. ეს წიგნი ძალიან კარგია, შედგენილია ოსტატურად (საუცხოოდ). სხვა **მსგავს წიგნებთა რიგში, ის ისე ბრწყინავს, როგორც მზე ვარსკვლავთა შორის.** ყველა სხვა წიგნები მუნჯურადაა შედგენილი, ხოლო გოგებაშვილის სახელმძღვანელო კი — გონივრულად, საყვარელი და გასაგები ენით. როდესაც გამოჩნდა გოგებაშვილის წიგნი, მაშინ, მის შესახებ ჩვენს სკოლებსაც ბიუთითეს. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა, რომლებმაც ნახეს ეს წიგნი, გახარებულმა შვებით ამოისუნთქეს. მაგრამ ხელმძღვანელობას არ მოეწონა, რომ ისინი (ბავშვები) ალაპარაკდნენ. გოგებაშვილი განდევნეს ჩვენი სკოლებიდან. მის მაგივრად შემოიღეს ის, რაც მათ მიიჩნდათ უფრო **მუნჯურად** და **ჩვენი სკოლებიც დამუნჯდნენ.** ოსურ ოჯახში მხიარული, მოტიტინე ბავშვი, დღეს სკოლაში გარინდულია და... ვეღარ მეტყველებს. რა შეიძლება იყოს ამაზე საბრალო"[407].

ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმ კავშირ-ურთიერთობაზე, რომელიც ქართველი და ოსი ხალხის მოწინავე ინტელიგენციასა და სკოლის პროგრესულ მოღვაწეთა შორის არსებობდა. ოსი პედაგოგები უარყოფდნენ სწავლა-აღზრდის დახავსებულ სისტემას, წი-

---

[406] ტექსტი ოსურიდან რუსულად თარგმნილია აწ განსვენებული ოსი მკვლევარის—დოც. პ. ი. გადიევის მიერ. რუსულიდან ქართული თარგმანი შესრულებულია ჩვენს მიერ.

[407] იხ. გაზ. „ნოგ ცარდ", 1907 წ., № 46.

ნაალმდეგობას უწევდნენ ე. წ. „მუნჯურ“ მეთოდს, გმობდნენ უვარგის სახელმძღვანელოებს და მოითხოვდნენ ოსეთის სკოლებში მოწინავე პედაგოგების მიერ გონივრულად შედგენილი სახელმძღვანელოების გამოყენებას.

ოსეთის სკოლებში რუსულ სახელმწიფო ენას უვარგისი, პედაგოგიკურ-მეთოდურად გაუმართავი სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ, რაც ძლიერ აბრკოლებდა ოსი ბავშვების ძიერ რუსული ენის შესწავლას. ამიტომ იყო, რომ ოსეთის მოწინავე ინტელიგენციას და შეგნებულ ოს მასწავლებლობას საჭიროდ მიაჩნდა რუსული ენის შესასწავლად ოსურ სკოლებში გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ შენარჩუნება.

ჯერ კიდევ 1901 წელს, ჟურნალი „კვალი“ (№ 14) გაზ. „Терские ведомости“-ში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით წერდა: „ამჟამად ოსეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლებში სახელმწიფო ენას იმისთანა სახელმძღვანელოებით ასწავლიან, რომელნიც ავტორებს ადგილობრივ მკვიდრთა (არა რუსთა) სკოლებისათვის არ შეუდგენიათ. ამის გამო მოსწავლენი ცუდად ითვისებენ რუსულს ენასა და 5—6 წლის სწავლების შემდეგ არამც თუ წაკითხულის გაგება, თავისუფლად ლაპარაკიც კი რუსულ ენაზედ არ შეუძლიანთ. ამ სამწუხარო მოვლენის თავიდან ასაცილებლად, საეპარხიო საბჭოს არდონის განყოფილებისას განუზრახავს **ოსეთის სკოლებში ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელო შემოიღოს, რომელიც სპეციალურად ადგილობრივ მკვიდრთა (არარუსთა) სკოლებისათვის არის შედგენილი და რომელიც უკვე შემოღებულია არამც თუ კავკასიაში, არამედ ყაზანის გუბერნიის სკოლებშიაც**“[108].

ოსი ხალხისა და ოსეთის პროგრესული ინტელიგენციის დაჟინებითი მოთხოვნის მიუხედავად, კავკასიის მთის ხალხთა უმრავლეს სკოლებში საეკლესიო-სლავიანური წერა-კითხვა **ილმინსკის** სახელმძღვანელოს (I და II ნაწილი) მიხედვით ისწავლებოდა. ოსურ წერა-კითხვას კანუკოვის „ანბანით“ ასწავლიდნენ, მაგრამ ორი წლის მანძილზე სწავლებისათვის ამ წიგნის მასალა საკმარისი არ იყო და იგი არც საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა. რუსული ენის ზეპირი შესწავლისათვის მიხეევის სახელმძღვანელო იხმარებოდა, ხოლო სადაც ეს წიგნები არ იყო, იქ ეს სახელმძღვანელო ლექსიუ-

---

[108] ჟურნ. „კვალი“, 1901 წ., № 14, გვ. 223.

რი გაკვეთილებით იცვლებოდა. ამიტომ, კავკასიის მთის სოფლებში რუსული ენის **„ხრონიკული უცოდინარობა“** იყო გავრცელებული[409].

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ოსეთის სკოლებიდან იდევნებოდა მოწინავე პედაგოგთა მიერ გონივრულად შედგენილი წიგნები, მათ შორის ოსეთები, როგორიცაა კ. უშინსკის „Родное слово“ (რომელიც ვიქტორინას „ანბანით“ შესცვალეს)[410] და ი. გოგებაშვილის ანალოგიური სახელმძღვანელოები.

ამგვარი მდგომარეობის შესამსუბუქებლად და ოსეთის სკოლებში რუსული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად ოს მასწავლებლებს საჭიროდ მიაჩნდა გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გამოყენება. ოსი ინტელიგენციის აზრს გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ოსეთის სკოლებში გამოყენების შესახებ, ნათლად გვიჩვენებს გაზ. „ნოგ ცარდ“-ში (1907 წ. № 24) გამოქვეყნებული „დიალოგი“, სადაც მასწავლებელი (როგორც ირკვევა ამ „დიალოგის“ ავტორი.—ტ. ს.) სასკოლო საქმით დაინტერესებულ ნაცნობს მიმართავს: „და თუ შენ, მე მეკითხები, მაშინ მომისმინე: ამ 24 წლის განმავლობაში ბავშვებს ვასწავლიდი გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი, რომელიც ყოველმხრივ სრულყოფილი იყო; ვასწავლიდი იქამდე, ვიდრე ამ სკოლაში მოვეწყობოდი. ამ სკოლაშიაც, კიდევ ოთხი წელი ვამეცადინებდი გოგებაშვილის წიგნით. შემდეგ მე გამომიგზავნეს ვიღაც კორხანიდის წიგნი „Живое слово“-ს სახელწოდებით, რომელიც აგრეთვე გოგებაშვილის წიგნის პრინციპების მიხედვითაა შედგენილი, მაგრამ ბავშვთათვის საკითხავ მოთხრობებში გაუგებარი სიტყვები ან მთელი გაუგებარი ტექსტები თარგმნილია ბერძნულად. მოსწავლეებს დავურიგე ახალი წიგნები. მათ დაათვალიერეს იკი და უკან მომიტანეს. მაჩვენებდნენ რა თითებით ბერძნულ წარწერებს, მეკითხებოდნენ:

— ეს რა ენაზეა დაწერილი?

— ბერძნულად, — ვუპასუხე მე.

— წაგვიკითხეთ რაიმე, რომ გავიგოთ, რა წერია იქ?

— რამდენიც გესმით და იცით,— ვპასუხობ მათ,— იმდენი ვიცი მეც.

---

[409] „Журнал Министерства Народного просвещения“, 1917 г. Январь, стр. 98, ст. С. В. Фарфаровский: „Народное образование у осетин“.

[410] Материалы по истории осетинского народа, т. V. Сборник документов по истории народного образования в Осетии. Госиздат С|О. АССР, 1942 г., стр. 211—212.

— რაც თქვენ თითონ არ იცით, ჩვენ როგორ აგვიხსნით ძას?— კვლავ მეკითხებიან ბავშვები.

— როგორ? რასაც ვერ გავიგებთ, იმას დავტოვებთ, დანარჩენს შევისწავლით.

— მაშინ, ეს წიგნები ჩვენ არ გვინდა. რომელ წიგნებსაც წინად ვკითხულობდით, ეხლაც ის წიგნები დაგვიბრუნეთ. იმ წიგნებით ჩვენ როგორც რუსულად, ისე ქართულადაც კარგად ვსწავლობდით. „ნაცნობმა" შენიშნა, რომ ისიც იცნობდა კორხანიღის წიგნს, რომელიც დაწერილია ბერძნული სკოლებისათვის... ‘მეკითხვაზე, თუ, რატომ არ გამოგზავნეს სახელმძღვანელო ქართული წარწერებით. მასწავლებელმა უპასუხა: „იმიტომ, რომ ქართულ წარწერებიან სახელმძღვანელოთი მოსწავლეები ქართულ ენასაც შეისწავლიან. ორი მეზობლად მცხოვრები ხალხი ერთმანეთისას ვერ უნდა იგებდნენ. ეს მთავრობისათვის ხელსაყრელია[411].

წარმოდგენილი საბუთების მიხედვით აშკარაა, რომ ‘ეფის მთავრობის მოხელეები ყოველ საშუალებას იყენებდნენ ოსეთის სკოლებიდან გამორჩენილ რუს და ქართველ პედაგოგთა საყოველთაოდ აღიარებული სახელმძღვანელოების განდევნისა და სწავლებაში „მუნჯური" მეთოდის დანერგვისათვის.

რეაქციის ხელახალი აღმავლობის პერიოდში ქართველი პედაგოგების გონივრულად შედგენილ წიგნებს მეფის თვითმპყრობელობამ (ეკლესიის მესვეურთა დახმარებით) სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, რაც ოსი მოსახლეობის დაბალ ფენებში ცარიზმის მოხელეებისა და მათი მფარველი ხელისუფლებისადმი უნდობლობის გრძნობებს აღვივებდა.

როგორც ყველა სხვა საგნის პროგრამები, ისე ოსური ენის პროგრამაც რელიგიურ მიზნებს ისახავდა. არდონის სასულიერო სასწავლებლის ოსური ენის პროგრამაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ აღნიშნულ სკოლაში მშობლიური ენის სწავლება მიზნად ისახავს „მოამზადოს აღსაზრდელები თავიანთ წმინდა მოვალეობის შემსრულებლებად:— ტრაპეზის მსახურებად და ოსურ ენაზე ღვთისმოძღვრების მღაღადებლებად"[412].

მაშინდელი სასკოლო პროგრამები ხელს უწყობდა ზემოაღნიშნული რეაქციონურ-ბურჟუაზიული მიზნებისა და რელიგიურ-დოგმატური აღზრდის ამოცანების განხორციელებას.

---

411 გაზ. „ნოგ ცარდ". 1907 წ., № 24.
412 История Осетии, часть первая (макет), 1954 г., стр. 206.

მიუხედავად ყოველივე ამისა, აღნიშნულმა სკოლებმა ერთგვარი დადებითი როლი შეასრულეს ოსური კულტურის განვითარების, ადგილობრივი კადრების აღზრდისა და ოსი ხალხის კულტურის რუსულ კულტურასთან დაახლოების საქმეში.

1898 წელს ვლადიკავკავის ოლქში მარტო დაბალი ცოდნით, დაბალი განათლებით ირიცხებოდა 6062 კაცი, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ოსებს ამ პერიოდში პროგრესული ინტელიგენტების მთელი პლეადა ჰყავდა.

თ ა ვ ი V

მასწავლებელთა მომზადება-გადამზადება

მასწავლებელთა კადრებს ოსეთის სკოლებისათვის თბილისისა და არდონის სასულიერო სემინარიები და სამასწავლებლო სკოლები ამზადებდა. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ ცდილობდა ოსეთში საეკლესიო უწყების სკოლებისათვის ადგილობრივი კადრები აღეზარდა. ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლებს ეკლესიის ხარჯზე ზრდიდნენ იმ პირობით, რომ სემინარიის კურსდამთავრებულს 4 წელი „საზოგადოების“ უწყების დაწესებულებებში ემუშავნა, ხოლო შემდეგ კი — სურვილის მიხედვით. „სწავლის ხალისი ხალხში ძალიან აღძრულია. რამდენიმე ოსის შვილები თავისი ხარჯით თბილისის სასულიერო სემინარიაში გამოზარდეს და კიდევაც ზრდიან, რომელთაც, მღვდლათ ნაკურთხს, ოსებშიევე ამწესებენ. ასე, რომ ამჟამად მომეტებული ნაწილი მღვდლები, ოსები არიანო“,— წერდა 1876 წელს გაზ. „დროება“[413].

აქედან ცხადია, რომ რუსეთსა და საქართველოს სხვადასხვა სასწავლებლებში აღზრდილი ოსი ინტელიგენციის (მათ შორის მასწავლებლების და სხვ. პირთა) რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მოსწავლეთა მომზადებისა და აღზრდის საქმე მეტად დაბალ დონეზე იდგა. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა მასწავლებელთა დაბალი მომზადება და პედაგოგიური ოსტატობის უქონლობა.

ეკლესიის საქმეებით გადატვირთულ მღვდლებს არ ეცალა პედაგოგიური ცოდნის ამაღლებაზე ზრუნვისათვის. მათ სუსტად ესმოდათ სწავლა-აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. მასწავლებელთა ერთ ნაწილს სათანადო განათლება არ ჰქონდა მიღებული. სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ საბლაღოჩინოში მოუმზადებელი ან დაბალკვალიფიციური მღვდლები ეწეოდნენ ბავშვებთან პედა-

[413] გაზ. „დროება“, 1876 წ., № 128, გვ. 4.

გოგიურ მუშაობას. ჯავის საბლაღოჩინოში იყო ცხრა მღვდელი, რომელმაც დაასრულა სემინარიის კურსი, ხოლო ორტევის საბლაღოჩინოს ასეთი მღვდელი მხოლოდ ორი მოეპოებოდა. „ყველა დანარჩენი აღმოჩნდა ან სკოლებიდან გარიცხულნი, ან ისეთნი, რომლებიც არსად არ სწავლობდნენ“[414].

ბევრ სკოლაში არ ჰყავდათ მასწავლებელი, ხოლო სადაც ჰყავდათ ასეთნი, ისინი „...ნაკლებად იყვნენ მომზადებულნი თავიანთი მოვალეობისათვის“[415].

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში ოსებში ფესვგადგმული იყო ძველი ზნე-ჩვეულებანი (ქორწინებისა თუ ძიცვალებულთა პატივისცემის ადათ-წესები და სხვ.), რაც წინ ეღობებოდა ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ამაღლების საქმეს.

„ოსების ამნაირის მდგომარეობიდან გამოყვანას და კეთილს გზაზედ დაყენებას“, გაზ. „შრომის“ ოსი კორესპონდენტი ხალხში საეკლესიო ქადაგების გაძლიერებით ფიქრობდა. „...თითქმის არც ერთს სამხრეთ ოსეთში მყოფს მღვდელს ოთხკლასიანი სასწავლებლის მეტი. უმაღლესი სასწავლებელი არ უნახავს და სანამდის სემინარიაში კურსშესრულებული მღვდლები არ ჩამოგვივა. მანამდის ჩვენ არაფერი გვეშველებაო“,— 1883 წელს გაზ. „შრომაში“ წერდა ოსი კორესპონდენტი[416].

რა თქმა უნდა, საეკლესიო ღაღადისა და ხალხში ქრისტიანობის ქადაგების გზით უკულტურობის აღმოფხვრა შეუძლებელი იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გაუნათლებელ მღვდლებს ეფექტური როლის შესრულება არ შეეძლოთ ოსი მოსახლეობის ზნეობრივი ამაღლებისა და კულტურული განვითარების საქმეში. ამისათვის საჭირო იყო მაღალი ცოდნის, განათლებული და კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრების აღზრდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელის ერთგვარი ზრდის აუცილებლობიდან გამომდინარეობდა მასწავლებელთა შესაფერი კადრების აღზრდა-მომზადების საქმის გაუმჯობესების აუცილებლობა. 1863 წელს „საზოგადოებაში“ შეიქმნა აზრი მასწავლებელთა მოსამზადებლად თბილისში ნორმალური სამასწავლებლო სკოლის დაარსების შესახებ, რის გარეშეც შეუძლებელი ხდებოდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა მომზადების ამოცანის გადაწყვეტა.

---

[414] Газ. „Кавказ“, 1874 г., № 24, стр. 2.

[415] იქვე.

[416] გაზ. „შრომა“, 1883 წ., № 17, გვ. 3. იხ. „ოსი-ჩ“-ს კორესპონდენცია „ბორის მაზრიდან“.

1864 წელს ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია, რომელსაც აღნიშნული სკოლის დაარსების „პროექტი“, „დებულება“ და „წესდება“ უნდა შეემუშავებინა. ეს იდეა 1866 წლის 29 დეკემბერს განხორციელდა. ნავთლუღში გაიხსნა ალექსანდროვის სახელობის სამასწავლებლო სკოლა. 1868 წლიდან „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლები ამ უკანასკნელის მეთოდური ხელმძღვანელობის ქვეშ გადავიდა, რაც 1873 წლის 3 აპრილამდე გრძელდებოდა. ამის შემდეგ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მუშაობას ამავე „საზოგადოების“ სპეციალური ინსპექტორები უწევდა მეთვალყურეობას[417].

სასულიერო პირთა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა მომზადების საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებდა არდონის სასულიერო სასწავლებელი (გაიხსნა 1887 წლის 11 ოქტომბერს), რომლის „დებულების“ მიხედვით, აღნიშნული სკოლის ძირითად ამოცანას შეადგენდა „ოსეთის მრევლისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის მღვდლებისა და მასწავლებელთა მომზადება“[418].

არდონის სასულიერო სასწავლებელი სამ კლასიანი იყო—თითოეული ორწლიანი კურსით[419]. მოსწავლეთა რაოდენობა თითოეულ კლასში განსაზღვრული იყო 40 კაცით. მისაღებთა ასაკი 14—16 წწ. შეადგენდა. პირველ კლასში მიიღებოდა საეკლესიო-სამრევლო სკოლის წარმატებით კურსდასრულებულნი.

1895 წელს არდონის სასულიერო სასწავლებელი სასულიერო სემინარიად გადაკეთდა, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ოსი ინტელიგენციის რიგების ზრდას. არდონის სას. სემინარიის ბევრმა კურსდამთავრებულმა მიიღო უმაღლესი პედაგოგიური, იურიდიული, ტექნიკური, აგრონომიული და სამედიცინო განათლება და სათავეში ჩაუდგა ერის სამეურნეო და კულტურული აღორძინებისა-

---

[417] Газ. „Кавказ“, 1874 г., № 24, стр. 2. ფ. ნათიევის სტატიიდან.

[418] История Осетии (макет), часть первая, 1954 г., стр. 206.

[419] 1887 წლის 11 ოქტომბერს სოფ. არდონში მოხდა ახლად დაარსებული ოსების სასულიერო სამკლასიანი სასწავლებლის კურთხევის ცერემონია, რომელსაც (თავისი კრებულით) ყოვლად უსამღვდელოესი—ვლადიკავკაზის ეპისკოპოსი—იოსები ხელმძღვანელობდა. აღნიშნულ ცერემონიალს ესწრებოდნენ ოლქის უფროსი—სმეკალოვი, მაზრის უფროსი—გოლუბიევი და სხვ. სიტყვები წარმოსთქვეს ეპისკოპოსმა იოსებმა და ბლაღოჩინმა მიხეილ სუხიშვილმა. არდონელებს ბარისა და მთის ოსების თითოეულ სოფელზე მიწეეული ჰყავდათ ხუთ-ხუთი კაცი. სტუმრებმა მათ ბევრი საჩუქრები გადასცეს. ამ უკანასკნელებს ჰყავდათ სამხედრო მუსიკა (იხ. გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 229, გვ. 2).

თვის ბრძოლის საპატიო საქმეს. ცნობილია, მაგალითად, რომ 1899 წელს ოსეთის გარეთ უმაღლეს სასწავლებლებში 17 ოსი სწავლობდა, ხოლო საშუალო სკოლებში კი —47 ახალგაზრდა იღებდა "შესაფერ განათლებას. ყოველივე ეს გარკვეულ როლს ასრულებდა ოსი ხალხის კულტურული დაწინაურების საქმეში.

1905—1906 სასწ. წლის დასაწყისში არდონის სასულიერო სემინარიაში 175 მოსწავლე ირიცხებოდა, ხოლო წლის ბოლოს — 166. სხვადასხვა მიზეზით სკოლიდან გავიდა — 5 მოსწავლე, ცუდი ყოფაქცევის გამო —4. პირველი თანრიგზე — კურსი დაამთავრა — 14 მოწაფემ, მეორეზე კი —11-მა (სულ 25 მოსწავლემ). ყოფაქცევაში 125 მოსწავლეს ეწერა შეფასება—„5", ხოლო 41-ს—„4". ეს სწავლების უვარგის სისტემაზე და ჟანდარმულ რეჟიმზე მიგვითითებს, რაც მაშინდელს სკოლებში იყო გამეფებული. სემინარიის მოსწავლეები გადატვირთულნი იყვნენ (განსაკუთრებით III კლასი) ისეთი საგნებით, როგორიცაა: კატეხიზმი, ლიტურღია, სიტყვიერების თეორია, რუსეთის გეოგრაფია და სხვა, მაშინ, როდესაც ოსური ენა და ისტორია-გეოგრაფია აღნიშნულ სასწავლებელში სრულებითაც არ ისწავლებოდა[120].

არდონის სასულიერო სემინარიის დაარსებამდე ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების ინიციატივით და მის ხარჯზე ოსთა შვილები კავკასიის სხვადასხვა სასწავლებლებში იღებდნენ სასულიერო-პედაგოგიურ განათლებას.

1862 და 1863 წწ. „საზოგადოების" ყველა პანსიონატებში 131 მთიელი ბავშვი სწავლობდა, მათ შორის:

1) თბილისის სასულიერო სემინარიაში	—26 მოსწ.
2) მოსკოვის სასულიერო სემინარიაში	—1
3) სტავროპოლის	—1
4) თბილისის სას. სასწავლებელში	—32
5) ვლადიკავკავის	—40
6) ალაგირის	—20
7) ქუთაისის	—11

მათ შორის, ტომობრივ-ეროვნული შემადგენლობის მიხედვით: ოსები —100 მოსწავლე, წოვა-თუშები —4, ინგილოები —3, სვანები —7, ლეკები —2, უდინები —4, აისორები —8 და აფხაზე-

---

[120] Отчет деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906 – 1907 гг.; 1909 г., стр. 82—84.

ბი—3[421]. როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ კონტინგენტში პახსიონატებში ყველაზე მეტი ადგილი ოსებს ეჭირა, რაც მთის ამ ხალხში ქრისტიანობის გავრცელებით და სხვა მისიონერული მიზნებით იყო გათვალისწინებული.

1880 წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლებში იყო:[422]

1) მასწავლებელი — სპეციალისტი (კაცი) .21;

2) მასწავლებელი — სამასწავლებლო სემინარიის კურსდაუმთავრებელი 21;

3) მასწავლებელი (ქალი), რომელმაც ვლადიკავკაზის ოსური ქალთა სკოლის კურსი დაასრულა. 4;

4) ქალები, რომელთაც მასწავლებლის წოდება არ ჰქონდათ 11;

„საზოგადოება“ მაღალ შეფასებას აძლევდა არდონის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულთა გამოშვებას, რომელიც, მათი გამოთქმით, „თავიანთი სამაგალითო მოღვაწეობით“. მათი თავდადებული შრომით და ცოდნით ენერგიულად ემსახურებიან მშობლიურ კუთხის წინსვლა-განვითარების საქმეს[423]. ამასთან ერთად, საეკლესიო საქმის ხელმძღვანელობა საყვედურს გამოთქვამდა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულთა მიმართ იმის გამო, რომ: ა) ისინი „საზოგადოებისაგან“ ჩვეულებრივზე მეტ ხელფასს მოითხოვდნენ; ბ) 1—1½ წლის მუშაობის შემდეგ „საზოგადოებას“ სთხოვდნენ სოფლიდან ქალაქში სამუშაოდ გადაყვანას; გ) ხშირად იმუქრებოდნენ საამსახურის მიტოვებით; 4) უძნელდებოდათ „განუვითარებელ სოფლის ხალხში“ მუშაობა და ა. შ.[424]

„საზოგადოების“ ხელმძღვანელთა შეხედულებით, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია კადრებს არა სოფლებისათვის,

---

[421] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1862 и 1863 гг. Тифлис, 1865 г, стр. 16—18.

[422] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 год, Тифлис, 1884 г., стр. 70—71.

[423] იქვე, გვ. 72.

[424] ამის მაგალითად „საზოგადოების“ ხელმძღვანელობა ასახელებდა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულებს—ჩერნოვსკის, მინდელს, ჩაგუნოვს და ნიკარაძეს, რომლებიც ანალოგიურ მოთხოვნებს უყენებდა საეკლესიო ხელმძღვანელობას. იხ. „Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 год“, Тифлис, 1884 г., стр. 72.

არამედ უმთავრესად ქალაქებისათვის ამზადებდა[425]. ჯერ კიდევ 1870 წელს „საზოგადოების“ უწყების სკოლებში მუშაობდა საძასწავლებლო სკოლის კურსდამთავრებული 33 მასწავლებელი, რომელთა დიდი უმრავლესობა მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი მდგომარეობის მხრივ მეტად აუტანელ პირობებში ცხოვრობდა. მასწავლებელთათვის შეუფერებელი საცხოვრებელი ბინები, უკიდურესად ცუდი საყოფაცხოვრებო მდგომარეობა „საზოგადოებას“ ხელს უშლიდა მთის აულებში გამოეყენებინა ყოველივე ის, რასაც საძასწავლებლო სკოლა ასწავლიდა[426].

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ 1880 წლის „ანგარიშის“ მიხედვით დასტურდება, რომ აღნიშნული უწყების მასწავლებლები მძიმე ეკონომიურ პირობებში ცხოვრობდნენ. მასწავლებელთა შემადგენლობიდან (57 კაცი) ყოველწლიურად ხელფასის სახით იღებდა:

1) 14 მასწავლებელი (კაცი და ქალი) —200 მანეთამდე;
2) 6 მასწავლებელი და მასწ. თანაშემწე —200—300
3) 27 მასწავლებელი —300—400 „
4) 10 — 400 მან. ცოტა მეტს.

---

[425] 1880-იან წლებში არდონის სასულიერო სასწავლებლის დაარსების სამი წლის თავზე (1887, 1888 და 1889 წწ.) წარდგენილ „ანგარიშში“ ნათქვამი იყო საყვედურები („კავკასიაში მართლმ. ქრისტ. აღმ. საზოგადოების“ მიმართ), თითქოს ოსეთში მიცვალებულთა პატივსაცემი აღაპები, ქელეხები, მცირეწლოვან (4—5 წლის) ქალ-ვაჟთა დანიშვნის „წესი“ და სხვა ადათ-ჩვეულებანი იმის შედეგს წარმოადგენდა, რომ წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა, ხოლო ქართული ენის არმცოდნე ხალხი მოლების გავლენის ქვეშ ადვილად ექცეოდა. ამასთან, გამოთქმული იყო არასწორი მოსაზრება, თითქოს ქართველ მღვდლებს არ შეეძლოთ რუსული საეკლესიო წიგნების კითხვა, რაც ახსნილი იყო თბილისის სასულიერო სემინარიის მიერ შეუფერებელი კადრების გამოშვებით. ამგვარ შეხედულებათა ავტორების მოსაზრებით, მისიონერებად ოსეთში არდონის სას. სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უნდა იგზავნებოდეს, რადგანაც სემინარიელებს (თუ გინდ ოსებიც იყოს) ისინი აჯობებენ.

ამგვარ შეხედულებათა წინააღმდეგ 1891 წელს საეკლესიო ჟურნალი „მწყემსი“ (№ 7) წერდა: „ოსეთში თბილისის სასულიერო სემინარიაში კურსდამთავრებულნი ოსებთაგანები მრავალნი არიან. ქართველ მღვდლებმაც იციან ოსური; მაშასადამე, მ. იოანესაგან მოყვანილი მიზეზები და ბრალი ახლანდელ მისიონერებზე საფუძვლიანი არ არის. საქართველოს ხამღვდელოების ღვაწლი მიხიონერობის ასპარეზზე ოსეთში ახე დამდაბლებული არ არის. რა შუაშია ქართველი მღვდლები, ოსებმა რომ თავიანთი ძველი მამაპაპური ჩვეულებისამებრ ქელეხები არ მოიშალონ და ტირილზე პირი დაიფხაჭნონ და ეკლესიაში ნიადაგ ერთგულად არ იარონ“.

(იხ. ჟურნ. „მწყემსი“, 1891 წ., № 7, გვ. 5—6).

[426] Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860—1910 гг., Тифлис, 1910 г., стр. 190.

საშუალო წლიური ხელფასი მასწავლებლისა ამ პერიოდში 352 მანეთს შეადგენდა. მათ შორის: მასწავლებელი ქალისა — 117 მანეთს, ხოლო სამღვთო სკოლის მასწავლებლისა — 100 მანეთს. ამრიგად, ნათელია, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა (რომელნიც თავიანთ სახლკარს მოშორებულნი მორეულ მთის აულებში მუშაობდა) აუტანელ პირობებში ცხოვრობდა[127].

მომზადებული მღვდლებისა და მასწავლებლების სიმცირის მხრივ მდგომარეობის გამოსასწორებლად (როგორც ზემოთ გექონდა ნათქვამი) 1887 წელს გახსნილ იქნა ოსეთის (ალექსანდროვის) სასულიერო სასწავლებელი (6 წლიანი კურსით), რომელიც თავისი პროგრამული მოცულობით უფრო ფართო იყო, ვიდრე საძაზრო სასულიერო სასწავლებელი[128]. 1895 წელს, როგორც ცნობილია, აღნიშნული სასწავლებელი მისიონერულ სასულიერო სემინარიად გადაკეთდა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა: ა) კატეხიზმის, ბ) წმინდანების ისტორიის, გ) ძველი და ახალი აღქმის, დ) ლიტურგიის, ე) რუსული და სლავიანური ენების, ვ) სიტყვიერებისა და რუსული ლიტერატურის ისტორიის, ზ) არითმეტიკის, გეოგრაფიის, თ) საეკლესიო გალობისა და ი) სუფთა წერის სწავლებას[129].

1909 წელს თერგის ოლქის უფროსი „მასწავლებელთა ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად" მოითხოვდა ოლქში სპეციალური სამასწავლებლო სემინარიის გახსნას. ამგვარ მოთხოვნას ოლქის უფროსი ასაბუთებდა იმით, რომ 1) მუსულმანები არ ენდობოდნენ რუსულ სკოლებს, რადგანაც მათ „გაქრისტიანების" ეშინოდათ; 2) მთიელთა უმრავლესობა აქამდე არ იყო სათანადოდ დარწმუნებული სასკოლო განათლების სარგებლობაში, რადგანაც ასეთი სარგებლობა მათ თვალსაჩინოდ არ უგრძნიათ; 3) მთიელთა სკოლების უმრავლესობაში „მოღვაწეობდნენ" ადგილობრივი ენის სრულიად უცოდინარი მასწავლებლები, რომელთაც არ შეეძლოთ ცოდნის მიწოდების საქმეში ხალხისათვის ეფექტური დახმარების გაწევა. ასეთი მოტივების საფუძველზე მოთხოვნილ

---

[127] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 год, Тифлис, 1884 г., стр. 72—75.
[128] იქვე, გვ. 190.
[129] იქვე, გვ. 190—191.

იქნა ოლქში სპეციალური სამასწავლებლო სემინარიის გახსნა „მასწავლებელ ტუზემცების“ მოსამზადებლად[430].

მიუხედავად ამგვარად „დასაბუთებული“ მოთხოვნისა, 1909 წელს მისიონერული სემინარია ჩვეულებრივი ტიპის სასულიერო სემინარიად გადაკეთდა, რომელსაც მთლიანად ვლადიკავკავის ეპისკოპოსი განაგებდა. „უწმინდესი სინოდის“ დადგენილებით „საზოგადოება“ ამ სემინარიის შენახვაზე ყოველწლიურად 11.125 მანეთს ხარჯავდა[431].

კავკასიის სამასწავლებლო სკოლა, სასულიერო სემინარიები და სასწავლებლები ოსეთის ეკლესიებისა და სკოლებისათვის მღვდლებისა და მასწავლებლების საკმაო რაოდენობას ამზადებდა. ასე მაგალითად: სამღვთო სჯულის 62 მასწავლებლიდან (1906 წელს) დამთავრებული ჰქონდა[432]:

1. მისიონერული კურსები ყაზანის სასულიერო აკადემიასთან	1 კაცს;
2. სასულიერო სემინარიის კურსი	20
3. სამასწავლებლო სემინარია	2
4. რეალური სასწავლებელი	1
5. სასულიერო სასწავლებელი	11
6. საქალაქო სასწავლებელი	3
7. 2 კლასიანი სამინისტრო სკოლა	1
8. განათლების სამინისტროს ნორმ. სასწ.	2
9. საფერშლო სკოლა	1 „
სულ	42 კაცს;

სასწავლებლებიდან გავიდნენ:

1. სასულიერო სემინარიიდან	12 კაცი;
2. სამასწავლებლო ინსტიტუტიდან	2
3. სამასწავლებლო სემინარიიდან	3
4. სასულიერო სასწავლებლიდან	1
5. რეალური სასწავლებლიდან	1
6. სამინისტრო სკოლებიდან	1
სულ	20 მასწ.

[430] Материалы по истории осетинского народа, т. V, сборник документов по истории народного образования в Осетии, Госиздат, СОНИИ, 1942 г., стр. 283—284.

[431] Отчет состоящего под августейшим покровительством ея императорского величества государыни императрицы Марии Феодоровны Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907 гг, Тифлис, 1909 г., стр. 45.

[432] იქვე, გვ. 191.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლებს 1906—1907 წწ. ემსახურებოდა 98 მასწავლებელი, რომელთა შორის დამთავრებული ჰქონდა:

1.	სასულიერო სემინარია	20 კაცს;
2.	სამასწავლებლო ინსტიტუტი	1
3.	სამასწავლებლო სემინარია	6
4.	სასულიერო სასწავლებელი	17
5.	საქალაქო სასწავლებელი	15
6.	სახელოსნო სასწავლებელი	1
7.	ორკლასიანი ვაჟთა სკოლა	2
8.	ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი	1
9.	ქალთა ინსტიტუტი	1
10.	ქალთა გიმნაზია	3
11.	თბილისის წმ. ნინოს ქალთა გიმნაზია	2
12.	ეპარქიალური სასწავლებელი	2
13.	ვლადიკავკავის ქალთა „პრიუტი“	5
14.	ქალთა ორკლასიანი სკოლა	3 „

სასწავლებლებიდან სხვადასხვა მიზეზით გასულები იყვნენ:

1.	სასულიერო სემინარიიდან	10 კაცი;
2.	ქალთა გიმნაზიიდან	1
3.	ეპარქიალური სასწავლებლიდან	2
4.	საოჯახო განათლებით (ქალები)	2
5.	მასწავლებლის წოდებით	1 „

აღნიშნული უწყების მასწავლებელთა წლიური ხელფასი შეადგენდა: მინიმუმი—240 მანეთს, ხოლო მაქსიმუმი—500 მანეთს, რაც მასწავლებელთა ელემენტარულ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა.

სამხრეთ ოსეთის ეკლესიებისა და სკოლებისათვის საჭირო კადრებს (გარდა თბილისისა და არდონის სასულიერო სემინარიებისა) ამზადებდა აგრეთვე ნავთლუღის სამასწავლებლო სკოლა (დაარსებული 1866 წ.), რომელიც ხუთიოდე წლის შემდეგ (1871 წ.) სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა.

XVIII—XIX საუკუნეებში სემინარიებში ჩაბმულ ოს მოსწავლეთა რიცხვი გამრავლდა. XVIII საუკუნის ნახევარში მოზდოკში ცხოვრობდა მოსკოვის აკადემიის კურსდამთავრებული, ოსეთის საქრისტიანო კომისიის წევრი მღვდელი — ბაზალაძე, რომელმაც მოსკოვის აკადემიასა და სასულიერო სემინარიაში მოს-

წავლედ რამდენიმე ოსი მოაწყო[433]. 1818 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიის გარდა, ოსები სწავლობდნენ აგრეთვე გორის სასულიერო სასწავლებელში, ასევე „...თბილისის სემინარიაში მრავლად სწავლობდნენ ყოველთვის ოსთა ძენი და ზოგნი მათგან აკადემიაშიც მიდიოდნენ სასწავლებლად"[434].

ამგვარ ნასწავლ ოსთა შორის ზ. ჭიჭინაძეს დასახელებული ჰყავს ქრისტეფორე ჯიოშვილი, „კარგად განათლებული და მასთანვე... მასწავლებელი და მოძღვარი თბილისის I კლასიკური გიმნაზიისა"[435].

ზემოაღნიშნულ სემინარიებსა და ინსტიტუტებში აღზრდილი ოსი პედაგოგები ასწავლიდნენ როგორც ჩრდ. ოსეთის სკოლებში, ისე ჯავის, ყორნისისა და სამხრეთ ოსთა ზოგიერთ სხვა სკოლებშიაც, მაგრამ ეს ღონისძიება არასაკმარისი აღმოჩნდა.

ამიტომ „კავკასიაში მართლმ. ქრისტ. აღმ. საზოგადოებამ" ჯერ კიდევ 1866 წელს განიხილა როგორც ჩრ. კავკასიის, ისე სამხრეთ ოსთა საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის მღვდლებისა და მასწავლებლების მოსამზადებელი სკოლის გახსნის საკითხი, მაგრამ ეს პრობლემა მაინც გადაუწყვეტელი დარჩა[436].

1909 წელს კვლავ წამოიჭრა სამხრეთ ოსეთის სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად პედაგოგიური სასწავლებლის დაარსების საკითხი, მაგრამ იგი ისევ უშედეგოდ დამთავრდა[437].

1913 წელს საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურის მიერ საეკლესიო მმართველობის წინაშე აღძრულ იქნა შუამდგომლობა სამხრეთ ოსეთში საეკლესიო სამასწავლებლო სკოლის დაარსების შესახებ[438], მაგრამ ეს არარეალური ნაბიჯიც მარცხით დამთავრდა.

სამხრეთ ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სავარაუდო ცნობებით მუშაობდა[439]:

---

433 ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ოსეთის ისტორია, გვ. 227.

434 ოსეთის ისტორია, ქართულის ისტორიულის წყაროებით, სურათებით აღწერილი და გამოცემული ზ ჭიჭინაძის მიერ 1913 წ., თბილისი, გვ. 228.

435 ი ქ ვ ე.

436 საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 520, ფურც. 13—65.

437 ი ქ ვ ე, ფონდი 141, საქმე № 1355, ფურც. 63 - 64.

438 ი ქ ვ ე, ფონდი 141, საქმე № 1572, ფურც. 1—4.

439 ი ქ ვ ე, ფონდი 141, საქმე № 604, ფურც. 13 17, საქმე № 1123, ფურც. 41, საქმე № 1181, ფურც. 19—20, საქმე № 531, ფურც. 27, საქმე № 882, ფურც. 17, საქმე № 1590, ფურც. 3—4, საქმე № 1572, ფურც. 1—4.

1864—1865 წწ.	1	კაცი (თომა ჩოჩიშვილი);
1866—1867	2	
1873—1881	4	
1882—1886	7	
1904—1905	12	
1908—1913	14	„

ამათში (1913 წ.) ოსი ეროვნებისა იყო 11 მასწავლებელი[440].

1913—1917 წწ. სამხრეთ ოსეთის საეკლესიო-საძრევლო სკოლებში მომუშავე 48 მასწავლებლის კვალიფიკაციას გვიჩვენებს იმ სასწავლებელთა ჩამოთვლა, სადაც ისინი იღებდნენ ცოდნას[441]:

1.	თვითნასწავლი	1 მასწავლებელი;
2.	თბილისის სას. სემინარიიდან	8 „
	(კურსდამთ. და კურსდაუმთავრებელი);	
3.	ნავთლუღის სამასწ. სკოლიდან	1
4.	ქუთაისის სას. სასწ-დან	1
5.	თბილისის ეპარქ. სასწ.	7
6.	გორის სას. სასწავ-დან	4
7.	გორის საქალაქო სკოლიდან	3
8.	არდონის სას. სასწავ-დან	.2
9.	არდონის სას. სემინარიიდან	11
10.	ხონის სამასწ. სემინარიიდან	1
11.	ელიზავეტოპოლის საქალაქო სასწ-დან	1
12.	ალექსანდროვის სამასწ. ინსტ-დან	1
13.	ტირძნისის ორკლასიანი სკოლიდან	1
14.	ამიერკავკ. გორის სამასწ. სემინარიიდან	1
15.	ორლოვის სას. სემინარიიდან	1
16.	ახალციხის საქალაქო სასწავ-დან	1
17.	თბილისის მესამე გიმნაზიიდან	1
18.	პროგიმნაზიიდან	1
19.	რეალური სასწავლებლიდან	1 „

ზემოჩამოთვლილი სასწავლებლების უმრავლესობა საეკლესიო უწყებაში შედიოდა და ცხადია, მისგან გამოსული კადრებიც, უმთავრესად, სკოლების საშუალებით მოზარდი თაობის რელიგი-

---

[440] იქვე. ფონდი 141, საქმე № 137, ფურც. 20; საქმე № 182, ფ.ურც. 4, საქმე № 506, ფურც. 3—5; საქმე № 681, ფურც. 49. 50, 51; საქმე № 804; ფურც. 171; საქმე № 1590, ფურც. 3—4.

[441] П. И. Гадиев, История развития народного образования в Юго Осетии до установления со петской власти (ხელნაწერი), .стр. 74.

ურ აღზრდას ანხორციელებდნენ. თუ არ მივიღებთ მხედველობაში სასულიერო სემინარიებს, რომლებიც თავიანთი მიზანდასახულების მიხედვით ეკლესიის მუშაკებს ამზადებდა, დასახელებული 48 მასწავლებლიდან პედაგოგიური განათლებით იყო მხოლოდ ოთხი კაცი, რომელთაც სამასწავლებლო სკოლა ან ინსტიტუტები ჰქონდათ დამთავრებული.

მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არც სამინისტრო სკოლებს ჰქონდა.

1913 წელს სამხრეთ ოსეთის 20 სამინისტრო სკოლაში სულ 25 მასწავლებელი მუშაობდა. 1916 წელს ჯავის უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის ჩათვლით სამინისტრო სკოლების მასწავლებელთა რაოდენობა 32 კაცს შეადგენდა, რომელთაგან დამთავრებული ჰქონდათ:

1.	თბილისის სასულიერო სემინარია	4 მასწავლებელს;
2.	არდონის სასულიერო სემინარია	1
3.	ამიერკავკასიის (გორის) სამასწ. სემინარია	1
4.	სამასწავლებლო სემინარია	7
5.	თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი	1
6.	სასულიერო სემინარიის V კლასი	1
7.	ბოდბის ქალთა სამასწ. სკოლა	1
8.	დაწყ. სკოლის მასწავლებლის წოდება	3
9.	ეპარქიალური სასწავლებელი	2
10.	საქალაქო სასწავლებელი	3
11.	სასულიერო სასწავლებელი	1
12.	ქალთა გიმნაზია	4
13.	ქალთა პროგიმნაზია	1
14.	წმ. ნინოს ქალთა გიმნაზია	1
15.	ჯავის საეკლ.-სამრევლო სკოლა	1

აღნიშნულ მასწავლებელთა შორის იყო ოსი—10 კაცი[442]. აქრიგად, სამხრეთ ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებსა და განათლების სამინისტროს უწყების ერთკლასიან და ორკლასიან სასწავლებლებში 1913—1917 წწ. სულ ითვლებოდა 80-მდე მასწავლებელი (მათ შორის 21 ოსი), რომელშიაც პედაგოგიური განათლება მხოლოდ 15 კაცს ჰქონდა მიღებული.

---

[442] П. Галиев. История развития народного образования в Юго Осетии, стр. 76—77 (ხელთნაწერი). შდრ. საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 109, საქმე № 378, ფურც 201-212; იქვე, ფონდი 109, საქმე № 416, ფურც. 99. იხ Отчет попеч. Кавк уч. округа за 1885. г. стр 227 за 1887 г. стр 202, за 1894 г., стр. 332.

სამხრეთ ოსეთის სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა ძირითადი შემადგენლობა საქართველოს სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიების, სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სხვა სკოლების მიერ იყო გამოშვებული. ოსი ბავშვები თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიებს გარდა უმთავრესად სწავლობდნენ: თბილისისა და გორის სასულიერო სასწავლებელში, თბილისის ქალთა ეპარქიალურ სკოლაში, თბილისის საფერშლო სკოლაში, გორის რეალურ სასწავლებელში, ბოდბის ქალთა სამასწავლებლო სკოლაში, თბილისის რკინიგზის სასწავლებელში, გორის სამასწავლებლო სემინარიაში, დუშეთის სახელოსნო სასწავლებელში და სხვა სკოლებში. მასწავლებელთა უმრავლესობა შედარებით შეძლებულ და პრივილეგიურ ფენებიდან იყო გამოსული, თუმცა, ცნობილია ისიც, რომ სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიებსა და ინსტიტუტებში წესდების მიხედვით გლეხთა შვილებსაც იღებდნენ. გარდა ამისა, ქართულ და რუსულ წერა-კითხვასა და საეკლესიო მსახურების წესებს ოსი ბავშვები სწავლობდნენ საქართველოს საეგზარხოსო სახლში, სადაც მათ იღებდნენ მშობლისა და მამასახლისის ნებართვით. ეგზარხის სახლში აღსაზრდელად მიღებულ ბავშვებს ყოველთვიური ხარჯებისათვის ეძლეოდათ (თითოეულს) 5 მანეთი ოსეთის იმ თანხებიდან, რომელიც დანიშნული იყო „მოფერებისა და საჩუქრებისათვის და თბილისში ოსების მიღებისათვის“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეგზარხის სახლში სწავლამიღებულებს ნიშნავდნენ არა მარტო ოსეთის ეკლესიების დიაკვნებად, არამედ ზოგჯერ სამღვთო სჯულის მასწავლებლადაც.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მეფის თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის გაძლიერებამ რუსეთის განაპირა მხარეებში (მათ შორის—კავკასიაში) გამოიწვია ნაციონალურ უმცირესობათა ადგილობრივი ინტელიგენციის

---

[442] ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენდა გროზნოს სკოლის ჩეჩენი მასწავლებლის თანაშემწე—ელდარხანოვი, რომელსაც თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსი ჰქონდა დამთავრებული და დროებით მასწავლებლის მოვალეობას ასრულებდა. ჩეჩენის განცხადებას მისი ნამდვილი მასწავლებლის შტატში აყვანის შესახებ განათლების სამინისტროს უარით უპასუხა, იმ მოტივით, რომ ის მუსულმანი იყო. 10 წლის შემდეგ სენატს გადაწყვეტილებით ელდარხანოვმა მიიღო მასწავლებლის თანამდებობა, რასაც შედეგად მოჰყვა მასწავლებლის დროებით აღმასრულებლად მის გამწესებელ ხელმძღვანელ პირებზე (სახ. სკოლების დირექტორზე) სასჯელის დადება (იხ. Известия Северо Кавказского педагогического института им. М. Ю. Гадиева, том XIII, стр. 252).

როგორც ეკონომიური შევიწროება, ისე უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებაც. მასწავლებლებად და მათ თანაშემწეებად შეიძლებოდა გაგზავნილიყო „პედაგოგიურად მომზადებული და ზნეობრივად მისაღები“ ადამიანები (განსაკუთრებით ოსეთები), რომელთაც შეეძლოთ ოსეთში ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილების პოლიტიკის განხორციელება.

მასწავლებლის თანაშემწეები მოსამზადებელ კლასებში (ახლად მიღებულ ბავშვებთან) მეცადინეობის დროს (სასწავლო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში) მთარგმნელთა როლს ასრულებდნენ. ასეთ პირებს მთიელებიდან არჩევდნენ. მათი უფლებები შეზღუდული იყო. მათ არ ჰქონდათ მთიელთა სკოლაში ნამდვილ მასწავლებლებად მუშაობის უფლება.[444]

1864 წლიდან „საზოგადოებასთან“ არსებობდა ინსპექტორთა შტატი (2 კაცი), რომელიც მასწავლებელთა მუშაობისა და საერთოდ, სკოლების საქმიანობაზე კონტროლს ანხორციელებდა. 1867 წლიდან „საზოგადოების“ სკოლები ალექსანდროვსკის „სადირექციოს“ კონტროლქვეშ გადავიდა. ამ უკანასკნელს ევალებოდა სკოლების რევიზია. სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის შემოწმებას აწარმოებდა სამასწავლებლო სკოლის დირექტორი და ორი ინსპექტორ-მასწავლებელი. რევიზიის დროს ინსპექტორ-რევიზორი აწარმოებდა მოსწავლეთა ცოდნის უშუალო შემოწმებას — გამოკითხვას, აკვირდებოდა და სწავლობდა მასწავლებელთა მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს, ასწრებდა ერთი სკოლის რამდენიმე (1—2) მასწავლებელს მეზობელი (სხვა) სკოლის მასწავლებელთა მუშაობას, ამოწმებდა იმას, თუ რა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს კითხულობდნენ მასწავლებლები. ყოველი სკოლის შემოწმებას ხმარდებოდა არანაკლებ ორი დღისა. მაგალითად, ცნობილია, რომ ინსპექტორებს (საეკლესიო უწყების ხაზით) 1860 წ. 37 სკოლის შემოწმებისათვის გამოუყენებია 94 დღე. სკოლიდან სკოლაში გადასვლისას ინსპექტორს აცილებდა 1—2 მასწავლებელი, რომელიც ეცნობოდა რა მეზობელი სკოლების მუშაობას, რასაც კარგს (მოსაწონს) ნახავდა, გამოცდილება თავის სკოლაში გადაჰქონდა. ასეთ შემთხვევაში შემოღებული იყო საცდელი გაკვეთილების ჩატარება, სადაც ხდებოდა მასწავლებელთა შორის

---

[444] Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860—1910 гг., Тифлис, 1910 г., стр. 193—198.

პედაგოგიური გამოცდილების (საუკეთესო ხერხებისა და მეთოდების) ურთიერთგაზიარება[445].

„აქ ცოცხალი საქმე კეთდებოდა... ამ გაკვეთილების ირგვლივ ჩაღდებოდა სახალხო დავა და მათ ღირსებასა და ნაკლოვანებებზე, ამა თუ იმ დეტალისა და გაკვეთილის ჩატარების მეთოდების შესახებ"[446].

მახლობელი სკოლების მასწავლებელთა ურთიერთგაკვეთილებზე დასწრება საეკლესიო-სამრევლო სკოლებში რეკომენდირებული იყო და ნაწილობრივ პრაქტიკაშიაც ხორციელდებოდა, რათა ამით გაეძლიერებინათ საზოგადოებრივობის წინაშე მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გრძნობა და გაეზიარებინათ ურთიერთ სასარგებლო ცოდნა-გამოცდილებანი. ოსეთის მახლობელი სკოლების მასწავლებლები თავიანთ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებდნენ აგრეთვე მახლობელი სკოლების მასწავლებელთა თათბირებზე, ხოლო უფრო ფართო მასშტაბით — მასწავლებელთა საოლქო ყრილობებსა და კონფერენციებზე. მასწავლებელი ეალდებული იყო ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექციისათვის წარედგინა პედაგოგიური და ეთნოგრაფიული ხასიათის თხზულება. ამ თხზულებების მიხედვით ირკვეოდა: ა) მასწავლებლის შთაბეჭდილებანი მოსწავლეებისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ; ბ) რამდენად იზრდება, რას კითხულობს და როგორ ძიდის წინ მასწავლებელი. მასწავლებლებს თავიანთ თხზულებებში წლის ბოლოს პასუხი უნდა გაეცა კითხვებზე: „რა შეგიძლიათ თქვათ ოსი ქალისა და ვაჟის ფიზიკური და ზნეობრივი განვითარების შესახებ?" შემდეგ კითხვები ეხებოდა ოსების ხასიათს, მათ ენას, დამწერლობას, ქველმოქმედებასა და სიღარიბეს, მაძაკაცების, ქალებისა და ბავშვების ცხოვრების მაგალითებისა და საინტერესო სახეების გაშუქებას, მატერიალური და ჰიგიენური მდგომარეობის აღწერას და ა. შ.[447].

ყოველივე ეს — მდიდარ ფაქტიურ მასალას იძლეოდა ოსების კულტურული მდგომარეობის შესასწავლად და მასწავლებელთა ურთიერთგამოცდილების გაზიარებისათვის, რათა ამ ნიადაგზე შესაძლებელი გამხდარიყო მისი გამოყენება ოსეთში სწავლა-

---

[445] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 г., Тифлис, 1884 г., стр. 69.

[446] С. В. Фарфаровский, Народное образование у осетин. იხ. „Журнал Министерства народного просвещения" 1917 г., № 1, стр. 96-97.

[447] იქვე, გვ. 97.

განათლების საქმის პროგრესულად განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარების ზემოაღნიშნული ფორმები ზოგიერთ სასარგებლო და დადებით ელემენტებს შეიცავდა, იგი, არსებულ პირობებში პრიმიტიულ ჩარჩოებს არ გასცილებია[448].

1885 წლიდან ჩრდ. კავკასიის სკოლებში რეაქცია ძძვინვარებდა. სწავლების პროცესი კიდევ უფრო მეტად გაუღენთილ იქნა რელიგიური სულით. გაძლიერდა ადგილობრივი ენის შევიწროება, მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის ზომების ძაქსიმალურად გამოყენება, ზნეობრივი ინკვიზიცია და მასწავლებელთა ჩაგვრადაბეჩავება. 1885 წლის აგვისტოს, კავკასიის სასწავლო ოლქის „სამზრუნველომ" თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორს „საიდუმლო წერილი" გაუგზავნა მასწავლებელთა ყრილობების აკრძალვის შესახებ. აღნიშნული „წერილით" განათლების სამინისტრომ (შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითების საფუძველზე) შესცვალა 1881 წლის 21 ივნისის განკარგულება (№ 9280), რომლითაც სახალხო სკოლათა დირექტორებს პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებელთა ყრილობების მოწვევის ნება ეძლეოდათ. მასწავლებელთა ყრილობებისა და თათბირების მოწვევის აკრძალვას განათლების სამინისტრო მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში მასწავლებელთა მონაწილეობის შემთხვევების თავიდან აცილების მოტივით „ასაბუთებდა".

დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა ყრილობების გახსნა,— ცირკულიარის მიხედვით,— სრულიად არასასურველ მოქმედებას წარმოადგენდა[449]. სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნდა მასწავლებელთა კურსების გახსნა მხოლოდ იმ პირობით, თუ მსმენელთა

---

[448] მოწინავე მასწავლებელთა შორის XIX საუკუნის 80-იან წლებში „საზოგადოების" ანგარიშების მიხედვით დასახელებულნი არიან 1) ილია კანუკოვი (დარგომსკის სკოლა), ტოლმაჩოვი (ალაგირის სკოლა), ღარიბოვი, დიგუროვი (ოლღის სახ ქალთა სკოლა), გარ უევი ეოლნოხრისტიანოვსკოეს სკოლა), სერგეევი (მიზურის სკოლა), ვანეევი (საკონის სკოლა) კოვალევსკაია და ლოლაძე (ალაგირის სკოლა). სმირნოვა (ვლადიკავკაკის ოსური ქალთა სკოლა) და სხვები. ჩვენთვის ძნელია იმ ნიხნების დადგენა, რომლითაც მასწავლებელთა მთელი შემადგენლობიდან „მოწინავეთა" გამოყოფა ხდებოდა (იხ. Отчет общеста восстановления православного христианства на Кавказе за 1880 год, Тифлис, 1884 г., стр. 75).

[449] Материалы по истории осетинского народа, т. V, сборник документов по истории народного образования в Осетии, Госиздат С/Ос. АССР, Орджоникидзе, 1942 г., стр. 264.

სია, კურსების ადგილი, მეცადინეობის დრო და სხვა — წინასწარ, ზუსტად იქნებოდა შეტყობინებული, როგორც შინაგან საქმეთა, ისე განათლების სამინისტროსათვის[450]. ამ პერიოდში მასწავლებელთა შორის დაიწყო მლიქვნელობა, კინკლაობა და ინტრიგები. ურთიერთგამოცდილების გაზიარების ადგილი დაიჭირა ურთიერთდასმენამ, წაქეზება და სტიმულირების ზომები—ინიციატივის ჩახშობამ, სამსახურიდან გადაყენებამ, დაშინებამ და შევიწროების სხვა ფორმებმა შესცვალეს[451].

ნამდვილი სახალხო მასწავლებლების ადგილი (ხშირს ''ეძთხვევაში) მღვდლებმა დაიჭირეს. საუკეთესო მასწავლებელთა მიმართ ინტრიგების მოწყობაში გამოირჩეოდნენ მღვდლები, რომლებიც პატიოსან მუშაკებს ასმენდნენ „ეკლესიაში გაძოუცხადებლობის", „სამორიგეო ადგილზე უყურადღებობის" და სხვა „დანაშაულისათვის". ამგვარი ინტრიგების „ნაყოფს" წარმოადგენდა მოწინავე მასწავლებლების დაჯარიმება, სასტიკი საყვედურები, სხვა სკოლაში გადაყვანა, გადადგომის შესახებ განკარგულებათა მიღება, გაკიცხვა, დაშინება, მუქარა და სხვა სასჯელები. დაბოლოს, მოსწავლეები ასმენდნენ მასწავლებლებს, რომ „...დიდი ''ძარხვის დროს მათი (მასწავლებელთა.—ტ. ს.) ფანჯრების ქვეშ ეგდო კვერცხის ღერჭო"[452]. ამრიგად, მასწავლებელთა დევნა-შევიწროება, სკოლის უანგარო მუშაკთა უფლებრივი, მატერიალური და მორალური ჩაგვრა ოსეთში პროლეტარული რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე გრძელდებოდა.

---

[450] იქვე. გვ. 264.

[451] საეკლესიო უწყების ხელმძღვანელობა ზოგჯერ მასწავლებელთა „გადაჯგუფების" ხერხს მიმართავდა. 1891 წელს ლეონიდმა ჯავაში მასწავლებლად დანიშნა ხონის სემინარიის ახლად კურსდამთავრებული—ჯიკაევი, ჯაველი მასწავლებელი გ ათაევი ვანათში გადაიყვანა. ხოლო ვანათისა სულ დაითხოვა. ედისში, როკასა და კოშ ში ლეონიდს კურსდა თავრებულთა დანიშნა სურდა (უუფლებოთა და კურსდამთავრებელთა მაგიერ), მაგრამ საბანადო კადრების სიმცირის გამო აღნიშნული გეგმა განუხორციელებელი დარჩა (იხ. გაზ. „ივერია", 1891 წ., № 227, გვ. 2 ·ბ).

[452] „Журнал Министерства народного просвещения", 1917 г., январь, стр. 99. იხ. ს. ვ. ფარფაროვსკის სტატია. „Народное образование у осетин".

თ ა ვ ი VI

გამოჩენილი ოსი მოღვაწეები სკოლისა და სახალხო განათლების შესახებ

XIX საუკუნის 50-იან წლებში ოსი ინტელიგენცია უმთავრესად საეკლესიო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთაგან შედგებოდა. გასული საუკუნის შუაწლებში საზოგადოებრივი ცხოვრების არენაზე სამოქალაქო ინტელიგენცია ჯერ კიდევ არ ჩანდა. სასულიერო ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ხალხის წრიდან იყო გამოსული და ხალხის კეთილდღეობისათვის (ოსური დამწერლობისა და კულტურის განვითარებისათვის) იბრძოდა, მაშინ, როდესაც სამხედრო წრის ინტელიგენცია ოსი ხალხის კულტურული აღორძინების საქმეებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენდა[453].

XIX საუკუნის 30—40 წლებამდე ოსეთზე გაცილებით ძლიერი იყო ქართული კულტურის გავლენა, ხოლო 40—50-იან წლებში გაიზარდა რუსეთის ხელმძღვანელი კლასების ზემოქმედება, რომელიც 60—70 წლებში რუსული დემოკრატიული კულტურისა და ქართული პროგრესული ინტელიგენციის თანდათანობით კეთილმოქმედი ზეგავლენით შეიცვალა. როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე ძალები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ოს ხალხს და მათ რევოლუციურ ძალებს მეფის თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საგლეხო რეფორმის პერიოდში ჩრდილო კავკასიის ოსეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი (პოლიტიკურად და ეკონომიურად) ადგილობრივ ფეოდალებზე („ალდარებსა“ და „ბადელიატებზე“) იყო დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ „რეფორმის“ შემდეგ ოსეთი თანდათანობით ჩაება რუსეთის ეკონომიური, პოლი-

---

[453] М. С. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв. 1950 г., стр. 10—11.

ტიკური და კულტურული განვითარების ფერხულში, იგი მაინც გაღატაკებულ, დაბეჩავებულ, უკულტურო და ჩამორჩენილ განაპირა კუთხეს წარმოადგენდა. რეფორმის პერიოდში კლასობრივი წინააღმდეგობანი ოსეთში მწვავდებოდა და იგი არა მარტო ანტიფეოდალურ, არამედ ანტიკოლონიალურ ხასიათს იღებდა. ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო ოსეთის კულტურა და საზოგადოებრივი აზროვნება მეტად ნელი ტემპით ვითარდებოდა. ოსეთის ინტელიგენცია ჯერ კიდევ არ იყო მზად აღზრდა-განათლების საკითხების რევოლუციურად გადაჭრისათვის.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ოსეთში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მწერლები, იურისტები, პედაგოგები, აგრონომები, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სხვა დარგის წარმომადგენლები, რომელთაც გარკვეული წვლილი შეჰქონდათ კავკასიის მთის ხალხთა კულტურულ განვითარებაში. მისიონერული სკოლებისა და ეკლესიების ქსელის გაშლა მეფის თვითმპყრობელობის ინტერესებიდან გამომდინარეობდა, რაც თავის მხრივ შესაფერი კადრების აღზრდას მოითხოვდა. ვლადიკავკაზის ოსური სასულიერო სასწავლებლებისა და სხვა ოსური სკოლების კურსდამთავრებულნი ხშირად სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და გიმნაზიებში იღებდნენ განათლებას. ასე, მაგალითად, ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებლის ყოფ. ინსპექტორმა — მღვდელმა კოლიევმა 1848 წელს ვლადიკავკაზის სამხედრო ოლქს უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნად 7 მოსწავლე წარუდგინა: ი. ეუკაევი—თბილისის სას. სემინარიაში, მ. კორაევი, დ. ჩეხოევი, ი. დოევა — ვორონეჟის სას. სემინარიაში, ხ. ანდიროვა, ტ. ბორგოევა—ეკატერინოსლავში, ვ. ცოროევი — მოსკოვის სას. აკადემიაში, რომელთა ერთი ნაწილი (ცოროევი და სხვ.) ოსეთში დაბრუნების შემდეგ განათლების ფრონტს ემსახურებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილო კავკასიის ოსეთში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ისეთი ცნობილი პირები, როგორიც იყვნენ ი. კანუკოვი, ხ. ურუიმაგოვი და სხვები.

იმავე საუკუნის 70-იან წლებში სწავლობდნენ — პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტში — ა. არდასენოვი, იბრ. შანაევი, დ. სოხიევი, ე. გაზდანოვი, პეტროვსკო-რაზუმოვსკის მოსკოვის აკადემიაში — ხ. ტუსკაევი, ოდესის უნივერსიტეტში — დ. შანაევი, ი. კანუკოვი, კიევის სასულიერო აკადემიაში — ა. გასიევი, ყაზანის სას. აკადემიაში — ვ. გატიევი და სხვები.

ოსი ინტელიგენციის ზოგიერთი სხვა წარმომადგენელი ამ პერიოდში გიმნაზიებში, მიწისმზომელთა სასწავლებლებში, სასულიერო სემინარიებში, სამხედრო სასწავლებელსა და სხვა ტიპის სკოლებში სწავლობდა. ბევრი მათგანი 70-იან წლების რევოლუციონერ-ხალხოსნურ მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას. ოსი სტუდენტებისა და მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ამავე პერიოდში ჩაბმული იყო ხალხოსნური ორგანიზაციების ფარულ მუშაობაში. ასეთი იყო იბრ. შანაევი, რომელიც „ნეჩაევის წრეში" მონაწილეობისათვის ორი წლით პეტრე-პავლოვსკის ციხეში იჯდა. ასეთივე ბედი ხვდა წილად ა. არდასენოვს, რომელიც მოწინავე რუს, ქართველ, სომეხ, ოს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად კავკავის რევოლუციურ-ხალხოსნური წრის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მოღვაწეთა ამ ჯგუფში შედიოდნენ ალ. არდასენოვი, ხ. ტუსკაევი, იბრ. შანაევი, გოჯიევი, ე. გაზდანოვი, აიდაროვი, დ. სოხიევი, მ. ზ. ყიფიანი, ნ. ო. ყაზბეგი, ნ. გ. კანანოვი, ბთაბეგოვი, პეტრე და სტეფანე პოპოვები, შასწავლებელი კიზერი, ლავროვი (გაზ. „ტერეკსკიე ვედომოსტის" თანამშრომელი) და სხვები[454]. რევოლუციური ლიტერატურის გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა ლ. ვ. კანანოვამ (პალიცინამ), რომელმაც კავკავის ბიბლიოთეკის დაარსებით და რევოლუციური ლიტერატურის თავმოყრით ხელი შეუწყო ოსებში ახალი იდეების გავრცელებას.

70-იანი წლების ოსი ნაროდნიკების რევოლუციურ საქმიანობას ისეთივე შეცდომები (ინტელიგენციის როლის გაზვიადება, მუშათა კლასის როლის შეუფასებლობა, გლეხური „ობშჩინების" იდეალიზაცია, „ხალხში სიარულის" როლის გაზვიადება, ტერორის ტაქტიკა და სხვ.) ახასიათებდა, როგორიც ამავე პერიოდის რუსეთის ნაროდნიკულ მოძრაობას. მიუხედავად ამისა, ოს მოღვაწეთა ამ ჯგუფმა გარკვეული პროგრესული ნაბიჯი გადადგა რევოლუციური ლიტერატურისა და რევოლუციური აზრების გავრცელების, ხალხის გამოფხიზლებისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საქმეში.

70-იანი წლების ოსეთის პროგრესული ინტელიგენცია რუსული კულტურის მძლავრ გავლენას განიცდიდა, რუს ხალხთან

---

[454] ბ. ვ. სკიტსკი, სამხრეთ ოსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან 70-იან წლებში, 1929 წ., ტ. V, გვ. 252—254.

მეგობრობისა და ყველა სხვა ხალხებთან ძმური კავშირის განმტკიცებას მოითხოვდა.

ოსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელსაც XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში კ. ხეთაგუროვი მეთაურობდა, რესეთში დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული, რევოლუციური და რეაქციული ძალების ბრძოლას კარგად ამჩნევდა და ამ ბრძოლაში იგი რევოლუციურ ძალებთან, დიდი რუსი ხალხის რევოლუციურ კულტურასთან განუყრელი კავშირისა და რეაქციული ძალების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის იდეას იცავდა. რუს ხალხთან, რუსულ კულტურასთან და ყველა სხვა ხალხებთან კავშირის განმტკიცების აქტიური მომხრენი იყვნენ: ალექსი (აქსო) კოლიევი (1823 — 1866), ინალ კანუკოვი (მწერალი), გასიევი, ურუიმაგოვი და სხვები.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ინტელიგენცია ძირითადად ორ ნაწილად იყოფოდა. ინტელიგენციის პირველი ჯგუფის შემადგენლობა (ინალ კანუკოვი, ბორის გადიევი, ძმები შანაევები, ალიხან არდასენოვი, ე. გაზდანოვი, იბრ. შანაევი, დრ. სოხიევი, დ. გოლიევი, ა. გასიევი და სხვ.), რომელთაც რუსეთში მიიღეს განათლება, რუსეთის დემოკრატიულ ფენებთან და რუსულ პროგრესულ კულტურასთან განუყრელი კავშირის იდეას იცავდა, ოსი ხალხის თავისუფლებისა და ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის იბრძოდა. ამ პროგრესული ჯგუფის წინამორბედი (50—60-იან წლებში) იყო მასწავლებელთა წრე, რომელსაც გამოჩენილი ოსი მოღვაწე, მღვდელი—მასწავლებელი აკსო კოლიევი ხელმძღვანელობდა.

ოსი ინტელიგენციის რეაქციულ-ფეოდალური ჯგუფი (რომელშიაც 50—60-იან წლებში შედიოდნენ: გენერალი ძ. კუნდუხოვი, გენერალი ასლანბეკ ტუგანოვი, მაიორი კრიმ სულტან დუდაროვი, ასლამურზა ესიევი) ოსეთში მემამულურ-ჩინოვნიკური წყობილების დაცვისა და რუსეთისაგან მთის ხალხთა იზოლირების პოლიტიკას ანხორციელებდა.

70—80-იან წლებში ინტელიგენციის პროგრესული ჯგუფის წინააღმდეგ ოსეთში ცარიზმის „კულტურტრეგერობის“ ხოტბით გამოდიოდა თავადაზნაურთა რეაქციული ჯგუფის მეთაური (ისტორიული ნარკვევის: „Тагаурское общество и экспедиция кн. Лфхазова“-ს, ავტორი, 1869 წ.), გენერალ ლეიტენანტი მ. ბაევი, რომელიც თავადაზნაურთა და ოსალდართა ძალაუფლების დაცვისათვის იბრძოდა.

ა. კოლიევის პედაგოგიური მოღვაწეობა

სახალხო განათლების გამოჩენილი მოღვაწე ალექსი (აკსო) ბესარიონის ძე კოლიევი (1823—1866 წწ.) პირველი ოსი მესაძოციანელი იყო, რომელმაც 1845 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსი. იგი კავკავის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად, უფროსი კლასების მასწავლებლად, ხოლო ბოლოს, ამავე სკოლის ზედამხედველად იქნა დანიშნული. კოლიევის ინიციატივით, მისივე ბინაზე, 1862 წელს ოსი გოგონებისათვის გახსნილ იქნა დაწყებითი სკოლა, რომელშიაც პირველ ხანებში 20 ბავშვი სწავლობდა. ეს სკოლა შემდეგში სამკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა, რომელმაც კოსტა ხეთაგუროვის სიტყვებით, ქვეყანას ბევრი „სამაგალითო დედა, გამრჯელი მეოჯახე და სახალხო მასწავლებელი აღუზარდა“[455].

ამრიგად, კ. კოლიევი ოსეთში ქალთა განათლების შემოღების ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი და ფუძემდებელია, რომელმაც თავისი დროისათვის უდიდესი როლი შეასრულა ოსი ხალხის განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში. კოლიევის შეხედულებით, ახალი თაობის საუკეთესოდ აღზრდისათვის უხდა შეიქმნას ახალი, განათლებული ოჯახი. „ახალი თაობის აღზრდისათვის, კოლიევის სიტყვით,— პირველყოვლისა საჭიროა განათლებული ოჯახი, მაშასადამე, განათლებული — დედა“[456]. და იგი, არა მარტო თეორიულად ქადაგებდა ახალი ოჯახის შექმნისა და **დედის აღზრდის** საჭიროებას, არამედ საქმითაც ცდილობდა ოსეთში ქალთა განათლებისათვის შესაფერი ნიადაგი შეექმნა. მღვდელი კოლიევი თარგმნიდა საეკლესიო წიგნებს, წერდა ლექსებს და, როგორც ოსური კულტურის საუკეთესო მცოდნე, ხელს უწყობდა მშობლიური ენისა და მწერლობის ერთგვარ პროგრესს. კოლიევი ოსეთში მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელების წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც ისეთი ძალისა, რომელიც საგრძნობლად აფერხებდა ხალხის სულიერი ძალების განვითარებას. კ. ხეთაგუროვი პატივისცემით იხსენიებდა კოლიევის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას და მას ოსი ინტელიგენციის „პირველი გაწვევის“ ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეს უწოდებდა.

---

[455] История Осетии (макет), часть первая, СОНИИ, 1954 г., стр. 200.

[456] М. С. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв. 1954 г., стр. 15.

გრაფ ევდოკიმოვის შეხედულებით: „მთელი მასა ბლაღოჩინ კოლიევის მაგალითით ხელმძღვანელობდა და მოქმედებდა. მან ხალხზე მოიპოვა უდიდესი ზეგავლენა. კოლიევის ინფორმაციებზე დამყარებით, ვლადიკავკაზის სასულიერო ხელმძღვანელობას ვლადიკავკაზის ოსები ყველაზე სამაგალითო ოსებად გამოჰყავდა"[457].

მართალია, ა. კოლიევისა და მისი პროგრესული ჯგუფის ბრძოლას ფეოდალურ-ბატონყმურ ოსეთში გავრცელებული ძველი ზნე-ჩვეულებებისა და ფეოდალური თვითნებობის მოსპობის საქმეში ეფექტური როლი არ შეუსრულებია, მაგრამ იგი მაინც საგრძნობ ძალას წარმოადგენდა მთის ხალხთა კულტურული განვითარებისა და ზნეობრივი ამაღლების საქმეში. 60-იანი წლების ოსი ინტელიგენცია ა. კოლიევის ხელმძღვანელობით ცდილობდა თავისი პატარა სამშობლო მოწინავე კულტურის, განათლებისა და ევროპული ცივილიზაციის გზაზე დაეყენებინა. თავიანთი პროგრესული აზრებით, ხალხისადმი ერთგული სამსახურით და საგანმანათლებლო მოღვაწეობით, იგი, ოს „სამოცდაათიანელებზე" მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა.

გასიევის კულტურული მოღვაწეობა და პედაგოგიური შეხედულებანი

70-იანი წლების საზოგადოებრივ მოძრაობაში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა პროგრესული ინტელიგენცია, რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა: პირველი ლიბერალური ინტელიგენციის ჯგუფი (დ. შანაევი, გ. შანაევი, ი. ტხოსტოვი და სხვ.), ხოლო მეორე—პროგრესულ დემოკრატიული მიმართულების ბანაკი (ი. კანუკოვი, ა. გასიევი და სხვ.), რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა ოსი ხალხის კულტურულ განვითარებაში. **ათანასე აბრამის ძე გასიევი** (1844—1916 წწ.) საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოვიდა. იგი კიევის აკადემიის დამთავრების (1870 წ.) შემდეგ მოზდოკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის პოსტზე მუშაობდა. ეკლესიის რეაქციულ ნაწილთან შეჯახების გამო მან მიატოვა სასულიერო უწყება და პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ჩაება. მის კალამს ეკუთვნის ასზე მეტი სტატია რელიგიის ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, ნუმიზმატიკის, მორალისა და აღზრდის საკითხების შესახებ. იგი არის გრამატიკის, ეტიმოლოგიის სახელმძღვანელოს

---

[457] ი ქ ვ ე, გვ. 18.

და ლექსიკონის ავტორი. მისი ნარკვევები: „ისტორიის პედაგოგიური მნიშვნელობა“, „მთიელთა დამწერლობის შესახებ“, „ყურანის, დოგმატიკისა და მორალის ანალიზი“, „რელიგიის საფუძვლები და ზნეობრიობა ფილოსოფოს ჰერბარტისა და მისი სკოლის მოძღვრების მიხედვით“, „ყურანი, მისი წარმოშობა და შექმნა“, „უახლესი ფილოსოფიური რეალიზმი დაბყარებული რელიგიასა და მორალზე“, „კავკასიის მთიელთა ზნე-ჩვეულებანი“, „ძოის მუსულმან-ქალთა მდგომარეობა“ და სხვა, უმთავრესად გაზ. „კავკაზში“, „ტიფლისკი ვესტნიკში“, „კიევის აკადემიის შრომებში“ და სხვა გამოცემებში იბეჭდებოდა.

ა. გასიევის შეხედულებით, XIX საუკუნის 40—50 წლებიდან „მთელი ჩრდილოეთ კავკასიისათვის ჩვეულებრივი გახდა ცოდნაში დაინახოს უდიდესი ბედნიერება... **ამით აიხსნება ის, რომ** გამრავლდა განათლებულ ადამიანთა რიცხვი ჩერქეზთა შორის, განსაკუთრებით კი ოსებში“.

ა. გასიევის უდიდესი დამსახურება ოსი ხალხის კულტურისა და სწავლა-განათლების დარგში მდგომარეობს იმაში, რომ იყო:

ა) თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე მტკიცედ მოითხოვდა კავკასიის მთის მოსახლეობის (განსაკუთრებით, ოსი ხალხის) კულტურული დონის ამაღლებას და მისი ცივილიზაციის გზაზე დაყენებას;

ბ) სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და მტკიცე ბრძოლას ეწეოდა ოსეთში მეფის თვითმპყრობელობის კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ;

გ) მკაცრად მოითხოვდა სწავლების მშობლიურ ენაზე დაბყარებას და მტკიცედ მოქმედებდა სასკოლო ცხოვრებაში აღნიშნული პედაგოგიური პრინციპის განხორციელებისათვის;

დ) მოითხოვდა სკოლებში რუსული ენის, როგორც სავალდებულო სასწავლო საგნის შემოღებას;

ე) საჭიროდ თვლიდა ოს ქალთათვის სკოლების ქსელის გაშლას და ვაჟებთან თანაბარი უფლებით მათი სწავლა-განათლების მოწესრიგებას;

ვ) აღიარებდა ოსეთის კულტურული დაახლოების საჭიროებას რუსეთის პროგრესულ კულტურასთან, რუსეთის ცივილიზაციის კერასთან, რაც ერთ-ერთ მთავარ გზად მიაჩნდა ოსი ხალხის პროგრესულ გზაზე განვითარებისათვის;

ზ) შეუნელებელ ბრძოლას უცხადებდა დიდმპყრობელურ შოვინისტ „სწავლულებს“, რომლებიც არ სცნობდნენ არა მარტო

„პატარა ხალხების“ (მგ.: ოსების) კულტურას, არამედ მათ ადამიანურ უფლებებსაც[158].

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ა. გასიევმა, როგორც დემოკრატმა მოღვაწემ, გარკვეული წვლილი შეიტანა ოსი ხალხის კულტურულ წინსვლაში. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი ფილოსოფიურ-რელიგიური კონცეფციით იდეალიზმისაკენ იხრებოდა.

ხ. ურუიმაგოვის როლი ახალი სკოლისათვის ბრძოლაში

ხ. ურუიმაგოვი გამოჩენილი ოსი პედაგოგი, მწერალი და ს ზოგადო მაღვაწე იყო, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში არა ერთი ნაწარმოები მიუძღვნა ოსეთში სწავლა-განათლების საქმეს. მისი შეხედულებანი ოსეთში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის შესახებ მოცემულია სტატიაში: „ნაჩალნაია შკოლა ვ ოსეტიი“, რომელიც 1910 წ. ჟურნალ „უტრო გორ“-შია (№ 1) გამოქვეყნებული.

გამოჩენილი ოსი პედაგოგი-პუბლიცისტი ურუიმაგოვი, ჯის თანამედროვე ოსეთის სკოლების მდგომარეობის შესახებ წერდა: „ეს იყო არა სკოლები, არამედ იგივე ეკლესიები მხოლოდ მინიატურაში და იმ განსხვავებით, რომ ეკლესიებში საღვთო სჯულს მოზრდილი ადამიანები სწავლობდნენ, სკოლებში კი — მოზარდები. შეუძლებელია, რა თქმა უნდა, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ასეთმა სკოლებმა ხალხის ზნეობრივ სისპეტაკეზე, მისი გონების სინათლეზე, შეგნებისა და გაგების გაღრმავებასა და გაფართოებაზე იქონიონ რაიმე დადებითი გავლენა“.

1870 წლამდე პერიოდს, როდესაც სკოლებზე ეკლესიის გავლენა განსაკუთრებული სიძლიერით იგრძნობოდა, ურუიმაგოვი „განსაკუთრებული სიბნელის“ პერიოდს უწოდებდა. მისი გაგებით, ეკლესიის ბატონობის ამ ხანით იწყება „...საძაგელი ფურცელი ოსეთის განათლების ისტორიაში“. ხ. ურუიმაგოვს, ოსეთის სკოლებში სწავლების გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნდა მღვდლების ნაცვლად პედაგოგიური განათლებით აღჭურვილი ახალგაზრდა კადრების მომზადება. მისი აზრით, თუ სკოლებში სადმე კი შეიმჩნევა სწავლა-აღზრდის ოდნავი

---

[158] М. С. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв., 1950 г. стр. 25—26.

გაუმჯობესება, ეს იმით აიხსნება, რომ ინიშნებიან ახალგაზრდა ადამიანები — ოსები, რომელთაც თბილისის საბასწავლებლო ინსტიტუტში აქვთ მიღებული სპეციალური პედაგოგიური განათლება.

80—90 წლების ოს მასწავლებელთა შორის ხ. ურუიმაგოვი ერთ-ერთი პროგრესული მოღვაწე იყო, რომელიც (ა. ცალდოვოვთან და სხვებთან ერთად) მოითხოვდა სკოლების ქსელის გაშლას, მთის ხალხებში სწავლა-განათლების შუქის შეტანას და თავის პრაქტიკულ-პედაგოგიურ მუშაობას საუკეთესოდ უთავსებდა ნაყოფიერ მეცნიერულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

ხ. ურუიმაგოვი კავკასიის ხალხთა მეგობრობისათვის დაუღალავი მებრძოლი, რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან ოსი ხალხის მჭიდრო ურთიერთობისა და რუსეთის პროგრესულ კულტურასთან განუყრელი კავშირის განმტკიცებისათვის ერთ-ერთი გამოჩენილი მედროშე იყო, რომელიც XIX საუკუნის მიწურულში წერდა: „ჩვენ, ოსებს, რომლებიც კარგა ხანია რუსული საზოგადოების კულტურული ოჯახის წევრებად ვითვლებით, ესარგებლობთ რა რუსული ცივილიზაციის ნაყოფით, ნათლად გვაქვს შეგნებული, სად არის ჩვენი ხალხის გადარჩენის შესაძლებლობა. ესაა — განათლება რუსულ ენაზე, რომლის სიძლიერე, როგორც სახელმწიფო ენისა, ეხლა მეტად ცხადია ყველა ჩვენთაგანისათვის"[459].

ამრიგად, ხ. ურუიმაგოვის თეორიული შეხედულებანი და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა მნიშვნელოვან წვლილს შეადგენს ოსეთის პედაგოგიკის ისტორიაში.

კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში პროგრესულ-რევოლუციურ ძალთა ბრძოლამ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავი იჩინა არა მარტო რუსეთის სამრეწველო ცენტრებში, არამედ მის პერიფერიულ ოლქებშიაც. ოფიციალური რუსეთისა და მისი საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობაში თანდათანობით ჩაება მოსახლეობის დემოკრატიული ფენები. მშრომელებთან ერთად გამოჩნდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, კრიტიკოსები, მხატვრები, მუსიკოსები, მეცნიერებისა და სკოლის მუშაკები, რომელთაგან „...სწავ-

---

[459] Газ. „Казбек" 1899 г., № 611.

ლობდნენ, მათ მაგალითს მიჰყვებოდნენ და მაღალი პატრიოტიზმით იმსჭვალებოდნენ მათი თანამედროვენი და მომდევნო თაობები“.

ცარიზმის წინააღმდეგ პროგრესულ ძალთა ზრდა-განვითარებამ ხელი შეუწყო რევოლუციური და დემოკრატიული ელემენტების გაერთიანებას. „...კონსოლიდაციის ამ პროცესმა ჩაგრულ ერთა ყველაზე შეგნებულ ელემენტებს მაინც შესაძლებლობა მისცა დაენახათ სხვა რუსეთი — კეთილშობილი, თავისუფლების მოყვარე, არა მჩაგვრელი, არამედ კულტურული, ნიჭიერი რუსეთი, რომელიც ხელს უწყობდა მოსახლეობის ფართო მასებში ცოდნის განვითარებას“ (მ. კალინინი).

ჩაგრულ ერთა ყველაზე შეგნებული ელემენტების ამ მოწინავე პლეადას ეკუთვნოდა გამოჩენილი ოსი პოეტი, ნიჭიერი მწერალი, საუკეთესო მხატვარი, სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწე და ხალხის თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი — კოსტა ლევანის ძე ხეთაგუროვი, რომელიც დიდ საშწერლო მოღვაწეობასთან ერთად ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა.

დიდი ოსი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და სკოლის საკითხებს უდიდეს ყურადღებას აქცევდა. კ. ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი მეფის რუსეთის რეაქციული სასკოლო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში შემუშავდა XIX საუკუნის 80—90-იან წლებში. ამ პერიოდის საგანმანათლებლო პოლიტიკაში აღსანიშნავია სასულიერო უწყების მისწრაფება — თავისი გავლენის ქვეშ მოექცია დაწყებითი სკოლები. სწავლების შინაარსი ამ ტიპის სკოლებშიც გაბატონებულ წოდებათა და კლასთა ინტერესებით განისაზღვრებოდა.

კ. ხეთაგუროვი მოსწავლეთა აღზრდის ამგვარი უკეთმართი სისტემის წინააღმდეგ იბრძოდა. მისი აზრით, „არანორმალური და სრულიად ზედმეტი ტვირთია რუსულ ენაზე წერა-კითხვის ჯერ კიდევ სუსტად მცოდნე ან სრულიად უცოდინარი 7—8 წლის ბავშვებისათვის ძველი საეკლესიო სლავური ენის სწავლება“[480]. იგი ასაბუთებდა, რომ ოსურ დაწყებით სკოლებში ყველა საგნის სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა წარმოებდეს, და მოითხოვდა: ა) სწავლებაში ყველა ბავშვის ჩაბმას (განურჩევლად წოდებისა

---

[480] კ. ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი. თხზ. ტომი III, (რუს. გამოცემა). 1951 წ. გვ. 187—188.

და მდგომარეობისა); ბ) ქალებისა და ვაჟების თანაბრად აღზრდას; დ) სწავლების პროცესის წარმართვას ბავშვთათვის გასაგებ ენაზე. კ. ხეთაგუროვს არ აკმაყოფილებდა მაშინდელ სკოლებში შემოღებული, ცხოვრების სინამდვილეს მოწყვეტილი დოგმატური სასწავლო პროგრამებით მუშაობა. იგი მოითხოვდა პროგრამების განტვირთვას დოგმატური საკითხებისაგან, მათ გაფართოებას და შევსებას ცოცხალი სინამდვილის საკითხებით, ქალთა გიმნაზიის პროგრამებსა და სასწავლო გეგმაში სასკოლო ჰიგიენის ელემენტარული კურსის შეტანას, ხოლო პროგიმნაზიაში ისტორიის, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის სწავლების შემოღებას. კ. ხეთაგუროვი ახალგაზრდობის ცოდნის განმტკიცების მიზნით საჭიროდ თვლიდა გიმნაზიის პროგრამების გაფართოებას თუნდაც სამასწავლებლო სემინარიის დონემდე. ამასთან იგი წინადადებას იძლეოდა, რომ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და სათანადო ჩვევების შეთვისების მიზნით სკოლებში დამატებით შემოეღოთ შემინდვრეობის, მებაღეობისა და რძის პროდუქტების წარმოების საქმე ვარჯიში და პრაქტიკული მეცადინეობა.

ყოველივე ამას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა პრაქტიკულ შრომასთან თეორიული სწავლების შეერთებისა და საჭირო ცოდნა-ჩვევებით მოსწავლეთა შეიარაღებისათვის.

კ. ხეთაგუროვი ვერ ითმენდა სკოლებში უვარგისი დოგმატური სახელმძღვანელოებით მუშაობას. იგი დიდად აფასებდა საუკეთესო სახელმძღვანელოებს და მათ ავტორებს, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ, რა საგანში და რომელ ენაზე იყო ისინი შედგენილი. პოეტი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა გამოჩენილი ქართველი პედაგოგის—ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, მათ შორის „რუსკოე სლოვოს", რომლის ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში შემოღება ჩრდილოეთ კავკასიის მასწავლებელთა ყრილობამაც საჭიროდ მიიჩნია. წერილში „საეკლესიო-სამრევლო სკოლები ოსეთში", კ. ხეთაგუროვი გაზ. „სევერნი კავკაზში" (1901 წ. № 88) წერდა: „ჩრდილოეთ ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ სასკოლო ცხოვრების მეტად რთული საკითხები წამოაყენა. ცოტად თუ ბევრად გამოსადეგი სახელმძღვანელოების უქონლობის გამო, ყრილობამ დაადგინა. ოსურ სკოლებში შემოღებულ იქნეს ცნობილი სახელმძღვანელო რუსული ენისა — იაკ. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო"[401].

---

[401] კ. ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი, თხზ., ტ. III, გვ. 155. რუს. გამოცემა.

კ. ხეთაგუროვის მიერ ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ ასეთი შეფასება მოწმობს პოეტის გულწრფელ პატივისცემას მოძძე ხალხების კულტურული მონაპოვრისა და მათი საუკეთესო შვილებისადმი.

როგორც ცნობილია, მაშინდელ სკოლებში გაბატონებული იყო საპროგრამო მასალის გაზეპირება, რელიგიური ლოცვების მექანიკურად წარმოთქმა, სამღვთო სჯულისა და საეკლესიო დოგმატების უაზრო დასწავლა, ხოლო ზნეობრივი აღზრდის მეთოდთა შორის უმთავრესად გამოყენებული იყო მოსაბეზრებელი ჩიჩინი „წმინდანებზე“, გაჭიანურებული დარიგებები. ამასთან დაკავშირებით კ. ხეთაგუროვი სწორად შენიშნავდა, რომ საჭიროა ბავშვებს „...ვასწავლოთ არა ჭკვიანური დარიგებებით, არამედ მაგალითებით“[462]. სწავლა-აღზრდის მოძველებული მეთოდების საწინააღმდეგოდ, იგი მოითხოვდა აღზრდის პროგრესული სისტემის შესაფერისი რაციონალური მეთოდებისა და მორალურ-დიდაქტიკური პრინციპების გამოყენებას.

მეფის თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში სახალხო მასწავლებლები სასტიკ დევნას, ეკონომიურ და უფლებრივ შევიწროებას განიცდიდნენ. მთავრობის მოხელეები მათ აუტანელ მდგომარეობაში აყენებდნენ. პოემაში —„ვინ ცხოვრობს მხიარულად“, კოსტა ხეთაგუროვმა ნათლად დაგვანახა თუ როგორ სდევნიდნენ და აბუჩად იგდებდნენ მასწავლებლებს სოფლის მწერალი, მამასახლისი და სხვა მოხელეები.

პოეტი აღშფოთებული იყო სახალხო მასწავლებელთა უმწეო, აუტანელი და მათხოვრული მდგომარეობით. იგი კარგად ხედავდა, რომ თავგანწირული შრომისა და დაუღალავი სასწავლო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ბადლად სახალხო მასწავლებელი „უწყალებით“ განკუთვნილ კაპიკებსაც კი—თვეობით ვერ იღებდა.

კ. ხეთაგუროვი ხშირად გამოდიოდა პრესაში მასწავლებელთა უფლებების დასაცავად და მოითხოვდა: ა) მათი ხელფასის გადიდებას; ბ) კუთვნილი ჯამაგირის დროულად გაცემას; გ) სკოლებთან მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინების მოწყობას; დ) პედაგოგიური ცოდნის ამაღლების სპეციალურ ღონისძიებათა (ქალთა სამასწავლებლო სემინარიის დაარსება და სხვ.) განხორციელებას. პოეტი-განმანათლებელი საფუძვლიანად იცნობდა მასწავლებელთა მდგომარეობას, მათი ყოფაცხოვრებისა და შრომის პირობებს.

---

[462] იქვე. გვ. 134.

ხერსონის სასოფლო სკოლაში იგი თვითონ ასრულებდა სახალხო მასწავლებლის საპატიო მოვალეობას, ღარიბთა ბავშვებს ასწავლიდა წერა-კითხვას, ხოლო მთელი რიგი წლების განმავლობაში იყო სტავროპოლის ვაჟთა საკვირაო სკოლის მასწავლებლად, სადაც მოსწავლეებს ლიტერატურის აქტუალურ თემებზე უკითხავდა ლექცია-მოხსენებებს და აძლევდა ფერწერის გაკვეთილებს.

ბუნებრივია, რომ პედაგოგიურ შრომაში და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში ღრმად ჩახედული პოეტი დიდად აფასებდა სკოლის უანგარო მუშაკთა მძიმე შრომას. განუწყვეტლივ იბრძოდა მათი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

გამოჩენილ რუს და ქართველ მოღვაწეთა და პოეტ-დიდაქტიკოსთა მსგავსად, კ. ხეთაგუროვი თავის ნაწარმოებებში აყენებდა პატრიოტიზმის, ეროვნული სიამაყის, სიმამაცის, გმირობის, პატიოსნების, შრომისმოყვარეობის და ადამიანის სხვა მრავალი ძვირფასი ზნეობრივი თვისების აღზრდის საკითხებს. პოეტის პედაგოგიური იდეალი იყო დიდი საქმეებისათვის მებრძოლი, მშობელი ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული ახალი ადამიანების აღზრდა, ისეთი თაობის მომზადება, რომელიც არ გაექცევა სიძნელეებს, არ შეუშინდება სიკვდილს, გაუფრთხილდება სიცოცხლეს ძხოლოდ იმისათვის, რომ შეეძლოს მისცეს „სამშობლოს სიცოცხლე მთელი“.

პოეტის მიერ წარმოსახული იდეალური ადამიანი ისეთი მებრძოლია, რომელსაც მთელი მსოფლიოს ჩაგრული და ექსპლოატირებული მასებისადმი თანაგრძნობის, სიყვარულისა და ერთგულების ძვირფას გრძნობასთან ერთად, ეროვნული სიამაყის, თავისი მშობელი მხარისა და ხალხისადმი უღრმესი სიყვარულის გრძნობაც აქვს. ყველა ერის მშრომელთა პატივისცემისა და ძეგობრობის მოტრფიალე პოეტი თავისი ერის ღირსების დაფასებას ყოველი პატიოსანი მოქალაქის პატრიოტულ მოვალეობად თვლიდა. კ. ხეთაგუროვი მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბედნიერ მომავალზე ფიქრობდა, მაგრამ წინა პლანზე თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის გამარჯვებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას აყენებდა.

ახალი ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს თვისებად და ზნეობრივ მოვალეობად პოეტ-განმანათლებელს მიაჩნდა პატიოსანი შრომა. მის ლექსებსა და პუბლიცისტურ ნაწერებში ხაზგასმითაა აღნიშნული შრომის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და გარდამქმნელი როლი. სკოლასა და ოჯახში ბავშვის შრომითს საქ-

მიანობაში ჩაბმას, გონებრივი და ფიზიკური შრომის პროცესში მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას კ. ხეთაგუროვი მოზარდი თაობის ზნეობრივი სრულყოფის მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიდა. 1897 წლის 23 დეკემბერს ვ. ი. სმირნოვისადმი საავადმყოფოდან გაგზავნილ ბარათში იგი გიმნაზიელების საყურადღებოდ წერდა „...ახსოვდეთ მათ, რომ დედ-მამისათვის არ არის იმაზე მეტი სიხარული, ვიდრე აღზარდონ შვილები პატიოსან და მშრომელ ადამიანებად. ამ თხოვნის შესრულებით ისინი ბევრ გაძღდიან თავიანთ ნამდვილ მეგობრად“[463].

პოეტი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ბავშვებში ეროვნებრივი შრომის სიყვარულისა და სიბეჯითის აღზრდას. იგი გიმნაზიელებს მოუწოდებდა:

„გიყვარდეთ შრომა და განათლება,
გასწით წინ, ბედგრად, ცხოვრების გზაზე.
თუ გსურთ ფეთქავდეს თქვენი მკერდები,
კეთილშობილურ გრძნობებით სავსე“.

პოეტს შრომა და გონებრივი განათლება ცხოვრების გზაზე ადამიანის წინსვლის, მასში კეთილშობილური გრძნობების აღძვრისა და ზნეობრივი სისპეტაკის საფუძვლად მიაჩნდა. შეშთხვევითი როდია, რომ ოსი ხალხის დიდი განმანათლებელი თავის დრამატულ ნაწარმოებში („დუნია“) მუქთახორული, მდორე ცხოვრებას შეჩვეული დედ-მამის წინააღმდეგ შრომისმოყვარე და ახალი ცხოვრების მოტრფიალე შვილს — დუნიას ათქმევინებს: **„სანამ ცოცხლები ვართ, უნდა ვიმუშაოთ, რამდენადაც შეგვეძლება, იმდენი სარგებლობა უნდა მოვიტანოთ, უამისოდ არც ერთ სულდგმულს უფლება არა აქვს არსებობისა“**[464].

შრომა ადამიანში ზნეობრივი სისპეტაკის, პატიოსნებისა და კეთილშობილური თვისებების დანერგვის, გონებრივი აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. შრომითი აღზრდისა და მისი გამაკეთილშობილებელი მნიშვნელობის შესახებ პოეტი იმავე დუნიას პირით ამბობდა: „ჩვენ შრომის არ უნდა გვეშინოდეს. პირიქით, ყოველგვარად უნდა გავურბოდეთ უსაქმობას, რომელმაც ქალები გადააქცია ყველაზე უბედურ არსებად ქვეყანაზე.

---

[463] კ. ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი, რჩეული ნაწერების კრებული, 1939 წ., გვ. 567.
[464] ი ქ ვ ე, გვ. 401.

ამის გამო ჩვენ დავკარგეთ პატიოსნების გაგება... ჩვენ არ გერცხვენია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სხვის კისერზე ჯდომისა... არ ვთაკილობთ ჩვენი ცხოვრების უმშვენიერეს ხანაში ვიყოთ სასიამოვნო გასართობნი... ქმრებისა, ანდა ხშირად ასეულ გარყვნილ მოქეიფეთა. ეს სულერთია, როგორც ერთი, ისე მეორეც სისაძაგლეა, უხამსობა. როგორც ერთს, ისე მეორეს საფუძ-ველად უდევს უსაქმურობა"[465].

კ. ხეთაგუროვი შრომისა და განათლების საკითხს ურთიერთ-კავშირში განიხილავდა. **იგი ბრძოლის გზით ფიქრობდა მშრომელებისა და შრომის განთავისუფლებას ექსპლოატაციისაგან, ხოლო შრომის გზით — ხალხის მატერიალური, გონებრივი და სულიერი ცხოვრების ამაღლებას.** ზემოთ დასახელებულ დრამატულ ნაწარმოებში მწერალმა ჩერნიშევსკის ცნობილი რომანის („რა ვაკეთოთ?") ძირითადი გმირების ანალოგიით წარმოგვიდგინა ახალი, შრომისმოყვარე ადამიანები — ლაპტევი და დუნია. ეს ადამიანები შრომას არათუ გაურბიან, არამედ იგი მათ ადამიანის ზნეობრივ მოვალეობად, მისი არსებობისა და ცხოვრების უმთავრეს წყაროდ მიაჩნიათ. ამ ახალი ტიპის ადამიანებს არ ეშინიათ შრომისა და გარჯის, მათ სჯერათ, რომ „...კეთილსინდისიერი მუშაკის ინტელიგენტური შრომა ყოველთვის პოვებს გასავალს და სათანადო გასამრჯელოს..."

შრომის ამ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობის ღრმა ანალიზიდან გამომდინარე კ. ხეთაგუროვი თავისი დრამატული ნაწარმოების ამ მთავარი გმირების პირით ასაბუთებდა, რომ ბავშვებზე ზრუნვა „...გადაგვექცევა უდიდეს სიამოვნებად, და ჩვენ ყოველთვის შევძლებთ გამოვზარდოთ ისინი შრომისმოყვარე მუშაკებად და პატიოსან ადამიანებად".

მოსწავლეს, რომელიც სკოლაში სისტემატურად დადის და ბეჯითად სწავლობს, კოსტა ათქმევინებს:

„იქ დავდივარ ყოველდღე, იქ ბევრი რამ შევიტყე,
იქ ვისწავლე წერა-კითხვა: ანი, ბანი, განი, დონი,
გადავაბი სიტყვა სიტყვას, მოვიკრიფე ჭკუა, გონი:
ვინდა სწავლას დაეწაფო, გავიწვრთნა და გავიწაფო".

აქ წინა პლანზეა წამოწეული ბავშვთა გონებრივი აღზრდის, ბეჯითობისა და შრომის ჩვევების აღზრდის საკითხი. ნორჩ თაო-

[465] ი ქ ვ ე. გვ. 470.

ბაში ბეჯითობისა და შრომისმოყვარეობის ძვირფას თვისებათა დანერგვისაკენაა მიმართული იმავე ლექსის შემდეგი ადგილი:

სანუკვარ, საყვარელ ფიქრის
თავშესაფარი და მყუდრო ბინა...
ჰაბუკს უპირავს ბეჯითად წიგნი,
ფიქრობს, აზროვნობს და აღარ სძინავს..."

პოეტის პედაგოგიური იდეალია ახალგაზრდებში ენერგიული შრომის, აზროვნების, მოვლენებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებისა და გონებრივი სიფხიზლის უნარ-ჩვევების გამომუშავება. პოეტი-დიდაქტიკოსი ნათლად გვიჩვენებს ბეჯითი შრომით გართული და სწავლის შეძენით გატაცებული შვილის მგზნებარე სიყვარულს თავისი უსაზღვროდ ერთგული მშობლის — საყვარელი დედისადმი. საოჯახო შრომის სიხარულით აღგზნებულ ბავშვს, თავგადასავლის თხრობისას, პოეტი ათქმევინებს:

„იქნებ მთხოვდით საქმეს სხვასა. მე ვიყავი საოცარი,
თვით მაუდის მოქსოვასა და ქარგვაში ხელოვანი.
ნემსს, მაკრატელს მოვიხმარდი. როგორც მარჯვე ქალიშვილი,
მაგრამ მაინც სულ მიყვარდა სიმღერები ნაზი, ტკბილი".

ამ ტექსტში შრომისმოყვარეობის აღზრდის საკითხი წინაპლანზეა წამოწეული.

პოეტი, რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევდა მომავალ თაობაში სიმართლის, პირდაპირობის, უზნეობისა და ნაკლისადმი შეურიგებლობის გრძნობების აღზრდას, თავისი ცხოვრება-მოღვაწეობის ყოველი ნაბიჯით ამგვარი ქცევის მაგალითს იძლეოდა. „არასოდეს ... სკოლის სკამზედაც კი,— ამბობდა კოსტა,— არ ჩამიდენია რაიმე „საზრახისი საქციელი". მე ყოველთვის ყოველ ჩემს აზრს გამოვთქვამდი და ჩემს მოქმედებას ვამჟღავნებდი აშკარად, ჩემის ხელის მოწერით, მტრის პირდაპირ, ვინც არ უხდა ყოფილიყო იგი..." არა „საზრახისი საქციელის" მიჩქმალვა, არამედ მისი აღიარება და გამომჟღავნება, არა ორგულობა და ნამდვილი აზრის დაფარვა, არამედ საქმისადმი ერთგულება, საკუთარი და სხვისი ნაკლის აშკარად მხილება,— ასეთია ის თვისებები, რომელთა ვამომუშავებას ახალგაზრდობაში კ. ხეთაგუროვი სკოლისა და ოჯახის გადაუდებელ ამოცანად სახავდა.

კ. ხეთაგუროვი, როგორც რევოლუციონერ-დემოკრატი მოღვაწე, თავისი მსოფლმხედველობით ათეისტი იყო და ჩრდილოეთ

ოსეთის ხალხში გავრცელებული რელიგიისა და მაჰმადიანური მოსახლეობის ფანატიკური შეხედულებების წინააღმდეგ იბრძოდა. გაზ. „სევერნი კავკაზში“ (1901 წ. № 73) „ნარონის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში პოეტი მოლებს უწოდებდა „ისლამიზმის ანბანის უცოდინარ აგენტებს“, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის ოს მოსახლეობაში ანტირუსული განწყობილების შექმნას და ისლამიზმის გავლენის გაძლიერებას ცდილობდნენ. საეკლესიო-სამრეველო სკოლების ნაცვლად კ. ხეთაგუროვს საჭიროდ მიაჩნდა დაწყებითი სახალხო (საერო) სკოლების ქსელის გაშლა. იგი რელიგიის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი იყო და ძოზარდ თაობაშიც ამგვარიივე ათეისტური გრძნობის გაძომუშავებას მოითხოვდა.

ბავშვობიდანვე დედის ალერსსა და ოჯახურ ნეტარებას ძოკლებულ პოეტს გასაოცარი ძალითა და გულწრფელი გრძნობით უყვარდა ბავშვები, განიცდიდა „საბავშვო ასაკის სიხარულსა და დარდებს“. იგი არავისთან თავს ისე ბედნიერად არ გრძნობდა, როგორც ბავშვებთან. კ. ხეთაგუროვის თხოვნა, ძისი რჩევა-დარიგება გიმნაზიელებისა და სხვა ბავშვებისადმი ის იყო, რომ „...ისინი თავისი წარმატებებით მეცნიერებაში და ხელოვნებაში, თავისი ყოფაქცევით არა მარტო გიმნაზიაში, არამედ სახლშიაც, ძუდაძ ახარებდნენ თავიანთ დედ-მამას, რომელთაც ასე უსაზღვროდ უყვართ ისინი, რომელნიც ასე დაუღალავად მუშაობენ შათი აღზრდისათვის, მათი ახლანდელი და მომავალი კეთილდღეობისათვის“[468].

პოეტი სამართლიანად მოითხოვს, რომ მოსწავლეები აძაყობდნენ თავიანთი სკოლით, არ არცხვენდნენ „აღმზრდელ კერას“, პატივს სცემდნენ მას ისე, როგორც საკუთარ ოჯახსა და ძშობლებს. მოსწავლეთა კულტურული ქცევისადმი წაყენებული ეს დიდაქტიკური მოთხოვნები ნათლად ჩანს „სტავროპოლის გიმნაზიის მოწაფეებისადმი“ მიძღვნილ ლექსში, რომელშიაც ნათქვაძია:

„გთხოვთ, გიმნაზიას, ჩვენს აღმზრდელ კერას,
რომ სცეთ პატივი, ვით დედას მშობელს,
მის სახელს ხშირად ახსენებთ მჯერა,
რომ შეებმებით ყოფნას ულმობელს...“

პოეტს ბავშვებში კულტურული ყოფაქცევის ჩვევათა და ჩვეულებათა აღზრდა-ჩამოყალიბების ყველაზე უფრო ეფექტურ

[468] კ. ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი, რჩეული ნაწერების კრებული, 1939 წ., გვ. 567.

საშუალებებად მიაჩნდა დარწმუნება, წახალისება, დაგმობა და ზნეობრივი საქციელის საუკეთესო მაგალითების ჩვენება.

აღმზრდელ-მასწავლებლებისადმი მგზნებარე სიყვარულის გრძნობითაა დაწერილი ლექსი „სტავროპოლის გიმნაზიის მოწაფეებისადმი“ (გიმნაზიის 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად). პოეტი პატივისცემით იგონებს იმ მასწავლებელთა სახელებს, რომლებმაც მოსწავლეებში დანერგეს „სიმტკიცის გრძნობა“, გააღვივეს „მეცნიერებისა და ხელოვნების სიყვარული“, გაუშუქეს „ახალგაზრდებს წარსული ბნელი“, ჩაახედეს ისინი „საგნის სიღრმეში“, შეიტანეს „მომავლის იმედები“ და აღუძრეს მათ „დიადი ძიზნისათვის მედგარ ბრძოლაში“ სიცოცხლის მსხვერპლად მიტანის სურვილი. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის ძირითადი ამოცანებია პოეტის აზრით:

ა) გამოიმუშაოს ბავშვებში პატრიოტიზმისა და ეროვნული სიამაყის ფაქიზი გრძნობები; ბ) აღზარდოს მათში მტკიცე ხასიათი და ნებისყოფა, განავითაროს „სიმტკიცის გრძნობა“; გ) გააღვივოს მოსწავლეებში „მეცნიერებისა და ხელოვნების სიყვარული“, დ) ხელი შეუწყოს ახალგაზრდობაში შრომისმოყვარეობისა და ბეჯითობის აღზრდას; ე) გაუშუქოს ბავშვებს თავისი და სხვა ქვეყნების ხალხთა „წარსული ბნელი“ და ჩაუნერგოს მომავლის რწმენა და იმედები; ვ) აღჭურვოს ბავშვები და მოზარდები მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით, ჩაახედოს „საგნის სიღრმეში: ზ) გამოიმუშაოს ბავშვებში საუკეთესო ზნეობრივი თვისებები (სიმართლე, პატიოსნება, კეთილშობილება, დისციპლინიანობა, თავდაჭერილობა, შრომისმოყვარეობა, ჰუმანიზმი, ათეისტური გრძნობები და სხვ.); თ) დანერგოს ახალგაზრდობაში მშობლების, აღმზრდელ-მასწავლებლების, ამხანაგებისა და ყველა პატიოსანი მშრომელის სიყვარული და პატივისცემა და ა. შ.

ოსი ხალხის დიდ განმანათლებელსა და პედაგოგს — კ. ხეთაგუროვს მშვენივრად ესმოდა, რომ ამ ამოცანების გახორციელება მასწავლებლისაგან მოითხოვდა მაღალ კულტურას, ღრმა ცოდნას აღზრდის საქმეში დახელოვნებას და ბავშვების გულწრფელ სიყვარულს.

კოსტა ხეთაგუროვმა კარგად იცოდა, რომ ბავშვთა წესიერი სწავლა-აღზრდა, მათი სრულყოფილი განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ კერძო საკუთრების მოსპობისა და ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, რომლისთვისაც იგი თავისი მშვენიერი სიცოცხლის მთელ მანძილზე იბრძოდა.

თ ა ვ ი VII

ოსი ხალხის ბრძოლა ხახალხო განათლების ახალი ხისტემისა და ახალი სკოლისათვის

რუსეთის განაპირა მხარეების სხვა ხალხების მსგავსად, ოსი მშრომელი ხალხი სიღარიბის, უმეცრებისა და სიღატაკის აუტანელ პირობებში ცხოვრობდა.

როგორც რუსეთის კომპარტიის (ბ) X ყრილობაზე აღინიშნა: „...ძველმა სახელმწიფომ, მემამულეებმა და კაპიტალისტებმა მეჩქვიდრეობად დაგვიტოვეს ისეთი დაბეჩავებული ხალხები, როგორიც არიან ყირგიზები, ჩეჩნები, ოსები... ამ ხალხების ხვედრი იყო საშინელი ტანჯვა და გადაშენება“[467].

მეფის თვითმპყრობელობა მთელ თავის ძალებს ოსი ხალხის ძარცვა-გლეჯისა და კოლონიალური ჩაგვრისაკენ მიმართავდა, იმ დროს, როდესაც რუსი ხალხის მოწინავე შვილები, კავკასიის რევოლუციურ დემოკრატიულ ძალებთან ერთად ოსეთის მშრომელთა განთავისუფლების, ეკონომიური აღორძინებისა და კულტურული დაწინაურებისათვის იბრძოდა.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის ბოლო წლებში და XX საუკუნის დასაწყისში (განსაკუთრებით საეკლესიო-საშრევლო) სკოლების ქსელი ოსეთში ერთგვარად გაფართოვდა, იგი სწავლის მთხოვნელთა მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. ოსეთის ზოგიერთ კუთხეს არც სკოლა ჰქონდა და არც სხვა კულტურული დაწესებულებანი, ხოლო ზოგიერთ პროვინციაში არსებული დაწყებითი სკოლები სწავლას მოწყურებულ ბავშვთა შემადგენლობის ნახევარსაც ვერ იტევდა. პრესის მასალებიდან ცნობილია, რომ სოფ. ხუმელაგაში 1891 წლის თებერვლის დასაწყისში გაიხსნა „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ **დედათა სკოლა**, სადაც „ალაგი 50 მოსწავლისათვის იყო მომზადებული. გამოცხადდა მსურველი სწავლისა ასზე მეტი ქალი. ნახევარი უკან დააბრუნეს. ამაზე მოხდა უსიამოვნება დედ-მამათა შორის. ყველას უნდოდა, რომ მისი შვილი მიეღოთ“[468].

---

[467] ციტირებულია რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) X ყრილობის სტენოგრამული ანგარიშებიდან.

[468] გაზ. „ივერია“, 1891 წ., № 40, გვ. 2.

ცხადია, ამგვარი მდგომარეობა ადგილობრივ მოსახლეობაში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ოს ხალხში სწავლის სურვილი და ცოდნისადმი მისწრაფება იმდენად გაიზარდა, რომ ზოგიერთი მათგანი სკოლისათვის სრულიად უსასყიდლოდ საკუთარ საცხოვრებელ შენობებსაც თმობდა. 1890 წელს „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ინსპექტორს და სხვა ხელმძღვანელ პირებს ბათაყოსა და დარკოსში „ერთმა ოსმა... დაახახვა ერთი მშვენიერი სასკოლო სახლი და აღუთქვა, მუქთად დაუტოვა სკოლასაო. ამას გარდა, სკოლისათვის საჭირო ავეჯის შეძენა იმ ოსმა იტვირთა“[469].

1891 წელს ბესლანელმა ოსმა გაკა გუთიევმა „საზოგადოებას“ სკოლისათვის გადასცა თავისი ხარჯით აგებული მშვენიერი შენობა[470].

ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა გორის მაზრის ოსურ სოფლებშიაც, მაგრამ მთავრობა ხალხის განათლებაზე ნაკლებად ზრუნავდა. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქსნის ხეობის მოსახლეობაც (ეკონომიურად და კულტურულად) მეტისმეტად იყო ჩამორჩენილი. როგორც გაზ. „ივერია“ წერდა, 90-იან წლებში „ეს ამოდენა მხარე, პატარ-პატარა გორაკებზედ და თითქმის მთის წვერებზედ გაშენებული, მოკლებულია ყოველნაირ სახსარს წარმატებისას. დღევანდლამდე ქსნის ხეობამდე არ მიუღწევია განათლების მადლიან სხივს. დღევანდლამდე ამ ხეობაში არ არსებობს არც ერთი სასოფლო სასწავლებელი. ქსნის-ხეველების უსინათლობით და უმეცრებით სარგებლობენ წურბელა ვაჭრები. რომლებიც საკმაოდ დაურიდებლად ისქელებენ ჯიბეებსა“[471].

ხალხის უმეცრება, სიბნელე და გაუნათლებლობა თვითმპყრობელობის მოხელეთა ხელში მშრომელი მასების ჩაგვრის მოხერხებულ იარაღს წარმოადგენდა. ამიტომ, მთავრობა მოსახლეობის განათლების საქმეს ყოველნაირად აფერხებდა. მთავრობის მოხელეები ხალხის მიერ სკოლებისათვის შეგროვებულ სახსრებს პირადი დანიშნულებისათვის იყენებდა. სწორედ, ამგვარი მდგომარეობის გამო გაზ. „ივერია“ 1888 წელს (№ 125) წერდა: „თუმცა მთავრობა კარგა ხანია ჰკრეფავს სკოლის ფულსა, კომლზე საქს აბაზს, მაგრამ დღემდე სკოლა არსადა სჩანს. სოფელს ახალგორში (დღევანდელ ლენინგორს ეწოდება.—ტ. ს.) ეს ორი წელიწადია და

---

[469] გაზ. „ივერია“, 1890 წ., № 112, გვ. 3.
[470] გაზ. „ივერია“, 1891 წ., № 23.
[471] გაზ. „ივერია“, 1888 წ., № 125, გვ. 2.

ნიშნულია მასწავლებელი და სკოლის შენობა კი არსად არის. **მასწავლებელი შეუმწყვდევიათ სომხის ეკლესიის საყარაულო ოთახში,** ჩაუბარებიათ ოთხიოდე ახალგორელივე სომხის ყმაწვილი და ამით გაუთავებიათ საქმე. სკოლას ინახავს შვიდი საძაძასახლისო და სკოლაში — კი დღემდე ამ ოთხიოდე ყმაწვილის ძეტი ალაგისა სწავლობს. მეორე ადგილი სკოლისათვის დანიშნულია ქსნის ხეობის შუაგულ ადგილას. ურიგო არ იქნება, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიაქციოს ამ მხარეს ყურაღღება, გაუწიოს წინამძღოლობა, აჩვენოს გზა და კვალი და ჩააგონოს სწავლა-განათლების საჭიროება"[472].

ასეთივე მდგომარეობა იყო ჩრ. კავკასიის სოფ. ზაყაში, სადაც 1895 წლის იანვარში მღვდელ ჯანუევის ინიციატივით გაიხსნა „...წერა-კითხვის სასწავლო შკოლა". ამ სკოლის „ერთ პატარა ეპრიალო ოთახში... წვალებით" პირველად 30 ბავშვი სწავლობდა. ისე როგორც სხვებში, აღნიშნულ სასწავლებელში ბავშვებს არ ჰქონდათ .....დასასხდომი და სხვა საჭირო საგნები, მაგრამ თავისი მეცადინეობით (მასწავლებელ ჯანუევმა) მშვენიერად შეასწავლა ამ ცოტა ხანში უბირი ხალხის შვილებს წერა-კითხვა, ლოცვები და ზოგიერთი საგალობელი"..., რისთვისაც ადგილობრივი მოსახლეობა მის მიმართ მადლიერების გრძნობებს გამოხატავდა[473]. ხალხი კავკავის ეპისკოპოსს—ვლადიმერს თხოვდა ყურადღება მიექცია ზაყის სკოლისათვის. დახმარება გაეწია მისთვის სასწავლო წიგნებისა და ნივთების შეძენის საქმეში. მაგრამ სკოლის მდგომარეობა დიდხანს კვლავინდებურად გრძელდებოდა, რაც მოსახლეობაში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. მთიელთა შორის უკმაყოფილების ზრდას ხელს უწყობდა არა მარტო ეკონომიური სიდუხჭირე, პოლიტიკური ჩაგვრა და თვითნებობა, არამედ ხალხის სწავლა-განათლების საქმისადმი ცარიზმის ადგილობრივ მოხელეთა გულგრილი დამოკიდებულება. ცნობილია მაგალითად, რომ 1888 წელს ქურთის, კეხვის, ქვემო და ზემო აჩაბეთის მოსახლეობა, რომელიც ორიათას კომლს ითვლიდა, მოითხოვდა თავიანთ ხარჯზე სკოლის გახსნას, მაგრამ მთავრობის ადგილობრივ მოხელეთა მხრივ უზრუნველობისა და სკოლის შესანახი სახსრების სიმძიმით მოსახლეობის დაშინების გამო, ხალხის ეს თხოვნა დიდხანს არ ყოფილა დაკმაყოფილებული[474]. იყო შემთხვევები,

---

472 გაზ. „ივერია", 1888 წ., № 125, გვ. 3.
473 ჟურნ. „მწყემსი". 1895 წ., № 11, გვ. 5—6.
474 გაზ. „ივერია", 1888 წ., № 167, გვ. 2.

როდესაც მდიდრები (ალდარები და ბადელიატები) უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ თავიანთი შვილების ღარიბთა ბავშვებთან ერთად ერთ სკოლაში სწავლის გამო და თავიანთი ბავშვებისათვის მოითხოვდნენ ცალკე სკოლის გახსნას. ამგვარი მდგომარეობა სოფლის ორ ბანაკს შორის ხელს უწყობდა შეურიგებელი ბრძოლის გაძლიერებას. ასე მაგალითად, 1903 წლის 28 აგვისტოს სოფ. შანაევოს ღარიბი მოსახლეობის მიერ არჩეული „სასკოლო კომისია" თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორს თხოვდა არაალდართა ბავშვებისათვის ცალკე სკოლის დაარსებას. ღარიბი სოფლელების ეს თხოვნა იმით იყო დასაბუთებული, რომ მდიდარი ალდარები და მათი შვილები დასცინოდნენ ღარიბთა ბავშვებს, აბუჩად იგდებდნენ მათ, არ სურდათ, რომ მათი შვილები ღარიბთა ბავშვების გვერდით მსხდარიყვნენ. ამის გამო ღარიბი მშობლები მათ მიერ (3000 მანეთად) აგებულ სკოლის შენობაში (სოფლის ღარიბი ბავშვებისათვის) მოითხოვდნენ ცალკე სკოლის გახსნას და განათლების სამინისტროს ხარჯზე (600 მან. წლიური ხელფასით) მასწავლებლის მოწვევას. მათი გაგებით, არსებულ ზნე-ჩვეულების, რწმენა-შეხედულებებისა და მიდრეკილებათა პირობებში არ არის და არც შეიძლება შესაძლებელი გახდეს ღარიბებსა და მდიდრებს შორის შერიგების მიღწევა და ალდარების მხრივ მშრომელებისადმი ადამიანური დამოკიდებულების გამოჩენა[475].

მიუხედავად იმისა, რომ „ღარიბთა კომისიის" მოტივები სწორად იქნა მიჩნეული და ფორმალურად მათ სკოლის გახსნის ნებართვაც მიეცა, ფაქტიურად ღარიბი მოსახლეობის კულტურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯიც არ ყოფილა გადადგმული. მთავრობის მოხელეები სკოლების გახსნის მაგიერ ხალხის ხარჯზე ეკლესიებისა და ეკლესიის მსახურთა ბინების მშენებლობით იყვნენ დაინტერესებულნი. 1903 წლის 17 სექტემბერს თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა მიიღო ოლქის უფროსის მიმართვა, რომლითაც სოფ. ხრისტიანოვსკის ზემო მხარის მცხოვრებლებს უარი ეთქვა საქალაქო სკოლის გახსნაზე იმის გამო, რომ მოსახლეობამ დაპირების მიუხედავად ვერ შესძლო ეკლესიის მეორე შენობისა და ეკლესიის მსახურთა საცხოვრებელი ბინების აშენება. „...მე არ შეშიძლია თანხმობა განვაცხადო ორ კლასიანი სკოლის აშენებაზე, ვიდრე ზე-

---

[475] Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Терской области, дело 1903 г., № 39, Л. 1 и 29.

მოხსენებული სოფლის საზოგადოების მიერ დაკმაყოფილებული არ იქნება სოფლის **ყველაზე უფრო უსაჭიროესი** მოთხოვნილება. სახელდობრ: 1) აშენება მეორე ეკლესიისა, რადგანაც არსებული ეკლესია მოსწავლეებსაც ვერ იტევს და 2) აგება ბინისა ეკლესიის მღვდელ-მსახურთათვის, რასაც დიდი ხნის წინათ იყო დაპირებული სოფლის საზოგადოება, მაგრამ არ სრულდება"[476].

დასახელებული სოფლის მცხოვრებთა სამართლიანი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას კავკასიის „სასწავლო ოლქის მზრუნველი" კავკასიის მეფისნაცვლის—გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისადმი 1907 წლის 28 მარტს გაგზავნილ მიმართვაში იმით ასაბუთებდა, თითქოს ხრისტიანოვსკოეს მცხოვრებნი **„თავიანთი ყოფაქცევით"** არ იმსახურებენ საქალაქო სკოლის გახსნას. თავის მხრივ „სასწავლო ოლქის მზრუნველი" თერგის ოლქის უფროსის ანალოგიურ მოტივირებას ემყარებოდა, რომ „ეს სოფელი საკმაოდ მდიდარია და გარდა ამისა, თავისი **ყოფაქცევით** და **მცხოვრებთა** საერთო **განწყობილებით** არ იმსახურებს..." ორკლასიანი სკოლის გახსნასო[477].

მშრომელი ხალხის ამგვარი **„ყოფაქცევა"** და მათი **„განწყობილება"** ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, რამდენადაც მეფის თვითმპყრობელობა მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარს აცხადებდა[478]. მოსახლეობაში უკმაყოფილების გაძლიერებას ხელს უწყობდა უვარგისი სასკოლო სისტემა, სწავლების ყაზარმული რეჟიმი და აუზრდის იეზუიტური მეთოდების გამოყენება. სწავლება საეკლესიო-სამრევლო სკოლებში დოგმატური მეთოდით მიმდინარეობდა. ბავშვებს სკოლებში სხვადასხვა დროს იღებდნენ, რადგანაც სწავლის დრო არ იყო ზუსტად განსაზღვრული. უმთავრეს შემთხვევაში გაკვეთილები მთელ დღეს გრძელდებოდა. ბავშვთა უმრავლესობა (სწავლების უვარგისი სისტემის გამო) სახალხო I დაწყ. სკოლის კურსს 6—7 წელიწადსაც ვერ ამთავრებდა. სკოლებში უმთავრესად ასწავლიდნენ პედაგოგიურად გაუნათლებელი პირები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ეგოისტური მიზნებით და ეკლესიის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანებით განსაზღვრავდნენ.

---

[476] Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Терской области, дело 1907 г., № 563, лист 7.

[477] Материалы по истории осетинского народа, т. V, сборник документов по истории народного образования в Осетии, Госиздат СОНИИ 1942 г., стр. 271.

[478] ი ბ ვ ე, გვ. 272—273.

სწავლება ბავშვთათვის გაუგებარ ენაზე მიმდინარეობდა. რელიგიური დოგმატების ზეპირირება და ვერბალური სწავლება მოსწავლეთა ინიციატივას ახშობდა. პედაგოგიურ პროცესში დამკვიდრებული იყო „მეთოდები ტექსტების მშრალი ზეპირობისა, სადაც იდევნებოდა კონკრეტულობა და თვალსაჩინოება"[479]. მასწავლებელთა მიმართვებსა და დახასიათებებში მოსწავლეები ხშირად „მხეცებად", „უხეშებად", „უზრდელებად" და „უკულტუროებად" იწოდებოდა. აღზრდის მთავარ პრინციპებად გამოყენებული იყო მთის მცხოვრებთა ახალგაზრდობაში „ველური სულის ჩაღრმობა". ბავშვთა „გამოსწორების" მეთოდთა შორის გაბატონებული იყო მოსწავლის კარცერში ჯდომა, გარიცხვა, როზგი და უსადილოდ დატოვება[480].

სკოლების მატერიალური ბაზა უაღრესად ჩამორჩენილი და ღარიბი იყო. ბავშვთა თავშესაფარებსა და პანსიონებში მყოფი მოსწავლეთა უმრავლესობა მათხოვრულ მდგომარეობაში ცხოვრობდა. მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ეკონომიურ სივიწროეს განიცდიდა.

ოსთა შორის თავისი სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნების განსახორციელებლად მეფის მთავრობა სხვადასხვა მეთოდებს ძიმართავდა. ამავე მიზნებს ემსახურებოდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. სასკოლო ბიბლიოთეკები სავსე იყო საეკლესიო მორალური ხასიათის წიგნებით, რომლებიც ათეული წლების მანძილზე თაროებზე ხელშეუხებლად ეწყო[481]. ამგვარი წიგნებით ხელს უწყობდნენ მოსწავლეთა გონების დაბნელებას. მოსწავლეებისაგან ადგენდნენ მგალობელთა გუნდებს, რომელთაც სასკოლო დილა-საღამოებზე და რელიგიური დღესასწაულებების დროს (ეკლესიებში) ავალდებულებდნენ საეკლესიო საგალობლებისა და სხვა ცერემონიალების შესრულებას. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიერ დამტკიცებული განაწესით საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლებს ევალებოდათ:

ა) ეკლესიებში ღვთისმსახურებისათვის (კვირა-უქმე დღეებში) მოსწავლეთა სისტემატური ტარება:

---

479 Отчет Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907 гг., Тифлис, 1909 г., стр 52—56.

480 Известия, Сев. Кавк. пед. института, т. XIII, 1937 г., стр. 275-276.

481 საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 649, ფურც. 12—15, საქმე № 970, ფურც. 14, 37—38, გვ. 64—67.

ბ) საეკლესიო კითხვასა და გალობაში მოსწავლეთა პრაქტიკული ვარჯიშების მოწყობა;

გ) გაკვეთილების დაწყებამდე (სამღვთო სჯულის მასწავლებლის მონაწილეობით) მოსწავლეთა მიერ დილის ლოცვების შესრულება;

დ) საეკლესიო დღესასწაულების წინ და ყოველ შაბათობით, უქმე დღეების მნიშვნელობაზე ბავშვებთან საუბრების ჩასატარებლად სამღვთო სჯულის ნახევარი გაკვეთილის გამოყენება. საუბრების დროს „წმინდანებზე" განსაკუთრებული ყურადღების შეჩერება;

ვ) ბავშვებისათვის „არაქრისტიანული სახელების" ტარების, რომელთა სახელსაც ისინი ატარებენ, მოსწავლეთა შიერ თავიანთი სახელობის დღის უქმობა და ამ დღის აღსანიშნავად მოსწავლის მკაცადინეობისაგან განთავისუფლება;

ვ) ბავშვებისათვის არაქრისტიანული სახელების ტარების აკრძალვა, მშობელთა მიმართ შვილებისადმი ამგვარი სახელწოდების მინიჭების წინააღმდეგ ზომების მიღება;

ზ) მშობელთა დავალდებულება, რომ სახლში ჰქონდეთ ხატები, მკერდზე კი — ყველას ეკიდოს ჯვრები.

ამავე მიზნით ეკლესიის კარების წინ მღვდლების მორიგეობის დაწესება და ა. შ.[482].

ამგვარი „მორალური კოდექსებით" ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის მესვეურები „...მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას იმდენად არ ზრდიდნენ, რამდენადაც ჰგეშავდნენ იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოდ" (ლენინი).

ამასთან ერთად ცნობილია, რომ „...ღმერთის სახელით ლაპარაკობდა სამღვდელოება, ლაპარაკობდა ბურჟუაზია, რათა დაეცვათ და გაეტარებიათ თავისი ექსპლოატატორული ინტერესები" (ლენინი).

ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ჩაგვრა, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში თანდათანობით ძლიერდებოდა, კავკასიის მთის ხალხებს ბიძგს აძლევდა უფრო აქტიურად ჩაბმულიყვნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის 9 იანვრის ამბებმა ხალხის მძლავრი აზვირთება გამოიწვია არა მარტო რუსეთში, არამედ მის განაპირა მხარეებშიაც. მუშათა და გლეხთა მასობრივ გამოსვლებს (მეფის ტახტის წინა-

---

[482] იქვე, ფონდი 141, საქმე № 955, ფურც. 2—3. შდრ დოკ. პ. ი. გადიევის დასახ. ნაშრომი, გვ. 103—104.

აღმდეგ) შეუერთდნენ მშრომელი ინტელიგენციის მოწინავე ძალები, მასწავლებელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა. ამ უკანასკნელთა პროტესტებს, უკმაყოფილებას, ძალობრივ გამოსვლებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა, როგორც ცენტრალურ რუსეთში, ისე კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში, მათ შორის: თბილისში, ბაქოში, გროზნოში, ვლადიკავკაზში, არდონში, ბათუმში და ა. შ.

აჯანყებულ ოსებზე ძლიერ გამარჯვოლუციონერებელ ვავლენას ახდენდა მარქსისტული იდეები. 1905—1907 წწ. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩრდილოეთ ოსეთის სკოლის მოწინავე პედაგოგები (ხარიტონ ურუმაგოვი, ანდრო ცალაგოვი და სხვ.) და მოსწავლეები, რომელთა ნაწილი „მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებისათვის" დასჯილ იქნენ, როგორც პატიმრობით, ისე სამსახურიდან გადაყენებით, სკოლიდან გარიცხვით და ა. შ. მთავრობა აჯანყების მონაწილეებს სასტიკი ტერორით, ხოცვა-ჟლეტით, საღრჩობელებით, კარცერებით, როზგით და დასჯის სხვა ზომების გამოყენებით უმასპინძლდებოდა. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულ მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა მოითხოვდა:

ა) სწავლა-აღზრდის არსებული სისტემის რადიკალურად შეცვლას ახალი, სახალხო-დემოკრატიულ საფუძვლებზე აგებული სასკოლო სისტემით;

ბ) საყოველთაო-სავალდებულო — უფასო სწავლების შემოღებას და სახელმწიფოს ხარჯზე ბავშვების აღზრდას;

გ) მშობლიურ ენაზე სწავლების დამყარებას და რუსული ენის ერთ-ერთ სასწავლო საგნად შემოღებას;

დ) სკოლის დაახლოებას ცხოვრებასთან და ოჯახის აქტიურად ჩაბმას განათლების საქმეში;

ე) როგორც სახალხო პირველდაწყებითი, ისე საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ადგილობრივ დაარსებას და სკოლის საფეხურებს შორის წინაალმდეგობათა მოსპობას;

ვ) სკოლებიდან რელიგიისა და ფიზიკური სასჯელების უკუგდებას და ბავშვის პიროვნების პატავისცემას და ა. შ.

მშრომელი მასების, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ძიერ ანალოგიური ხასიათის მოთხოვნების წამოყენება და მზარდი ბრძოლა აღნიშნულ მოთხოვნილებათა განხორციელებისათვის რუსეთის სდმპ რევოლუციურ-მარქსისტული, ბოლშევიკური ორგანიზაციების განუხრელი ორგანიზატორული ხელმძღვანელობის

შედეგს წარმოადგენდა. რუსეთისა და კავკასიის სხვა კუთხეების მსგავსად, ოსეთის სკოლების მასწავლებელთა ნაწილი ბოლშევიკების მხარეზე იდგა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუშებსა და გლეხებში რევოლუციური იდეების დანერგვასა და მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებათა გავრცელების საქმეში.

1905 წელს აჯანყდნენ დიგორელი გლეხები, რომელთა მხარდამხარ იბრძოდნენ მასწავლებლები და მოსწავლეები. ისინი არსებული სახელმწიფოებრივი წყობის დამხობასთან ერთად ცარიზმის სასკოლო სისტემის ძირეულად შეცვლას მოითხოვდნენ. 1905 წლის ივლისში მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გაცემულ იქნა განკარგულება რევოლუციურად განწყობილ მასწავლებელთა სამსახურიდან გადაყენებისა და მათ ადგილებზე (ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში) ვიზიტორების მოწვევის შესახებ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი[483]. მასწავლებელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური ნაწილი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა თვითმპყრობელობის ყველა საშინელებათა წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც ინტელიგენციის ლიბერალური ჯგუფი (1905 წლის ივნისში) სასკოლო რეფორმებით, ხალხის „მშვიდობიანი კულტურული განვითარებით“ და „ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების“ მოთხოვნით კმაყოფილდებოდა[484]. ამგვარი ლიბერალური მოთხოვნები ოსი მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის რევოლუციისაგან ჩამოცილებისა და სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის შესუსტებისაკენ იყო მიმართული.

მასწავლებელთა ერთ ნაწილზე ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგიური ზეგავლენის გაძლიერების შედეგად, 1905 წლის აგვისტოში არდონში მოწვეულმა მასწავლებელთა ყრილობამ ელადიკავკაზისა და მოზდოკის ეპისკოპოსის—გედეონის სახელზე ლიბერალური ხასიათის პეტიცია გაგზავნა, რომლითაც მოითხოვა: ა) საეკლესიო-სამრევლო სკოლას ეწოდოს სახალხო სკოლა; ბ) შეიკვეცოს სამღვთო სჯულის პროგრამა; გ) მშობლიური ენა შემოღებულ იქნას, როგორც სავალდებულო სასწავლო საგანი; დ) გაუმჯობესდეს მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა; ე) შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი სკოლის ცხოვრებაში[485].

---

[483] История Осетии (макет), ч. I-я, 1954 г., стр. 234.

[484] Газ. „Тифлисский листок“, 1905 г., № 133.

[485] История Осетии (макет), часть первая, 1954 г., стр. 233—234.

ამგვარი ლიბერალური, ოპორტუნისტული და მთავრობასთან შემრიგებლური მოთხოვნებით გამოსვლა დამახასიათებელი იყო მასწავლებელთა პრივილეგიური ნაწილისათვის (ე. წ. პოლიტიკანებისათვის), რომელიც მთავრობის მოხელეთა ნასუფრალით ცხოვრობდა.

ინტელიგენციის სწორედ ამ მერყევი ნაწილის შესახებ, რევოლუციონერი მასწავლებელი მ. ი. ვასილიევი ბაქოდან თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობას სწერდა: „...ასეთი მახინჯები გახსაკუთრებით ბევრი აღმოჩნდა მასწავლებელთა შორის. სახალხო დაბნელების სამინისტროს ამ საზიზღარ მოხელეებს ასეთ ღირსშესანიშნავ მომენტშიც კი, მეფის მთავრობის იმ საშინელ დანაშაულობათა შემდეგ, რაც მათ თავიანთი თვალით ნახეს, იმდენი გაბედაობა არ აღმოაჩნდათ, რომ გამოსულიყვნენ ხალხის საძულველი მტრის რიგებიდან და ებრძოლათ მის წინააღმდეგ ყველა პატიოსან მოქალაქეებთან ერთად. ამით მათ აშკარად აღიარეს თავიანთი სოლიდარობა ხალხის მტრებთან, აშკარად გაისვარეს ხელი მის უდანაშაულო ურიცხვ მსხვერპლთა სისხლში, რისთვისაც ამიერიდან ყველა პატიოსანი ადამიანი ზიზღით ზურგს შეაქცევს მათ"[486].

მასწავლებელთა ლიბერალური ჯგუფების ოპორტუნისტული საქმიანობის წინააღმდეგ. პედაგოგთა პროგრესული ნაწილი, კავკასიის მთელ მშრომელ მასებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, ცარიზმის დამხობისა და სწავლა-აღზრდის ახალი სისტემის შემოღებისათვის იბრძოდა.

1905—1907 წწ. რევოლუციურ მოძრაობაში ფართოდ ჩაება კავკასიის ძოწინავე ახალგაზრდობა. კავკასიის ახალგაზრდობის გამოსვლა მეფის ტახტის წინააღმდეგ მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. „რუსეთისა და კერძოდ კავკასიის სკოლა,— წერდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე — სიმონ ქვარიანი,— სრულიად დაშორებულია ჭეშმარიტ პედაგოგიურ ნიადაგს, როგორც სწავლის სისტემაში, ისე აღზრდაში. იგი გაჟღენთილია ვიწრო პოლიტიკური ტენდენციით..., ბიუროკრატიზმის დამხშობელ ატმოსფეროთი. აქ გამეფებულია პოლიციური სისტემა და ყაზარმული დისციპლინა. სასტიკი რეჟიმი ხუთავს ახალგაზრდობის სულს, ჰკლავს მის ინტელექტში შექმნილ

---

[486] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივი, ფონდი 33, საქმე № 477, ფურც. 1, 1905 წ., იხ. წერილი, რომელიც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ცალკე ფურცლად გამოსცა.

ძალას და ინიციატივას, უდუნებს ხასიათს, ენერგიას და უსეტყვავს ზნეობას. ამის შემდეგ აღარაა გასაკვირი, თუ ეს ახალგაზრდობა უცხადებს პროტესტს სკოლის რეჟიმს, თუ მათ სწადიან დამხუთველი ჰაერის გაწმენდა და აკადემიური თავისუფლების ცხოველმყოფელ სხივების შემოშვება სასწავლებელთა შენობაში, იმ თავისუფლებისა, რომელსაც თხოულობენ დღეს მთელი რუსეთის უმაღლესი და საშუალო სასწავლებელნი, საუკეთესო პროფესორები და მასწავლებელნი. **დღეს დროა შეიცვალოს ძირიანად სკოლის მავნე სისტემა,** დროა დაარსდეს სასწავლებელნი, რომელთაც უნდა მოგვცენ საჭირო თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მხნე, ფხიზელი, საქმიანი და მართლმოყვარე მოქალაქენი"[487].

არსებული უვარგისი სასკოლო სისტემის ძირეულად შეცვლას, სწავლების დემოკრატიზაციას, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მოწყობას, მოსწავლეთა პირადი ღირსების დაფასებას, ფიზიკური სასჯელის აღკვეთას და აღზრდა-განათლების დარგში სხვა რეფორმების გატარებას მოითხოვდნენ როგორც ჩრდილო ოსეთის, ისე გორისა და თუშეთის მაზრების ოსური სოფლების მშრომელები და ოსი ახალგაზრდობა.

1905 წლის 13 მარტს სოფ. თამარაშენის, შინდისის და დგვრისის მშრომელთა 15 ათასიანმა შეკრებამ აღნიშნა, რომ მათ გულით უნდოდათ ესწავლებინათ შვილებისათვის, მაგრამ ეს ვერ შესძლეს სიღარიბის გამო, ვინაიდან მათ შემოსავალს იტაცებენ მებატონეები, მღვდლები, აქციზი, მამასახლისი, მწერალი და მენალოგეები[488].

1905 წლის მარტის შუა რიცხვებში ახალგორის გლეხობა მთავრობას თხოვდა: უფასო საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებას 16 წლამდე ახალგაზრდობისათვის, ღარიბ მოსწავლეთა აღზრდას სახელმწიფოს ხარჯზე, ბავშვთა უზრუნველყოფას ტანსაცმლითა და უფასო სასწავლო ნივთებით და ა. შ.[489]

ქსნისა, ლიახვის და არაგვის ხეობების ოს გლეხთა მიტინგებზე მშრომელები მოითხოვდნენ:

ა) სკოლების ქსელის გაშლას; ბ) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებას; გ) სკოლების რეორგანიზაციას; დ) მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებას; ე) რუსული ენის ერთ-ერთ

---

[487] გაზ. „ივერია", 1905 წ., № 6, გვ. 2–3.
[488] ჟურნ. „მოგზაური", 1905 წ., № 10, გვ. 140.
[489] ჟურნ. „მოგზაური", 1905 წ., № 11, გვ. 175.

საეკლესიო სასწავლო საგნად დატოვებას; ვ) ოთხკლასიანი სასწავლებლის დაარსებას სამეურნეო განყოფილებით; ზ) ქალთა სკოლების დაარსებას (საჭირო რაოდენობით)—პროფესიული განყოფილებით; თ) დაბალ და საშუალო სკოლებს შორის კავშირის განმტკიცებას; ი) საშუალო სკოლებში სტიპენდიატთა რიცხვის (20-მდე) გადიდებას და ა. შ.[490]. ცხადია, აღნიშნულ მოთხოვნათა განხორციელება რევოლუციის გამარჯვებაზე, ცარიზმის დამხობაზე და მშრომელი მასების მიერ ძალაუფლების მოპოვებაზე იყო დამოკიდებული.

1905—1907 წწ. რევოლუციურმა ტალღებმა ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და სას. სემინარიის კედლებშიაც შეაღწია. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, როდესაც „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" „1906—1907 წწ. მოქმედების ანგარიშში" წერდა: „1906 წლის პირველი ნახევარი სწავლის მხრივ უნდა ჩაითვალოს „დაღუპულად". ცნობილმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩაითრია აგრეთვე საეკლესიო-სამრევლო სკოლებიც, შეიტანა მათში სრული განადგურება და არევ-დარევა"[491].

ასეთივე „არევ-დარევა" და „უწესობანი" 1905 წ. ფართოდ ვრცელდებოდა არდონის სასულიერო სემინარიაში, სადაც სემინარისტებმა უარი თქვეს მეცადინეობის გაგრძელებაზე და მოითხოვეს სასწავლებელში „საჭირო რეფორმის" განხორციელება.

1905—1906 წწ. ქ. ვლადიკავკაზში და საერთოდ, თერგის ოლქში (მუშებსა და ინტელიგენციაში) ფართოდ ვრცელდებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები, რომელიც მშრომელებს ცარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

„ოსებით დასახლებულ მრავალ სოფელში, უმთავრესად სოფ. არდონის გარშემო და იქ, სადაც ოსური მისიონერული სემინარია არსებობს,— თერგის ოლქის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი უპატაკებდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსს,— საგრძნობი რაოდენობით იყო გავრცელებული რუსულად დაბეჭდილი პროკლამაციები, გამოცემული „რუსეთის სდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის" მიერ, სათაურით: „ოსებისა და კავკასიის

---

[490] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2796, გვ. 2.

[491] Отчет Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907 гг., Тифлис, 1909 г., стр. 47.

მთიელებისადმი"[492]. ცხადია, ეს და ამგვარი პროკლამაციები მოსწავლეებზე ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა, ხელს უწყობდა მათი მონაწილეობის გაძლიერებას ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ყოველივე ამის შედეგად, თუ 1905 ნოემბერში საქმე „მშვიდობიანად" დამთავრდა, 1906 წლის დასაწყისში მღელვარებამ კვლავ თავი იჩინა და უფრო მწვავე ბასიათი მიიღო.

ადმინისტრაციის ცნობით, აღნიშნული წლის 22 მარტს სემინარისტებმა ე. წ. „წმინდა ფინჯანი" („მირონის" მაგიერ) საწამლავით შეავსეს, ხოლო 20 აპრილს სემინარიის შენობის კოშკს ხანძარი გაუჩინეს იმ მიზნით, რომ „ძიელწიათ სემინარიის დახურვისა და ხელმძღვანელობის გარეკვისათვის"[493]. რა თქმა უნდა, სემინარისტების მოძრაობა რევოლუციის მოთხოვნილებათა დონემდე არ ამაღლებულა, მაგრამ იგი არც ისე შეზღუდულ და ვიწრო ხასიათს ატარებდა, როგორც მას სემინარიის ხელმძღვანელობა სასურდა.

ჯერ კიდევ 1906 წლის 6 მარტს არდონის მისიონერული სასულიერო სემინარიის რექტორი არსენი სასწავლო კომიტეტისადმი წარდგენილ „მოხსენებით ბარათში" მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ თერგის ოლქის სამხედრო-სამოქალაქო და ეპარქიული ხელისუფლება მას ბრალად სდებდნენ რევოლუციური იდეების პროპაგანდას. არსენის აზრით, სემინარიაში არავითარ რევოლუციურ გამოსვლებს არ ჰქონია ადგილი, თუმცა გენერალ-გუბერნატორის მტკიცებით, დაპატიმრებული რამდენიმე მასწავლებელი ოსები იყვნენ, რომელთაც არდონის სემინარია ან ოსური სასულიერო სასწავლებელი ჰქონდათ დამთავრებული. სემინარიის ხელმძღვანელთა განცხადებით, ამჟამად მოსწავლეთა შორის არ იყო შემჩნეული არავითარი მოძრაობა. ამის საბუთად სემინარიის ადმინისტრაცია ასახელებდა იმ ფაქტს, რომ 1905 წელს, როდესაც სემინარიის კედლებში მასიურად ჰყრიდნენ პროკლამაციებს, სემინარიელებს იგი ინსპექციაში მიჰქონდა.

„მართალია, ოსეთში ენერგიული პოლიტიკური პროპაგანდა მიმდინარეობს და მასში არდონის სასულიერო სემინარიიდან გამოსული ოსეთის სკოლების ბევრი მასწავლებელი იღებს თვალსაჩინო მონაწილეობას, მაგრამ ასეთი პირები წინადაა გამოშვე-

---

[492] История Осетии (макет), часть I-ая, 1954 г., стр. 236.
[493] იქვე, გვ. 84—85.

ბული და უცნობია სემინარიის ახლანდელი შემადგენლობისათვის“,— თერგის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციას და სასწავლებელთა ხელმძღვანელობას „არწმუნებდა“ სემინარიის რექტორი[494].

მიუხედავად ამგვარი „მტკიცებისა“, 1907 წლის 7 მაისს თერგის სამხ. ოლქის კანცელარიის უფროსი თავის ხელმძღვანელობას „სრულიად საიდუმლოდ“ აცნობებდა არდონის სემინარიაში მომხდარი გაფიცვებისა და მღელვარების სასწრაფოდ ჩაქრობის აუცილებლობის შესახებ.

ჯერ კიდევ 1907 წლის 3 მაისს სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ გედეონის წინადადებით სემინარისტების მღელვარების გამო მიიღო დადგენილება ახალ წლამდე III—IV კლასების დახურვისა და I კლასის იმ მოსწავლეთა (ივან გეტოევის, ნიკოლა კარდანოვის, ალექსანდრე როგატკინის და ტიხონა სტროგენსკოს) სკოლიდან გარიცხვის შესახებ, რომლებიც „...შემჩნეულ იქნენ **უწესრიგობისაკენ** ამხანაგების წაქეზებაში“[495]. ამასთან ერთად, სემინარიაში „ჩხრეკის“ ჩასატარებლად, მოსწავლეთა „მღელვარების ჩასაქრობად“, სასწავლებლიდან დათხოვნილ სემინარისტთა „საკბოვრებელ ადგილებზე“ გაგზავნის უზრუნველსაყოფად და „წესრიგის აღსადგენად“ ალაგირის სამხედრო ნაწილებიდან გამოწვეულ იქნენ ყაზახთა რაზმები. გარიცხულ მოსწავლეთა შორის ხელისუფლებისათვის „ყველაზე საშიშ პირებად“ გამოცხადებულ იქნენ: იაკობ ალადეიკოვი (სოფ. ნუზალიდან), სიმონ ახშაცავა (სოხუმელი — სოფ. ლიხნიდან), გრიგოლ კოჩიევი (გორის მაზრის—სოფ. ჯავიდან) და სხვები, რომელთაც აკრძალული ჰქონდათ სემინარიაში დაბრუნება.

როგორც ვლადიკავკაზის ოლქის გენერალ-გუბერნატორის 1907 წლის 9 მაისის „რაპორტიდან“ ირკვევა, სემინარიაში ადგილი ჰქონდა: ა) მოსწავლეთა კუთვნილი პროდუქტების, ტანსაცმელისა და ნივთების მითვისებასა და განიავებას; ბ) სემინარიელთა დამცირების, აბუჩად აგდებისა და მათ მიმართ უხეშად მოპყრობის შემთხვევებს; გ) ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს სემინარისტების მიერ „უწესო პოზის“ მიღების გამოვლინებებს; დ) მოსწავლეთა

---

[494] Архив СОНИИ, фонд прокуроры окружного суда, дело 1906 г. № 30.

[495] Сборник по истории народного образования в Осетии, Госиздат. С/О. 1942 г., стр. 251—253.

არალეგალურ სხდომებს, რომლებზედაც სემინარიის ადმინისტრაციისათვის „გაურკვეველი საკითხები“ ირჩეოდა და ა. შ.[467].

ამრიგად, სემინარიელთა მღელვარება, წარმოადგენდა არა მარტო მათი აუტანელი ეკონომიური შევიწროებისა და ყაზარმული სასკოლო რეჟიმის გაძლიერების შედეგს, არამედ იმ უდიდესი იდეოლოგიური მუშაობის ნაყოფსაც, რომელსაც ჩრ. ოსეთში ოსმპ რევოლუციურ-მარქსისტული ორგანიზაცია ატარებდა.

1905 წლის ბოლოს, როგორც ცნობილია, ვლადიკავკაზში ჩავიდნენ ქართველი ბოლშევიკები: ნოე ბუაჩიძე და ნიკოლოზ კიკნაძე, რომლებმაც უზრუნველჰყვეს ამიერკავკასიისა და თერგის ოლქის რევოლუციურ ს. დ. ორგანიზაციებს შორის კავშირის განმტკიცება. ვლადიკავკაზის ბოლშევიკური ორგანიზაციები ნოე ბუაჩიძისა და სხვათა ხელმძღვანელობით ოსეთის მშრომელთა შორის დიდ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელთა რევოლუციური შეგნების აძაღლებისა და ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის მომზადებისათვის.

1905 წლის 18 და 19 ოქტომბერს ვლადიკავკაზში მეფის მანიფესტის წინააღმდეგ მღელვარებასა და გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი მოსწავლე ახალგაზრდობა. 6 მოკლულსა და დაჭრილებს შორის იყო რეალური სასწავლებლის მოსწავლე ვიქტორ ძუწევი, რომელიც 1906 წლის ივნისში გარდაიცვალა. მოსწავლე ძუწევის დაკრძალვის დღეს (1906 წ. 26 ივნისს) ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და მისი ხელმძღვანელის — ნოე ბუაჩიძის წინამძღოლობით მეფის ხელისუფლების ვანდალური მოქმედების წინააღმდეგ უდიდესი პოლიტიკური დემონსტრაცია ჩატარდა. ამგვარი მანიფესტაციები და რევოლუციური გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ (სასტიკი რეპრესიების მიუხედავად) რეაქციის პერიოდშიაც გრძელდებოდა.

1908—1909 წწ. რეაქციის ძალები რევოლუციური ფრონტის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. იატაკქვეშეთის სტაბბა მთავრობამ ხელთ ჩაიგდო. დაიწყო მუშათა რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დარბევა, მათ ხელმძღვანელთა (ნ. ბუაჩიძე და სხვ.) დევნა და გასამართლება, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შევიწროება და დაპატიმრება. დახურეს რევოლუციურ-პროგრესული გაზეთები: „უტრო გორ“, „ვეს კავკაზ“, „ირონ გაზეტ“, „ნოვაია ჟიზნ“,

---

[467] ი ბ ვ ე, გვ. 253—254.

„ზონდ“ და სხვა. სკოლებში დამკვიდრდა მათრახი და ყაზარმული დისციპლინა. ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ ოსეთში სამუშაოდ ვ. ი. ლენინის საუკეთესო მოწაფის-- კიროვის გადასვლას, მის ბრძოლას დაქსაქსული რსდმპ ბოლშევიკური ორგანიზაციების გაერთიანებისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის ახალ რელსებზე შეყენებისათვის. კიროვი რევოლუციურ-მარქსისტულ პროპაგანდას, პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობას მასებში განუყრელად უკავშირებდა კულტურულ-მასობრივ მუშაობას. მისი ინიციატივით მოეწყო (ალაგირის ქარხანაში) **საკვირაო სკოლა**, სადაც მუშებს „რუსულ ენას“ ასწავლიდა, ხოლო ასეთი გაკვეთილები ხშირად პოლიტიკურ საუბრებად იქცეოდა. იგი გაზ. „ტერეკში“ ათავსებდა ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილებს, კავკასიის მთის ხალხებში და კერძოდ მთის ხალხთა ინტელიგენციაში აწარმოებდა ფართო მასშტაბის რევოლუციურ—მარქსისტულ მუშაობას, რაც თავის მხრივ როგორც მასწავლებლებზე, ისე მოსწავლე ახალგაზრდობაზე გაძარევოლუციონერებელ ზეგავლენას ახდენდა. ს. მ. კიროვი, ნ. ბუაჩიძე, ს. ორჯონიკიძე და სხვები (ოსი ხალხის საუკეთესო შვილებთან ერთად) ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელებს რაზმავდნენ თვითმპყრობელობის დამხობისათვის, რევოლუციის გაძარჯვებამდე მიყვანისა და მუშათა კლასის საბრძოლო ამოცანების ბოლომდე განხორციელებისათვის.

მეფის მოხელეები კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერს აქეზებდა ურთიერთ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ეროვნებათა შორის შუღლისა და მტრობის გაღვიძებისაკენ, ხოლო ყოველივე ამას, ცარიზმი, ჩვენს მხარეში „კულტურული საწყისების დანერგვის“ საბაბით აკეთებდა.

„...კავკასიის ყველა ხალხი მტრულადაა განწყობილი ერთიმეორის წინააღმდეგ, ურიგდებიან თავიანთ თანაცხოვრებას ძხოლოდ რუსული ხელისუფლების გავლენით. უამისოდ ეხლავე შექმნიდნენ სისხლისმღვრელ მეტოქეობასო“,— არწმუნებდა გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი (თავის „უქვეშევრდომილეს ანგარიშში“) რუსეთის სამეფო ტახტის მფლობელს — ნიკოლოზ მეორეს[197]. მაგრამ, ამგვარი „მტკიცება“ სიყალბეს წარმოადგენდა. ქართველთა და ოსთა შორის კულტურული კავშირი და მეგობრული განწყობილება კვლავ ცოცხლობდა. როგორც გავეცანით, რუსი, ქართველი და

---

[197] ვორონცოვ-დაშკოვის „უქვეშევრდომილესი ანგარიში“, 1913 წ., გვ. 14.

ოსი ხალხის საუკეთესო შვილები, სამივე ერის განათლებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები, თვითმპყრობელობის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებისა და ახალგაზრდობის ბედნიერი მომავლის შექმნისათვის იბრძოდნენ.

ოსი ხალხის საყვარელი პოეტის, მთის ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის გამოჩენილი მებრძოლისა და ქართველთა იშვიათი მეგობრის — კოსტა ხეთაგუროვის ლექსში, ქართველი საზოგადო მოღვაწის „მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალებაზე" გამოხატულია ქართველთა და ოსთა განუყრელი მეგობრობა, სულიერი კავშირი, კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობა და გულწრფელი სიყვარულის გრძნობები.

„მოკვდა... ეს სიტყვა ცივი, დუხჭირი,
ისმის მწუხარედ, გული სცემს ობლად.
გარდაიცვალა, შენ ახლა სტირი,
ჩვენო კავკასო, ჩვენო სამშობლო,
შვილი დაკარგე შენ ღირსეული...
რაც გვიანდერძე საუნჯე წმინდა,
როგორც ქართველის სახე ჩვეული,
ჩვენს დაუვიწყარ ძმაში გაბრწყინდა.
განა ბევრია თავგანწირული,
ვინც ხალხს შესწირა სიცოცხლე მთელი,
ვისი ბრძოლაა მუდამ გმირული,
ვისაც ქოხებში შეაქვს ნათელი?
არ არის ბევრი, მებრძოლის სახელს,
შთამომავალი იტყვის მრავალი,
ვუსმენ, კავკასო, შენ გლოვის ძახილს,
რომ კვლავ ვიწამო მე მომავალი"[498].

დიდმა ოსმა პოეტმა—კოსტა ხეთაგუროვმა მ. ყიფიანში დაინახა „დაუვიწყარ ძმაში გაბრწყინებული" ქართველის „სახე ჩვეული", ხალხისათვის თავგანწირული, გმირი მებრძოლი, ვისაც ღარიბთა ქოხებში შეჰქონდა განათლებისა და კულტურის „შუქი ნათელი".

კ. ხეთაგუროვი ქართველ მშრომელ ხალხში, მის ნიჭიერ შვილებში ხედავდა საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. ამგვარი

---

[498] კ. ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი, რჩეული ნაწერების კრებული, სამხრეთ ოსეთის სახელგამი, 1939 წ.. გვ. 200.

ადამიანური თვისებებისადმი სიყვარულისა და ქართველი ხალხისადმი გულწრფელი პატივისცემის ნიშნად შექმნა მან ძ. ყიფიანის პორტრეტი.

მაგრამ არა მარტო ოსი ხალხი და მისი საუკეთესო შვილები აფასებდნენ ქართველ ხალხს, მის კულტურას და ღირსეულ შვილთა სასახელო მოღვაწეობას. ქართველი ხალხი, ქართული კულტურის მოღვაწენი კიდევ უფრო მეტად იბრძოდნენ ოსი ხალხის განათლების დონის ამაღლებისათვის. ამას ნათლად ადასტურებს გამოჩენილი ქართველი პედაგოგის ლ. ბოცვაძის მიერ კავკავში ქართველთა და ოსთა დამეგობრებისათვის გაწეული უდიდესი მუშაობა, მათთვის სკოლების, სახალხო სახლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გახსნა, ოს მოსახლეობაში წიგნიერებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება.

ოსი ხალხის საყვარელი შვილის—კოსტა ხეთაგუროვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზ. „ტერეკში" გამოქვეყნებულ წერილში ლ. ბოცვაძე წერდა:

„დადუმდა საუკუნოდ მოციქული სიმართლისა, თანასწორობისა და თავისუფლებისა. ძვირფასი კავკასიის ცის კამარას მოსწყდა ერთი შუქურა ვარსკვლავი, რომელიც თავის ნათელ სხივებს მიმოაფენდა სამშობლო ქვეყნის ყოველ ტევრსა და სახლს".

ბოცვაძისავე სიტყვით .....კოსტამ განვლო ეკლიანი გზა და გზასვე უკაფავდა იგი მომავალ თაობას, რომელსაც არ მოუხდება გამოსცადოს ის, რაც თავის მხრებზე გადაიტანა უუმძიმეს დროს თავისუფლების მწერალმა და მამაცმა მებრძოლმა".

ლუარსაბ ბოცვაძე გულწრფელად გამოხატავდა კოსტა ხეთაგუროვის გარდაცვალებით ქართველ ხალხში გამოწვეულ უსაზღვრო მწუხარებას, როდესაც იგი პოეტს მგრძნობიარე სიტყვებით მიმართავდა: „განისვენე მშვიდად, ძვირფასო მეგობარო და აძხანაგო კოსტა. ხსოვნა შენი არასოდეს არ გაჰქრება **შენი ხალხისა** და **შენი ნაცნობი და მახლობელი ქართველების გულში**, რომელნიც ყოველთვის ხედავდნენ შენში ნათელი აზრებისა და იდეების თავდადებულ მოციქულს"[499].

და მართლაც, ის ამაღელვებელი, გულწრფელი სიყვარულის გრძნობებით აღსავსე სიტყვები, რომლითაც კ. ხეთაგუროვი მ. ყიფიანს მიმართავდა, ხოლო ლ. ბოცვაძე — კოსტა ხეთაგუროვის

[499] კ. ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი, რჩეული ნაწერების კრებული, 1859 წ., გვ. 30.

მისამართით ამბობდა, იმის აშკარა საბუთს წარმოადგენს, თუ როგორ ნიადაგზე უნდა გაშლილიყო მომავალში ამ ხალხთა შორის კულტურული კავშირი და მეგობრული ურთიერთობა.

მეფის ძალაუფლების დამსობის შემდეგ (1917 წ. თებერვალი) კავკასიის ე. წ. „სოციალისტური პარტიები" ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკას ანხორციელებდა.

„...ცარიზმის მთელი ცენტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატი ნაციონალურ რაიონებში სრულიად ხელუხლებლად იქნა დატოვებული. სახელმწიფო ენას წინანდებურად რუსული ენა წარმოადგენდა. სახელმწიფო სკოლადაც რუსული სკოლა რჩებოდა"[500].

ბურჟუაზიულ-მემამულური დროებითი მთავრობის სათავეში მენშევიკების, ესერებისა და სხვა ოპორტუნისტული პარტიების ჩადგომას, შედეგად არა თუ არ მოჰყოლია ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და მშრომელთა ეკონომიურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ პირიქით, „...ნაციონალური ჩაგვრის ძველი, უხეში ფორმა შეიცვალა ახალი, მოქნილი, მაგრამ ჩაგვრის უფრო საშიში ფორმით".

კავკასიის ყველა კუთხისა და მათ შორის ოსეთის მშრომელი მოსახლეობა აშკარად დარწმუნდა, რომ მათი განთავისუფლება და კულტურული წინსვლა შეუძლებელი იყო „თავისი" ნაციონალური ბურჟუაზიის დამხობისა და თვით მშრომელი მასების მიერ ხელისუფლების ხელში აღების გარეშე.

„კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" რეაქციონური „პროგრამის" მესვეურები განთავისუფლების, სკოლისა და სწავლა-განათლების მაგიერ, ოსეთის მშრომელებს სისხლიანი ხოცვა-ჟლეტით, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ნგრევით, საპატიმროებითა და სახრჩობელებით უმასპინძლდებოდნენ[501].

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ოსი ხალხი, რუსეთისა და კავკასიის მთელ მშრომელ მასებთან ერთად, გამანადგურებელ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკური მთავრობის ნაციონალისტურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბოლშევიკები მოითხოვდნენ ოსებისათვის ნაციონალური თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას, სასტიკად აძხელდნენ მენშევიკებსა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს, რო-

---

[500] სამოქალაქო ისტორია სსრკ-ში, გვ. 208.

[501] ს. ბერიძე, 1917-1921 წლები საქართველოში, 1941 წ., გვ. 244.

მელნიც ყოველმხრივად უშლიდნენ ხელს პატარა ერების თვითგამორკვევას, ცეცხლითა და მახვილით ახშობდნენ მათს რევოლუციურ მოძრაობას[502]. თვითგამორკვევის მინიჭების, სკოლების გახსნისა და სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგების ნაცვლად, შენშევიკური მთავრობა აჯანყებულ ოსებს ბორჩალოსა და ყარაიაზში „გადასახლებით“ ემუქრებოდა.

1917—1918 წლებში სამხრეთ ოსეთში შეფის თვითმპყრობელობის დროს დაარსებული საეკლესიო-სამრევლო და საშინისტრო სკოლებიც განადგურდა. ორივე უწყების 32 სკოლის ნაცვლად (1917 წ.) 1918—19 სასწავლო წელს სკოლათა რაოდენობა 7—8-მდე შემცირდა. ხოლო მოსწავლეთა შემადგენლობა 1415-დან ორი მესამედით განითესა. ანალოგიური მდგომარეობა იყო ჩრდ. კავკასიის ოსეთში, სადაც მოიშალა სკოლები და საგრძნობლად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა. აუტანელი ეკონომიური მდგომარეობისა და სიღარიბის გამო სხვა მშრომელებთან ერთად მასწავლებლები შიმშილობდნენ. უპატრონოდ მიტოვებული სასკოლო შენობები დანგრეულ-გაძარცული იყო. ამგვარი საეალალო მდგომარეობის შედეგად, ცხინვალის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი (1917 წ.) თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების გამგეობას თავის ოჯახთან ახლოს გადაყვანას და ამ გზით „შიმშილით სიკვდილისაგან დახსნას“ სთხოვდა“[503].

1918 წლის 11 ოქტომბერს ჯავის უმ. დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი წერდა: „სკოლის მასწავლებლები ამა წლის 1 იანვრიდან დღევანდლამდე ხელფასით არ არიან დაკმაყოფილებულნი. მარტში, აპრილში და სექტემბერში ვიარე გორში, მაგრამ ყოველთვის ამაოდ. ხაზინაში ფული არ აღმოჩნდა... არ არსებობს ახლო მომავალში მისი მიღების არავითარი იმედი. აშასთანავე მასწავლებლების მდგომარეობა საშინელი ხდება — პირდაპირ შიმშილობენ“[504].

მთელს გორის მაზრაში (რომელშიაც ეხლანდელი სამხრეთ ოსეთიც შედიოდა) 1919—1920 წწ. სულ 106 სკოლა და 162 მასწავლებელი ითვლებოდა.

ქართველი ბურჟუაზია ოსთა სწავლა-განათლების საქმეს სრულიადაც არ აქცევდა ყურადღებას. გორის საბაზრო ერობის სკოლების მიმღებმა კომისიამ ყველა სკოლა ჩაიბარა .....გარდა მთა

---

[502] საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 18, საქმე № 331, ფურცელი 121.
[504] იქვე. ფონდი 16, საქმე № 44, ფურც. 1—2.

ოსეთისა", სადაც ხალხის კულტურული წინსვლისადმი მთავრობის გულგრილი დამოკიდებულების გამო სკოლები უპატრონოდ იყო მიტოვებული.

ოსეთში სკოლებისათვის არ იყო საკუთარი შენობები და კვალიფიციური მასწავლებლები, რის გამოც სწავლას მოწყურებული ოსი ბავშვები უცოდინარობის სიბნელეში იმყოფებოდა. ამის გამო გორის მაზრის განათლების განყოფილების წარმომადგენელი 1920 წელს წერდა: „ყველა სკოლებში, გარდა... ოსურისა, რომელშიაც დღესაც არ არის მეცადინეობა უმასწავლებლობის გამო, თავის დროზე დაიწყო მეცადინეობა"[505].

აღსანიშნავია ისიც, რომ 1919—1920 სასწ. წელს გორის მაზრის განათლების განყოფილებამ თავის ხარჯზე მიიღო ცხინვალის უმაღლეს დაწყ. სასწავლებელი, რომელშიაც სულ 70-მდე მოსწავლე სწავლობდა. გარდა ამისა, „...მთა-ოსეთში არსებობდა უმაღლესი პირველ-დაწყ. სასწავლებელი, სადაც ფაქტიურად მეცადინეობა არც კი სწარმოებდა"[506]. 1920 წლის 8 მარტს სამხრეთ ოსეთის ნაციონალური საბჭოს „კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია" წერდა: „ოსურ სკოლებში დღემდე მეცადინეობა არ არის მოწესრიგებული, სწავლა ნორმალურად არ მიმდინარეობს და ზოგიერთ მათგანში სულაც არ დაწყებულა"[507].

ოსეთის მშრომელები ქართველი და რუსი ხალხის ძმარდამხარ და მისი მეთაურობით იბრძოდნენ ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისა, მემამულეთა მიწების ჩამორთმევისა, მათ შენობათა სკოლებზე გადაცემისა და ხალხის სწავლა-განათლების საქმის დემოკრატიულ საწყისებზე აგებისათვის[508].

რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის კომიტეტმა ვ. ი. ლენინის დეპეშით მიმართა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის, ამასთანავე რ.კ.პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის კომიტეტმა ლენინს აუწყა, რომ სამხრეთ ოსეთი არასდროს არ შესულა და არც შევა საქართველოს მენშევიკური მთავრობის შემადგენლობაში, რადგანაც იგი თავის თავს საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად თვლის[509]. მართლაც, ოსი ხალხი კავკასიის სხვა ხალხებ-

---

[505] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ., № 23.

[506] ჟურნ. „განათლება", 1920 წ., № 4—5, გვ. 126.

[507] ჟურნ. „განათლება", 1920 წ., № 4—5.

[508] საქართველოს სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 16, საქმე № 528, 91, ფურც. 30.

[509] Известия Юго Осет. научн.ислед. инстит. Краев т. III. стр. 32,

[510] ს. ბერიძე, 1917 —1921 წლები საქართველოში (მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა., 1941 წ., გვ. 246—247.

თან და რუს მშრომელებთან ხელიხელჩაკიდებული, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გმირულად იბრძოდა ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის დამხობისა და კავკასიის მთიანეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სოციალისტური ცხოვრების ახალი წესების განმტკიცების, სწავლა-აღზრდის კომუნისტური პრინციპების განხორციელებისა და სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის.

რუსეთისა და კავკასიის მთელ მშრომელ მასებთან განუყრელ კავშირში ოსი ხალხის გმირული ბრძოლა ოქტომბრის რევოლუციის გზით წარმატებით დამთავრდა.

გამოყენებული ძირითადი წყაროების დასახელება

I. მეცნიერულ-პოლიტიკური ლიტერატურა და სხვა წყაროები

1. კ. მარქსი და ფ. ენგელსი სახალხო განათლების შესახებ, 1948 წ. გვ. 66, რედაქტორ-შემდგენელი პროფ. გ. თავხიშვილი.
2. კ. მარქსი, გოთას პროგრამის კრიტიკა, 1932 წ., ქართული გამოცემა, გვ. 35—36.
3. ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, ქართული გამოცემა.
4. ვ. ლენინი, თხზ. ტ. 30, IV გამოცემა.
5. ვ. ლენინი, თხზ. ტ. 31, IV გამოცემა.
6. ვ. ლენინი, ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები, სახელგამი, 1955 წ., ქართული გამოცემა.
7. ვ. ლენინი სახალხო განათლების შესახებ, 1936 წ., გვ. 116, 205, 206.
8. ი. სტალინი სახალხო განათლების შესახებ. 1939 წ., გვ. 117.
9. სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში. ტომი I, 1938 წ., გვ. 208.
10. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, 1946 წ., ქართული გამოცემა, გვ. გვ. 11, 158, 159, 169, 206, 211, 277, 287.
11. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 11, 1946 წ., გვ. გვ, 26, 35, 38, 39, 63, 66, 156, 189, 199, 216, 217, 297, 298, 267, 268, 297 296, 307, 313.
12. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1949 წ. გვ. გვ. 1, 245, 256—258.
13. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937 წ., გვ. გვ. 100, 108.
14. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950 წ., გვ. გვ. 21, 22, 272, 276.
15. ახალი ქართლის ცხოვრება, პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით 1940 წ., გვ. გვ. 12—13.
16. ხ. ბეჩინაძე, ოსეთის ისტორია, თბილისი, 1913 წ., გვ. გვ. 8, 19, 34, 70—79, 101—102, 137—138, 152, 160, 207, 221, 222, 227, 228, 229.

17. ხ. ჭიჭინაძე. ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაჯი და ლვაწლი მათზედ. თბილისი, 1916 წ., გვ. გვ. 1, 9, 14, 21.
18. ოსეთი ქართული წიგნებით, გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1915 წ., გვ. გვ. 182, 188, 206, 217, 221, 223, 227, 230, 233.
19. პროფ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1941 წ., გვ. გვ. 32, 43, 59, 60, 75, 500—501.
20. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 376.
21. მიმომხილველი, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1949 წ. გამოცემა, გვ. 112, 113, 115.
22. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა, და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 წ., გვ. 71, 107, 111.
23. პროფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ოსური ენის ისტორიისათვის, თბილისი, სახ. უნივერსიტეტის მოამბე, 5, 1925 წ., გვ. 319—320.
24. პროფ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგადი ენათმეცნიერება, პროპედევტიკული კურსი, 1946 წ., გვ. გვ. 192—193, 219.
25. ქრონიკები, 2, გვ. 2.
26. იაკ. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი I, II, III და IV. ახალი გამოცემა პროფესორების გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა და დ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით.
27. პროფ. გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური ახროვნების ისტორია საქართველოში, 1948 წ., გვ. 24—25, 83, 116, 128—129 197.
28. არჩილიანი, 2, პროფ. ალ. ბარამიძის რედაქციით, გვ. 7.
29. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, 1950 წ., გვ. 175—177.
30. აპ. რ ო გ ა ვ ა, სახალხო განათლება ეროვლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950 წ., გვ. 88—89.
31. ტ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის" ლიტერატურაში, თბილისი, 1939 წ., გვ. გვ. 197—198.
32. არკ. ხ უ ნ დ ა ძ ე, დანიელ ჭონქაძე, თბილისი, 1932 წ., გვ. გვ. 27, 33, 44, 45, 51, 53.
33. ს. ბ ე რ ი ძ ე, 1917—1921 წლები საქართველოში, თბილისი, 1941 წ., გვ. 224 246, 247.
34. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1937 წ. ნაკვ. I, გვ. 5.
35. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1939 წ. ნაკვ. III, გვ. 57.
36. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950 წ., გვ. გვ. 22, 83, 88.
37. საქართველოს სიძველენი, ტომი II, პროფ. ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1909 წ., გვ. 296, 297, 457, 467.
38. საქართველოს სიძველენი, ტომი II. პროფ. ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1910 წ., გვ. 152, 159, 445, 447.
39. ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. 1, 1909 წ., გვ. 7—10, 11—12, 16, 33, 34.

40. ძველი საქართველო, ტ. 2, 1909 წ., გვ. 49.
41. კ. ხეთაგუროვის რჩეული ნაწერების კრებული, სამხრეთ ოსეთის სახელგამი 1939 წ., გვ. 30, 200.
42. История Осетии (макет), часть первая (с древнейших времен до 1917 г.), Северо Осетинское книжное издательство, Орджоникидзе, 1954 г.
43. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары, 1881 г. стр. 40—42.
44. В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, АН СССР, 1950 г.
45. Известия Юго Осет. Научно-иссл. института Краев. 11, стр. 32.
46. Краткий очерк истории Грузинской церкви экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901 г., стр. 92.
47. Отчет Общества восст. православного христианства на Кавказе за 1862 и 1863 гг., Тифлис, стр. 11, 12, 15.
48. Отчет попечителя Кавк. уч. округа за 1887 г. стр. 262, 268 за 1900 г. стр. 44, за 1902 г. 1885 г. за 1887 г. стр. 200, за 1894 г., стр. 332.
49. П. И. Гадиев, История развития народного образования в Юго Осетии до установления Советской власти (рукопись хранится в НИИИО).
50. Обозрение российских владений Закавказья, ч. II, 1836, стр. 184.
51. Путеводитель по Кавказу, сост. Е. Вейденбаум, Тифлис, 1888 стр. 271, 272, 273, 274, 275, 276.
52. История грузинской иерархии М., 1886 г., стр. 77, 88, 89, 91, 92.
53. А. Кодзиев, Древние осетины и Осетия, Владикавказ, 1903 г. стр. 1.
54. Обзор деятельности общества восстановления правосл. христианства на Кавказе, за 1860—1910 г. Тифлис, 1910 г., стр. 6—14, 90, 186—199
55. Отчеты общества восстановления православного христианства на Кавказе, за 1862—1909 гг., Тифлис.
56. М. С. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв. (Автореферат), Дзауджикау, 1950 гг.
57. Документы по истории Грузии (1862—1917), том I, под ред. проф. Ш. Чхетия, Тифлис, 1954 г., стр. 541—542.
58. К. Хетагуров, Собрание сочинений, том III, изд. АН СССР Москва, 1951.
59. В. Абаев, 30 лет Советской власти и развитие науки в Юго Осетии. Известия Юго Осет. НИИ. 1948 г., VI, стр. 5—18.
0. А. Гадиев, Владикавказское осетинское духовное училище (уч. запись С. Осет. Гос. пед. института. 1940 г., стр. 63—71).
61. Е. К. Осетинская Духовная комиссия и ея деятельность (Прил. к дух. Вестник, 1901 г., № 17—18, стр. 59—75).

62. Д. Лавров, Заметки об Осетии и осетинах, СМОМПК. 1883 г. III. стр. 310—312.
63. Сборник документов по истории народного образования в Осетии (материалы по истории осетинского народа. 1942 г., том V).
64. П. Симонов, Горские школы (Изв. Сев. Кавк. пед. института. 1937 г., т. XIII, стр. 241—264).
65. Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа (изд. Сев Осет. Н. И. И. 1947 г., т. XI, стр. 186—188).
66. С. Фарфоровский, Народное образование у осетин, (ЖМИП 1917 г., № 1, отд. III, стр. 87—100).
67. Акты Археографической комиссии, том I, 1886, стр. 82—83.
68. Акты, том IX, стр. 33.
69. Известия С/Осет. Н. И. института, т. XI, 1947 г., стр. 185—186.
70. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1941 წ., გვ. VIII, XII, XIII, 63, 71, 74, 90, 91, 92, 96, 104.
71. ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში, 1956 წ., გვ. 95—124.
72. ტ. სარიშვილი, კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი სტალინირი. 1955.
73. კ. ხეთაგუროვი, რჩ. ნაწ. 1949 წ. საძმრეთ ოსეთის სახელგამი.
74. Акты, т. XI, стр. 726.

II. ჟურნალ-გაზეთები

1. ჟურნ. „განათლება“, 1908 წ., № 3 და 4 გვ. 209.
2. ჟურნ. „განათლება“, 1910 წ., № 1, გვ. 35.
3. ჟურნ. „განათლება“, 1912 წ., № 1, გვ. 52—60.
4. ჟურნ. „განათლება“, 1913 წ., № 9, გვ. 99.
5. ჟურნ. „განათლება“, 1920 წ., № 4 და 5, გვ. 126, 127, 128, 129.
6. ჟურნ. „მოგზაური“, 1905 წ., № 10, გვ. 140; № 11, გვ. 163, 175.
7. ჟურნ. „კვალი“, 1899 წ., № 51, გვ. 865—867.
8. ჟურნ. „კვალი“, 1901 წ., № 14, გვ. 223.
9. ჟურნ. „კვალი“, 1902 წ., № 3, გვ. 44.
10. ჟურნ. „კვალი“, 1903 წ., № 3, გვ. 44.
11. ჟურნ. „მწყემსი“, 1885 წ., № 2, გვ. 4—5.
12. ჟურნ. „მწყემსი“, 1891 წ., № 7, გვ. 5—6.
13. ჟურნ. „მწყემსი“, 1895 წ., № 11, გვ. 5—11.
14. გაზ. „Кавказ“ 1868 г., № 24.
15. გაზ. „Кавказ“, 1873 г., № 10, № 75.
16. გაზ. „Кавказ“, 1875 г., № 40 стр. 1.
17. გაზ. „Кавказ“, 1880 г., № 37, № 38, № 32.
18. გაზ. „დროება“, 1867 წ., 20|X, გვ. 1—2, 1876 წ., № 128, გვ. 3—4.
19. გაზ. „დროება“, 1880 წ., 25|I, გვ. 3 24|II, გვ. 2.
20. გაზ. „დროება“, 1880 წ., 16|III, გვ. 3.
21. გაზ. „დროება“, 1880 წ., 1|VIII, გვ. 2—3.
22. გაზ. „დროება“, 1880 წ., 13|VIII, გვ. 1—2.

23. გაზ. „დროება“, 1881 წ., 22|I, გვ. 2, 1881 წ. 5|IV, გვ. 2. 1882 წ. 29|XII, გვ. 3—4.
24. გაზ. „დროება“, 1883 წ., 22|VII, გვ. 1—2.
25. გაზ. „დროება“, 1883 წ., მარტი, გვ. 2.
26. გაზ. „დროება“, 1881 წ., 22 იანვარი, გვ. 1—2, 1884 წ., 13|IX, 1884 წ., 7|IV.
27. გაზ. „დროება“, 1885 წ., 17|VIII, გვ. 1.
28. გაზ. „ივერია“, 1876 წ., № 10, გვ. 1—2, 1886 წ., 7|XI, გვ. 2—3.
29. გაზ. „ივერია“, 1887 წ., 13|II, გვ. 2.
30. გაზ. „ივერია“, 1887 წ., 3|XII, გვ. 2.
31. გაზ. „ივერია“, 1888 წ., 10|VIII, გვ. 2, 21|XI, გვ. 2.
32. გაზ. „ივერია“, 1890 წ., 31|V—გვ. 3.
33. გაზ. „ივერია“, 1891 წ., 8|I გვ 2, 30|1, გვ. 3.
34. გაზ. „ივერია“, 1891 წ., 20|11, გვ. 2, 1905 წ. № 6, გვ. 2—3.
35. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ. 11 მარტი, გვ. 2.
36. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ. 17 მარტი, გვ. 2.
37. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ. 19 მარტი, გვ. 2.
38. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ. 20 მარტი, გვ. 2.
39. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ. 21 მარტი, გვ. 1—2.
30. გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1899 წ. 28 მარტი, გვ. 3.
41. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ. 15 ოქტომბერი, გვ. 3, 1905 წ. 13 აპრილი, გვ. 2.
42. გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 83, გვ. 2—3.
43. გაზ. „შრომა“, 1883 წ., 4 მაისი, გვ. 3.
44. გაზ. „სასოფლო გაზეთი“, 1887 წ., № 1. გვ. 5.
45. გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ., № 23, № 26.
46. გაზ. „კომუნისტი“, 1920 წ., № 10.
47. გაზ, „ნოგ ცარდ“, 1907 წ., № 24.
48. გაზ. „ნოგ ცარდ“, 1907 წ., № 46.
49. გაზ. „ტიფლისკი ლისტოკ“, 1905 წ., № 133.

III. საარქივო მასალები და სხვა დოკუმენტები

1. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივი, ფონდი 33. საქმე № 477, ფ. 1, 1905 წ.
2. Архив СОНИИ, фонд Владикавказского Окр. отделения епархиального училищного совета, дело 1913 г. № 815.
3. ЦГИА ГССР ф. 219, дело № 61, л. л. 3—28.
4. ვორონცოვ-დაშკოვი. ოქვეშეურდონელესი ანგარიში, 1913 წ. გვ. 14. ს. პეტერბურგი.
5. საქართველოს სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 139, საქმე № 267, ფურც. 100.
6. იქვე, ფონდი 139, საქმე № 1616, ფ. 1.
7. იქვე, ფონდი 139, საქმე № 1626, ფ. 2, 3, 4.
8. იქვე, ფონდი 139, საქმე № 5427.

9. იქვე, ფონდი 139, საქმე № 12806, ფ. 7.
10. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1726, ფ. 46—48, 65—67.
11. იქვე, ფონდი 141, საქმე № 570, ფ. 12—13.
12. იქვე, ფონდი 107, სერია ბ, საქმე № 539, ფ. 2—4.
13. იქვე, ფონდი 141, საქმე № 684, ფ. 89—90.
14. იქვე, ფონდი 141, საქმე № 580, ფ. 13—65
15. იქვე, ფონდი 141, საქმე № 903, ფ. 114.
16. იქვე, ფონდი № 109, საქმე № 104, ფ. 14—15.
17. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1121, ფ. 7—8.
18. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1127, ფ. 9.
19. იქვე, ფონდი 139, საქმე № 16468, ფ. 5.
20. იქვე, ფონდი 141, საქმე № 82, ფ. 65—70.
21. იქვე, ფონდი 139, საქმე № 1616, ფ. 1.
22. იქვე, ფონდი 139, საქმე № 1626, ფ. 2, 3, 4.
23. იქვე, ფონდი 141, საქმე № 7, ფ. 60—62. საქმე № 58, ფ. 11.
24. იქვე, ფონდი 109, საქმე № 177, ფ. 189.
25. იქვე, ფონდი 141, საქმე № 549, ფ. 12—15.
26. იქვე, ფონდი 141, საქმე № 796, ფ. 2—9.
27. იქვე, ფონდი 93, საქმე № 399, ფ. 3—6, 7—9.
28. იქვე, ფონდი 109, საქმე № 416, ფ. 89—91.
29. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1572, ფ. 1—4.
30. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1001, ფ. 1, 3—8.
31. იქვე, ფონდი 109, საქმე № 574, ფ. 89.
32. იქვე, ფონდი 141, საქმე № 649, ფ. 12—15.
33. იქვე, ფონდი 141, საქმე № 896, ფ. 2—9,
34. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1494, ფ. 12—18. 1912 წ.
35. იქვე, ფონდი 109, საქმე № 373, ფ. 89, 1913 წ.
36. იქვე, ფონდი 141, საქმე № 810, ფ. 5.
37. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1094, ფ. 2.
38. იქვე, ფონდი 141, საქმე, 1391, ფ. 66, 67, 92, 96.
39. იქვე, ფონდი 141, საქმე № 812, ფ. 9.
40. იქვე, ფონდი 141, საქმე № 183, ფ. 28—29, 1914 წ.
41. იქვე, ფონდი 141, საქმე № 520, ფ. 13—65.
42. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1335, ფ. 63—65.
43. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1572, ფ. 1—4.
44. იქვე, ფონდი 141, საქმე № 137, ფ. 20. საქმე № 506, ფ. 3—5, საქმე № 681, ფ. 49, საქმე № 804, ფ. 171, საქმე № 1590, ფ. 3—4.
45. იქვე, ფონდი 109, საქმე № 378, ფ. 201—202.
46. იქვე, ფონდი 109. საქმე № 416, ფ. 99.
47. იქვე, ფონდი 139, საქმე № 2066. ფ. 1—6. 14—17, 1828 წ.
48. იქვე, ფონდი 107, სერია „ბ", საქმე № 539, 1873 წ.
49. იქვე, ფონდი 141, საქმე № 539, ფ. 23, საქმე № 802, ფ. 2,9, საქმე № 857 1897 წ. საქმე № 1094, ფ. 14—15, 1902 წ. საქმე № 953, ფ. 2.
50. იქვე, ფონდი 139, საქმე № 1616, ფ. 18.
51. იქვე, ფონდი 141, საქმე № 896, ფ. 2—9, საქმე № 649, ფ. 12—15.

52. იქვე, ფონდი 139, საქმე № 12806, ფ. 4. 1847 წ.
53. იქვე, ფონდი 141, საქმე № 1590, ფ. 24, 29, 32.
54. იქვე, ფონდი 141, საქმე № 810, ფ 79, 1913 წ.
55. იქვე, ფონდი 141, საქმე № 649, ფ. 12—15.
56. იქვე, ფონდი 141, საქმე № 970, ფ. 14, 37—38, 64—67.
57. იქვე, ფონდი 141, საქმე № 955, ფ. 2—3.
58. იქვე, ფონდი 18, საქმე № 331, ფ. 121.
59. იქვე, ფონდი 16, საქმე № 44, ფ. 1—2.
60. იქვე, ფონდი 16, საქმე № 528, 91, ფ. 30.
61. Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Терской области, дело 1912 г., № 697, стр. 80.
62. Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Терской области, дело 1909 г., № 636, Л. 23—30.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ ა ვ ი I

83

ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ადრინდელი ფეოდალური წყობისა და მსხვილ სამთავროთა გაერთიანების პერიოდში (III—X სს.) 6

თ ა ვ ი II

ქართული კულტურის გავლენა კავკასიის მთის ხალხებზე საქართველოს სამეფოს გაძლიერების ხანაში (XI—XIV სს.) . . . 14

თ ა ვ ი III

კულტურული ვითარება ოსეთში XV საუკუნიდან ოსეთის რუსეთთან შეერთებამდე . 35

თ ა ვ ი IV

ამიერ და იმიერკავკასიის ოსთა სწავლა-განათლების მდგომარეობა ოსეთ-საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდიდან ცარიზმის დამხობამდე (1801—1917) . . 47

1. სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება ოსეთში XVIII—XIX საუკუნეებში 47

2. სასკოლო ქსელი, მატერიალური ბაზა და მოსწავლეთა შემადგენლობა . . 49

3. სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები 120

4. ოსური დამწერლობის განვითარება, წიგნიერების გავრცელება და სასწავლო სახელმძღვანელოები . . 133

თ ა ვ ი V

მასწავლებელთა მომზადება-გადამზადება . 153

თ ა ვ ი VI

გამოჩენილი ოსი მოღვაწეები სკოლისა და სახალხო განათლების შესახებ 170

ა. კოლიევის პედაგოგიური მოღვაწეობა . 174

ა. გასიევის კულტურული მოღვაწეობა და პედაგოგიური შეხედულებანი 175

ხ. ურუიმაგოვის როლი ახალი სკოლისათვის ბრძოლაში 177

კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი 178

თ ა ვ ი VII

ოსი ხალხის ბრძოლა სახალხო განათლების ახალი სისტემისა და ახალი სკოლებისათვის . 188

შეცდომების გასწორება

№	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ქვ.	ზემ.		
33		1—2	გადმომხედრა	გადმომხედა
121		2—3	შემიღებული	შემოღებული
194		11	ბავშვებისათვის „არაქრისტიანული სახელების“ ტარების	მოსწავლეთათვის იმ „წინადადების“ ცხოვრების სწავლება

რედაქტორი გრ. ნადარეიშვილი

* * *

კორექტორი ნ. ფერაძე

* * *

გადაეცა წარმოებას 7/VII 1956 წ. ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 1956 წ. 25/IX.
ქაღალდის ზომა 60×92. წიგნის ანაწყ-
ზომა 6×10. ტირაჟი 2.000.
სტამბის შეკვ. 1078. უე 06132.

* * *

საგამ.-საღრ. ფორმ. რაოდენობა 11,86.
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 13,75.

* * *

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს, თბილისი,
რუსთაველის პრ., № 42.